გარი ჩაფიძე

სიყვარულის ლაბირინთი

გარი ჩაფიძე

სიყვარულის ლაბირინთი

თბილისი, 2014

პროფესორ გარი ჩაფიძის ორმოცდაათტომეული, ერთი ამოსუნთქვით კითხვადია, ამიტომაც ითარგმნა მისი შემოქმედება სხვადასხვა ენებზე, „სიყვარულის ლაბირინთი" აღნიშნული გამოცემის 21–ე ტომია, სადაც მძაფრი სიუჟეტი სიყვარულის კულმინაციიდან შურისძიებაში გადადის.

რედაქტორი **მაკა ხატიაშვილი**

ISBN 978-9941-0-6080-9

სიყვარული

მოსამართლემ, არჩილ ეროდის ძე არაბულმა ზარი ააწკრიალა, ხალხს სიმშვიდისა და სიწყნარისაკენ მოუწოდა. როდესაც დარბაზში ჩურჩული შეწყდა, ჭერს მზერა მიაპყრო და თითქოს მამაზეციერი გამოძახაო, მტკიცედ წარმოთქვა:

– სამართალში მიცემულო ადექით!

პატიმარი ნელა წამოიმართა, თითქოს მხრებზე საუკუნე აწვებოდა, წელში ნელ–ნელა გასწორდა და მოაჯირს დაეყრდნო.

– თქვენ უფლებამოსილი ხართ – თქვა პატიმრის მისამართით მოსამართლემ – სასამართლოს აცილება მისცეთ, რაიმე უარყოფითი, დამამტკიცებელი მოტივის ძალით, რაც მდგომარეობს სასამართლოს რომელიმე წევრთან მტრობით ან ადრე წარმოქმნილი კონფლიქტის შედეგად.

– არა ვარ წინააღმდეგი, რადგან ჩემი პიროვნება არ არის ცნობილი მსოფლიო მასშტაბით, რომ რომელიმე კაპიტალისტურმა ქვეყანამ გამასამართლოს. – წყნარად, მაგრამ მტკიცედ განაცხადა პატიმარმა.

– როგორ!? თქვენ უარყოფთ საბჭოთა კავშირის მართმსაჯულების მტკიცე კანონებს?!

– არა! როგორ გეკადრებათ, სოციალიზმის პრინციპები ნამდვილად მოსაწონია, რომ ზოგიერთი თანამდებობის პირი ბოროტად არ იყენებდეს მომავალი კომუნიზმის მშენებლობის იდეებს.

– ვინ გყავთ მხედველობაში?

– უმეტესობა და პირადად არავინ!

– ეს როგორ გავიგოთ?

– როგორც მოგესურვებათ!

– კარგი, დღევანდელ სასამართლო პროცესს, პოლიტიკური თემა არ უდევს საფუძვლად, სასამართლოს მოახსენეთ: გვარი, სახელი და მამის სახელი.

– შმაგი დიმიტრის ძე მგალობლიშვილი.

– ეროვნება? – ქართველი.

– დაბადების წელი?

– 1955 წლის 7 ნოემბერი.

– განათლება?

– უმაღლესი. დავამთავრე თბილისის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტი, ვარ მსახიობი.

– ოჯახური მდგომარეობა!?

– უცოლშვილო. მყავს დედა, მამა, ორი და და ერთი ძმა!

– მშობლების საქმიანობა?

– მამა კოლმეურნე, დედა ოჯახის დიასახლისი!

– მდაა! – თქვა მოსამართლემ, ცოტა ხანს ჩაფიქრდა და შემდეგ განაგრძო:

– თქვენ როგორც მოგეხსენებათ, ბრალად გედებათ შორენა მინდიას ასული ძიძიგურის გაუპატიურება და მკვლელობა. სასამართლოს მოახსენეთ, ჩადენილი ბოროტმოქმედების სრული ვითარება, სიმართლე და მხოლოდ სიმართლე!

– შორენა ჩემი საცოლე იყო, არც გამიუპატიურებია და არც მომიკლავს.

– მოწმე გიგაურის ჩვენების თანახმად, თქვენ დაუნახავხართ, რომ ბაზალეთის ტბის სანაპიროზე სეირნობდით.

– ამ ფაქტს არც მე არ უარვყოფ, მოწმე სრულებით არ იყო საჭირო!

– მოახსენეთ სასამართლოს, შორენა ძიძიგურის გაცნობისა და ბოლოს მასთან სეირნობის შესახებ, მხოლოდ სიმართლე!

– მე და შორენა სკოლის მერხის მეგობრები ვიყავით, ერთად გავიზარდეთ და ჯერ კიდევ სკოლის მერხიდან გვიყვარდა ერთიმეორე. ორივემ ერთად დავამთავრეთ დუშეთის პირველი საშუალო სკოლის სრული კურსი და სიმწიფის ატესტატები ავიღეთ, ორივემ თბილისის თეატრალურ ინსტიტუტში ვცადეთ გამოცდების ჩაბარება. შორენა პირველ გამოცდაზე ჩაიჭრა, მე ფრიადი მივიღე, მიუხედავად ამისა მე მაინც მინდოდა საბუთების გამოტანა, რადგან შორენა ჩემთან ერთად ვეღარ ისწავლიდა, მაგრამ შორენა კინაღამ გაგიჟდა და ჩემს განზრახვაზე ხელი ამაღებინა. მან მეორე წელსაც ცადა ინსტიტუტში გამოცდების ჩაბარება, მაგრამ ამჟამადაც უშედეგოდ. ბოლოს ორწლიანი კურსები დაამთავრა და ბიბლიოთეკარად დაიწყო მუშაობა. მაგრამ ამას ჩვენთვის ხელი არ შეუშლია. ჩვენ ძველებურად გვიყვარდა ერთიმეორე.

– შენმა მშობლებმა თუ იცოდნენ, რომ შენ და შორენას ერთიმეორე გიყვარდათ? – თხრობა შეაწყვეტინა პატიმარს მოსამართლემ.

– კი! ორივე მხარემ ბრწყინვალედ იცოდა ჩვენი სიყვარულის შესახებ ყველაფერი. პირველ ხანებში შორენას მშობლები უარზე იყვნენ, მაგრამ როდესაც უმაღლეს სასწავლებელში მოვეწყვე და ჩემში კეთილშობილება დაინახეს მეც შვილივით შემიყვარეს.

– თუ გქონდათ ინტიმური კავშირი შორენა ძიძიგურთან?

– როგორ გეკადრებათ! ის საცოლე იყო ჩემი და არა ვიღაც სუსტი ნებისყოფის გოგონა.

მოსამართლემ გვერდით მჯდომ ახალგაზრდა ქალიშვილს გადახედა. რომელიც მოსამართლის კითხვებს და მგალობლიშვილის პასუხს გამალებით იწერდა – „დაწერე სკოლის მერხიდან გვქონდაო ინტიმური კავშირი“ – წასჩურჩულა ქალიშვილს და მყისვე დაფიქსირდა ფურცელზე მოსამართლის ბრძანება. ხოლო ყველას გასაგონად მოსამართლემ ახალი კითხვა დაუსვა სამართლაში მიცემულ მგალობლიშვილს:

– უმაღლესში სწავლის პერიოდში თუ ნახულობდი ხოლმე შორენა ძიძიგურს?

– რა თქმა უნდა, როდესაც ამის საშუალება მომეცემოდა. ხშირად კი ვერ ვნახულობდი მეცადინეობის გამო.

– მტერი გყავთ?

– არა!

– იქნებ შორენას ჰყავდა ვინმე მტერი?

– ეს ფიქრი გამორიცხულია, ვის რა ჰქონდა სამტრო უმწიკვლო გოგონასთან?

– იქნებ სხვა შეგიყვარდა უმაღლესში სწავლის დროს?!

– არავითარი სიყვარული, მე მყავდა საცოლე და მხოლოდ მას ეკუთვნოდა ჩემი სიყვარული.

– იქნებ შორენა ძიძიგურმა შეიყვარა ვინმე? თუ დაფიქრებულხართ ამ საკითხზე?

– დავფიქრებულვარ, მაგრამ ყოველგვარი ფიქრი უკუმიგდია, რადგან მწამს, შორენას მე ვუყვარდი და ისეთ სათუთ გულში როგორიც შორენას ჰქონდა არ შეიძლება ორი სიყვარული მოთავსებულიყო.

– კარგი, გააგრძელეთ!

– დიახ, როგორც მოგახსენეთ, შორენა ბიბლიოთეკარად მუშაობდა, მე კი უმაღლესი განათლება მივიღე 1977 წელს და გადავწყვიტე შორენასათვის მიმეხარებინა ეგრეთწოდებული „წითელი დიპლომის“ დაცვა. შევატყვე, გაეხარდა, მაგრამ იმის თვალებში რაღაც ამოუცნობი ფიქრი შევამჩნიე. მიზეზს შევეკითხე, შევატყვე ნაძალადევად გაიცინა და მიპასუხა:

– „ასეთი რამ უმაღლესმა განათლებამ გაფიქრებინა თუ ჩემს სიყვარულშიო შეიტანე ეჭვი?“ – მე შემრცხვა, გავწითლდი და უხერხულობიდან თავი რომ დამეღწია, ბაზალეთის ტბაზე გასეირნება შევთავაზე. სიამოვნებით დამთანხმდა, ტბამდე

ტაქსით მივედით. სანაპიროზე დიდხანს ვისეირნეთ. ტბაზე ნავით გავცურეთ. შემდეგ ტურისტული ბაზის სასადილოში ვისადილეთ, მაგრამ არ იქნა და არა შორენას ხასიათი არ გამოუკეთდა, ვატყობდი ადრინდელი მხიარულება აკლდა, რაღაცა აწუხებდა, მაგრამ თუ რა ვერ ვხვდებოდი, ის კი არაფერს მეუბნებოდა.

საღამომდე ვისეირნეთ. საღამოს კი ფეხით წამოვედით სახლისაკენ, კარგად დაღამებული იყო, როდესაც შორენას საკუთარი ეზოს ჭიშკარი გავუღე და ეზოში შევუშვი, შემდეგ კარგად მახსოვს, ჭიშკარი საკუთარი ხელით გამოვიხურე და სახლში წავედი.

დილით, ჯერ კიდევ არ იყო კარგად გათენებული, შორენას მშობლები მოვიდნენ ჩვენთან:

– კი მაგრამ ბიჭო, რად გინდოდა ჩუმად წამოყვანა, ნეტავი გამაგებინა ვინ გიშლიდა ხელს. არ ჯობდა მშობლების თანხმობით გვეჭამა საქორწილო პური? – მისაყვედურა შორენას მამამ, მინდია ძიძიგურმა.

მე გავოგნდი და სიტყვის თქმა ვეღარ მოვახერხე, ის კი განაგრძობდა:

– სად არის ერთი გამოათრიე გარეთ, აუწიო ყურები და გავკიცხო როგორც საჭიროა!

– გაჩერდი კაცო. – გაგულისდა მინდიას მეუღლე, შორენას დედა ქეთევანი – ახლა მოდაში შემოვიდა გაპარვა, ჭურში ხომ არ გძინავს მაგხელა კაცს!?

მე მათ გაშტერებული მივჩერებოდი და ბოლოს როგორც იქნა ამოვღერღე:

– როგორ შორენა სახლში არ მოსულა?

– რას ამბობ ბიჭო, გუშინ მთელი დღე ერთად სეირნობდით, საღამოს აქეთ მომავალი დაუნახავ-ხართ კიდეც და ახლა მე მეკითხები სახლში არის თუ არა? – გაგულისდა მინდია.

– საღამოს სახლამდე მოვაცილე! – ვუთხარი მე და მათთან ერთად ეზოდან გამოვედი.

ქეთევანმა კივილი ატეხა. შეგროვდა მთელი ქვეყანა, უცხომ და ნაცნობმა გაიგო შორენას გაუჩინარების ამბავი. მილიციას ვინ შეატყობინა არ ვიცი, შეიქმნა ოპერატიული ჯგუფი, ძებნა და ძიება. მეც მათთან ერთად ვეძებდი შორენას კვალს, მაგრამ ამაოდ, მხოლოდ მეშვიდე დღეს ბაზალეთის ტბიდან ამოიღეს გვამი, რომელიც თევზებისაგან ისე იყო შეჭმული, რომ სპეცი-ალური ექსპერტიზის გარეშე ვერავინ დაადგენ-და ქალის გვამი იყო თუ მამაკაცის. იმ საღა-მოსვე მე დამაპატიმრეს და შორენას მკვლელო-ბას მედავებიან. არ ვიცი როგორ დავამტკიცო ჩემი უდანაშაულობა. მე ჩემი გითხარით და თუ მართლა შორენა ცოცხალი აღარ არის, ჩემთვის სულ ერთია ციხეში ვიქნები თუ სამარეში.

– მდაა! – თქვა ისევ ისე მოსამართლემ. ცოტა ხანს ჩაფიქრდა და შემდეგ მგალობლიშვილს შე-ეკითხა:

– ნავით რომ სეირნობდით ტბაზე, დაგინახათ

ვინმემ, როდესაც შორენა ნავიდან წყალში გადააგდეთ?

– რას მეკითხებით ვერ გავიგე, ჩვენთან ერთად იყო მენავე, რომელიც მოტორიან ნავს მართავდა და ნაპირზე უვნებლად გამოგვიყვანა. მოსამართლე მწერალ გოგონასკენ გადაიხარა და ყურთან წასჩურჩულა:

– „არავის დავუნახივარო“ – და მოსამართლის შეკითხვაზე პასუხი დაფიქსირდა: – „შორენა ძიძიგური როდესაც ნავიდან წყალში გადავაგდე არავის დავუნახივარო“.

– კიდევ ერთი შეკითხვა და თქვენთან საუბარს მოვრჩები! – თქვა მოსამართლემ და მგალობლიშვილს „მამაშვილური“ ღიმილით შეეკითხა:

– მინდია ძიძიგურის ოჯახში თუ ხართ ნამყოფი?

– კი, როგორ არა, ძალიან ბევრჯერ!

– თუ თქვენ სუფთა განზრახვით იყავით ამ ოჯახთან და შორენაც კმაყოფილი მიაცილეთ სახლამდე, რატომ არ ინახულეთ შორენას მშობლები?

– არ ვიცი, გვიანი იყო, ალბათ შემეხათრა.

– დაჯექით! – თქვა მკაცრად მოსამართლემ, პროკურორს გადახედა, რომელიც განმარტოებით იჯდა განკუთვნილ მაგიდასთან და წყნარად წარმოთქვა:

– სიტყვა ეძლევა სახელმწიფო მბრალდებელს, პირველი კლასის იუსტიციის პროკურორს დავით შალვას ძე მინდელს.

პროკურორი ახალგაზრდული შემართებით წა-

მოდგა და ყოველგვარი დაფიქრების გარეშე დაიწ-
ყო:

– პატივცემულო მოსამართლენო, ძვირფასო საზოგადოებავ, ბატონებო და ქალბატონებო, მე როგორც სახელმწიფო მბრალმდებელი, საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რელსპუბლიკის ქალაქ დუშეთის პროკურორის მოვალეობის შემსრულებელი, ღრმად ჩახედული წინასწარი გამოძიების უნაკლოებაში, ვეყრდნობი აგრეთვე მოწმეების უტყუარ ჩვენებებს და მიზანშეწონილად მიმაჩნია ბოროტმოქმედი შმაგი დიმიტრის ძე მგალობლიშვილი გასამართლებული იქნეს საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, კანონის ძალით, 117–ე მუხლის მეორე ნაწილითა და 104–ე მუხლის „ე“ პუნქტით.

ქართველ ადამიანს, ჯერ კიდევ შორეულ წარსულში ყოველთვის ბრძოლა ჰქონდა ყოველგვარი ბოროტმოქმედების წინააღმდეგ: ჩვენი წინაპარი, ეტრფოდა სიყვარულს, ებრძოდა მკვლელებს, იხვეჭდა სახელს, თრგუნავდა ერის შემარცხვენელებს, ხმლითა და თოხით ებრძოდა სიღარიბეს, ანადგურებდა მძარცვლებს და რომელი ერთი ქართველი ჩამოვთვალო ბოროტმოქმედებასთან მებრძოლი. მამულიშვილთაგან ბრძოლაში დაცემული და თავგანწირული? მათი რიცხვი ხომ მილიონებს აღემატება! მაგრამ სავალალოდ კანონის სახელით მებრძოლთა შორისაც იბადებიან

კანონის წინააღმდეგ მებრძოლი პირები: მკვლელები, მძარცველები, ქალთა ღირსების შემარცხვენელნი, ყაჩაღები და ასე გასინჯეთ ულამაზესი სქესის გამაუპატიურებელნი და შემდეგ მკვლელებიც კი ასეთ ადამიანებთან, ნიღაბჩამოფარებულ მხეცებთან, მხოლოდ ჩვენ, პროკურატურისა და მილიციის მუშაკებს გვიხდება თავდადებული ბრძოლა. ისმის კითხვა: – სად იმყოფებიან ამ დროს მოქალაქეები? – პასუხი მხოლოდ ერთია: – ყოველგვარ დახმარებას უწევენ ბოროტმოქმედებს და საკუთარი ხელით ადგამენ თავზე შარავანდედით მოსილ გვირგვინს, რომელსაც ბრწყინვალედ იყენებენ დამნაშავენი, რადგან ეს დიდება ხალხისაგან ბოძებულია და არა მოპარული.

აბა სხვაგვარად როგორ ვიფიქრო, როდესაც დღისით, მზისით, ხდება ქალწულის გაუპატიურება, შემდეგ მკვლელობა და ბოლოს გვამის ბაზალეთის ტბაში ჩაძირკვა, სწორედ იმ ცრემლის ტბაში, რომელსაც ერთ დროს სულმნათი პოეტი უმღეროდა: – „... და ერისა ცრემლსადენი, ტბა კარვად ზედა გადუხურავს!“ და ვინ ჩადის ამ ბოროტმოქმედებას? ისევ ჩვენი მამულისა და ერის საამაყო შვილი, რომელიც სახელმწიფომ გამოზარდა, უმაღლესი განათლება მიაღებინა და ინტელიგენციის გვერდით დააყენა, მან კი როგორ გადაუხადა თავის მშობლიურ ხალხს გაწეული ამაგის საზღაური? – რა თქმა უნდა მკვლელობით. და ვიმეორებ: – ვინ ჩადის ამ მკვლელობას?

– ადამიანი, რომელსაც მეტი მოეთხოვება, ვიდრე გაუნათლებელ პიროვნებას, რომლისაგანაც მოველოდით თავისი ცოდნა და გამოცდილება სხვისთვის გაეზიარებინა. ეს კი შეუწყნარებელ ბოროტმოქმედებას სჩადის და ახალგაზრდობას ქალიშვილების გაუპატიურებისა და მკვლელობის მაგალითს აძლევს.

ბატონებო! ბაზალეთის ტბა, როგორც მოგეხსენებათ, ქალაქ დუშეთიდან ხუთი კილომეტრის მოშორებით მდებარეობს, – ზღვის დონიდან 879 მეტრის სიმაღლეზე, მაქსიმალური სიღრმე 7 მეტრია, ტბაში ბინადრობს თევზების რამოდენიმე სახეობა, მათ შორის ყველაზე მეტად არის გავრცელებული ქაშაყი, ნაფოტა, ხრამული, წვერა და კობრი.

ძიებისთვის სასარგებლო სრულებითაც არ გამოდგა ტბის უხვი თევზიანობა, რადგან შორენა ძიძიგურის გვამი, მიუხედავად გაძლიერებული ძებნისა, დაკარგვიდან მხოლოდ მეშვიდე დღეს იქნა ნაპოვნი. გვამი მთლიანად იყო დასახიჩრებული და ნახევრად შეჭმული თევზებისაგან, რის შედეგადაც გვამით პიროვნების დადგენა გაგვიძნელდა, მაგრამ საგამომძიებლო ექსპერტიზის დაუღალავი შრომის შედეგად დადგინდა, რომ გვამი მდედრობით სქესს ეკუთვნოდა, რამაც გვაფიქრებინა, რომ ეს შორენა ძიძიგური უნდა ყოფილიყო, რადგან ახლო–მახლო სოფლებში და არც რაიონებში, მკვლელობის და უგზო–უკვლოდ და-

კარგვის არავითარი ცნობა არა აქვს მიღებული საქართველოს სამძებრო ორგანოებს. სწორედ ეს მონაცემები გვაფიქრებინებს, რომ გვამი შორენა ძიძიგურს უნდა ეკუთვნოდეს.

ბაზალეთის ტბის სანაპიროზე მდებარეობს სამომხმარებლო თევზჭერის ობიექტი და ტურისტული ბაზა, სადაც წლის ნებისმიერ დროს დამსვენებელთა და ტურისტთა ხალხმრავლობაა, ნუთუ ვერავინ დაინახა ეს საზიზღარი მკვლელობა, რომ შეეჩერებინა მხეცი და ჩვენს ასე მცირერიცხოვან სამშობლოს უდროოდ არ გამოკლებოდა მომავალი დედა, რომელიც მითუმეტეს ახლა, ასე ძლიერ ესაჭიროება ჩვენს მრავალტანჯულ სამშობლოს, რომელსაც სულ რამოდენიმე წელია აღორძინებისა და ოქროს ხანა დაეწყო...

– ეს კაცი სულ სხვას ფიქრობს და სულ სხვას ლაპარაკობს: გადაულაპარაკა ქურთმა ქუჩის მხვეტავმა გვერდით მჯდომ სულ უცნობ მამაკაცს და ნათქვამი ცოტა ხმამაღლა გამოუვიდა. დარბაზში ფარული სიცილი ატეხეს – ვიღაცამ შუა დარბაზში პროკურორის ინტერესები დაიცვა და ქურთზე ცოტა ხმამაღლა თქვა: „განა ჩვენ კი არ ვიცით რას ლაპარაკობს, რომ ხმას არ ვიღებთ? ვიღაც მეეზოვეს ვინღა კითხავს სახელმწიფო პიროვნების სულში ჩაძვრომას?

– მართლაც, ვინ მკითხავს, მაგრამ კაცმა მე აქ ათას მანეთად დამასახლა, ააშენა ღმერთმა, განა ცუდს ვამბობ? – თქვა მეეზოვემ და გაჩუმდა.

მოსამართლემ ზარი დააწკარუნა და დარბაზს სიწყნარე და ყურადღება მოსთხოვა. პროკურორს ყურადღება სრულებით არაფრისათვის არ მიუქცევია. მას ზეცისაკენ აღეპყრო მზერა და თითქოს ლოცულობსო, ლაპარაკს განაგრძობდა:

– ბატონო მოსამართლენო: – მე დარწმუნებული ვარ, რომ ადამიანი ნამდვილად შექმნის ხელოვნურ ადამიანს, მაგრამ ღმერთმა ნუ ჰქნას თანამედროვე ადამიანს დაამსგავსოს თავისი ქმნილება, რომელსაც სულში და ორგანიზმში ბოროტება ექნება ჩაბუდებული თავის შემქმნელისაგან გენებში შთამომავლობით გადმოცემული და პატივცემულო საზოგადოებრივ, პირადად თქვენ მოგმართავთ თხოვნით, მანამდე მაინც ვიყოთ ადამიანები, სანამ ხელოვნურად შექმნილი ადამიანების არა გვაქვს შიში. ამჟამად კი, უფლებამოსილნი ვართ გამოვიყენოთ საკუთარი შესაძლებლობები და დროებით მაინც ავლაგმოთ ჩვენს შორის ბოროტმოქმედნი, არა მარტო მართლმსაჯულების სისხლისმღვრელი დაუღალავი შრომი სშედეგად, არამედ სზაოგადოების დახმარებითაც. მაგრამ თუ მაინც თავს იჩენს ბოროტმოქმედება, კანონის ძალით, მკაცრი სასჯელი გამოვუტანოთ ბოროტმოქმედს, რათა არ განმეორდეს მსგავსი დანაშაული ჩვენს გვერდით და რაც მთავარია ჩვენს მრავალტანჯულ საყვარელ სამშობლოში (დარბაზში ფარული სიცილი გაისმა, მოსამართლემ ისევ დააწკარუნა ზარი, პროკურორი კი განაგრძობდა):

– ბატონებო და ქალბატონებო, მე ვეყრდნობი წინასწარი ძიების სწორ ვერსიას, რომელსაც ჩემი საბურის შემდეგ ამხანაგი მოსამართლე უფრო დაწვრილებით მოგახსენებთ. მაგრამ ჩემი მრავალწლიანი თეორიული და პრაქტიკული დაუღალავი შრომის შედეგით ვაფასებ შმაგი დიმიტრის ძე მგალობლიშვილის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედებას და მიზანშეწონილად მიმაჩნია 117–ე მუხლის მეორე ნაწილით ადა 104–ე მუხლის „ე“ პუნქტით მიესაჯოს თხუთმეტი წლით თავისუფლების აღკვეთა, სასჯელის გაძლიერებული რეჟიმის შრომა–გასწორების კოლონიაში მოხდით...

პროკურორმა საუბარი როგორც კი დაამთავრა, მსჯავრდებული ზეზე წამოიჭრა და გამყინავი ხმით იყვირა:

– „მე მკვლელი არა ვარ! არ მომიკლავს!“

– „დაეგდე ბიჭო შენს ძირს“ – შეუტია პირტიტველა ბადრაგმა და ავტომატური თოფის კონდახი მოუღერა.

ამ შეძახილმა დარბაზში ჩოჩქოლი გამოიწვია, სასამართლო სხდომას კი პატიმრისათვის არავითარი ყურადღება არ მიუქცევია. მოსამართლემ ზარი რამოდენიმეჯერ აახმაურა და ხალხის დაწყნარებას დაელოდა, მხოლოდ როგორც კი სასამართლო დარბაზში ჩურჩული შეწყდა, ისე როგორც სახალხო სასამართლოს პროცესის მსვლელობის დროს „პროგრამაში“ არის დაგეგმილი, ზეზე დარბაისლურად წამოდგა ადვოკატი გიორგი ანზორის

ძე ჩიქოვანი და ყოველგვარი ნებართვის გარეშე დაიწყო:

– ბატონო მოსამართლენო, მე როგორც სამართალში მიცემულის ინტერესების დამცველი, თქვენი ნებართვით, უფლებამოსილი ვარ გამოვავლინო, წინასწარი ძიების დროს შეგნებულად დაშვებული შეცდომები და სამართალში მიცემულს გამოუტანოთ სასჯელი კანონის შესაბამისად.

– სულმნათი სულხან საბა–ორბელიანის განმარტებით: – „ვექილი არის თანამოსარჩლე სამსჯავროსა შინა“. – ამიტომ თავსუფლებას ვაძლევ დავახასიათო ბოროტმოქმედის პიროვნება, რომელმაც წარჩინებით დაამთავრა უმაღლესი სასწავლებლის სრული კურსი და იმყოფებოდა სახელგანთქმულ მსახიობთა შორის ღირსშესანიშნავ ადგილზე. მგალობლიშვილს არაერთხერ გაუცოცხლებია კინოში თუ თეატრის სცენაზე წინაპართა და ღირსეულ მამულიშვილთა სახეები. ყოველივე ეს გთხოვთ მხედველობაში მიიღოს სახალხო სასამართლომ და მსახიობთა რიგებს არ გამოაკლოს ის ადამიანი, რომელიც დღეს ესოდენ ესაჭიროება ჩვენს რესპუბლიკას.

– თუ გვჯერავს და ვეყრდნობით მგალობლიშვილის რამოდენიმე გრანდიოზულ კინო თუ თეატრალური როლის ბრწყინვალედ შესრულებას, მაშინ რატომ არ გვჯერა პიროვნების გამოძახილის: – „არ მომიკლავს!“

– ცოტა ვინმე თუ იცნობს საპყრობილეს და საზოგადოებისაგან იზოლირებას, უმეტესწილად აქ გვხვდებიან ადამიანები, არა წინასწარი გადაწყვეტილებით, არამედ სიბრიყვისა და შეცდომის შედეგად. ამიტომ ადამიანელი უფრო ხშირად იმიტომ არიან იზოლირების მსხვერპლნი, რომ რაღაც უხილავი ბოროტი ბიძგების გამო არ შეუძლიათ თავი აარიდონ მას. ამიტომ მე გამოვრიცხავ 104–ე მუხლის „ე“ პუნქტით მგალობლიშვილის გასამართლებას, რომელიც ითვალისწინებს განზრახ მკვლელობას და საფუძვლიანად მიმაჩნია ბოროტმოქმედი გასამართლებული იქნეს 107–ე მუხლით, რომელიც ითვალისწინებს მკვლელობას სულიერად აღელვების ნიადაგზედ.

– თუ არ მოუკლავს,ს ულიერი აღელვებები და შეღავათები რა შუაშია?

– ვიღაცამ ხმამაღლა წამოილაპარაკა დარბაზში.

– აქ „ჯდოსნური წრეა“ შეკრული, რომელსაც ეშმაკი არეგულირებს! – თქვა მეორემ ხმამ შუაგულ დარბაზში.

მოსამართლემ ზარი დააწკარუნა და მკაცრად განაცხადა:

– სიწყნარე თორემ გარეთ გაგაძევებთ!

დარბაზში ჩურჩული შეწყდა, ადვოკატი კი განაგრძობდა:

– ბატონო მოსამართლენო, ყურადღებას ნუ მიაქცევთ სასამართლო დარბაზში შექმნილ ვითარებას, თქვენ ჩემზედ კარგად მოგეხსენებათ, რომ

უპირველეს ყოვლისა ბრძენკაცთა აუმღვრევლობა არის შეინარჩუნონ უნარი, რათა თავიანთი ბორგვა და ბობოქრობა გულის სიღრმეში მიჩქმალონ, გადახედონ სწორად მოაზროვნეთა და მოსაუბრეთა მცირერიცხოვან ადამიანთა მტკიცე აზრს. შეაჯამონ სიბრძნე და მართლმსაჯულების უზუსტეს თემიდან სასწორზე დასვან ადამიანების ბედი. მე ვიმეორებ, რომ მგალობლიშვილი, რომელიც ჩემი დაცვის ქვეშ იმყოფება, პატივისცემის ღირსია, მხოლოდ იმ მოტივით, რომ მას სპეტაკად უყვარდა შორენა ძიძიგური, წმინდაა და ყოველგვარი სხვა გულისთქმათა აუმღვრეველი. დღესაც მგალობლიშვილის სულის სიღრმეში მიმალულია სიყვარული, რომელიც ჩვენთვის უჩინარია და დღეს ეს სიყვარული სატანჯველად გადაქცევია მას, მაგრამ ბატონო მოსამართლენო, სწორედ აქ გვმართებს შორსმხედველობა, ჩავიხედოთ ბოროტმოქმედის სულში და დავინახოთ ის სიყვარული, რომელსაც ამ წუთში განიცდის სამართალში მიცემული...

– ეს კაცი სადღეგრძელოს ამბობს, თუ პატიმრის ინტერესებს იცავს? – ისევ გადაულაპარაკა ქურთმა მეეზოვემ გვერდით მჯდომს. დარბაზს სიცილის ტალღამ გადაურბინა. მოსამართლემაც გაიღიმა და დარბაზს ადროვა დაწყნარება. როდესაც სიწყნარე ჩამოწვა და ადვოკატს საშუალება მიეცა ახალი, უთავბოლო მტკიცებებით სასამართლოს წინაშე წარმსდგარიყო, მოულოდნელად

მოსამართლემ ზარი დააწკარუნა, რაც სამართალში მიცემულის ინტერესების დამცველს საუბრის დამთავრებაზე მიუთითებდა. ადვოკატმა პირი დააფჩინა, ენაზე მომდგარი სიტყვა შეაჩერა და ნერწყვი ხმაურით გადაყლაპა.

სასამართლო დარბაზში ბუზის გაფრენას გაიგონებდით ისეთმა სიწყნარემ დაისადგურა. მოსამართლემ მაგიდაზე თითები აათამაშა და ღიმილით წყნარად წარმოთქვა:

– სამართალში მიცემული მგალობლიშვილო, თქვენ უფლებამოსილი ხართ, სახალხო სასამართლოსა და საზოგადოების წინაშე წარსდგეთ საბოლოვო სიტყვის სათქმელად.

პატიმარი ზანტად წამოიმართა, მოაჯირს დაეყრდნო.

– ბატონო მოსამართლენო – პაუზებით და დინჯად წარმოთქვა მან.

– სასამართლო სხდომას მადლობას მოვახსენებ, რადგან „საბოლოვო სიტყვის“ ღირსი გამხადეს, მაგრამ ჩემს სიტყვას არავითარი ფასი არ ექნება თუ გულისყურით არ მომისმინეთ და ჩემს საუბარში ჭეშმარიტებას არ დაინახავთ. რომ ვამბობ „არ მომიკლავს“ ეს არ არის ბატონო გიორგი ჩიქოვანის მიერ წარმოთქმული ფუჭი სიტყვა, ეს არის გულის სიღრმიდან ამოხეთქილი ჭეშმარიტება, მხოლოდ რომლის ძალითაც უნდა დამტკიცდეს ჩემი აბსოლიტური უდანაშაულობა.

ჩემმა ოჯახმა დამცველი აიყვანა, რათა ჩემი ინ-

ტერესბეი დაეცვა, უდანაშაულობა დაემტკიცებინა და არა შეღავათები მოეცა ჩემთვის. დღეს თქვენ შეგიძლიათ გადაწყვიტოთ ჩემი ბედი, უფრო სწორად ყოფნა არ ყოფნის საკითხი, რადგან „ყოფნა“ ეს სიმართლეა და „არყოფნა“ ცრუ სასჯელი, რომლის სიმკაცრეს და სასჯელის წელთა განსაზღვრას ჩემთვის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, რამეთუ სიმართლის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში სიკვდილი ხსნად მიმაჩნია, რადგან ასე მგონია სული ღმერთის მფარველობის ქვეშ გადავა, სიცოცხლე კი სატანებით ყოფილა აღსავსე და გვამიც მას ეკუთვნოდეს ჩემი.

დღეს ჩემი ინტერესების დამცველი ადვოკატი მერყეობს, რადგან არა აქვს დამამტკიცებელი საბუთი ჩემს გასამართლებლად, ან აქვს, მაგრამ სხვა უფრო ძლიერის ინტერესებს იცავს. მაგრამ მე ხმამაღლა შემიძლია განვაცხადო, რომ მერყეობას თავქარიანობა უდევს საფუძვლად, რაც აიძულებს ადამიანს დაუყოვნებლივ დაეთანხმოს სხვების ყოველგვარ აზრს. თუმცა არსებობს სხვაგვარი მერყეობაც, რომელიც მტკიცედ ეყრდნობა ზიზღს პიროვნების მიმართ. მე გამოვრიცხავ მეორე აზრს, რადგან მწამს არავის ჩემს მიმართ ზიზღი არ ამოძრავებს.

ბატონმა ჩიქოვანმა როდესაც ბრძანა: – „თქვენი ნებართვით უფლებამოსილი ვარ გამოვავლინო წინასწარი ძიების დროს შეგნებულად დაშვებული შეცდომები...“ ვიფიქრე დამამტკიცებელ საბუ-

თებს წარმოადგენდა ძიების გასამტყუნებლად, რაც მდგომარეობს გვამის აღმოჩენასთან დაკავშირებით, ვის ეკუთვნოდა გვამი? რომელი სქესი იყო, მამრობითი თუ მდედრობითი? რამდენი დრო დაჰყო წყალში გვამმა? რომელ რიცხვშია გვამის პატრონი მოკლული თუ თავისი სიკვდილით მკვდარი?

იქნებ ეს კითხვები არ ემთხვევა იმ დღეს როდესაც მე და შორენა ბაზალეთის ტაბზე ვსეირნობდით!? ნუთუ არ შეიძლება ამის დამტკიცება, როდესაც ძლიერ კრიმინალისტურ და ექსპერტიზებულ ეპოქაში ვცხოვრობთ? ჩვენს წელთაღრიცხვამდე მომხდარი, ფარაონთა სარკოფაგებში აღმოჩენილი გვამის სიკდვილის მიზეზები დაადგინეს და ნუთუ თანამედროვე ძიებას ვერ დაუდგენია ერთი კვირის წინ მომხდარი მკვლელობის მიზეზი? ბატონო მოსამართლენო, ჩემი თხოვნა მხოლოდ ერთია: დაარღვიოთ ჩემზედ წამოყენებული ბრალდების საქმე, თუ რაიმე ინტერესი არ გამოძრავებთ ჩემს მიმართ და გამოსაძიებლად გადასცეთ უფრო გამოცდილ გამომძიებელს, ვიდრე ბატონი წიკლაურია...

– მდაა! – თქვა მოსამართლემ, მაგიდაზე თითები აათამაშა და გვერდით მჯდომ მსაჯულს გადახედა, რომელიც უსიტყვოდ მიუხვდა ჩანაფიქრს, ზეზე წამოიმართა და ანგელოზის ხავერდოვანი ხმით გამოაცხადა:

– სასამართლო განაჩენის გამოსატანად მიდის!...

სახალხო სასამართლოს მთლიანი შემადგენლობა დარბაზიდან გავიდა. პატიმართა ჭირისუფლებმა ახლოს მისვლაც კი გაბედეს, ზოგი სიგარეტს აწოდებდა, ზოგი კიდევ ციხის ამბავს ეკითხებოდა, მაგრამ პირტიტველა ბადრაგი ახლოს არავის უშვებდა.

ორი საათის შემდეგ იგივე მსაჯული სასამართლო დარბაზში შემოვიდა და გამოაცხადა:

– ადექით, სასამართლო მოდის!

დარბაზში მყოფნი ფეხზე წამოდგნენ და სასამართლოს შემადგენლობაც უკლებლივ შემოვიდა დარბაზში. მოსამართლე თავის სავარძელთან დადგა და ღრმად ამოაბოყინა, ეტყობოდა გემრიელად ესადილა. დარბაზს მზერა მოავლო, ცოტა ხანს ჩაფიქრდა, შემდეგ სათვალე შეისწორა, საქაღალდე გადაშალა და დაიწყო:

– საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ქალაქ დუშეთის სახალხო სასამართლო ადგენს:

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის ყოფილი მოქალაქე შმაგი დიმიტრის ძე მგალობლიშვილი, დაბადებული 1955 წლის 7 ნოემბერს, ეროვნებით ქართველი, უმაღლესი განათლებით, უცოლშვილო, მიმდინარე წლის 10 აგვისტოს მოინახულა თავისი საცოლე შორენა მინდიას ასული ძიძიგური და მიიწვია ბაზალეთის ტბის სანაპიროზე საესირნოდ. აღსანიშნავია, რომ მგალობლიშვილი არის უმაღლესი განათლებით,

შორენა ძიძიგური კი უბრალო ბიბლიოთეკარი იყო, ამიტომ მგალობლიშვილმა გადაწყვიტა თავიდან მოეშორებინა ძიძიგური, მკვლელობით დაეფარა მასთან ინტიმური კავშირი და შეცდენილი ქალიშვილის ცოლობისათვის თავი აერიდებინა. საღამოს, ნავით სეირნობის დროს, მგალობლიშვილი წინასწარ მომზადებული თოკით ახრჩობს, შორენა ძიძიგურს, შემდგომ გვამს აბამს წინასწარმომზადებულ ტრაქტორის სახნისს და ბაზალეთის ტბის შუაგულში აგდებს ნავიდან.

ქ. დუშეთის სამძებრო ორგანოს დაუღალავი შრომის შედეგად, გვამს მხოლოდ ერთი კვირის შემდეგ მიაკვლიეს, სასამართლო ექსპერტიზის ცნობით დამტკიცდა, რომ გვამი მდედრობით სქესს მიეკუთვნება, ამიტომ ვარაუდი გამოითქვა გვამი შორენა ძიძიგურის უნდა იყოს, ვინაიდან ქ. დუშეთის ახლომახლო სოფლებიდან არ არის დაფიქსირებული ქალის ან ქალიშვილის უგზო–უკვლოდ დაკარგვის ცნობა.

მიუხედავად იმისა, რომ მგალობლიშვილმა ჩადენილი ბოროტმოქმედების მიმართ თავი დამნაშავედ არ სცნო, სასამართლო ეყრდნობა წინასწარი გამოძიების მიერ ჩატარებული ოპერაციის უტყუარ ფაქტს. რადგან მგალობლიშვილთან სეირნობის შემდეგ ძიძიგური სახლში არ დაბრუნებულა, ვერ იზიარებს მგალობლიშვილის მცდარ აზრს, რომლითაც სურს შეცდომაში შეიყვანოს წინასწარი გამოძიება და შემდეგ სახალხო სასა-

მართლოს სხდომა. ამიტომ ქ. დუშეთის სახალხო სასამართლო ადგენს:

შმაგი დიმიტრის ძე მგალობლიშვილი გასამართლდეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 117–ე მუხლის მეორე ნაწილით და 104–ე მუხლის „ე“ პუნქტით.

117–ე მუხლის მეორე ნაწილით მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა რვა წლის ვადით, ხოლო 104–ე მუხლის „ე“ პუნქტის თანახმად 12 წლით თავისუფლების აღკვეთა. უმაღლესმა სასჯელმა გადაფაროს უმცირესი და ძალაში დარჩეს 12 წლით თავისუფლების აღკვეთა სასჯელის გაძლიერებული რეჟიმის შრომა–გამასწორებელ კოლონიაში მოხდით.

განაჩენი გასაჩივრებას ექვემდებარება 10 დღის განმავლობაში.

– არ მომიკლავს, შენი! ფეხზე წამოიჭრა მგალობლიშვილი.

– ხმა ჩაიწყვიტე ბიჭო შენ!... – თოფის კონდახით შეუტია პირტიტველა ბადრაგმა.

მოსამართლემ კი საჩქაროდ აკრიფა მაგიდაზე მიმოფანტული ფურცლები და სასამართლოს კოლეგიასთან ერთად დაუყოვნებლივ გავიდა სასამართლოს დარბაზიდან. დარჩა მგალობლიშვილის ხმა ცივ კედლებში – „ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შიგან“.

– „არ მომიკლავს“ იმეორებდა ჩამწვარი გული. „არ მოუკლავს“ იმეორებდა კეთილ–ნათესავე-

ბის ცრემლიანი თვალები, „არ მოუკლავს“ იმეორებდა დამწუხრებული სასამართლო დარბაზი და უხილავი ხმა ციხისაკენ მიაცილებდა შმაგი მგალობლიშვილს, სადაც ურიცხვი პატიმართა გამოძახილით „არ მოუკლავს“ იმეორებდა ციხის კედლებიც, რომელსაც უამრავი ჰყავდა მგალობლიშვილისთანა „არ დამნაშავენი“ შეკედლებული. ფართოდ გაუღეს მგალობლიშვილს ციხის კარები, მაგრამ თქვენ დარბაისელო და ჩემ მიერ დიდად პატივსაცემო მკითხველო, იცით რა არის ციხე?

გარედან, საიდუმლოებით მოცულ საწარმოს წააგავს. რომელსაც მნახველი ერთი თვალის შევლებითაც შეატყობს, რომ კეთილსინდისიერად იცავენ ჯარისკაცები მეცნიერულ საიდუმლოებას. ეზო მუდამ სუფთად გამოიყურება, წელიწადის ნებისმიერ დროს მინდვრის ყვავილებითა თუ უნიკალური ჯიშის ვარდებით არის აყვავებული და ჰაერში მომაჯადოებელი სუნი იფრქვევა. გარედან, საუცხოო პროექტით აგებული შენობის ფასადი სილამაზის განსახიერებაა, მოჩუქურთმებული თაღებითა და კარ–ფანჯრების ჩარჩოებით, გაკრიალებული აივნებითა და ვარდისფრად შეღებილი კედლებით, ეს არის შერწყმა სილამაზისა საშინელებასთან. დიახ საშინელებასთან, რომელი შენობის შიგნით გველოდება: ჩაბნელებული დერეფანი, რომელსაც მკრთალად ანათებს სადღაც შორს ჭერზე ჩა-

მოკიდებული ერთადერთი მბჟუტავი ნათურა. მტირალა კედლები, რაღაც ამოუცნობი მოჟამული ფერით არის შეღებილი, რომელიც ყველა ადამიანის ხასიათზედაც ახდენს მოჟამულ ზეგავლენას.

დერეფანში ორივე მხარეს ჩამწკრივებულია რკინის კარებები, ორმაგი დიდრონი საიდუმლო საკეტებითა და ნომერაციით.

იღება კარები და აი საკანიც ბეტონის ჭერ–იატაკით, თივით გატენილი ლეიბებით გაწყობილი, ერთი–მეორეზე შედგმული ხის საწოლებით, მტირალა კედლებით, რომელიც მსხვილი ქვიშითაა გაკეთებული, შეუძლებელი რომ იყოს ადამიანის კედელზე მიყრდნობა.

საკანს ერთი ფანჯარა აქვს, თუ ამას ფანჯარა ეთქმის. სამმაგი, სხვადასხვა ზომის ბადით დახლართული რაღაც ოთხკუთხედი ხვრელი, რომელიც ცისკენ არის მიმართული და რომელთაც რიგი აქვთ პატიმრებს შეხედონ დღის სინათლეს ან მოციმციმე ვარსკვლავს. აქ უნებლიედ გაახსენდება მავანს ოსკარ უაილდის „რედინგის ციხის ბალადა“.

„... მე ის მიკვირდა, რა ხარბი თვალით
უჭვრეტდა მშვიდ და შეუშფოთებელ
იმ ცისფერ ნაგლეჯს, სიკვდილმისჯილი
პატიმრები რომ ცას უწოდებენ...“

ძნელი გასაგებია იმ ადამიანისათვის ვისაც ამ ფანჯარაში არ გაუხედავს თუ რა არის ის

„ცისფერი ნაგლეჯი“ და ზეცის უსაზღვროება, რომელზედაც ხანდისხან ქულა ღრუბლებით მომავლის გამოსახულება ცეკვავს.

პატიმრები კი... ვინ არიან ისინი? მახსენდება: – დედა როდესაც კომპოტს ამზადებდა, სიჩქარის გამო ერთ ქილაში ორი ულუფა შაქარი ჩაყარა, მეორეში კი არცერთი, სწორედ აქ მოხდა დაკონსერვების არასწორი ოპერაცია და შემთხვევით მეც ამ უშაქრო ქილის გახსნა მერგო წილად. მაგრამ ღმერთო ჩემო, ეს რა არის? დამჟავებული კი არა, არც აყროლებული, ჩამჩახებული! სწორედ ასეთია ციხის ჰაერი, ჩამჩახებული ადამიანთა არასწორი „დაკონსერვების“ გამო.

დიახ! „არასწორი დაკონსერვების გამო“. რადგან ერთ საკანში იმყოფება ალკოჰოლით, კანით, ტუბერკულიოზით თუ გულით დაავადებული და მათ გვერდით სრულიად ჯანმრთელი ადამიანი.

ფართოდ გაიღო ციხის ჭიშკარი. ავტომანქანა ციხის ეზოში შევიდა, პატიმარი გვირაბით გაიყვანეს და მსჯავრდებულთა საკანში მოათავსეს.

– გამარჯობათ! – წყნარად თქვა შმაგიმ. საკანში მყოფი ოთხი დამხვდური შეათვალიერა და ფიცარნაგზე ჩამოჯდა.

– გაგიმარჯოს! კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! – დამცინავი ხმით წარმოთქვა ერთ–ერთმა, ჩინელის სახის მქონემ.

– მოდი ჩემთან ჩამოჯექი ძმაკაც! – თითქმის ბრძანების კილოთი წარმოთქვა ნახევრად სიბნე-

ლეში ნარზე მუსულმანურად მჯდომმა სანდომიანი სახის ახალგაზრდამ.

– მე აქაც ბრწყინვალედ ვგრძნობ თავს, თქვენ თვითონ ხომ არ იკადრებდით ჩემთან მობრძანებას? – ოდნავ დამცინავად წარმოთქვა შმაგიმ და თავდასხმის დასახვედრად მოემზადა.

– შენ ცოტა წყნარად ძმაკაც! იცი ვის ელაპარაკები? გაგიგონია ქურდი ჭუკია? მე მაგის ხათრით მუსიკა შემიყვარდა და შენ რაებს ლაპარაკობ?! – გამწყრალიხმით წარმოთქვა ჩინელის სახიანმა და ნარიდან ჩამოხტა.

შმაგის გაეღიმა, „ხათრით მუსიკის შეყვარება არ გამიგიაო“ ჩაილაპარაკა და თვითონაც წამოდგა.

ამ დროს გაისმა ჭუკიას მკაცრი ხმა:

– კონგო? ნარქვეშ! – და ბრტყელსახიანი მყისვე საწოლის ქვეშ შეძვრა.

წამით სიჩუმე ჩამოვარდა, ერთი–მეორეს შესცქეროდა. შმაგი და ჭუკია უხმოდ ზომავდნენ ერთურთს, საკმაო დუმილის შემდეგ ნარიდან ჩამოხტა. შმაგისთან მივიდა და ხელი გაუწოდა.

– შემოსვლისას რომ გამარჯობა თქვი, იმაზე გეუბნები – გაგიმარჯოს! – თქვა ჭუკიამ, ხელი მაგრად ჩამოართვა შმაგის და განაგრძო:

– ისეთ გულზე მოხვედი თითქოს მე გამესამართლებინო.

– კი არ მოვედი, მომიყვანეს და როგორც ვატყობ არც თქვენ ხართ საკუთარი სურვილით აქ მოსული.

– სწორი შენიშვნაა, მაგრამ თქვენი უხასიათობა სხვას არ უნდა გადაადვა, ისედაც ყველანი გუნებამოშხამულები ვართ და ერთ ტაფაზე ვიწვით.

– სწორია, მაგრამ ერთი–მეორის ჭირ–ვარამის გაზიარებაც მიზანშეწონილად მიმაჩნია!

– რამდენი მოგისაჯეს?

– თორმეტი!

– ალბათ თქვენც უდანაშაულოდ, როგორც ყველას!

– სხვისი არ ვიცი და მე მართლა უდანაშაულოდ!

– იცი მეგობარო, აქ ვისაც არ უნდა შეეკითხო ყველა უდანაშაულოდ არის მოხვედრილი, ამიტომ აღარავის სჯერა მართლა უდანაშაულო ადამიანის. აი, ავიღოთ თუ გინდ კონგო, რომელიც ახლა ნარის ქვეშ შეძვრა დღისით მზისით დანის მუქარის ქვეშ გაძარცვა სტუდენტი გოგონა, საყურეები კი არ შეხსნა, ჩამოაგლიჯა. დაიჭირეს, რვა წელი მიუსაჯეს და გაიძახის – „უდანაშაულო ვარო!“ თქვენ როგორ ფიქრობით, უდანაშაულოა?

მეც უდანაშაულოდ ვთვლი საკუთარ თავს, კანონიერიქურდი ვარ და მეკრძალება სამხედროში სამსახური, უარი განვაცხადე და სამხედრო სავალდებულო სამსახურის თავის არიდებისათვის ორი წლით თავისუფლების აღკვეთა მომისაჯეს.

აი ეს ორი – ჭუკიამ ხელი გაიშვირა იქვე ფეხზე მდგომი ორი ახალგაზრდისაკენ – მკვლელები არიან, თავს დამნაშავედ არ გრძნობენ და მოდი

თვითონ მათ მოვუსმინოთ რას იტყვიან, შენ კი განსაჯე არიან თუ არა დამნაშავენი...

– თქვენც პროკურორივით მექცევით რაღა, ნუთუ მართლა ვერ მიხვედრილხართ რომ არა ვარ დამნაშავე – ხმა აიმაღლა და ერთი ნაბიჯით წინ წამოვიდა ახალგაზრდა, რომელსაც თენგიზი ერქვა.

– აბა თენგიზ, მოყევი რაში ხარ მართალი? – უთხრა ქურდმა ჭუკიამ და მხარზე ხელი დაადო.

– როგორ თუ რაში, ის მე მეხვეწებოდა მომკალიო და მოვკალი კიდეც. ის რომ გააცოცხლოთ და მე გამათავისუფლოთ მეორედ მოვკლავ, ვფიცავარ ღმერთს.

– თენგიზ, როგორ არ გესმის ამდენი. შენ კაცი მოკალი. იმას წაართვი სიცოცხლე, ვისაც სიცოცხლე ღმერთმა არგუნა და მხოლოდ ღმერთს შეეძლო თავისი ბოძებული სიცოცხლე გამოეთხოვა იმისაგან.

– ჭუკია, ღმერთს აუგად ნუ მოიხსენიებ, იმის სიცოცხლე ღმერთისაგან ბოძებული არ იყო. მის გაჩენაში ეშმაკს უთამაშნია ბრწყინვალე და თავის სასარგებლო როლი.

ხომ მაქვს შენთან ნათქვამი, მამა ადრე გარდამეცვალა. დედა მთლად ახალგაზრდა დაქვრივდა და ტანჯვა–წამებით გამომზარდა. სოფელში ვიზრდებოდი, შრომა ბევრი იყო, შემოსავალი კი ცოტა. ბრიგადირი გვყავდა ერთი წერა–კითხვის უცოდინარი, რომელსაც სიკეთისაგან ბოროტების

გარჩევა არ შეეძლო და არც ცდილობდა სიკეთის დათესვას. ბრიგადირი იყო და თავისად თვლიდა მთელ სოფელს. რა თქმა უნდა, თავმჯდომარეც იმის ინტერესებს იცავდა და ყველგან იმისი დაცვის იმედიც ჰქონდა. რადგან სოფელი თავისი ეგონა, დედაჩემს დაადგა თვალი და იმის ხასად გახდომა მოისურვა. რამოდენიმეჯერ გავაფრთხილე, რომ დედაჩემს არ შეხვედროდა, მაგრამ მან დამცინავი ღიმილი მესროლა და ყურის ასაწევად წამეპოტინა, ან რა გასაკვირია ის ხომ ღონიერი იყო. სოფელში თითქმის ვერავინ ვერ ერეოდა და მე რას ვუზამდი?

დედაჩემი გაურბოდა მასთან შეხვედრას, მაგრამ მხეცურ ჟინს აყოლილ მხეცს სად დაემალება ადამიანი?

ნაშუადღევს სკოლიდან რომ დავბრუნდი, თავზარი დამეცა. ჩემი დედა გაუპატიურებული და ტანსაცმელშემოხეული იმავე ოთახში იყო თოკით ჭერზე ჩამოკიდებული, რომელშიდაც გაუპატიურებიათ, იმის ფეხებთან სკამი იყო წაქცეული, რაც თვითმკვლელობაზე მეტყველებდა. არა, მე ბრიგადირს მკვლელობას არ ვაბრალებ, ჩემი დედა პატიოსნების განსხაიერება იყო და ის სახელშერცხვენილი ეზოს გარეთ არ გამოვიდოდა.

იმავე ოთახში სადაც დედაჩემის უსულო გვამი ოდნავ ქანაობდა, ნაბრძოლ–არეულ საწოლთან ძველებური ნოხი იყო გაკრული. ნოხზე კი მამაჩემის ხანჯალი ეკიდა. დაუფიქრებლად ჩამოვხსენი,

ქარქაში იქვე მოვისროლე, ფოლადს ფხა მოვუსინჯე და ბრიგადირის სახლისაკენ გავწიე. ჩვენი პატარა ოჯახის დამღუპველი ნიგვზის ჩრდილის ქვეშ ათასფერად მოხატულ ხალიჩაზე იწვა და ფოთლებში შემოპარული მზის სხივისათვის თვალები რომ მოერიდებინა, შუბლზე ქათქათა პირსახოცი ისე დაეფარებინა, რომ მხოლოდ შუბლსა და თვალებს უფარავდა. არ ვიცი ოცნებობდა, ნებივრობდა თუ ეძინა, მე მაინც ფეხაკრეფით მივეპარე. ხანჯლის წვერი მკერდში დავუმიზნე და რაც ძალი და ღონე მქონდა დავკარი. სისხლმა ზვიგენივით გამაცოფა და დარტყმა რამოდენიმეჯერ გავიმეორე, თუმცა ის პირველსავე დარტყმაზე იყო გულგაპობილი. ჩემი ფეხით მივედი უბნის რწმუნებულთლან, სისხლიანი ხანჯალი მაგიდაზე დაუდევი და ვთხოვე დედის დასაფლავებას დავსწრებოდი, მაგრამ არ შემიბრალეს. ალბათ ჩემი დედა სამადლოდ დაასაფლავა სოფელმა.

– და რამდენი მოგისაჯეს? – შეეკითხა მთლად აკანკალებული შმაგი.

– თორმეტი და სასჯელის მოხდის შემდეგ ორი გასახლებაც. – თქვენ კი ჭუკია – განაგრძო მან – თუ მოინდომებთ მართლმსაჯულებაზე კარგად მიჩერებიხართ სიმართლეს, ნეტავი რაში მამტყუნებთ, რომ შვილმა დედის პატიოსნება და ღირსება დავიცავი? რომ დედის სიკდვილი არ შევარჩინე ადამიანის ნიღაბჩამოფარეულ მხეცს? ვინც ასეთ სურათს თვალს აარიდებს, შხამად ექცეს დედის

ძუძუ და იმის ამაგი ყველა შვილს. ჩემთვის კი აწი სულ ერთიან ვინ გამამტყუნებს და ვინ ვაჟკაცად შემმართავს. ვიცი მხოლოდ ერთი, ვალმოხდილი ვარ დედის წინაშე და მუდამ ვიამაყებ იმის პატიოსნებითაც...

საკანში სიჩუმე ჩამოვარდა, მხოლოდ რამოდენიმე წუთის შემდეგ მყუდროება ისევ ჭუკიამ დაარღვია:

– შენ მართლა ვაჟკაცი ხარ ჩემო თენგიზ, არა მარტო ჩემს თვალში არამედ ყველა პატიოსანი ადამიანის თვალში, მაგრამ კანონი ასე როდი მსჯელობს. შენ უნდა მისულიყავი მილიციაში, დაგეწერა განცხადება და გაგეცხადებინა მომხდარი ვითარების შესახებ, დანიშნავდნენ გამომძიებელს და ბრიგადირს დაკითხავდნენ. ბრიგადირი უყოყმანოდ გადაიხდიდა გამომძიებლისაგან დასახელებულ თანხას, ასე რომ დედაშენის სიკვდილს თვითმკვლელობას მიაწერდნენ. გამომძიებელს ლუკმა გაუჩნდებოდა, ბრიგადირი სიკვდილს გადარჩებოდა და შენ ციხეს, აი ხომ ხედავ რამდენი უსიამოვნების თავიდან აცილება შეძლებულა?

– შენ ღადაობ, მაგრამ სიმართლე თუ გინდა ჩემთვის 104–ე კი არა 107–ე მუხლი უნდა მოეცათ და სულიერად აღელვების საფუძველზე უნდა გავესამართლებინეთ.

– არა თენგიზ, არ იყო ეგ მკვლელობა სულიერად აღელვების საფუძველზე ჩადენილი, შენ აუცილებლად დაწყნარდებოდი, სანამ ბრიგადი-

რის სახლამდე მიხვიდოდი. აღელვება მაშინ იქ-ნებოდა, თუ შენ ბრიგადირს სახლში წაასწრებდი, როდესაც დანაშაულს ჩადიოდა.

– ეს როგორ თამაზის დანაშაულია აღელვების საფუძველზე ჩადენილი და ჩემი განზრახ მკვლე-ლობა? – თქვა თენგიზმა და მეოთხე მსჯავრდე-ბულს გადახედა.

– დროა ასეთი ჩემო თენგიზ – თქვა თამაზმა და ნარზე ჩამოჯდა.

– დრო კარგია, რომ ბოროტად არ იყენებდნენ ძლევამოსილნი. – კამათში გამოწვევის სახით უთ-ხრა თანგიზმა, მაგრამ პასუხი რომ ვერ მიიღო, ისევ წყნარად სთხოვა თამაზს, თავისი ჩადენილი ბოროტმოქმედბის ირგვლივ ელაპარაკნა.

– ხომ მოგიყევით, რამდენჯერ უნდა მოვყვე ერ-თსა და იმავეს?

– კიდევ მოყევი ხომ არსად გეჩქარება? – ამჟა-მად ჭუკია ჩაერია მათ საუბარში.

– დედას რევმატიზმები აწუხებდა – ნაღვლიანი სახით დაიწყო თამაზმა – დიდი ვაი–ვაგლახით მამამ წყალტუბოს საგზური იშოვა და სამკურნა-ლოდ გაუშვა. სულ ოცდღიანი საგზური ჰქონდა და მე და მამაჩემმა ამ დროს შუალედში ორჯერ მოვინახულეთ, თითქმის თავს კარგად გრძნობდა, მუხლების ტკივილს აღარ უჩიოდა და წამოსვლაც კი დააპირა სახლში, მაგრამ მამამ ურჩია დაემ-თავრებინა მკურნალობის სრული კურსი. ბოლოს დედაც დათანხმდა, მაგრამ როდესაც მამა დედას

მოსაყვანად წავიდა, სახლში ავადმყოფი მოიყვანა, საბრალო დედა გაციებულა და ფილტვების ანთება დამართნოდა. საავადმყოფოში დაწოლაზე უარი განაცხადა და მამა იძულებული გახდა ექიმი სახლში მოეწვია. ექიმს გასამრჯელოც კარგად გადავუხადეთ და კიდევ დავპირდით პატივისცემას. ავადმყოფს მართლაც გამომჯობინება დაეტყო. წამოდგა კიდეც და მცირედი საქმის კეთებაც დაიწყო, მაგრამ ექიმს ხომ მკურნალობის კურსი უნდა დაემთავრებინა და არც შეუწყვეტია. 14 აპრილს, როგორც ყოველთვის ექიმმა დილით გამოიარა, საჩქაროდ გაუკეთა ვენაში ნემსი და წავიდა. დედას, ერთი წუთის შემდეგ ჩაეძინა, ასე არასოდეს არ უმოქმედია ავადმყოფზე წამლის შეშხაპუნებას და გამიკვირდა. ვნახე ცარიელი „ამპულა“, რომლიდანაც ექიმმა ხსნარი ამოქაჩა და დედას შეუშხაპუნა. ზედ არაფერი ეწერა და ყოველი შემთხვევისათვის ჯიბეში შევინახე. გავიდა ორი საათი, დედას ისევ ისე ღრმად ეძინა, ცუდად მენიშნა ყოველივეს და მამას ვუთხარი ექიმის მოსაყვანად წასულიყო. „არაფერია შვილო იძინოს, დაისვენოს და ძილში გამოჯანმრთელდებაო“ – მიპასუხა.

სუნთქვა თანადთან მისუსტდა. გულის ცემაც ოდნავ ისმოდა, მამასათვის აღარაფერი მითქვამს და იმის დაუკითხავად პოლიკლინიკაში გავიქეცი, საჩქაროდ მოვძებნე დედაჩემის მკურნალი ექიმი და ავადმყოფის მდგომარეობა შე-

ვატყობინე. ექიმს სახეზე ცვლილება შევატყვე, მაგრამ ჩემთვის არაფერი უპასუხია და იმ „დიპ-ლომატში“ წამლების გადალაგებ–გადმოლაგება დაიწყო, რომელიც ჩვენთან ჰქონდა მოტანილი და საიდანაც დედას გასაკეთებელი ამპულა ამოიღო. ექიმის სახეზე გაფითრდა, საჩქაროდ დაკეტა დიპლომატი და აჩქარებული ნაბიჯით გამომყვა. დედა აღარ სუნთქავდა, ექიმმა კი მაინც შეუშხაპუნა ვენაში რამოდენიმე ამპულა. შევატყვე გული აღარ მუშაობდა, „შპრიცში“ აღარ იძლეოდა სისხლი სიგნალს, ექიმი კი ამპულას ამპულაზე აშრობდა და ამით თითქოს თვალს მიხვევდა მოვალეობის ბრწყინვალედ შესრულების მიზნით.

მივხვდი, რომ ექიმს წამალი შეეცვალა, სხვაგვარი ფიქრის არ მქონდა საფუძველი. გამორიცხული იყო ექიმს დედაჩემის ან ჩვენი ოჯახის მტრული ინტერესი ჰქონებოდა და როდესაც უკვე გვამისათვის, მორიგი ამპულა უნდა შეეშხაპუნებინა, ვიყვირე:

– „შეჩერდი მკვლელო, ცხედარს ნუღარ აწვალებ, მე შენ ამგვარივე სიკვდილით მოგკლავ!“ – და ექიმს ყელში ვწვდი მოსახრჩობად. მაგრამ ის ფიზიკურად ძლიერი იყო, მალე დამიძვრა ხელიდან, თან წინ მამა გადამეღობა და მეზობლებმა კივილი შეჰქმნეს, ექიმმა სირბილით დატოვა ჩვენი ეზო და გაუჩინარდა. მე დედაჩემის ჯერ კიდევ თბილ გვამს დავემხე და ავქვითინდი...

თამაზი გაჩერდა, საკანში მდუმარება გამეფდა,

ხუთ წყვილ თვალზე უმანკო ცრემლი კიაფობდა.

– შემდეგ? – იკითხა ჭუკიამ და იმის ამ ერთ სიტყვაში ნათლად იგრძნობოდა თუ როგორ ახრჩობდა ყელში მობჯენილი ცრემლის ბურთი.

– შემდეგ კი ყველაფერი ისე მოხდა როგორი ფიციც მივეცი დედას – განაგრძო საუბარი თამაზმა – მიცვალებული ერთი კვირის შემდეგ დავასაფლავეთ, სასაფლაოს კეთილმოწყობა მამაჩემს მივანდე. მე კი ის ამპულა რომლითაც დედაჩემი გარდაიცვალა ცენტრალურ ლაბორატორიაში მივიტანე და ერთ ნაცნობ ლაბორანტს გავასინჯე. „ვიადროლი“ აღმოჩნდა. შევეკითხე თუ რა არის „ვიადროლი“, მიპასუხა: – ნარკოზია, ძლიერმოქმედი დასაძინებელი წამალიო – წამოვედი და ერთი ნაცნობი აფთიაქარისაგან დიდი ხვეწნა–მუდარის შემდეგ ორი ცალი ამპულა შევიძინე.

იმ საღამოსვე ექიმის სამოთახიანი ბინის კარებზე დავაკაკუნე. ექიმი სახლში არ დამიხვდა, იმისმა ახლად შერთულმა მეუღლემ ტკბილად მიმიღო, მეც ტკბილად ვუთხარი: – თუ ნებას დამრთავდა ექიმს დაველოდებოდი. – მისაღებში შემიპატიჟა, ხილითა და კონიაკით გამიმასპინძლდა, ერთი სირჩა თვითონ დალია, ორი მე დავლიე და თბილმა სასიამოვნო სიომ დამიბერა ორგანიზმში. ალბათ ქალის ორგანიზმზედაც იმოქმედა კონიაკმა მოულოდნელად თმაზე ხელი გადამისვა, არ ავმდგარვარ, წელზე ხელი მოვხვიე და ჩემსკენ მოვიზიდე. წინააღმდეგობა არ გაუწევია და ტუჩებში

დავეკონე. მთლად მოიმჩვარა და იატაკზე გაფენილ ნოხზე დაწვა...

შემდეგ ტუალეტი მოვიმიზეზე, ბოდიში მოვითხოვე და განვმარტოვდი. კინაღამ გადავიფიქრე განზრახული საქმის სისრულეში მოყვანა. დედის სახე წარმომიდგა და თვალწინ და საჩქაროდ ამოვტუმბე შპრიცში ორივე ამპულიდან „ვიადროლი“. შპრიცი გავამზადე და თაროზე დავდე. ამჟამად ქალი ტიტველ ტანზე ხალათმოცმული მელოდებოდა, მართლაც ლამაზი იყო და კინაღამ მეორედ გადავიფიქრე შურისძიება. ტუალეტიდან შპრიცი შეუმჩნევლად გამოვიტანე და ბამბაში შეხვეული კურტკის ჯიბეში შევინახე.

– შენ იცნობდი იმ ქალს? – მოულოდნელად შეეკითხა შმაგი და თამაზის თხრობა შეაწყვეტინა. ვინ იცის შეიძლება თავისი მდგომარეობა გაისიგრძეგანა და იმ ქალის სახეში შორენა დაინახა.

– კი ვიცნობდი. ერთად ვსწავლობდით უნივერსიტეტში. თუმცა ეს დიდი ისტორია არის და არა მგონია თქვენთვის საინტერესო იყო – თქვა თამაზმა და თხრობა განაგრძო.

– გვიან ღამით ექიმი მოვიდა. გადაღლილი ჩანდა, პირდაპირ მისაღებში შემოვიდა და რომ დამინახა მოულოდნელობისაგან ადგილზე გაქვავდა. ცოტა ხნის შემდეგ გონს მოეგო და წყნარად მითხრა:

– ვიცი რისთვისაც მოსულხარ, მაგრამ იცოდე მე შენ გაგანადგურებ, შეუსრულებელი დაგრჩება

დედაშენის მძორთან დადებული ფიცი. – მითხრა და ჯიბიდან საოპერაციო დანა დააძრო.

უცებ ავენთე, როგორ თუ დედაჩემის უმწიკვლო სხეული მძორი იყო? გავიფიქრე, თქმით კი არაფერი მითქვამს და მეორე მხრიდან შემოვუარე მაგიდას დანის მუქარა რომ ამეცილებინა. ქალი გაოგნებული ხან ერთს და ხან მეორეს შემოგვყურებდა. ვერ გაეგო ჩვენს შორის თუ რა ხდებოდა, იქნებ ეგონა ჩვენი შერკინების მიზეზი თვითონ იყო და ლოყებზე ხელებშემოფდობილი კუთხეში იდგა და ცრემლად იღვრებოდა. ექიმი არ დაიბნა, მაგიდა ჩემს საწინააღმდეგოდ ამოატრიალა და ნახტომისათვის მოემზადა, მაგრამ მე კურტკის ჯიბიდან პისტოლეტის ამოღება მოვასწარი და ორი მეტრის მანძილიდან იმის შუბლს გავუსწორე.

– დააგდე დანა! – თითქმის ჩურჩულით ვუთხარიდა პისტოლეტის ჩამკეტი ღილაკი ცერით ჩირს ჩავწიე.

თავის სიძლიერეში დარწმუნებულმა დანას ხელი არ შეუშვა და საბედისწერო ნაბიჯი ჩემსკენ გადმოდგა, პისტოლეტის სამიზნე ოდზნავ შევახე, ტარს ხელი მოვუჭირე და საჩვენებელი თითით სასხლეტს დავაწექი. ტყვიამ მარჯვენა ყურთან გაუწივლა და მოოქროვილ ჩარჩოში ჩასმული შიშველი ქალის სურათი ტიციანის „დანა“ ჩამოფშვნა. ახლა კი იკადრა ექიმმა დანის ხელიდან გაგდება და მუხლებზე დაეცა.

– ნუ მომკლავ! – შესაბრალისი ხმით შემომღაღა-

და და ისე მოიქცა როგორც მორწმუნე, წმინდანის წინაშე.

– ტახტზე წამოწექი! – ვუბრძანე მე და მყისვე შეასრულა ჩემი ბრძანება. ექიმის ცოლს მოვუხმე და შპრიცი მივაწოდე, უბრძანე ვენაში გაეკეთებინა მეუღლისათვის. – „არ გაინძრე, ვუთხარი ექიმს“ და პისტოლეტის ლულა კეფაზე დავადე, მართლაც არ განძრეულა და „კურკამ“ ოსტატურად შეუშხაპუნა ხსნარი (ზედმეტ სახელად „კურკას“ ეძახდნენ ექიმის მეუღლეს, სწორი სახელი კი არ არის აუცილებელი იცოდეთ).

– ექიმს წინააღმდეგობა რომ გაეწია, ესროდი? – მოულოდნელად შეეკითხა ჭუკია.

– აუცილებლად! – უპასუხა თამაზმა და თხრობა გააგრძელა.

– ექიმს მალე ჩაეძინა, მე სიბრალული ვიგრძენი, მაგრამ შურისძიების შემდეგ შვებით ამოვისუნთქე. „კურკა“ გავაშიშვლე და საძინებელ ოთახში გავედით. მართლა კარგი რამ იყო „კურკა“ ულამაზესი, ოქროსფერთმიანი და უმაღლესი ტემპერამენტიანი. ჯონ გოლზუორთის თქმის არ იყოს: „თუ ქალი ოქროსფერი თმით არის დაჯილდოვებული, იგი უკვე ნახევრად მზეთუნახავიაო“. ამბობს იგი და სრულებით არ ვეთანხმები, რადგან „კურკა“ ნეხევრად მზეთუნახავი კი არა მზეთუნახავი იყო. ალბათ ამიტომ შეინარჩუნა ექიმმაც, თორემ უნივერსიტეტიდან ერთ დროს გამორიცხვაც კი დაუპირეს მაღალი ტემპერამენტის დაუ-

ოკებლობის გამო. ასე რომ წუმპიდან ამოიყვანა, გარეცხა, გააშრო, გვარი მიცა და ოჯახი, მაგრამ ძუკნა – ძუკნობას მოიშლის? როდესაც „კურკა“ ჩემს წინ შიშველი დადგა, თავის სილამაზეში დარწმუნებული შემეკითხა: – როგორი ვარ?

– ქედს ვიხრი თქვენი მშვენიერების წინაშე, არა მიწიერო, უცხო პლანეტელო ასულო, ვუპასუხე და გულში ჩავიკარი, ასეთი განცდის შემდეგ არცერთს არ გამოგვივიდა ის ღამე შესანიშნავი, მაგრამ მაინც ყველა ღამეზე მეტად სამახსოვროდ დარჩა ჩემს მეხსიერებაში.

მე მეტად განვიცდიდი, ვიცოდი ექიმს რაც დაემართებოდა, „კურკას“ კი უბრალოდ ჩაძინებული ჰგონია და მე მეხვევა, მოსვენებას არ მაძლევს, მალურჯებს და მეალერსება. როდესაც დამშვიდდა მეკითხება:

– ქმართან რომ რაიმე შემემთხვეს მიპატრონებ?

– დაუფიქრებელი შეკითხვაა. უკიდურესობებს ნუ მიმართავ თორემ წარმოდგენა დამეკარგება შენს ღირსებებზე, – ვუპასუხე მე და ოდნავ ვუბიძგე, ძლიერ იწყინა, მაგრამ არ შეიმჩნია და თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა: – რატომ მე ხომ ლამაზი ვარ, უცხოპლანეტელი?

– კი, ლამაზი ხარ, მაგრამ სილამაზე მაშინ არის სათაყვანებელი, როდესაც საკუთრებას წარმოადგენს, დღეს ცხოვრებაც ლამაზია, მაგრამ მრავალი უღირსი ადამიანის ფეხქვეშ ითელება ეს სილამაზე! მე კი თქვენს სილამაზეს მამაკაცის თვალით

კი არა, მხატვრის თვალსაზრისით ვუყურებ, ისე როგორც მოქანდაკე თავის ქმნილებას სრულყოფილი ფორმებით. – ვუპასუხე მე.

– შენში სილამაზის სიყვარული კი არა პოეტური მუზები ლაპარაკობენ, მესმის შენისთანა მტკიცე ხასიათის მამაკაცები როგორ გვიყურებთ ჩვენ, სუსტი ნებისყოფის ქალებს თქვენი ოლიმპიური სიმაღლიდან. ყველა სულელმა იცის, რა გრძნობით სულდგმულობთ ჩვენს მიმართ, მაგრამ დედაკაცების ალერსითა და ტკბილი დაპირებებით, ჩვეულებრივად ტყუვდებიან, მაგრამ ყველა მამაკაცი თუ თქვენა გგავთ, მაშინ შეიძლება თქვენი ვაჟკაცობისა და სიმამაცის უკანასკნელი ეტაპად საგიჟეთი ჩაითვალოს! – თუმცა ღმერთმა ნუ ჰქნას ყველა მამაკაცი შენ დაგემსგავსოს და არა ჩემს მეუღლეს, რომელმაც ჩემში ბრწყინვალედ დაინახა ქალის სრულყოფილება და მაპატია წარსული. – მიპასუხა მან.

– შენ კი დაუფასე სულგრძელობა? როდესაც მას მეზობელ ოთახში ტკბილად სძინავს, შენ მთელი ღამე არ გაძინებს ღალატზე ფიქრი, მე მგონია შენი მეუღლე სათნო გულისა და კეთილი ბუნების ადამიანია. ის სიბრალულმა აამოქმედა, რადგან ჭაობში იძირებოდა ერთ–ერთი ქართული სილამაზე და ერს ჯიშიანი დედა ეღუპებოდა, მან შენი გარდაქმნა, გაადამიანება განიზრახა, მაგრამ შეცდა. ალბათ არ იცოდა სილამაზეს, რომელსაც სათნოება და კლდე-

მამოსილება არ ახლავს, აღფრთოვანებისა და ხოტბის ღირსი არასოდეს იქნება, იგი მამაკაცების ბუნებაში შთაგონების დამშრალ წყაროდ ითვლება. – ვუპასუხე მე და როდესაც ფანჯარაში რიჟრაჟი შევნიშნე ტანსაცმლის ჩაცმა დავიწყე. „კურკას“ ყელში ვაკოცე, იმედი აღარ მქონდა იმის მადლიერების, ის ძალზედ გაგულისებული იყო და ყინულივით ცივი მეჩვენა.

ფეხაკრეფით გამოვიარე მისაღები და ექიმს გადავხედა. ის გაუნძრევლად იწვა, დილის ბინდში გავრჩიე თუ როგორ შეპარვოდა სილურჯე მის ვაჟკაცურ თეთრ ქათქათა სახეს.

„კურკამ“ კარებამდე მომაცილა, ყოველგვარი ტემპერამენტის გარეშე მოვალეობის მიზნით ცივად მაკოცა და კარები მომიხურა. სახლში მოსვლა მოვასწარი და დასაძინებლად ვემზადებოდი, რომ პისტოლეტმომარჯვებული სამი მილიციელი ოთახში შემოიჭრა და დამაპატიმრეს...

– შე დალოცვილო შეპირებოდი იმ ქალს ოქროს მთებს, იქნებ არც კი გაგთქვამდა, არ აჯობებდა? – შეეკითხა ჭუკია.

– ცუდად გაქვს წარმოდგენილი ქალის სახე ჩემო ჭუკია, – უპასუხა თამაზმა – მე რომ „კურკას“ ყოველი წინადადება მიმეღო, ის იმავე დღეს სახლში დამიჯდებოდა, ეს არაფრი, მაგრამ თუ ქალმა შენი ცოტა მაინც საიდუმლო იცის, შეგაჯდება და ძირს არავითარ შემთხვევაში აღარ ჩამოხტება, მუდამ შიშში იქნები, რომ არ გათქვას შენი საიდუმლო.

და ბოლოსა და ბოლოს მოსწყინდება დაჯაბნილ და დამცირებულ კაცთან ცხოვრება, ის ნამდვილ მამაკაცს დაუწყებს ძებნას და მაინც გაგთქვამს. თავიდან მოგიცილებს, ამიტომ ვამჯობინე ქალთან შინ პატიმრობაში ყოფნას ღირსეული პატიმრობა. ორ წელიწადს თამამად ძლებს ადამიანი და თქვენ როგორ გგონიათ? მე პატიმრობაში ვერ გავძლებ?

– როგორ ორი წელი მოგისაჯეს? განცვიფრებული მზერა მიაპყრო თამაზის შმაგიმ.

– ორი წელიწადი მომისაჯეს, თუმცა „კურკა“ ყოველგვარ ღონეს ხმარობდა ჩემთვის დახვრეტა არ შეეცვალათ, სწორედ მან დარეკა მილიციაში და იმის წყალობით დამაპატიმრეს, შემდეგ გამომძიებელმა დამიპირისპირა და ყველაფერი „სიმართლე“ ილაპარაკა. მოყვა თუ როგორ შევამტვრიე კარები, პისტოლეტის მუქარით თუ როგორ ვაიძულე თვითონ „კურკა“ მეუღლისათვის რაღაც საწამლავი შეეშხაპუნებინა ვენაში, შემდეგ იმავე პისტოლეტის მუქარით თუ როგორ გავაშიშვლე და გავაუპატიურე. რა თქმა უნდა, უპირატესობა დაზარალებულის მხარეზე იყო და ძიებაც განზრახ მკვლელობით და ძალად გაუპატიურებით წარიმართა, მაგრამ მამაჩემმა სახლი გაყიდა, მოსამართლე დაწყნარდა, ხოლო მე აღელვების მუხლი მომარგო.

– კარგია! – თქვა ჭუკიამ, ხოლო შმაგიმ სევდიანად წაიღიღინა:

– სატანას ქვეყნად ვინ შეაშინებს
თვალი მტერია – თვალის
ზოგი ანგრევს და ზოგი აშენებს
ეშმაკმა უწყის ქალის!

საკანში გულის გამაწვრილებელი სიჩუმე გამეფდა, ჭუკიამ კედლიდან კარებამდის ორმეტრიანი ბოლთის ცემა დაიწყო.

ხმაურით გაიღო რკინის კარებში დატანებული რკინის პატარა „ფორტოჩკა“. ვახშამი მოიტანეს. სიმინდის ფქვილისაგან მომზადებული, ალუმინის ჯამზე დასხმული ერთი კოვზი ფაფა და ერთი ნაჭერი პური.

– ეს არის სულ ჩვენი საარსებო წყარო? – იკითხა შმაგიმ.

– აბა შენ სტუდქალაქში გაკეთებულ კერძს ხომ არ ელოდი?

კითხვითვე გასცა პასუხი ჭუკიამ და ხმამაღლა დაიყვირა: – ჰეი „კონგო“ გამოდი ნარის ქვეშიდან, თორემ გვერდები დაგემტვრევა ბეტონის იატაკზე კოტრიალით და უვახშმოდაც დარჩები. – შემდეგ თანამოსაუბრეთ გადახედა და წყნარად თქვა: – თქვენ გგონიათ პატივს ვცემ ასეთებს „კონგო“ რომ არის? მე ადამიანები მწამს ციხეშიდაც და თავისუფლებაშიც, საშიში ხალხია „კონგოს“ მაგვარი ორფეხა ცხოველები, ყოვლეგვარი უხამსობა არის მოსალოდნელი მაგათგან...

„კონგო“ ყურებამდე მომღიმარი სახითა და კუდის ქიცინით გამოძვრა ნარის ქვეშიდან, კოვზის ერთი მოსმით გადასანსლა კუთვნილი ფაფა და

თავისთვის ჩაილაპარაკა:

– რას იზამ კონგო „მუცელს აღორებ ღორია, აქორებ – ქორიო“ – არის ნათქვამი და შენც უნდა შეეგუო ამ ყოფას.

ყველამ ხმამაღლა გაიცინა, მაგარმ მალე მიხვდნენ, რომ სასაცილო არაფერი იყო და ამ ერთი პატარა საპყრობილეს ოთხივე დგმურს ერთნაირმა სევდამ გადაურბინათ სახეზე. სიჩუმე ჩამოვარდა, ყველაზედ პირველად სახე თამაზის გაუნათდა, ეტყობოდა რაღაც იმედის მომცემი სიტყვა მოძებნა, შმაგის ხელი გადახვია და თქვა:

– იცით ბიჭებო რა არის? გაჭირვებამ არასოდეს არ უნდა შეაკრთოს ადამიანი, ჭირთა თმენა ქართველის მოგონილია, ჭირს მოთმინებით უნდა შევხვდეთ, ლხინს გაბედულად. გასულელებით კი არცერთმა არ უნდა გადაგვრიოს. „კონგომ“ რომ წინადადება წამოისროლა ის ქართველი კაცის იბრძნიდან მონაპოვარია და კარგადაც თქმული.

აი ეს ამბავი სადღაც წაკითხული მაქვს, მხოლოდ არ ვიცი რომელი ერის სიბრძნის წიგნიდან არის ამოღებული:

– „ერთმა კაცმა ყველა მწერის, ფრინველისა და ცხოველის ენა იცოდა, ერთ დღეს როდესაც გაბედულად მიაბიჯებდა შარაზე, ხმა შემოესმა: – შე ოჯახდასაქცევო კინაღამ ფეხი არ მომტეხე, ნელა ვერ გაივლიო“ – დაიხარა და ჭიანჭველა დაინახა, აიყვანა და ხელისგულზე დაისვა.

– რა გაყვირებდა? – ჰკითხა კაცმა.

– როგორ თუ რა მაყვირებდა, ძირს არ უნდა დაიხედო, რომ დააბოტებ მაგ ფეხებს? შენზედ უძლური რომ ვარ, იმიტომ უნდა დამჩაგრო და დამამტვრიო? – უპასუხა ჭიანჭველამ.

– ბოდიში ჩემო ბატონო! – უთხრა კაცმა.

– ნეტავი როდის მოისპობა სიტყვა „ბოდიში“ დანაშაულისათვის ძლიერთა შორის, ერთი – მეორეს ხოცავთ „ბოდიში“ ბატონო, ძარცვავთ „ბოდიში“ ბატონო, აუპატიურებთ „ბოდიში“ ბატონო, თითქოს თქვენი „ბოდიში“ სამკურნალო საშუალება იყოს მიცვალებულისა, დამტვრეულისა თუ გაჭირვებულისათვის! – უპასუხა ჭინჭველამ.

– კარგი, კარგი თითქოს თქვენთან ყველაფერი ისე იყოს აწყობილი როგორც ლაპარაკობ! – უთხრა კაცმა.

– სწორედაც ასეა. არ არსებობს ჩვენთან ძალმომრეობა, დამსვი ახლა ძირს და გამიშვი! – უთხრა ჭიანჭველამ.

– ვერ გაგიშვებ სანამ კდევ ერთ შეკითხვაზე პასუხს არ გამცემ!

– რა გინდა თქვი და მორჩი, სამუშაოზე ნუ მაცდენ, ქვეყნის საქმე მაქვს დღეს გასაკეთებელი.

– სწორედ ეგ მინდა შეგეკითხო. რაც თქვენ შრომობთ და მუშაობთ ჭამაშიდაც ასეთივე გაუმაძღარნი ხართ?

– ჭამით ცოტას ვჭამთ, წელიწადში მხოლოდ ხორბლის ერთი მარცვალი გვყოფნის!

– რატომაც არა მჯერა, აი შენ ხორბლის ერთი მარ-

ცვალი და დავინახავ თუ ერთ წელიწადს გეყოფა. მე შენ ერთი წლის შემდეგ გაგანთავისუფლებ! – უთხრა კაცმა, ჭინჭველა ბოთლში ჩასვა, ხორბლის ერთი მარცვალი ჩაუგდო და ბოთლს საცობი დაახურა.

გავიდა ერთი წელიწადი, ამ კაცს გაახსენდა, რომ ჭიანჭველა ჰყავდა დაპატიმრებული და გასანთავისუფლებლად წავიდა, მივიდა და ნახა, რომ ჭიანჭველას მხოლოდ ხორბლის ნახევარი ჰქონდა შეჭმული.

– ეს რა გიქნია ჭინაჭველა, – ჰკითხა კაცმა – რატომ მთლიანად არ შეჭამე ხორბალი?

– ერთი წლის წინათ ვიღაც გიჟმა კაცმა დამამტვრია, შემდეგ კი უდანაშაულოდ დამაპატიმრა და საპყრობილეში ხორბლის ერთი მარცვალი ჩამომიგდო, ეს ჩემთვის ერთი წლის სარჩო იყო. მაგრამ გამოვიზოგე, რა ვიცოდი ის გიჟი ადამიანი გამანთავისუფლებდა თუ არა ერთი წლის შემდეგ?“ – უპასუხა ჭიანჭველამ.

– ჰო და როდესაც ჭინაჭველას ამხელა აზრი და მოთმინების უნარი გააჩნია, ჩვენ ადამიანებმა უნდა მივბაძოთ ჭიანჭველას თუ ჭიანჭველამ უნდა მოგვბაძოს ჩვენ?...

– ეგ ჭიანჭველაზე კი არა ქართველ კაცზეა ნათქვამი. შრომობს დღე და ღამე, მაგრამ გასაძღომი ლუკმა არა აქვს – თქვა ჭუკიამ და ერთობ მხიარულება შემოიტანა საკანში თამაზის ნაამბობმა.

დილით საუზმის შემდეგ (თუ ამას საუზმე ერ-

ქვა) ზედამხედველმა შმაგი მგალობლიშვილი გამოიძახა:

– შენი ვექილი გეძახისო! – უთხრა და კარები ფართოდ გაუღო, უხმოდ გაჰყვა უკან ზედამხედველს, რომელმაც მისთვის კარგად ნაცნობ ოთახში შეიყვანა, აქ შმაგის მართლაც ყურებამდე მომღიმარი თავისი ადვოკატი შეეგება, მაგრად ჩამოართვა ხელი და მაგიდის ქვეშ შედგმული სკამი გამოუწია.

– დაბრძანდით ბატონო შმაგი! – ღიმილით უთხრა ადვოკატმა, მაგრამ შმაგის არ გამოპარვია თუ რამხელა მლიქვნელობა იმალებოდა ამ ღიმილში.

შმაგი უხმოდ დაჯდა.

– თქვენ კარგად მოგეხსენებათ – დაიწყო ადვოკატმა – რომ არასწორადგამოტანილი სასჯელის გასაჩივრების ათი დღის უფლება გაქვთ. წუხელი მთელი ღამე არ მძინებია, კასაციას ვწერდი. უმაღლეს სასამართლოს უნდა მივმართო, შემდეგ პრეზიდიუმს და სახლის გაყიდვა რომ დამჭირდეს უნდა გაგანთავისუფლო.

– გმადლობთ ბატონო გიორგი თანაგრძნობისათვის, მართლაც გეტყობათ თვალებში და სახეზე, რომ წუხელი არ გძინებიათ, მე კი ალკოჰოლის შედეგი მეგონა, თქვენ კი თურმე ჩემზე დარდში გაგითენებიათ. – უთხრა შმაგიმ და დამცინავი ღიმილი ძლივს შეიკავა.

– დიახ, მე თქვენ უნდა გაგანთავისუფლოთ, ქვე-

ყანას უნდა დავანახო თქვენი უდანაშაულობა, ხომ თანახმა ხართ ჩემ მიერ დაწერილი კასაცია ჩემივე ხელით მივიტანო უმაღლეს სასამართლოში, იქ მე ნაცნობები და მეგობრებიც ბევრი მყავს, ასე რომ, არ გამიჭირდება თქვენი განთავისუფლება. არა თქვენ სხვაგვარად არ გამიგოთ, მე წინასწარ არ მინდა არც ერთი კაპიკი, აი რომ გაგანთავისუფლებ, შემდეგ კი შენს სინდისზე იყოს. ახლა კი ცოტა რაღაც სამგზავრო ფული და კასაციის დაწერის გასამრჯელო თუ იქნება, თორემ მეტი არაფერი მინდა.

– უყოყმანოდ გეთანხმებით ბატონო გიორგი, მაგრამ მინდა ვიცოდე რამდენს შეადგენს წუხანდელი თქვენი ნახარჯი?

– არაფერს ბევრს, ქაღალდის ფასია, ათი ათასი მანეთი!

– ოო! კარგად მოგილხენიათ!

– თქვენი გულისათვის თორემ ამდენს სტუმარს რესტორანში შევყრიდი?

– წუხანდელი ღამე კასაციის წერაში გაგითენებიათ, ალბათ ამაღამ აპირებთ სტუმრებთან ქეიფობას, ხომ სწორია? იცი რას გეტყვი ბატონო გიორგი? როდესაც თქვენისთანა მლიქვნელები ცდილობენ თავისი შეცდომა დაანახვონ და თვალი აუხილონ კაცს, რომელსაც ეჭვიც არ ეპარება თავის პატიოსნებაში და უდანაშაულობაში, ამით ისეთსავე ცუდ სამსახურს უწევენ მას, როგორც გიჟს, რომელსაც ხუმრობა ჰგონია

სასამართლოს გადაწყვეტილება. მე კი მადლობა ღმერთს, ჯერ არც გიჟი ვარ და არც თქვენ მიერ განაჩენის შეცვლის იმედი მაქვს. თქვენ დღეს ჩემთან გამოძალვის მიზნით მობრძანდით და სრულებითაც არ გაწუხებთ ჩემი ბედი, ჩემთან გულწრფელობას იჩენთ და რჩევას მეკითხებით, მაგრამ თქვენ ჩემზედ უკეთესად მოგეხსენებათ, როდის არის გულწრფელი ადამიანი, ალბათ მაშინ, როდესაც რჩევას თხოვენ ან ითხოვს სხვისაგან. რა თქმა უნდა, ერთის შეხედვით ისე ჩანს თითქოს რჩევის მთხოვნელი დიდი ყურადღებით ითვალისწინებს მეგობრის აზრს. თუმცა სინამდვილეში სურს, საქციელი მოუწონონ და თავი გაიმართლოს მავანთა წინაშე, რჩევის მიმცემი კი თავს იკატუნებს, (როგორც თქვენ, აქ მლიქვენელთა შორის განსხვავება არ არის) თითქოს მისდამი ნდობის პასუხად მთხოვნელს გულწრფელსა და უანგარო სამსახურს სთავაზობს, სინამდვილეში კი იმას ესწრაფვის რაიმეს გამორჩეს, გამოძალოს, მოატყუოს და უძლურთა გვამის გათელვით კოლეგების ქება დაიმსახუროს. – კარგად ბრძანდებოდეთ ბატონო გიორგი ანზორის ძევ! შეკითხვა გაქვს? არა? გთხოვთ უბრძანოთ გამიყვანონ!

ერთხანს გიორგი გაოგნებული შეცქეროდა შმაგის, შემდეგ როგორც იქნა ამოღერღა:

– მე ცუდად ვარ, გთხოვთ დაუძახოთ ზედამხედველს!

– მხეცების მხოლოდ სიკვდილის წინ ხდებიან ცუდად! – უთხრა შმაგიმ და ოთახის კარები გააღო, ორი ზედამხედველი კარებთან იდგა, ერთ–ერთმა შმაგი თავის საკანში დააბრუნა.

ორი კვირის შემდეგ შმაგი მგალობლიშვილი და ქურდი ჭუკია სიჭინავა რუსთავის შრომა–გამასწორებელ კოლონიაში მიიყვანეს. არა, აუტანელი და შეუგუებელი არაფერი არ არის ადამიანისათვის, მხოლოდ უდანაშაულო კაცისათვის არის ძნელი. გაუნათლებელი პირისაგან განათლებული ადამიანის დამცირება, ბრძანება, ყვირილი, გინება და ხშირ შემთხვევაში ცემაც კი. ასეთია „შრომით“ გამოსასწორებელი ადამიანის ბედი, რომელიც შრომა–გამასწორებელ კოლონიაში მოხვდება. მშრომელი კაცისათვის იოლია კოლონიაში ცხოვრება, ვის რა ემარჯვება უცებ მოუნახავენ შესაბამის სამუშაოს. მაგრამ განათლებული ადამიანისათვის ძნელია, მას როგორც მორალურად ასევე ფიზიკურად ესაჭიროება გარდაქმნა. გარდატეხა და მოუმზადებელი ნაბიჯის შედგმა მოულოდნელობით აღსავსე ახალ ცხოვრებაში, სადაც უნდა შეეგუოს დამცირებას გუშინდელი გამომცხვარი ბადრაგებისაგან და შეეჩვიოს ფიზიკურ შრომას.

სწორედ ასეთ პირობებში მოხვდნენ შმაგი და ჭუკია. პირველი ბრწყინვალედ განათლებული ადამიანი, რომელსაც ბავშვური შრომა თითქმის დავიწყებოდა და ფიზიკური შრომის ადგილი მსახიობის უსაზღვრო ნიჭს დაეკავებინა.

მეორე კი ქურდული ზნე–ჩვევების ბრწყინვალე მცოდნე და კანონით ეკრძალებოდა ფიზიკური შრომა იმ პარტიის სასარგებლოდ, რომელმაც ის დააპატიმრა. აქ კი განურჩევლად ერისა და სქესისა, მეცნიერებისა და უმეცრებისა ერთნაირი უპირატესობით სარგებლობს ყველა. კანონი კი შრომას მოითხოვს.

ღალატი

დილით ადრე აივანზე გამოსულიყო შორენას მამა – მინდია ძიძიგური და ხის მოაჯირზე დაყრდნობილი ცვრიან მინდორს გასცქეროდა, რომელიც მზის სხივებზე ისე ბრწყინავდა, თითქოს ბრილიანტების მარცვლები მოებნიოს ღამით განგებას. მინდორს კი გასცქეროდა, მაგრამ ვერავითარ სიხარულს ვერ გრძნობდა ამ მომაჯადოებელი სანახაობით. ვერც მაცოცხლებელი მზის სხივები ვერავითარ გავლენას ვერ ახდენდა იმის გუნება განწყობილებაზე.

მინდია ფიქრებში ჩაძირულიყო, ჯერ გაუხარელი ბავშვობა წარმოუდგა თვალწინ, შემდეგ ხელმოკლე სწავლა, სიყვარული, დაქორწინება და შვილების სიდუხჭირეში აღზრდა, შემდეგ შორენა...

– ვაი შვილო! ვიცოდე მაინც ვინ გაგიმეტა სასიკვდილოდ, ძლიერ დამაჯერებელი საბუთები კი წარმოადგინეს სასამართლოზე, მაგრამ რაღაც

არა მჯერა გული არ მეუბნება, რომ შმაგი მკვლელი იყოს. ის ხომ ჩემი აღზრდილია. ისეთი კეთილი ბუნების კაცი არ შეიძლება მკვლელი იყოს, სიკვდილი სიკვდილია და მეორე სიკვდილი ის არის, ვაი თუ ბიჭი უდანაშაულოდ იხდის სასჯელს, აკი სასამართლოზე გაჰყვიროდა კიდეც „არ მომიკლავსო“.

– აბა მკვლელი როდის ამბობდა, მკვლელი ვარ და დამსაჯეთო? წასჩურჩულა უხილავმა ხმამ.

– არა არ მჯერა – ხმამაღლა გაესაუბრა უხილავ ხმას მინდია. – შმაგი არ შეიძლება მკვლელი იყოს, ის ხომ ჩემი მოსწავლე იყო, ყოველგვარი სიკეთის გამოირჩეოდა მთელს ჯგუფში, ყოფაქცევით, სწავლით, ზრდილობითა და ოჯახისშვილობით.

ჰო, ოჯახი ხომ დიდებული აქვს. შმაგის მამა – დიმიტრი, ჩემი ტოლი და ჩემთან შეზრდილი ადამიანია, ვის ახსოვს მათგან წყენინება, ქათამი რომ დაეკლათ მთელი კუთხე უნდა შემოევლო დიმიტრის მეუღლეს – მანანას – მამასაც და შვილსაც სისხლის ეშინოდათ, ქათამს ვერ იმეტებდნენ დასაკლავად და ადამიანს მოკლავდნენ? არა, არა უნდა წაივდე, პროკურორი ჩემი კარგი მეგობარია, ვიცი მომისმენს და ჭეშმარიტი მკვლელის მოძებნაში დამეხმარება. გამომძიებელი კი ჩემი ნამოწაფარია, ნუთუ არ ემახსოვრება სკოლის პერიოდის დაუვიწყარი წლები?...

ასეთ მოუსვენარ ფიქრებში იყო მინდია ჩაძირული, რომ ავტომანქანის საყვირის ხმამ შეაკრთო,

ჭიშკარს სპილოსძვლისფერი ვოლგა მოდგომოდა და მძღოლი მუსიკალურ სიგნალს აძლევდა. მინდიამ ხელის გულით მზის სხივები მოიჩრდილა და ჭიშკარს გახედა. ამ დროს ჭიშკარიც გაიღო და ეზოში მომღიმარი სახით შორენა შემოვიდა. მას გვერდით წარმოსადეგი შეხედულების ახალგაზრდა კაცი მოყვებოდა. უკან კი ჯინსებში გამოწკეპილი შუახნის მამაკაცი და მანდილოსანი.

– შორენა! – წაიჩურჩულა მინდიამ, წელში გაიმართა და ხის იატაკზე ისე ძლიერად მოადგინა ზღართანი, რომ მთელი სახლი შეზანზარდა.

როდესაც მინდია გონს მოეგო, დაინახა შორენა სახეს უსრესდა და გამალებით კოცნიდა მამას, შეკრთა და რაც ძალი შესწევდა იყვირა: – ქეთი მიშველე, გველი მგესლავს! – ესა თქვა და გრძნობა მეორედ დაჰკარგა.

ქეთევანი ბოსტნიდან გამორბოდა, ხელში მწვანილი ეჭირა და ვერ გაეგო კიდევ რა უბედურება შეიძლება მომხდარიყო მის ოჯახში, – ნუთუ მართლა გველმა დაგესლა საყვარელი მეუღლე? – გაიფიქრა, მაგრამ ფიქრი ბოლომდე არ დაცალდა, როდესაც შორენა აფორიაქებული სახით დედისაკენ მომავალი დაინახა – ვაი, შვილოვო! – შეჰკივლა, თავიდან თეთრი თმის ბღუჯა ორივე ხელით ჩამოიგლიჯა და გრძნობა დაჰკარგა.

კივილზე მეზობლები მოგროვდნენ, რომელიღაც მადლიანმა გულწასულ მინდიასა და ქეთევანს ენის ქვეშ ვალიდოლის აბი ჩაუდო, ერთი წუ-

თის შემდეგ ფეხზე წამოდგა ორივე ცოლ–ქმარი, მაგრამ ისე კი არა როგორც მეზობლები იცნობ-დნენ წყნარსა და უწყინარ მეუღლეებს, ქეთევანს რაღაც არაადამიანური ძალა შემატებოდა, სახე ხელმეორედ ჩამოიკაწრა, მკერდზე კაბაჭიპამდის ჩაიხია და წლოვანების მიუხედავად სავსე ძუძუ-ები გადმოყარა. ვერავინ ვერ შეძლო იმის დაკავე-ბა. მხოლოდ ისევ მინდიამ ამოიღო ხმა:

– კარგი ქალო რა მოგივიდა? – წყნარად, მაგრამ აკანკალებული ხმით უთხრა საყვარელ მეუღლეს.

– რა მომივიდა? შენ მეკითხები მინდია რა მო-მივიდა? მოდი კაცო ეს ძუძები დამაჭერი, ვისთ-ვის მიწოვებია ეს მიწადასაყრელი ძუძუები, მოდი გამომფატრე, მუცელში გველი მყოლია. სასაფლა-ოზე შვილს ვტიროდი, ის ქვის ლოდი უფრო თბი-ლი იყო, ვინემ დღეს ჩემი ძუძუებია. ჩემი ხელით დავიწიწკნი ამას თუ უღირსისათვის მიწოვებია... ეს თქვა და ისე მძლავრად ჩამოიკაწრა ძუძუები ქეთევანმა, სისხლმა კი არ გამოჟონა თქეშად წა-მოვიდა და კაბა დაუსველა.

– გამეცალეთ! – თქვა წყნარად, მაგრამ მტკი-ცედ მინდიამ.

– სიტყვა გვათქმევინე! – ძალად მოდენილი ცრემლით თქვა შორენამ.

– გამეცალეთ! – გაიმეორა მინდიამ.

– ჩვენ სამოყვროდ მოვედით, თქვენ კი!... – თქვა შორენას მხლებელმა.

– გამეცალეთ! – ხმას აუწია მინდიამ.

– ვინ უნდა გაგეცალოს კაცო, შენი ლმობიერებით სულ დაკარგე ჭკუა ამ სიბერეში? – თქვა ქეთევანმა და მთლად დასისხლიანებული მინდიას მივარდა – მაგ იქ დაიმარხება, სადაც მე და შენ უცხო საფლავს დავსტირით, შენ არ შეგწევს მაგის ძალა და უნარი, მე გავაკეთებ ყველაფერს, ისე როგორც საჭიროა. – თქვა ქეთევანმა და სხალში შევარდა, საიდანაც ორლულიანი თოფი გამოიტანა და მტკიცე ხმით დაიძხა:

– მოცილდით გველებს მეზობლებო, თქვენ მაინც არ შემომაკვდეთ! – მაგრამ მეზობლებმა პირიქით წრე შეჰკრეს, შორენა შუაში მოიქციეს და ჭიშკრამდის მიაცილეს.

სპილოსძვლისფერი ვოლგა მთელი სიჩქარით მიჰქროდა შარაგზაზე, რომელსაც უკან მტვრის გრძელი კუდი მისდევდა.

– მზობლებო რა იყო ეს სიზმარი თუ მოლანდება? – იკითხა მთლად გაფითრებულმა მინდიამ.

– სინამდვილე ბატონო მინდია! – გამოეპასუხა მოხუცი მეზობელი, რომელიც მინდიაზე არანაკლებ იყო აფორიაქებული.

მეზობლები ნელ–ნელა გაიკრიფენ მინდია ძიძიგურის ეზოდან. დარჩნენ მხოლოდ ძალზედ ახლობლები. ოჯახის ნუგეშის მისაცემად. მაგრამ არ იქნა და არა ქეთევანის დაშოშმინებას არ დაადგა საშვლეი, ცხარე ცრემლით ტიროდა, სახესა და ძუძუებს მანამ იკაწრავდა, სანამ ნერვიულმა შოკმა არ მოუარა და გრძნობა არ დაჰკარგა.

როდესაც გრძნობაზე მოვიდა ქეთევანი უკვე ლოგინში იწვა და თავზე თეთრხალათიანი ექიმი დასტრიალებდა. ბოლოს როგორც კი ექიმმა ავადმყოფს გამომჯობინება დაატყო, მინდიას წამლები და რჩევა–დარიგება მისცა:

– მოერიდეთ, არაფერზე აანერვიულოთ, თორემ უბრალო ნერვიულობაც კი შეიძლება ნერვოზში გადაიზარდოს და მკურნალობა გაცილებით გაგვიძნელდებაო. – მარტოდ დარჩენილი ცოლ–ქმარი დიდხანს უსიტყვოდ შესცქეროდნენ ერთი–მეორეს. ორივეს ერთი და იგივე საფიქრალი აწუხებდა. მხოლოდ სხვადასხვა გაგებით და თავიანთი გულისთქმაში იყვნენ ჩაძირული. ხმამაღლა ორივეს ეძნელებოდა თავისი ფიქრების მეორესათვის გაზიარება. ჩუმად და ალერსით შესცქეროდნენ ერთი–მეორეს, მხოლოდ ხანდახან ქეთევანის თვალებში შურისძიების ცეცხლი გიზგიზებდა. ბოლოს, როგორც იქნა, მინდიამ დაარღვია მყუდროება, საყვარელ მეუღლეს მკერდზე საბანი წააფარა, ალერსიანად ხელი თმაში შეუცურა და წყნარი ხმით უთხრა:

– რას ჩადიხარ დედაკაცო, თავის სიკდვილი თუ გადაგიწყვეტია, პირველად მე მომკალი, ერთი–მეორის გარეშე ჩვენ ცოცხლები არ ვივარგებთ....

– მინდი! დაგიდგეს თვალები. ნუთუ ვერა ხედავ. ჩვენ ორივენი მკვდრები რომ ვართ? და ვისი ხელით გულამოგლეჯილები იცი? – საკუთარი შვილის ხელით! – ეს რა გვიყო ამ გველის წიწილმა

კაცო, საცოდავი ბიჭი დაასამარა. სიყვარულისათვის ცოცხლად ალპობს ციხეში, ეს კი მამისეულ სახლში მოვიდა თითქოს აქაც არაფერი, ჩიტიც არ აფრენოდეს წინ.

– მაინც როგორ მოახერხა იმ ღამეს სხვას გაყოლოდა, როდესაც შმაგის სიყვარულს ეფიცებოდა?

– თანამედროვე ახალგაზრდობამ იცის რა არის სიყვარული? მაგათ მამაკაცისა და ოჯახის სიყვარული კი არ გააჩნიათ, კაბისა და სამკაულების სიყვარული იციან მხოლოდ. ზოგიერთ ქალს წარმოდგენაც არა აქვს რაოდენ უსაზღვროა იმის სიხარბე და უფრო ადვილად იოკებენ თავიანთ ვნებას ვინმემ სიხარბესა და სიკეკლუცეს. არ დაგიდევენ არც შინაურსა და არც გარეულს, არც დედას, არც მამას, არც ძმას, არც დას. უარყოფენ ყოველგვარ სინდის–პატიოსნებას და მხოლოდ საკუთარი მცდარი ნაბიჯის გადასადგმელად გამიზნულნი დასაღუპავად იმეტებენ სიყვარულსაც და საყვარელ ადამიანებსაც.

– შევეშვათ ქეთი ფილოსოფიას, ნერვები დაიწყნარე და დამშვიდებულებმა შევიმუშაოთ თუ როგორ შეიძლება გაფუჭებული საქმის გამოსწორება.

– ტყუილი მცდელობაა, გაფუჭებულ საქმეს აღარაფერი აღარ შველის. ყალბი გარჯა ანელებს ბოროტ ზრახვებს, მაგრამ ამძაფრებს და აბობოქრებს თითქოსდა მიძინებულ შურისძი-

ების გრძნობას, ისე როგორც ქარი აქრობს სანთელს, მაგრამ აღვივებს ხანძარს.

– შენი აზრით, ჩვენ ვერ შევძლებთ იმ ბიჭის ციხიდან განთავისუფლებას?

– არა მგონია თავი გაიმტყუნოს მართლმსაჯულებამ და გაამართლოს ერთი ვიღაც დაბალი ფენის ადამიანი. შენ იცი, რამდენი ჭკვიანი ადამიანი იღუპება ერთი უაზრო ადამიანის გადასარჩენად?

– ადამიანო, ფაქტი ხომ სახეზეა. ცოცხალი და უვნებელია ის ადამიანი რომლის მკვლელობისთვისაც სასჯელს იხდის უდანაშაულო პიროვნება, მოხდა გაუთვალისწინებელი შეცდომა და ხომ შეიძლება გამოვასწოროთ?

– ვცადოთ ბედი, ჩაიცვი და წადი გამომძიებელ იროდი წიკლაურთან, ის ხომ შენი ყოფილი მოწაფეა და არ შეიძლება ყურადღება არ მოგაქციოს. თუ გინდა შმაგის მამაც წაიყვანე, გაეხარდება საბრალო მოხუცს, შორენა რომ ცოცხალი აღმოჩნდა. (იმის სიკდვილი გამეგონოს ადრე და მალე).

– არა, ჯერჯერობით მარტო წავალ, თუ არაფერი გამოვიდა შემდეგ წავიყვან დიმიტრის.

მინდიამ წელზევით ცივი წყლით ტანი დაიზილა, მაგარმ მაინც ვერ დამშვიდდა, ნერვიულობით ხელები უკანკალებდა, კინაღამ გადაიფიქრა წასვლა, მაგარმ შმაგი ციხეში გამომწყვდეული რომ წარმოიდგინა, მყისვე უარყო თავისი განზრახვა და აჩქარებული ნაბიჯით პროკურატურის შენობისაკენ წავიდა.

მაყვალივით შავთვალა და გრძელწამწამა მდივანმა ისე მიიღო მინდია, თითქოს მხეცი ყოფილიყოს და სამხეცეში უპირებდა დამწყვდევას.

– აღარა მაქვს დღე და ღამე მოსვენება, მოდიან და მოდიან, რატომ არ გამოელია ამ ხალხს საჩივარი ვერ გამიგია, რა საკითხზე ხარ მოსული, გვარი, სახელი, მამის სახელი! – უკმაყოფილება და შეკითხვები ერთად დააყარა მინდიას გრძელწამწამა მდივანმა.

– მინდია ივანეს ძე ძიძიგური, პირად საკითხზე ვარ ბიძიკო მოსული.

– თუ არ მეტყვი ვერ შეგიშვებ, აქ წიგნში უნდა გატარდეს მიზეზი, აბა ისე როგორ იქნება, თუ არ გინდოდა გამომძიებლის ნახვა აქ რაზე მოდიოდი შე დალოცვილო, ან რას მომაცდინე ამ რვეულში შენი სახელისა და გვარის დასაჯღაბნად.

– რადგან აუცილებელია გამომძიებელთან შესვლის მიზეზით მდივანთან მოყოლა გეტყვი, რომ ჩემი შვილის საქმე აქვს გამოსაძიებლად და იმისი ბედი მაინტერესებს.

– ასე მითხარი! – უკმაყოფილოდ წარმოთქვა მდივანმა და გამომძიებელთან შევიდა მოსახსენებლად თუ ვინ ელოდებოდა.

მიუხედავად იმისა, რომ მისაღებში არავინ იყო, მინდიას სამსაათიანმა ლოდინმა მაინც მოუწია. მდივანს არ მოეწონა მოსაცდელში მინდიას ლოდინი და უბრძანა კორიდორში დალოდებოდა „ამჟამად დიდი საქმეებით დაკავებული გამომძიებ-

ლის გამოძახებას“. მინდიამ უყოყმანოდ შეასრულა გრძელწამწამას ბრძანება და კორიდორის კუთხეში მიდგმულ სავარძელში ჩაჯდა.

– ნეტავი რატომ არ მღებულობს? – აეკვიატა მომაბეზრებელი ფიქრი მინდიას და თვალწინ წარმოუდგა გამომძიებლის ბავშვობა. იმისი მუდამ გაფუყული სიარული, ყოველთვის სალმის თქმა, რომ ავიწყდებოდა, ვერ ახერხებდა თუ არ კადრულობდა კაცი ვერ გაუგებდა. ამხანაგებს თავის ტოლ–სწორად არ სთვლიდა და მუდამ განმარტოებული იყო, სწავლაში მუდამ მოიკოჭლებდა, მაგრამ ყველა მასწავლებელი თავს ვალდებულად თვლიდა მისთვის დამაკმაყოფილებელი ნიშანი დაეწერა. შესახედავად, მართლაც, ნამდვილი ქართველი რაინდის განსახიერება იყო: სახის სწორი და ნორმალური ნაკვეთები, მოშვილდული წარბები და თაფლისფერი თვალები, სქელი წაბლისფერი ოდნავ დატალღული თმა ისეთ იერს აძლევდა იმის მაღალ აშოლტილ ტანს, ადამიანს ხელოვნურად შექმნილი ეგონებოდა. მამის იერი გამოყოლოდა, მაგარმ ნუთუ ბუნებაც მამისმაგვარი აქვს და დიდკაცობას ეთაყვანება?

ეროდის მამა – ვარლამი, მინდიას ტოლი იყო, შეიძლება მათ ასაკში ერთ წელიწადში ყოფილიყოს განსხვავება. ბუნებით კი დიდად განსხვავდებოდნენ ერთი–მეორისაგან. ვარლამს თავის სიცოცხლეში ორი წიგნის დასათაურება თუ ექნებოდა წაკითხული, გადაშლილი კი არც ერთი,

მაგრამ თავი დიდად განათლებულად მოჰქონდა, რადგან საჩივრებისა და ანონიმური წერილების წერა დიდად ემარჯვებოდა და ამაყობდა კიდეც თავისი „სპეციალობით“. სადღეგრძელო ორსაათიანი იცოდა, მხოლოდ ვერც ერთი ასოთამწყობი ვერ გაუგებდა რისი თქმა სურდა, მოლხენა კარგი იცოდა სხვის ოჯახში, თავისას კი იშვიათად დაინახავდა სტუმარს. მეზობლის გასაჭირი მაინცდამაინც გულთან არ მიჰქონდა. ყოველგვარ ხერხს ხმარობდა თავი აერიდებია მეზობლის გვერდში დგომისთვის, არ თაკილობდა არც ავადმყოფობის მოგონებას და არც „სხვაგან“ წასვლის აუცილებლობას, მხოლოდ კი ემუხთლა ტოლ–მეზობლებისათვის.

თვითონ თუ რაიმე გაუჭირდებოდა იმისი ვაი–ვიში და გოდება მთელ უბანს ფეხზე აყენებუდა. მეზობლებიც ერიდებოდნენ საჩივრების დიდოსტატის წყენინებას და გვერდით იმ იმედით უდგებოდნენ, იქნებ შვილებს გაემართლებინა ბუნებრივი შეხედულება და კეთილი ადამიანები გამხდარიყვნენ. ვინ იცის კიდევ რამდენ ხანს გააგრძელებდა მინდია ფიქრის ოკეანეში წასულთან ცურაობას, რომ გრძელწამწამა მდივნის მკაცრი ხმა არ გაეგონა:

– გამომძიებელი გიხმობთ! – თქვა მდივანმა და თავის მაგიდასთან სავარძელში ჩაჯდა.

მინდიამ თმა თითებით შეისწორა და წყნარად შეაღო გამომძიებლის ორმაგი კარები.

– შეიძლება?! – ისე წყნარად იკითხა მინდიამ, რომ თავისი ხმა თვითონაც ძლივს გაიგონა.

გამომძიებელი სქელ საქაღალდეს ჩასცქეროდა, ვინ იცის იქნებ მართლაც ვერ შეამჩნია კაბინეტში მინდიას შესვლა და დიდხანს თავი მაღლა არ აუწევია. ერთხანს უკან გამობრუნებაც კი დააპირა მინდიამ, მაგრამ როგორც იქნა თავი ასწია წიკლაურმა და ყოფილი მასწავლებელი სალმის ღირსი გახადა. იგი ფეხზე არ წამომდგარა, ოდნავ შესამჩნევად თავი დააქნია, სკამზე მიუთითა მინდიას „დაბრძანდიო“ და ისევ საქაღალდეს დაუწყო ქექვა.

ირ0დი წიკლაური ხშირად ხვდებოდა ხოლმე ყოფილ მასწავლებელს, მაგრამ ქუჩაში შეხვედრა, სუფრასთან ტკბილ სადღეგრძელოებში პაექრობა და კაბინეტის ღრმა სავარძელი სულ განსხვავებული ყოფილა ერთი მეორისაგან. ოჰ, რა ტკბილი, თავაზიანი და ღიმილიანი მოსალმება იცოდა ქუჩაში გამომძიებელმა არა, ყველასთან არა, მაგრამ ყოფილ მასწავლებელს კი ეტყობოდა რომ ნაძალადევად აფასებდა. ხორაგით დატვირთულ მაგიდასთანაც ვახტანგურად დაულევია ირ0დის მინდიას სადღეგრძელო და დიდკაცური საქციელი ვერ შეუნიშნავს ჭაბუკისათვის. მაგრამ ეს რა არის? აქ რა ხდება? ნუთუ ასეთი ჯადო აქვს ტყავგადაკრული კაბინეტის კარებს, რომ იმის შიგნით სხვა არის ადამიანი და კარების მიღმა სხვა?

– გისმენთ! – ჩაესმა ისევ ფიქრებში გადასახლებულ მინდიას.

და ამ ერთი სიტყვის თითქოს შეძახილმა საგრძნობლად შეაკრთო ყოფილი მასწავლებელი, რომელმაც გამომძიებლის წარბქვეშიდან გამოხედვა, ეკლიანი თვალები და მკაცრი, მსუსხავი მზერა შენიშნა. მინდია სულ სხვაგვარ შეხვედრას მოელოდა თავისი აღზრდილისაგან. ასეთმა უყურადღებო და ცივმა მიღებამ შეაცბუნა, დააბნია და მეორედ დააპირა სიტყვის უთქმელად დაეტოვებინა გამომძიებლის კაბინეტი, მაგრამ კიდევ მძიმედ აზიდა თავი გამომძიებელმა, ისევ წარბების ქვეშიდან გამოხედვა მინდიას და თვალით აგრძნობინა – „დაიწყე მოყოლა რაზედაც ხარ მოსული“...

– მე მინდა ივანეს ძე ძიძიგური ვარ! – თითქოს მობოდიშებით დაიწყო მასწავლებელმა.

– გიცნობთ! – მოკლედ მოუჭრა გამომძიებელმა.

– ძლიერ მნიშვნელოვან საქმეზე გავბედე თქვენი შეწუხება.

– გისმენთ! – ისევ გაიმეორა წიკლაურმა და ამჟამად ცოტა მკაცრად. ყოფილი მასწავლებელი აენთო. – „რა მაქვს დასაკარგავი, შესაშინებელი ან მოსარიდებელიო“ – გაიფიქრა, სითამამე და ძალ–ღონე მოიკრიბა და ჯიქურ მიმართა გამომძიებელს.

– ასე შეიძლება უგუნურმაც, მოისმინოს ბრძენის საუბარი, რადგან უგნური იგივე მტერია როგორმე საკუთარი თავისა, ასევე სხვისიც. მე კი

გულისყურით მოსმენა მინდა, შენ ჩემი ყოფილი მოსწავლე ხარ და ვიცი რა ბაგაჟითაც საზრდოობ, რომელი ცეზარი შენ მყავხარ, ერთდროულად მომისმინო, სულ სხვა თემაზე წერო, სულ სხვა რაღაც წაიკითხო და სულ სხვა საკითხზე იფიქრო?

ცოტა არ იყოს გამომძიებელს არ მოეწონა მინდიას სითამამე და გაკვირვებულმა მომნუსხველი მზერა მიაპყრო მოსაუბრეს. მაგიდაზე თითები აათამაშა, ცოტა ხანს სიწყნარე ჩამოვარდა, შემდეგ თითქოს რაღაც გაახსენდაო, ფარულ ღილაკს თითი დააჭირა და მდივანი გამოიძახა.

ოჰ, ღმერთო, ეს კაბინეტი მართლაც არაჩვეულებრივი ჯადოსნური სავანე ყოფილა. ამ რამდენიმე წუთის წინ ცივი და მიუკარებელი მდივანი ისეთი მანჭვა–გრეხით და გაბადრული სახით შემოვიდა კაბინეტში, რომ ერთი შეხედვით მინდიამ ვერც კი იცნო.

– ყავა კონიაკით მოართვი სტუმარს! – ისე მკაცრად წარმოთქვა გამომძიებელმა, თითქოს უხერხულობა და სტუმრის მიერ მიყენებული შეურაცხყოფა ყველაფერი მდივნის ბრალი ყოფილიყოს. ორიოდე წუთის შემდეგ მოოქროვებული ლამბაქით მინდიას წინ ყავა დადგა ამჟამად ღიმილად დაფერფლილმა მდივანმა. მინდიამ ხელის ზურგით ყავა გვერდზე გასწია, გამომძიებელს თვალი გაუსწორა და მკაცრად წარმოთქვა:

– მისმენთ?

– რასაკვირველია, გისმენთ გულისყურით!

– ექვიოდე თვის წინათ თქვენ გამოიძიეთ შმაგი დიმიტრის ძე მგალობლიშვილის საქმე, რომელსაც ბრალად ედებოდა ჩემი შვილის შორენა ძიძიგურის მკვლელობა...

– დიახ, მახსოვს – თხრობა შეაწყვეტინა გამომძიებელმა მინდიას.

– მაგრამ სასჯელის განაწილება ეს ჩემი საქმე არ არის, მე საქმე გამოვიძიე, გადავეცი სახალხო სასამართლოს, მათ კი თავიანთი საქმე იციან. ისე მე რომ მოსამართლე ვყოფილიყავი დახვრეტას ვერ გადამირჩებოდა მკვლელი არამზადა.

– ღმერთს დაუფარავს შმაგიცა და ჩვენი სინდისიც, რომ მოსამართლედ არ იყავით, თორემ მწამს კაცთმოძულე ყოველთვის მოიყვანს სისრულეში დანაქადს, მითუმეტეს თუ სახელმწიფო ძალაუფლებაც იმის მხარეზეა.

– აბა, თქვენ რას მოითხოვთ, მკვლელები არ დავსაჯოთ?

– მკვლელები უნდა დავსაჯოთ, მაგარმ უდანაშაულო ხალხი კი არა. ამისათვის საჭიროა ზუსტი გამოძიება და არა ერთი მოწმის ჩვენება, რომელზედაც შეკონწიწდება მცადრი საკითხების უამრავი თავსატეხი მასალა.

– ვერ გამიგია რა გაქვთ მხედველობაში, ჩემი აზრით, მე იურისტის ალღო არ მღალატობს, თქვენ პროკურატურაში მოსული ხართ იმ მიზნით, რომ შვილის მკვლელი უფრო მკაცრად დაგვესაჯა.

– ცდებით! მე სწორედ იმის განსათავისუფლებლად მოვედი, ვინც უსამართლოდ ასე მკაცრად დასაჯეთ.

– ეს საქმე საგამომძიებლო ორგანოს აღარ ეხება, ამ საკითხზე შეგიძლიათ უმაღლეს დისტანციებს მიაკითხოთ. ისე კი გასაოცარია თქვენი საქციელი, საკუთარი შვილის გამაუპატიურებელი და მკვლელი როგორ უნდა შეიწყნარო ვერც კი წარმომიდგენია.

– უმაღლეს დისტანციებს მივაკითხავდი, როგორმე თქვენს დაუხმარებლად გზას და კვალს გავიგნებდი, მაგრამ ცოტა თუ ბევრად თქვენ გიფრთხილდებით, რადგან ადგილობრივი საგამომძიებლო ორგანო და სახალხო სასამართლო ჩიხში აღმოჩნდებით.

– აღმოვჩნდეთ ბატონო, აღმოვჩნდეთ, ნუ მოგვერიდებით და გაგვიფრთხილდებით! – აღელვება დაეტყო, სახე წამოუჭარხლდა, ზეზე წამოიჭრა გამომძიებელი და ამ საქციელით ყოფილ მასწავლებელს აგრძნობინა – „საუბარი დამთავრებულია, სადაც გინდა წადი და მიჩივლეო“. – მაგრამ მინდია სკამზე არც განძრეულა, თავისი ჩვეული სიდინჯით განაგრძო საუბარი:

– დაწყნარდი ჭაბუკო, ბოლომდის მათქმევინე სათქმელი,ს აუბრის დასაწყისში ხომ დამპირდით – „გულისყურით მოგისმენთო?! – ჰოდა სიტყვის კაცი თუ ხართ, მომისმინეთ.

– შენს გარდა სხვაც გვაქვს ბატონო საქმე, თქვი

რასაც ამბობ და მორჩი სათქმელს! – წყენინებას ვერ ფარავდა წიკლაური.

მინდია კი სპეციალურად აჭიანურებდა სათქმელს, რათა კიდევ მეტად აეღელვებინა გამომძიებელი, ჩასწვდომოდა თავისი ნამოწაფარის მოთმინების უნარს და დაენახა მასში არც თუ ფარული დიდკაცობის ძალა.

– საქმე ის გახლავთ ბატონო გამომძიებლო, რომ ჩემი შვილი ცოცხალია. – წყნარად წარმოთქვა მინდიამ და წიკლაურისაკენ თვალი გააპარა. აინტერესებდა თუ როგორ იმოქმედებდა მასზე გამოძიებაში დაშვებული უდიდესი მარცხი და თუ როგორ გარდაიქმნებოდა მკაცრი გამომძიებელი ლმობიერ არსებად.

– რაო? – მხოლოდ ერთი სიტყვა წარმოთქვა წიკლაურმა. აპილპილებულ სახეზე სიყვითლემ გადაურბინა, შუბლი ცივი ოფლით დაეცვარა და სავარძელში ღრმად ჩაეშვა.

– დიახ, გუშინ მომინახულა მეუღლითურთ!

– მდა! – თქვა მრავალმნიშვნელოვნად გამომძიებელმა და თითქოს ამით დასრულდა მათ შორის საუბარი. სიწყნარე ჩამოწვა კაბინეტში, სადაც მხოლოდ წიკლაურის ღრმა სუნთქვა ისმოდა, ასე გაგრძელდა რამოდენიმე წუთს. სანამ გამომძიებელი გარდაიქმნებოდა. და აი, გარდაიქმნა წიკლაური. მკაცრი სახე რაღაც არაბუნებრივი ძალით გაუნათდა და ღიმილად დაიფერფლა მისი ბაგენი, თვალებში ბოროტი ცეცხლი რომ უგიზ-

გიზებდა ამ რამოდენიმე წუთის წინ ახლა ჩამქრალიყო, ჩანაცრებულიყო და ნაცარში გახვეული ნაპერწკალივითღა ღვიოდა მზერის ორი ორგანო, რომელშიაც მინდია სიძულვილს კითხულობდა. მიხვდა ყოფილი მასწავლებელი, რომ ამ თვალების პატრონმა რაღაც მზაკვრული განიზრახვა, მაგრამ ახლა ფარხმალის დაყრა გვიანი იყო და გადაწყვიტა ბოლომდის ებრძოლა ნამოწაფართან.

ეროდი წიკლაური მომღიმარი სახით ზეზე წამოიმართა, ხელები მოცეკვავესავით ფართოდ გაშალა და წყნარად, ნაძალადევი თავაზიანობით წარმოთქვა:

– მეორე ოთახში გავიდეთ, პირისპირ დავჯდეთ პატარა მაგიდასთან, კონიაკის ბოთლთან უფრო ტკბილი გამოგვივა საუბარი!

– არ არის აუცილებელი, აქ ხომ არავინ გვისმენს, მესამე პირმა კი შეიძლება ისეთი რაიმე წამოგვაროშინოს, თქვენც ნაწყენი დარჩეთ და არც მე წავიდე კმაყოფილი.

– მესამე პირი ვინ გყავთ მხედველობაში?

– კონიაკი!

– ნება თქვენია, არ მეგონა კი თუ უარს მეტყოდით „რუმკა“ კონიაკზე.

– ყველაფერს თავისი დრო აქვს, უარს როგორ შემოგკადრებთ შემოთავაზებულ პატივისცემაზე, მაგრამ უმჯობესია შემდეგისათვის გადავდოთ ეს პატივისცემა.

– კარგი ახლა თქვენებურად მოვიქცეთ, ხო-

რაგით სავსე მაგიდასთან მართლაც უკეთესია საუბარი. აქ ასე იყოს საღამოს კი... – მთლად დაითაფლა გამომძიებელი, ცოტა ხანს შეისვენა, თითქოს რაღაცას ფიქრობსო და განაგრძო: – თქვენ ბრძანეთ, რომ თქვენი ქალიშვილი ცოცხალია და ქმართან ერთად მოგინახულათ, ეს მართლაც საოცრებაა. გამოდის, რომ თქვენს ქალიშვილს მგალობლიშვილზე უფრო ძლიერად სხვა ჰყვარებია და სწორედ იმ ღამით გაპარულა ოჯახიდან, როდესაც სეირნობიდან მგალობლიშვილთან ერთად დაბრუნებულა.

– არ ვიცი, სალაპარაკო დრო ვერ გამოვნახე მასთან, იქნებ გაიპარა შეიძლება მოიტაცეს, ყველაფერი საფიქრალია ამ დროში.

– თქვენ მობრძანებული ხართ იმ მიზნით, რომ საქმე დავარღვიოთ და მგალობლიშვილი გამართლებული გავანთავისუფლოთ?..

– რა თქმა უნდა, თუ ეს თქვენს ძალას არ აღემატება და თუ თქვენთვის შეუძლებელია ზემდგომ ორგანოს მივაკითხავ.

– მერე არ გებრალებათ თქვენი ქალიშვილი, რომელსაც პასუხს მოთხოვენ ძიების შეცდომაში შეყვანისათვის?

– კანონის წინაშე ყველა თანასწორია, არ მენაღვლება დამსახურებისგვარად მიიღოს სასჯელი.

– ოჰ, ეს სრულებითაც არ არის მშობლიური სიყვარული, როგორ შეიძლება გაიმეტოთ შვილი დასაღუპავად?

– ის კი არის მშობლის სიყვარული, რაც მან ჩაიდინა და მოიმოქმედა?

– მშობელი რა მშობელია თუ არ მიუტევებთ?

– მე კაცო თქვენთან იმ მიზნით არ მოვსულვარ, შვილი შემარიგოთ, ჩემი ოჯახის ჩახლაფორთებულ საქმეს მე თვითონ მოვუვლი როგორმე, ვეცდები გამოვასწორო ცხოვრებაში დაშვებული შეცდომა. მე სათხოვარზე ვარ მოსული, რომ ჩემთან ერთად თქვენც გამოასწოროთ ნებით თუ უნებლიეთ მომხდარი შეცდომა.

– გამოვასწოროთ, მაგრამ იცით თქვენ, ამას რა ამბავი მოჰყვება? მთელმა მართლმსაჯულებამ თავი უნდა გავიმტყუნოთ. უნდა დავეცეთ, გავნადგურდეთ და ვისთვის? ერთი ადამიანისათვის, რომელიც ალბათ დიდი ხანია შეეგუა თავის ბედს და კეითლსინდისიერად იხდის სასჯელს.

– თქვენი აზრით, ესე იგი გაუჩუმდეთ, ტანჯვა–წვალებაში გაზრდილი ადამიანი ციხეში გამოვამწყვდიოთ, დავუკარგოთ კარიერა და მომავლის იმედი? მერე „ცეცხლი თივაში რომ არ დაიმალება?“ დღეს არა, ხვალ ხომ თავს იჩენს სიმართლე და ჩვენი გაჩუმება ჩვენვე მოგვაყენებს მოუშორებელ აჩრდილს?

– რაც მთავარია თქვენი სიჩუმეა აუცილებელი, სხვები კი მეორეხარისხოვანი მეჩვენებიან. მგალობლიშვილის მშობლები გლეხები არიან, ადგილსაც ვერ მიაგნებენ სად იკითხონ სამართა-

ლი, მგალობლიშვილი კი კოლონიაში იმყოფება, სადაც გადაკეტილი აქვს სამართალსაძიებო გზა. ასე რომ დამშვიდებული ბრძანდებოდეთ მსჯავრდებულის განთავისუფლებამდის!

– რომ განთავისუფლდება, ვინ იცის შემდეგ გადაწყვიტოს შურისძიება!

– ეს გამორიცხულია, დამნაშავე თუ უდანაშაულო მსჯავრდებული ჩვენს მიმართ ყველა ბოროტად არის განწყობილი, მაგრამ განთავისუფლების შემდეგ არავის აზრდაც არ მოსდის შურისძიება, ყოველი ზიარებისა და განწმენდის შემდეგ ახალი ცოდვის ჩადენა იწყება. რომელსაც ხელმეორედ ჭირდება განწმენდა.

– მერე ჩვენი ადამიანობა, ჩვენი სინდისი ჩვენვე გავთვლოთ, წავბილწოთ და სანაგვეში მოვისროლოთ?

– ადამიანი ცვლადი კატეგორიაა. მაშასადამე სინდისის მცნებაც შედარებითია და ისიც მეტად ცვლადი რამ არის. აქედან გამომდინარე, ნამუსიანი კაცი, სხვადასხვა ადამიანის თვალში შედარებითია და ისიც მეტად ცვლადი რამ არის. აქედან გამომდინარე, ნამუსიანი კაცი, სხვადასხვა ადამიანის თვალში ცვლადია, სხვადასხვაგვარია და სინდისის უარყოფაც პირდაპირპროპორციულია.

– აგაშენა ღმერთმა, მათემატიკურად მელაპარაკებით და ლამაზიც არის ყოველი თქვენი სიტყვა, მაგრამ ადამიანურ მცნებას მთლად მოკლებულია ის.

„ლამაზი არის სიტყვა, როდესაც
საფუძვლად უდევს აზრი ძლიერი
რად გინდა შუბლი თუნდაც ლამაზი
მხოლოდ უჭკუო და ცარიელი“...

კიდევ ერთჯერ მოისმინე ყოფილი მასწავლებლის დარიგება, სხვის უბედურებაზე კარიერას ნუ აიშენებთ, თორემ სავარძელს ადამიანთა ცოდვა აგიფეთქებს, თუმცა თქვენი სავარძელი ხომ ჯადოსნური და სასწაულმოქმედია, ალბათ ზემდგომი მართლმსაჯულების წყალობით. ვინ იცის რამდენისათვის მოგიჩვენებიათ ამ სავარძლიდან ცრუ სიყვარული – ნამდვილ სიყვარულად, ცრუ მამულიშვილობა – ნამდვილ მამულიშვილობად, ვინ იცის რამდენჯერ ჩამოგიფარებიათ ნიღაბი და ცრუ ადამიანს – ნამდვილ ადამიანად მოგიჩვენებიათ თავი ცრემლად დაღვრილი ადამიანისათვის. რამდენს ნამდვილ გმირად მოჩვენებიხართ თქვენი ორატორული საუბრით, რამდენისათვის მიგიჩქმალავთ თქვენი არაკაცობა და კაცურ კაცად მოჩვენებიხართ. გახსოვთ, თქვენი წინსვლის გემოვნება ისევე კაცის გამოგონილი ცრუ ღმერთია, რომელსაც კაცობრიობისათვის ყველაზე დიდი უბედურება მოაქვს და სასწაული მხოლოდ ის არის, რომ უბედურება სავარძლიდან იწყება, რადგან მაღლა სწრაფვით უფსკურლის სიმაღლეც იზრდება და იქედან დანარცხებული იშვიათად თუ წაომდგება ზეზე.

გამომძიებლის სახის ფერი რამოდენიმეჯერ

შეიცვალა. ბოლოს კი წამოენთო, მაგრამ ბავშვობაში ამავე ხმით ადამიანის სიყვარულით ქადაგება გაიხსენა, ნერვები მოითოკა და ჩაყოლა ამჯობინა. თუმცა მზად იყო პანღურის ცემით გაეგდო გარეთ და კარები თავისი ხელით მიეხურა, მაგრამ გაიხსენა ყოფილი მასწავლებლის შეუპოვრობა, სიმართლისათვის თავდადება და გადაწყვიტა სიბრძნით გაეწია პაექრობა მასწავლებლისათვის.

– მე თქვენთვის შეურაცხყოფა არ მომიყენებია, პატივცემულო მასწავლებელო და თქვენ რისთვის მლანძღავთ ასეთი უდიერი სიტყვებით?

– შეურაცხყოფა არ მოგიყენებიათ? განა ეს ჩემი შეურაცხყოფა არ არის, როდესაც შეურაცხყობთ სკოლას, სადაც აღიზარდეთ და ჩირქს ცხებთ მართლმსაჯულების უწმინდეს ადგილს?

– როგორ გეკადრებათ ბატონო მინდია, მე აზრადაც არ მომსვლია ვინმესათვის შეურაცხყოფა მიმეყენებინა, მხოლოდ დროის გამოძახილს მივყვები. ის დრო აღარ არის პატივცემულო, ბევრი რამ შეიცვალა ცხოვრებაში, დრომოჭმულია ის მორალი, რომელსაც თქვენ ჩაგვჩიჩინებდით, დღეს ცხოვრებას თქვენებური არშინით ვეღარ გავზომავთ, ახალი ცხოვრება მოდის, ნუთუ ვერა გრძნობთ, რომ თქვენი მორალის ხალხი უკანასკნელი მოჰიკანები ბრძანდებით?

– ესე იგი ახალი ცხოვრების თანახმად უნდა დვკარგოთ სინდის–პატიოსნება. დავივიწყოთ ჩვენი სამშობლოსათვის თავდადებული მეფეები,

მოძღვრები, მწერლები, პედაგოგები, რომლებმაც ანა–ბანა შეგვასწავლეს, შემოგვინახეს და შეგვინარჩუნეს სამშობლო, ენა და კულტურა. თქვენ კი, რამ განაპირობა არ ვიცი სინდისზე საუბარი ცახცახს გაწყებინებთ, რატომ ჩქმალავთ და ივიწყებთ ჩვენს ნაქადაგარს, წინაპართა ნატერფალს?

– არც მთლად ასეა ბეტონო მინდია, როგორც თქვენ ბრძანებთ, დავიწყებთ ჩვენ არაფერს ვივიწყებთ, მხოლოდ აუტანელია, როდესაც თქვენ გვაბრალებთ სინდის–პატიოსნებისა და კულტურის დავიწყებას. ეს დავიწყება კი არა გარდაქმნაა, რომელიც ცხოვრებამ მოიტანა, ეპოქის ყოველ მიჯნაზე, ისტორიის ყოველ მოსაქცევზე, როცა ცხოვრება იცვლება, სინდის–პატისონებაც იცვლება. თქვენ კი ცხოვრების შეცვლას ვერ ამჩნევთ და წარსულის დავიწყება–დაკნინებას გვაბრალით.

მეც არ მომწონს, როდესაც ქვეყანას სინდისზედ ხელაღებულები დაეპატრონებიან, მაგარმ ჭკვიანი მებრძოლი კაცისაგან ცხოვრების ჩამორჩენაც არ შეიძლება.

თქვენი მორალი ისტორიული კატეგორიაა და ბუნებრივია ეპოქა მას რაღაცას დააკლებს ან რაღაცას დაამატებს, ჩვენთვის სათაყვანებელ რომელიღაც ნორმას მოძველებულად გადააქცევს და ისეთს დაამატებს, რომელიც ადრეული დროისათვის გაუგონარი და დღეისათვის წარმოუდგენელი იქნება. ესე იგი, ახალი დრო ძველს კვარცხლბეკიდან ჩამოაგდებს, გათელავს, გაანადგუ-

რებს და მასხარად აიგდებს, მაგრამ სანაცვლოდ, რაღაც ახალს გააღმერთებს, განადიდებს და კვარცხლბეკზედ დასვამს. რა თქმა უნდა, ხალხი ძველისადმი ერთგულებას იჩენს, მაგრამ კაცობრიობა როგორც არ უნდა გაუძალიენდეს, ეპოქის მსვლელობას ვერ შეაჩერებს.

– ესე იგი თქვენი ახალი ზნეობა–პატიოსნების თანახმად, თავი მზედ უნდა მოგვაჩვენო, რათა ცდომილებივით თქვენს გარშემო ვიტრიალოთ?

– რატომღაც არა თუ ამის შესაძლებლობა გვაქვს, მართალია ახლა ყველაზე დიდ ღირსებად პატისონებას ასაღებენ, მაგრამ თუ დაფიქრებულხართ რა ფასი აქვს დღეს პატიოსან კაცს? ავიღოთ ადამიანის ცალკე პიროვნება და დავახასიათოთ ის. დავინახავთ, რომ ყოველი არაფრის შემძლე პატიოსანია, იმიტომ რომ მას არ შეუძლია მოიპაროს, წაართვას ან გამოძალოს. მას რომ რაიმეს გაკეთების მარიფათი ჰქონებოდა, დარწმუნებული ვარ ყველაზე საზიზღარი საქმის გაკეთებასაც კი არ ითაკილებდა. ასეთი პატიოსნება ადამიანის ღირსბეიდან კი არა, უუნარობიდან, უტვინობიდან, უქნარობიდან და ლენჩობიდან მოდის. ჩვენ თუ ასეთ პატიოსან ადამიანებს მივცემთ მეტ საზრიანობას, უნარს, გამბედაობას, ფხას, შნოს, ცოდნასა და გაქანებას, მაშინ თვალნათლივ დაინახავდით, თუ როგორ დაადგებიან პირადი სარგებლობისა და კარიერის ამაღლების გზას. მე ასეთ ადამიანებს პატიოსანს ვერ დავუძახებ,

რადგან უსაშუალებობის გამო არიან პატიოსნები.

პატიოსანი ადამიანი იშვიათი მოვლენაა და უნიკალური ეგზემპლარია, რომელსაც ჭკუაც აქვს, გამბედაობაც, შნოცა და ლაზათიც ცოდვის ჩადენისა, უნარიც ფუფუნებაში ცხოვრებისა და სიმამაცეც ყაჩაღობისა, მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა ცოდვის ჩადენას გაურბის და პატიოსან ადამიანად რჩება.

– თქვენ როდესაც ყოველივეს გასაქანი გაქვთ, რატომ არ შეგიძლიათ იყოთ იშვიათი ეგზემპლიარი და პატიოსან ადამიანად დარჩეთ?

– იმიტომ, რომ ფართო გასაქანს სწორი გზიდან გადაბრირების ცდუნებაც ემუქრება. დიდ სიმამაცეს დიდი საქმის გაკეთებაც მოსდგამს. დიდი საქმის გაკეთებას კი სიღატაკიდან ფუფუნებისაკენ შემობრუნება. ასეთ ადამიანებს ცხოვრებაში ცოტა წაბორძიკება ეპატიებათ, რადგან დიდ საქმეს შეცდომებიც თან ახლავს.

– თქვენ საშინელი პიროვნება ბრძანდებით ბატონო გამომძიებელო, იმიტომ კი არა, რომ შეცდომა მოგივიდათ. არა, ეს შეცდომა შეგნებულად ჩადენილია, რომლის გამოსწორებასაც არ ფიქრობთ და თქვენი უჯიათი ლექციით მრავალი პატიოსანი ადამიანის სწორი გზიდან ბოროტებისაკენ გადაბირება შეგიძლიათ. თქვენ მართლაც უნიკალური ეგზემპლიარი ბრძანდებით, შეხედულებით ნამდვილი ქართველი რაინდი, მაგრამ შენი შეხედვა სანეხვეზე ამოსულ ულამაზეს ყვავილს

მაგონებს, რომელსაც ფერი ღვთიური აქვს, სუნი კი ნაკელისა ასდის, რადგან ფესვი უწმინდურებაში აქვს გადგმული და დამპალი თესლით აღმოცნებული უწმინდურებითვე იკვებება...

მინდია ზეზე წამოიჭრა და ტყავგადაკრული კარები ისე მძლავრად გაიჯახუნა, რომ მოპირდაპირე კარები ქარმა გააღო.

ირ0დი წიკლაური სახტად დარჩა, ვერ იმოქმედა თავისებურმა ახალი ცხოვრების შთაგონებამ ყოფილ მასწავლებელზე, ფესვი გაულანძღა. წინაპართა საფლავი შეუგინა და ასე აფორიაქებული დატოვა მოხუცმა. ცოტა ხანს ჩაფიქრებული იჯდა, შემდეგ ტელეფონის ყურმილს დასწვდა და მძღოლი გამოიძახა. ორიოდე წუთის შემდეგ შავულვაშა მძღოლი სწორედ იმ სკამზე იჯდა და გამომძიებლის შეგონებას ისმენდა, საიდანაც ამ რამოდენიმე წუთის წინ მინდია დამდუღრებულივით წამოხტა.

– ამ რამოდენიმე წუთის წინ აქედან ჩემი ყოფილი მასწავლებელი გამოვიდა...

– ვიცი წინ შემომხვდა! – სიტყვა შეაწყვეტინა მძღოლმა გამომძიებელს და თავისი ჭროღა თვალები ისე მიაპყრო თითქოს გასაუბრების გარეშე სურდა ამოეცნო იმისი გულისნადები.

– ხოდა ის კატასტროფაში მოხვდება! – თქვა მტკიცედ გამომძიებელმა და თავზე ორივე ხელები შემოიჭდო. მძღოლი ფეხაკრეფით, საჩქაროდ გავიდა კაბინეტიდან.

ხასიათ–გუნება წამხდარი მინდია მძიმედ მიაბიჯებდა ტროტუარზე, თავხედურ შეგონებისაგან გაკვირვებული და ბრაზმორეული მეორედ მოსვლას ნატრობდა ადამიანთა უმადური მოდგმის გადასაშენებლად.

– ასე აჯობებს – ფიქრობდა გზად მიმავალი, მთვრალივით მობარბაცე მინდია – რა უნდა მოუვიდეს უარესი კაცობრიობას, როდესაც უკვე მომხდარი უბედურება მისი გაჩენის გამო, ამაზე უფრო უარესი რა შეიძლება მოხდეს? მეორედ მოსვლა გაასწორებს და გაათანაბრებს ყველას, შემდეგ გაივლის მილიონი წლები და ისევ „აღმოცენდება“ ადამიანი დედამიწაზე, მაგრამ ღმერთმა ნუ ჰქმნა, რომ პირველ ქმნილებს დაამსგავსოს მეორეც შემოქმედმა, თორემ ხელმეორედ მოუწევს წარღვნის მოვლინება. დღეს თურმე სინდის–პატიოსნებაზე ფიქრიც კი სათაკილო ყოფილა. იქნებ მართლაც მორალის გრძნობა, როგორც ყველაფერი შედარებითია და დროსა და გარემოს მიხედვით განისაზღვრება, მაგრამ მორალი ხომ ისტორიულ–სოციალური პროცესია? რომ კაცობრიობის მოდგმას მოვაშოროთ მთელი ისტორია, რაღა დაგვრჩება? – არაფერი! – ამიტომ რაც ისტორიულია, მუდმივია და რაც უნდა ცვლილება განიცადოს მორალის შემეცნებამ, ქვეყნასთან ერთად მაინც იტრიალებს თავისი ღერძის გარშემო. სამყარო სიცოცხლეს გააგრძელებს, ცხოვრებას კი თავისი ახალი კანონები ექნება და ცივ-

ლიზაციის საფეხურს, რომელზეც დღევანდელი კაცობრიობა დგას, თავისი განსაკუთრებული საჭიროებანი დაახასიათებს...

ფიქრი დაუმთავრებელი დარჩა, „ჟიგული“ ტროტუარზე შემოფრინდა და მინდია ბორბლებში მოიქცია. გაისმა მოქალაქეთა შეკივლება, უნომრო „ჟიგული“ გაუჩინარდა...

ქეთევანი ეზოში უაზროდ მიმოდიოდა, აშკარად ეტყობოდა ნერვიულობა, დილით წასული მეუღლე ჯერ კიდევ არ დაბრუნებულიყო და ათასგვარ შავ ფიქრებს შეეპყრო იმის გონება. ბოლოს გადაწყვიტა თვითონაც წასულიყო და გაეგო საყვარელი მეუღლის შინ მოუსვლელობის მიზეზი.. სახლში შესვლა დააპირა, რომ ტანსაცმელი გამოეცვალა, მაგრამ ჭიშკართან მეზობლის თოთხმეტიოდე წლის აცრემლებული გოგონა შენიშნა და მიმართულება შეცვალა, გოგონაც უხმოდ შემოვიდა ეზოში და ქეთევანს მიუახლოვდა.

– რა გატირებს თამუნა, ცუდი ამბავი ხომ არაფერი მოგიტანია? – სახეზე ფერდაკარგული და ბაგეგამშრალი შეეკითხა ქეთევანი გოგონას.

– არაფერი ისეთი დეიდა ქეთევან, მინდია მასწავლებელს მანქანა დაეჯახა და... საავადმყოფოშია მოთავსებული, ექიმი შენ გიხმობს... წარმოთქვა გოგონამ სლუკუნითა და ცრემლების შემშრალებით, მაგრამ ქეთევანს თამუნას ნათქვამი ბოლო სიტყვები აღარ გაუგონია, სიმწრით ლო-

ყები ფრჩხილებით ჩამოიკაწრა და ღია ჭიშკარში ფეხშიშველი გავარდა.

მინდიას საოპერაციოდ ამზადებდნენ, როდესაც ქეთევანმა დაინახა: – ცოცხალია! – მიმქრალი ხმით წარმოთქმა მან და ჩაიკეცა.

ექიმებმა მალე მოიყვანეს გრძნობიაზე ქეთევანი და მთავარი ექიმი თავისი კაბინეტისაკენ წაუძღვა:

– საგანგაშო არაფერია ქალბატონო ქეთევან – დანუგეშება დაუწყო მთავარმა ექიმმა – ეს წუთია რაც რედგენით გაშუქება, სურათის გადაღება და ანალიზების აღება დავამთავრეთ, ყველაფერი დადებითია და ნორმალური, მხოლოდ რედგენმა ელენთას დაზიანება უჩვენა და საჩქარო ოპერაციას საჭიროებს. თქვენ კარგად მოგეხსენებათ ეს ოპერაცია სრულებითაც არ არის ძნელი, არის შემთხვევა როდესაც სრულებით ჯანმრთელ ადამიანს უკეთებენ ელენთას ოპერაციას: კიდევ უფრო ხშირი შემთხვევაა თანდაყოლილი ელენთას უქონლობა და ელენთას უქონლობით გაცილებით მეტხანს ცოცხლობს ადამიანი ჩვეულებრივზე.

– გმადლობთ ექიმო, თქვენ დამამშვიდებელ სიტყვებს მეუბნებით, თუმცა ჩემზედ უკეთესად მოგეხსენებათ, რომ ადამიანის ორგანიზმში ზედმეტი სხეული არ არსებობს. სიცოცხლე მაშინ არის ტკბილი თუ ადამიანი თავის გაჩენის დღეს არ დასწყევლის და არსებობის პერიოდში უდროვოდ სიკდვილს არ ინატრებს. ოპერაცია კი იმ გასაღებს

ჰგავს, რომელიც კეტავს და არაფერს აღებს, მაგრამ ხანდისხან მხოლოდ დაკეტვაა აუცილებელი.

– დარდი ნუ გაქვთ, სიტყვას გაძლევთ, თქვენი მეუღლე სიცოცხლეზე უკმაყოფილი არასოდეს არ იქნება. ახლა კი ბოდიში, ოპერაციაზე მიმეჩქარება, თქვენ კი შეგიძლიათ აქვე დამელოდოთ. – თქვა ექიმმა თეთრი ხალათი გაისწორა და კაბინეტიდან გავიდა.

მხოლოდ სამი საათის შემდეგ შემოვიდა კაბინეტში სახეზე ღიმილმორეული ექიმი. ქეთევანმა შეხედვისთანავე შეატყო, რომ ოპერაცია წარმატებით იყო დამთავრებული, მაგრამ მიანც შეეგება ექიმს და თვალცრემლიანი შეეკითხა:

– როგორ არის ექიმო საქმე?

– ბრწყინვალედ! შეგიძლიათ თავმდგმურობა გაუწიოთ თქვენს მეუღლეს, მხოლოდ არ შეაწუხოთ ზედმეტი შეკითხვებით.

– გმადლობთ ექიმო, მეამაყება, რომ ეს ერთი ორგანიზაცია მაინც არის ღვთიური სავანე ჩვენს ეპოქაში, დაგელოცოთ მარჯვენა და დიდხანს იცოცხლეთ ხალხის სამსახურისათვის...

– გმადლობთ! ხალხის ჯანმრთელობაზე ზრუნვა ჩვენი სამსახურია და მოვალეობა, რომელიც ფიცის თანახმად პირნათლად შესრულებას მოითხოვს.

– ბოდიში ექიმო, ახლა წავალ და ავადმყოფს მივხედავ! – თქვა ქეთევანმა და თეთრი ხალათი მოიხურა.

მინდიამ ქეთევანი რომ დაინახა ნიკაპი აუკან-

კალდა და თვალები ცრემლით ამოევსო, ქეთევანი შეტორტმანდა, პირველად ხედავდა საყვარელ მეუღლეს სულიერად გაძარცვულსა და ფიზიკურად უძლურს, მაგრამ თავი შეიმაგრა, თვალები ხალათის კალთით ამოიმშრალა და გამამხნევებელი ხმით შემოუძახა:

– რა მოხდა კაცო, როგორ ქალივით იქლერცები, ვაჟკაცი არა ხარ?

მინდიას ხმა არ ამოუღია, თითქოს ცრემლების შერცხვაო, მზერა მეულეს მოარიდა, თვალები ჭერს მიაპყრო და მისუსტებული ხმით წარმოთქვა:

– სიკვდილის არ მეშინია, ის მარადიულ ძილად მიმაჩნია, სიცოცხლე წამიერი უძილობა ყოფილა მხოლოდ, რომელსაც თან ახლავს საუკუნოებრივი ბრძოლა სიცოცხლისათვის და ეს უკანასკნელი უაზრობაა და მეტი არაფერი.

– ბრძოლაში ვაჟკაცები იღუპებიან, სიკვდილზე კი უმეტესად მხდალები ოცნებობენ. სიცოცხლე იმითაა ძვირფასი, რომ ბრძოლას საჭიროებს და ვაჟკაცები ბრძოლის შედეგს ისტორიას უტოვებენ. ახლა აღარ შემეპასუხო, ექიმმა გამაფრთხილა ლაპარაკით არ შეგაწუხო, დაისვენე და ხვალ გავარგრძელოთ საუბარი სიცოცხლის აუცილებლობაზე.

მინდია არ შეპასუხებია ქეთევანს, წამწამები მძიმედ დახურა და ნარკოზით გაბრუებული ოცნებას მიეცა. ნელ–ნელა აღიდგინა მომხდარი კატასტროფა, ეჭვის გონებით გადახედა ირონდი

წიკლაურს, მაგრამ აზრს თავი ვერ მოუყარა და ჩაეძინა.

დილით ადრე გამოეღვიძა მინდიას, სასთუმალთან ჩამომჯდარი მეუღლე რომ დაინახა, გაეღიმა, შემდეგ გაზმორება ცადა, მაგრამ ნაოპერაციებმა თავი შეახსენა და ღიმილი სახეზე შეეყინა. ტკივილი რომ დაეფარა მეუღლეს ისევ გაუღიმა და წყნარად წარმოთქვა:

– შენ ისევ აქა ხარ ქეთი?

– აბა სად წავიდე, შენს იქით სხვა გზა ახალგაზრდობაშიაც არ მქონია და ახლა ღმერთმა ნუ მომცეს.

– არა მაგას არ გეუბნები, ხომ ხედავ ახლა კარგად ვარ, წადი სახლში, ოჯახს მიხედე.

– არსად არ წავალ, სადაც შენა ხარ ჩემი ოჯახიც იქ არის და ოჯახის დიდებაც.

– საინტერესო ქალი ხარ, ნეტავი რომ მოვკვდე საიქიოში გამოყოლას აპირებ?

–არ დავფიქრდები!

– მერე და რას გააკეთებ ასეთი წინდაუხედაობით?

– ამით სიყვარულსა და ოჯახის ერთგულებას დავამტკიცებ!

– კარგი თუ ქალი ხარ ნუ მაშინებ, თორემ არასოდეს არ მოვკვდები და დაგაბერებ ჩემი სიკვდილის მოლოდინში. რა დროს სიკვდილზე საუბარია, როდესაც სინდისი მქეჯნის იმათ წინაშე, ვინც აღესრულა, რომლებიც ჩემამდე იშვნენ და ბევრის

თქმა მოასწრეს, მე ისინი ერთჯერაც არ გამსაუბ-
რებიან, თუმცა ზეპირად ვიცი მათი ბრძნული აზ-
რები, ეჰ, რა ცუდ დროს დავიბადე!? ნეტავი მეც
მათთან მეცხოვრა და მათთან დამემთავრებინა
ჩემი კარიერა.

– სიცხე ხომ არა გაქვს მინდია, რას ბოდავ ვე-
რაფერიც ვერ გავიგე. წინაპართა სულები ხომ არ
მოგლანდებია?

– არა, სიკეთისა და პატიოსნების სიკვდილს მივ-
ტირი და არც მე მინდა ცხოვრება მათ გარეშე.

– მერე ვინ გიშლის, იცხოვრე ისე როგორც
დღემდე გიცხოვრია.

– არ გესმის დედაკაცო? – მოკვდა მეთქი ის დრო
როგორც მიცხოვრია. ახლა ახალი ცხოვრება უნდა
შევქმნათ, პატიოსნების ნაცვლად – ღალატი, დახ-
მარების ნაცვლად – წაგლეჯვა და სიკეთის მაგივ-
რად – ბოროტება უნდა თესო.

– მინდია, შინ და გარეთ შენმა ფილოსოფიამ მომ-
კლა, შენ სხვას რას უყურებ, ცუდად თუ კარგად
დღემდე შენი პატიოსანი ცხოვრებით გიცხოვრია.
საქმე არჩევანეზე რომ მიმდგარიყო, მე მგონია
არასოდეს გაცვლიდი შენს პროფესიას ჯალათის
პროფესიაზედ.

– არც გავცვლიდი, მაგრამ ახლა სიამოვნებით
გავცვლი, რადგან მე ვერც შინ და ვერც გარეთ
ვერ აღმიზრდია ისეთი სულის ადამიანები, რო-
გორსაც ველოდი. იქნებ მე ერთმა სამშობლოს
მეტი ზიანი მოვუტანე, ვინემ ჯალათების ხროვამ.

– რა მოგივიდა მინდია, შენ ასე არასოდეს გილაპარაკია, მუდამ შეყვარებული იყავი ცხოვრებასა და შენს პროფესიაზედ, შეჰხაროდი სიცოცხლეს, ებრძოდი სიმუხთლეს და სხვებსაც სიკეთისაკენ მოუწოდებდი!

– მართალია, მაგრამ ჩვენი შეგონება ქარში ყაყანი გამოდგა და მეტი არაფერი, სახლში შვილი ვერ აღვზარდე, სკოლაში მოსწავლე, ასე მგონია ჩვენი ცუდი აღზრდით ჩვენვე დავღუპეთ სამშობლოს მომავალი გენიოსები.

– რა მოხდა კაცო, იტყვი ბოლოსა და ბოლოს თუ არა?

– უარესი რაღა უნდა მომხდარიყო, ოჯახში რა ტრაგედიაც დაგვიტრიალდა შენც კარგად იცი, პროკურატურაში კი ჩემმა აღზრდილმა მოსწავლემ მთლად გამაგიჟა.

– რაო, რა მინდაო?

– იყოსო ციხეში მგალობლიშვილი, უკვე მიჩვეული იქნება და სასჯელის მოხდასაც შეძლებსო.

მერე სად არის შენი ადამიანობა და პატიოსნება–მეთქი, შევეკითხე: – ადამიანობა და პატიოსნება დიდი ხანია მოკვდა და ახლა ახალი ცხოვრებით ვცხოვრობთო. – ნამდვილად გამაგიჟა იმ არაკაცის ნაშიერმა. ქუჩაში რომ გამოვედი მთლად გაოგნებული ვიყავი, მაგრამ ნამდვილად მახსოვს ფეხით მოსიარულეთ შევერიე და ტროტუარს მოუყვებოდი, შემდეგ ხალხის შეკივლება გავიგონე და მეტი აღარაფერი მახსოვს...

– ღმერთმა ასე და ამრიგად შეაწუხოს შენი გუ-

ლის ამაფორიაქებელი როგორც შენ მყავხარ ამ წუთში. რაღაც გული სხვას მიგრძნობს. იმ შენი ნამოწაფარის ხელი ხომ არ ურევია შენს ავადმყოფობაში?

– არ ვიცი, თუ ეს შემთხვევითი არ არის, ვიფიქროთ, რომ მკვლელს თავისი მისია ვერ შეუსრულებია, ექიმებმა კი პირნათლად შეასრულეს ნაკისრი მოვალეობა. ვნახოთ რას იზამს გამოძიება, მე მგონია არ დაიმალება ბოროტმოქმედი თუ ძიება წიკლაურისთანა გამომძიებელმა არ წარმართა.

– რა მესმის კაცო, შენ შემთხვევით გადარჩენილხარ, აბა ტროტუარზე ავტომანქანას რა უნდოდა თუ წინასწარ მოფიქრებული ბოროტი განზრახვა არ ედო გულში? ვენაცვალე იმ ბედისწერას, რომელმაც შენ გადარჩენა უნდა ვიწამო და ღმერთს წმინდა სანთელი უნდა აუნთო იმ ადგილზე, სადაც კატასტროფა მოგიხდა.

– პიროვნების საბედისწერო კატასტროფა ბევრს არაფერს ნიშნავს. საზოგადოება მებრალება. რომელიც ვერ ამჩნევს მოსალოდნელ კატასტროფას, დღეს ხალხს თავი ბედნიერი ჰგონია, როცა ქვეყანა შინაგან ხრწნას განიცდის. ეს კი ყოველივე საბედისწერო დასასრულს ნიშნავს.

ახალგაზრდობის უმეტესობა ჩვენ, უფროს თაობას გვაკისრებს პასუხისმგებლობას ყველა თავისი თვალხილული თუ სავარაუდო უბედურებისათვის, დღევანდელობის ყველა სიძნელისა თუ ხვალინდელი დღის გაურკვეველი მომავალი სა-

შიშროებისათვის. თუ ჩვენ რამოდენიმე ერთეული წლის წინათ შევდიოდით რჩეულთა რიცხვში, ან ჯერ კიდევ ვიმყოფებით მათ შორის, ეს სრულებით არ სურს დაინახოს ახალგაზრდობმ, რომლებსაც დღეს გვერდში ამოსდგომიან ოდესღაც ჩვენს ზურგს ამოფარებული მოხუცებულნიც, რომლებიც სარგებლობენ დღევანდელი სახელმწიფო არეულობით, ჩქმალავენ თავიანთ სიმხდალეს და ჩვენ გვწამებენ ეგოიზმს, მიუხვედრელობას, ქარაფშუტობას, სიმხდალეს. მაგრამ აშკარად ჩანს არც ჩვენი ბრალმდებელნი ამჟღავნებენ დიდსულოვნებას, რწმენის სიმტკიცისა თუ ხასიათის სიდინჯეს. და თუ ჩვენ შევძელით მათი გაკრიტიკება, ისინი მაინც მართალი გამოდიან, რადგან უფროს–უმცროსთა უცოდინარობით გვიმტკიცებენ ძველი ცხოვრების სიდამპლეს და ახალ ცხოვრებაში ახლებურად ცხოვრებას თვალებში თითების ჩათხრით გვიყვირიან: „თქვენ შეგვექმენით ასეთები, თქვენ გვასწავლეთ ასე და ჩვენც თქვენს გაკვალულ გზას მივყვებითო“.

და საქართველოს დიდებითა და ბრწყინვალებით დაბრმავებული ადამიანი მხოლოდ პირადი ცხოვრების ვიწრო ბილიკს მისდევს, რომელიც არ თაკილობს მკვლელობას, გამოძალვას. ცილისწამებას, ყაჩაღობას და ვერ ამჩნევს ამომავალ მზეს, რომელიც დღეს თუ ხვალ შუქს მოფენს მთელ ქვეყანას, მსოფლიო დაინახავს ბოროტებით შეძენილ საკუთრებას და ყველას ოხრად დარჩება ოხრად მონაგარი.

– ნათქვამია: – „მელა კვდებოდა და თავი საქათმისკენ მიქონდაო“. შენ კიდევ არ ეშვები მასეთებს? შენ შენი უკვე გაგიტარებია, შეეშვი აგორებული ზვავის წინ დახვედრას, შენ მას მაინც ვერ შეაჩერებ. წინაპრებს რომ იგონებ და მათ გინდა დაემსგავსოს ჩვენი შთამომავლობაც, აღარ არიან ის დედები, რომლებმაც დევგმირები შობა, დღეს სპორტით, სწავლით ან უსაქმურობით გატაცებული გოგონების თეძოები ვაჟკაცი კაცის ბეჭედში გაეტევა და შენ როგორი შთამომავლობა გინდა დაგიტოვოს ასეთმა ჯიშმა?

–შენ მართალიხარ ქეთი, ხმასაც არ ამოვიღებ ვინმეს საწინააღმდეგოდ , ვიცხოვრებ მარტო, ჩემებურად, ძველებურად. მხოლოდ ერთი თხოვნა შემისრულე, მიწაში ნუ ჩამაყოლებ იმ ბიჭის საცოდაობას, იქნებ შეძლო რესპბლიკის პროკურორამდის მისვლა და იმ საცოდავის განთავისუფლება. მე არავითარი თავმდგმური აღარ მესაჭიროება, დღესვე შეუდექი შენს საქმეს, თორემ ვიცი ვერ გამოვჯანმრთელდები, ბოღმა დამახრჩობს.

– ცოტახანს მადროვე, ფეხზე დაგაყენებ და სიცოცხლის ფასად რომ დამიჯდეს მაგ თხოვნას შეგისრულებ, რომელიც არანაკლებ მაწუხებს შენზედ...

– არავითარი „მადროვე“. დღესვე შეუდექი მეთქი ამ საქმის გამოაშკარავებას, ნუთუ არ გაინტერესებს და ვერ ხედავ, რომ ჩემი მკვლელიც ამ სიბინძურეში იმალება!?

– მუდამ ასე იყავი, რასაც დაიჟინებ მამაზეციერიც ვერ გადაგათქმევინებს. კარგი წავალ, მხოლოდ შენ არ ინერვიულო და თუ დამაგვიანდეს არ იჯავრო, არ ვიცი, ალბათ ადვილი არ იქნება რესპუბლიკის გენერალურ პროკურორთან შეხვედრა.

ქეთევანმა წყნარად გაიხურა პალატის კარები და ნაღვლიანი მზერა თავიდან ფეხებამდის ისე მოატარა მინდიას ირგვლივ, რომ ქმარმა ნათლად შენიშნა, თუ როგორ დატოვა საყვარელმა მეუღლემ მასთან თავისი სული და გული.

ქმრის დავალების შესასრულებლად მიდის ქალი, მიეჩქარება და მხოლოდ ერთი აზრი უტრიალებს ტვინში, დროულად შეასრულოს ბრძანება, გაათავისუფლოს პატიმარი, გაახაროს მისი ოჯახი, გაახაროს მინდია და გაიხაროს თვითონაც.

აჩქარებული ნაბიჯით მიდის ქალი, სახლს რომ მიუახლოვდა თავის ჭიშკართან ბრტყელ ქვაზე ჩამომჯდარი მამაკაცი შენიშნა, მამაკაცმაც შენიშნა ქალი და ზეზე წამოდგა შესაგებებლად:

– გმარჯობა დიმიტრი. – მიესალმა ქეთევანი მამაკაცს.

– გაგიმარჯოს ქეთევან, მომილოცავს მეუღლის მშვიდოით გადარჩენა, ძალიან განვიცადე, იმას რომ რაიმე მოსვლოდა ჩემი გულისათვის, არ ვიცი ალბათ თავს არ ვიცოცხლებდი.

– როგორ შენი გულისათვის? – გაიკვირვა ქეთევანმა დიმიტრის ნათქვამი.

– კარგი, ახლა, არაფერი მოხდეს თორემ ხალხს

რა გამოეპარება, ადამიანია თვითონ დეპეშაცა და ტელეფონიც, პრესაცა და რაციაც. ჩვენ ყველაფერი ვიცით ჩემო ქეთევან, ხომ გეუბნებოდით: – „ჩემი შვილი მკვლელი არ იქნება–მეთქი“, – თქვენ კი მიჯერებდით, მაგრამ სადღაც მაინც ეჭვი გეპარებოდათ ჩემს სიმართლეში.

– არა დიმიტრი, ეჭვი როგორ მეპარებოდა შმაგის პატიოსნებაში, მაგრამ მართლმსაჯულებამ ისეთი დამაჯერებელი სასჯელი გამოიტანა, ჩვენ კი არა თქვენც შეგეპარათ ეჭვი შმაგის უდანაშაულობაში. რადგან ღმერთმა ასე წარმართა ჩვენი საქმე და მაინც იოლად გვიხსნა, მოდი ერთად ვიმოქმედოთ დიმიტრი, მხოლოდ იცოდე ყოველი მოქმედება საიდუმლოდ უნდა შეინახო. მე ახლა ამ საშინაო ტანსაცმელს გამოვიცვლი და რესპუბლიკის პროკურორთან მივდივარ.

– რისთვის რესპუბლიკის პროკურორთან? განა ჩვენი პროკურორი ვერ მოაბამს საქმეს თავს? – ქეთევანს სიტყვა შეაწყვეტინა დიმიტრიმ.

– არა დიმიტრი, მეჩვენება აქ ეშმაკის წრეა შეკრული. შმაგის განთავისუფლებით პროკურორი თავს არ გაიმტყუნებს და ყოველგვარად შეეცდება ჩვენს განზრახვას ხელი შეუშალოს. ამიტომ მე გენერალურ პროკურორთან იქნებ მოვახერხო შეხვედრა, შენ კი წადი კოლონიაში და შმაგის ახარე მოსალოდნელი თავისუფლება, მხოლოდ გახსოვდეს ჩვენი განზრახვის შესახებ არც ერთი სიტყვა, თო-

რემ შესაძლებელია ცოცხალი ვერცერთი ვერ დავბრუნდეთ ოჯახში.

– ენას არავისთან დავასველებ მაგ საკითხზე, მაგარმ თქვენ როგორ წაბრძანდებით დედაქალაქში, როდესაც მინდიას თავდგმური ესაჭიროება? თუ ნებას დამრთავთ და უხერხულად არ გამომივა, ჩემს მეუღლეს დავაყენებ მინდიას თავდგმურად, მე კი ისე მოვიქცევი, როგორც დამარიგე.

– აბა, მაგდენს როგორ შეგაწუხებთ, უხერხულია ღმერთმანი.

– აბა რა შეწუხებაა, ამ წუთში გავაგზავნი საავადმყოფოში, ხომ იმავე მეათე პალატაშია ისევ?

– თქვენ საიდან იცით რომ მეათე პალატაშია?

– როგორ თუ რა ვიცი, წუხელი ორივე ცოლ–ქმარი პალატის კარებთან ჯარისკაცებივით ვიდექით.

– არა, ასეთი ადამიანის ბუნებაში არ შეიძლება მკვლელმა დაიბუდოს. – თავისთვის ჩაილაპარაკა ქეთევანმა, დიმიტრის კი ხმამაღლა უთხრა:

– აბა შენ იცი დიმიტრი, მივხედოთ საქმეს, წარმატებას გისურვებ. ბოდიში რომ სახლში ვერ გეპატიჟები.

ქეთევანმა ეზოს ჭიშკარი შეაღო და გაღებული დატოვა, საიდანაც თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ გამოვიდა და ჭიშკარიც დაიხურა.

რესპუბლიკის პროკურორს არამარტო ორმაგი შავტყავგადაკრული კარები და მდივანი იცავს,

არამედ სადარბაზოს შესასვლელში სამხედრო მუნდირში გამოწკვართული, ავტომატურ თოფ-მომარჯვებული, ორი ჯარისკაცი დგას და სახელოვნად იცავს თანამდებობის სავარძელს.

ქეთევანი ზრდილობიანად მიესალმა მათ და პროკურორთან შესვლის ნებართვა ითხოვა.

– ეს როგორ შეიძლება? – გაიკვირვა ერთმა მათგანმა – პროკუროთან შესასვლელად სპეციალური საშვია საჭირო.

– ვინ უნდა გასცეს საშვი? – შეეკითხა ქეთევანი.

– თქვენი რაიონის პროკურატურამ!

– თუ მათ საჩივარზე მოვსულვარ, განა საშვს მომცემს ადგილობრივი პროკურატურა?

– მაშინ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიმართეთ!

– შინაგან საქმეთა მინისტრთან შესვლასაც ხომ საშვი დაჭირდება?

– რა თქმა უნდა დასჭირდება, მაგრამ ეს ჩემი საქმე არ არის. იქაური დაცვა თვითონ გეტყვით, მინისტრთა შესასვლელი საშვი სად უნდა გააკეთოთ.

– კარგი ახლა, გთხოვთ დაუშვათ გამონაკლისი და თვითონ თქვენ მოახსენოთ პროკურორს, რომ საშვი არა მაქვს და გადაუდებელ საქმეზე ვარ მოსული, – წყნარად, მომღიმარი სახით წარმოთქვა ქეთევანმა, თითიდან ოქროს ბეჭედი წაიძრო და ჯარისკაცს შეუმჩნევლად ჩაუცურა ჯიბეში. ჯარისკაცს გაეღიმა.

– ოჰ, რა ხართ ეს ქართველი ქალებიო! – ჩაილაპარაკა და კედელზე მიმაგრებულ ტელეფონს ყურმილი მოხსნა, ცოტა ხანს რაღაცას ჩურჩულებდა, შემდეგ ყურმილი დაკიდა და ქეთევანს უთხრა:

– მიბრძანდით!

– აი თურმე ყველაფერი შეძლებულა, გმადლობთ! – ღიმილით უპასუხა ქეთევანმა და ნოხგადაკრულ ფართო კიბეს აუყვა.

შავტყავგადაკრულ კარებთან მდივანი დაუხვდა, პირველად ნახა ცხოვრებაში ქეთევანმა „მდივანი მამაკაცი“ და გაკვირვებული შესცქერგოდა იმის ათლეტურ აღნაგობას.

– რა საკითხზე მიბრძანდებით პროკურორთან? – თავაზიანად შეეკითხა „მდივანი მამაკაცი“ ქეთევანს და ჟურნალი გადმოიღო გვარის, სახელის, მისამართის და სხვა მონაცემების ჩასაწერად. ქეთევანმა შეკითხვებზე უპასუხა და მდივანმა თავაზიანად შეუღო პროკურორის კაბინეტის პირველი კარები.

ქეთევანი ფართო კაბინეტშია ღმოჩნდა, გაპრიალებულ მაგიდასთან თმაშევერცხლილი მამაკაცი იჯდა. ქეთევანი თავაზიანად მიესალმა, მამაკაცმა სალამზე უპასუხა და სავარძელი შესთავაზა ქეთევანს. კაბინეტში წუთიერი სიჩუმე ჩამოწვა, ქეთევანი ასეთ მიღებას არ ელოდა რესპუბლიკის პროკურორისაგან და აშკარად ეტყობოდა დაბნეულობა, მაგრამ პროკურორმა იხსნა გასაჭირისაგან და ღიმილით შეეკითხა:

– გისმენთ ქალბატონო!.

ქეთევანი გამოერკვა, ძალა მოიკრიბა და თითქოს სხვისი ხმით ალაპარაკდა.

პროკურორი გულისყურით უსმენდა ქალს. ერთი ნაკვთიც არ შეკრთობია სახეზე, მხოლოდ დროდადრო თვალები უფართოვდებოდა, რაც იმის მღელვარებას გამოხატავდა.

ქალმა ლაპარაკი დაასრულა.

– მდა! ფრიად საინტერესოა – თქვა პროკურორმა. – ასეთი არაფერი მსმენია ჩემს პრაქტიკაში. მე თქვენ რესპუბლიკის პროკურატურიდან გამოგიგზაზვნით გამომძიებელს და თუ თქვენი ეგრეთწოდებული საჩივარი დამტკიცდა ყველას თავის ადგილს მივუჩენთ.

– მხოლოდ ერთი სათხოვარი მექნება ბატონო პროკურორო, თქვენ მიერ გამოგზავნილი გამომძიებელი ჩვენი რაიონის პროკურატურაში არ გამოცხადდეს, თორემ ვინ იცის ამ ამბავს რა სარჩულს დაუდებენ ჩვენი ოჯახების მიმართ.

– დარდი ნუ გექნებათ, გამომძიებელი პირადად თქვენი ოჯახებიდან დაიწყებს საქმის ვითარების გამოძიებას.

ქეთევანი ფრიად კმაყოფილი წამოდგა სავარძლიდან, მადლობა გადაუხადა რესპუბლიკის პროკურორს ყურადღებისათვის და წყნარი ნაბიჯით დატოვა ვრცელი კაბინეტი.

გარედან გრანდიოზულ წარმოებას ჰგავდა რუსთავის შრომა–გამასწორებელი კოლონია. (შიგნით

კი ვინ იცის მსჯავრდებულთა გარდა რა სულის-შემხუთველი პირობები დასეირნობდა მავთულხ-ლართებს მიღმა): წითელი აგურით ნაგები თაღო-ვანი შესასვლელით, მწვანეში ჩასმული გაზონები-თა და ყვავილნარით. ნებისმიერი არქიტექტორი გამოტყდებოდა შენობის სილამაზესა და უნაკ-ლოებაში, თუმცა როგორც ვიცით იშვიათად თუ დაგვთანხმდებიან არქიტექტორები იმაზე, რომ ამქვეყნად მათ პროდუქტზე უკეთესებიც არსებო-ბენ. თაღოვანი შესასვლელის მეტალი უზარმაზრ ჭიშკარს ორი თოფიანი, დაბალი, სახეგაბრტყელე-ბული, ცხვირმიჭეჭყილი ჯარისკაცუნა იცავდა. ამ დაწესებულების მხოლოდ ეს ერთადერთი ნიშანი გახლდათ, რომელიც შეხედვისთანავე განასხ-ვავებდა კეთილს–ბოროტისაგან ანუ კოლონიას – ჩვეულებრითი კეთილშობილი შენობისაგან, და გაიძულებდათ გეფიქრათ იმაზე, რომ მხოლოდ ადამიანის გამჭრიახ გონებას თუ შეუძლია შექმ-ნას შედარებითი ქმნილება, რომელიც გამოუც-დელ ადამიანს დააბნევს და ბოროტებას კეითლად აღითქვამს.

შიგნით კი ვინ იცის მსჯავრდებულთა გარდა, რა სულისშემხუთველი პირობები დასეირნობდა მავთულხლართების მიღმა, რომელიც შენობის დამნახველი მიხვდებოდა, თუ როგორ ქრებოდა ბუნებისა და არქიტექტურის ეს სილამაზე „წუ-

ნია ოქსინას“* სილამაზესავით ამ უზარმაზარი ჭიშკრის მიღმა.

სწორედ ეს ჭიშკარი ახლა ღია იყო. გერმანული ნაგაზებითა და ავტომატური თოფებით შეიარაღებულ ბადრაგებს სამუშაოზე გაჰყავდათ პატიმრები, როდესაც შმაგის მამა – დიმიტრი ჭიშკარს მიუახლოვდა. აქ ხომ ადამიანს ვერ იცნობ და დიმიტრი არც ცდილობდა გამოეცნო თავისი შვილი იმ ტანჯულთა რიგებიდან, რომელთა ჩაცმულობაცა და თვალ–ტანადობაც ყველასი ერთგვარია, მაგრამ მოულოდნელად წყობრის შუარიგებიდან. გაისმა – „მამა“ – და ახალგაზრდა კაცმა გვერდზე ფეხის გადმოდგმა სცადა. სასწრაფოდ ავტომატის საკეტი გაჩხაკუნდა, ნაგაზმა დაიყეფა და ქამარი ისე მძლავრად დაჭიმა, კინაღამ ჯარისკაცი წააქცია.

– არ გაბედო შვილო! – შეჰყვირა დიმიტრიმ შვილს და ერთ–ერთი ჯარისკაცის თოფს მკერდით ჩამოეფარა.

მწყობრმა ყეფითა და ყვირილით გზა გააგრძელა, როდესაც ალაყაფის ჭიშკარი დაიხურა და წარსული სილამაზე დაუბრუნდა აწმყოს, დიმიტრიმ კოლონიის უფროსის კაბინეტის კარები მოწიწებით შეაღო და შვილის ნახვის უფლება ითხოვა.

კოლონიის უფროსმა ერთსაათიანი საბურის

---

* „წუნია ოქსინას“ – ავტორს ნაგულისხმევი აქვს – „საღამოები დიკანკის მახლობლად ხუტორში“ – გოგოლის მოთხრობიდან.

ნება მისცა შვილთან მშობელს და კადრების განყოფილებაში გაგზავნა სათანადო საშვისა და საბუთების გასაფორმებლად.

დილიდან საღამომდის ელოდებოდა დიმიტრი შმაგის და როგორც იქნა დადგა ნანატრი წუთები. გზაზე პატიმრების გრძელი მწყობრი გამოჩნდა. როგორც ყოველთვის არც ამჟამად აძლევდა ბადრაგი მსჯავრდებულებს გვერდზე მიხედვით უფლებას და დიმიტრისაც ისე მუნჯურად ჩაუარა მწყობრმა, მოხუცისაკენ მიხედვაც ვერავინ გაბედა.

ცოტაც და ერთი საათის ლოდინის შემდეგ დიმიტრი პატიმართან შესახვედრ სპეციალურ ოთხაში შეიყვანეს. დიდხანს კოცნიდა და ეალერსებოდა მამა–შვილი ერთიმეორეს, როდესაც ხვევნა–კოცნით გული იჯერეს, ერთმანეთი მოიკითხეს.

– როგორა ხარ მამა, როგორ ცხოვრობთ, დედა როგორ არის, რას საქმიანობთ, მართალია გაგტანჯეთ, მაგრამ თქვენ ხომ იცით თქვენი აღზრდილი შვილის ამბავი, რომ მკვლელი არა ვარ!

– ვიცი შვილო, ვიცი, აქამდის მეც ეჭვი მეპარებოდა შენს სიმართლეში, მაგრამ დღეს მახარობლად მოვედი. ის არგასაშვები ცოცხალი ყოფილა და ორი დღის წინათ მშობლებს მოაკითხა ქმართან ერთად სანახავად.

– რას ამბობ კაცო, ვინ ყოფილა ცოცხალი?

– ვინ და ის შენი შორენა!

– არ გამასულელო, მამა, მართლა?

– მართლა შვილო, მართლა, სწორედ იმ ღამით გაპარულა და ვიღაც სომეხს გაჰყოლია ცოლად, როდესაც შენ დაგშორდა!

– მერე გვამი? ის გვამი ვიღასი იყო, რომელიც ტბაში იპოვეს?

– არ ვიცი შვილო, მაგას ახალი გამოძიება დაადგენს.

– თუ ისე დაადგინა, როგორც ჩემმა გამომძიებელმა, მაშინ შენც მოემზადე ციხისათვის.

– მე არა და ის შენი გამომძიებელი კი დროა იხსნიდეს ქამარს.

– ნუ დარდობ – „ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევს“.

– მართალია „ძაღლი ძაღლის ტყავს არ დახევს“, მაგრამ ადამიანი ადამიანის ტყავსაც ხევს და ძვალსაც გამალებით ხრავს.

– არ ვიცი მამა, სათანადო განათლებაც მიმიღია და ცხოვრებისეული გამოცდილებაც, მაგრამ რატომ ხრავენ ადამიანები ერთი–მეორეს ვერ გამიგია. არავისათვის არაფერი არ დამიშავებია, უცოდველი ანგელოზი ვიყავი და ასე უცოდველად მინდოდა შემებიჯებინა დიდ ცხოვრებაში, მაგრამ ადამიანებმა მომისპეს წინსვლის მიზანი, იმხელა ტრავმა მომაყენეს, რომ ჩემგან ვეღარასოდეს ვეღარ გაიღება დიდების კარიბჭე, რაზედაც მუდამ ვფიქრობდი და ვოცნებობდი.

– შენ ვაჟკაცი ხარ შვილო, ისევ უნდა აღადგინო

დაკარგული ოცნება და მიზნები, შენ შენმა სიმართლემ და უცოდველობამ გიხსნა განსაცდელისაგან, ქედის მოდრეკა არ გეკადრება, უნდა უჩვენო მტრებს, რომ შენ იმაზე მეტი შეგძლებია, რასაც ფიქრობდენ.

– ეჰ, მამა, მართალია არ გასულა დიდი დრო ტანჯვა–წამებისა, დამცირებისა და მარტოობისა, მაგრამ ამ დროის მონაკვეთში ვინ მოთვლის რამდენჯერ მწვევია მაცდური ხილვანი, რამდენჯერ მიხეტიალია აზრით დაუსრულებელ ლაბირინთებში და თითქოს მიპოვნია კიდეც პასუხი მარადიულ კითხვებზე, მაგრამ რამდენჯერ უკველოდ გამქრალა თითქოს უკვე მოპოვებული რწმენა. ახლა ყოველივე ეს ენით გამოუთქმელი უნდა დამიბრუნდეს, არცთუ ისე ადვილია ეს დაბრუნება, როგორც წართმევა. რა ვუყო იმ მუდმივ გრძნობებს, რომელიც მუდამ ჩემთან იქნება და საშუალებას არ მომცემს სწორი ფიქრისა და მსჯელობისათვის? რა ვუყო იმ გრძნობას, რომელიც ახლაც ყურში ჩამწივის, რომ სამყარო ესოდენ დიდია, ადამიანის ღვაწლი კი უმნიშვნელო. რა ძალას შეუძლია აღადგინოს ყოველივე ეს ჩემს ორგანიზმში და შურისძიების ტვინის უჯრედები მეცნიერულ თეორიებად გარდაქმნას, რომელსაც კაცობრიობა თავის სასარგებლოდ გამოიყენებს. ადამიანს, რომელმაც მე მუდმივი სიცივე მომანიჭა უდანაშაულოდ. მას მზის ენერგიით მუდმივი სითბო გავუგზავნო? რომელმაც ლუკმა პური მო-

მანატრა, მას ხორბლის ყანები დავუთესო? ვინც წყალი მომანატრა, მას წყარო ავუშენო? თუ გზა გავუნათო მას, ვინც დღის სინათლე წამართვა და წყვდიადში მომისროლა?

– აბა რას ფიქრობ შვილო, რა გაქვს გადაწყვეტილი, ხომ იცი „კამეჩის მოჭიდავე ხარს რქები არ შერჩებაო“ – არის ქართველი კაცის ნათქვამი.

– არა, ცუდს არაფერს არ ვფიქრობ მამა, არც ჭიდაობა გადამიწყვეტია ვინმესთან, მაგრამ არ ვიცი გული როგორ გაუძლებს მოსალოდნელ განსაცდელს, ჩემი უდროოდ განთავისუფლება დაპატიმრებაზე მეტი ტრავმა იქნება ჩემთვის.

– არა შვილო, შენ ადამიანი გქვია და ადამიანმა უნდა იცოდე რისთვის ცხოვრობ, როგორ ცხოვრობ და რომელ წყაროებს ეწაფები წყურვილის მოსაკლავად. უნდა გესმოდეს, რომ შენ ხარ იშვიათი ეგზემპლიარი და ცდილობდე ყველაზე შორეულ, უხილავ ზღუდეს მიაღწიო. შეიძლება ყოველდღე მოგიწიონ ვეებერთელა კეთილთან ბრძოლამ, რომელიც შენს წინ არის აღმართული, მაგრამ უნდა გაანგრიო და თუ ვერ გაანგრევ, უნდა ეცადო, როგორმე ზედ ახოხდე და უსასრულობაში გადაიხედო.

კიდევ ბევრი ჰქონდათ სასაუბრო მამა–შვილს, მაგრამ მოულოდნელად ზედამხედველმა დაიძახა. – „დრო ამოიწურა, შეხვედრა დამთავრებულია!“

ორივე ერთდროულად ზანტად წამოიმართა,

დიდხანს იყვნენ ერთმეორეს ჩახვეულნი და ბოლოს დიდი იმედებით დაშორდნენ ერთმანეთს.

ზონაში დაბრუნებულ შმაგის პირველი ჭუკია შემოეგება:

– რა ამბავი მოვიდა გაღმა სამყაროდან, რაო რა გითხრა შენმა მამამ, როგორ ცხოვრობს ხალხი თავსიუფლებაში? – კითხვების კორიანტელი დაააყარა ქურდმა შმაგის.

– ჯერ არგაგონილი ამბავი მოიტანა მამამ „გაღმა სამყაროდან“ ჩემო ძამიკო!

– მაინც რა ამბავი?

– ჩემს მიერ მოკლული ადამიანი გამოჩენილა საღი და უვნებელი!

– რა მოკლული, ვინ მკვდარი, ვერაფერი ვერ გავიგე!

– როგორ ვერ გაიგე, ადამიანი ვის მკვლელობასაც მაბრალებდნენ საღი და უვნებელი დაბრუნებულა თავის ოჯახში ქმართან ერთად!

– ესე იგი ოჯახიდან გაიპარა, უღალატა შენს სიყვარულს და სხვას გაყვა ცოლად?

– ასე გამოდის!

– მე კი შენი ნალაპარაკები არ მჯეროდა. მართლაც სასწაულია, ასეთი ამბავი ხომ იშვიათად ხდება?

– იშვიათად, მაგრამ მაინც ხდება, ცხოვრებაში ყველაფერი ყოფილა მოსალოდნელი ცხოვრება ეს გამოუფხიზლებელი სიმთვრალე ყოფილა ჩემი აზრით, ეს არის საღი გონების ციებ–ცხელება და ვაი

იმას, ვინც ჩვენს ყოფაში მოხვდება. ყოველდღიური გულისგამაწვრილებელი ფიქრით ისაზრდოვოს და იფიქროს მკაცრი რეჟიმის წყალობით როგორმე შეინარჩუნოს ჯანმრთელობა. როგორც ჩანს ახლა სხვა საფიქრალი გამიჩნდა, ალბათ, მალე გამანთავისუფლებენ და არ ვიცი როგორ შევეგუები ახალ ცხოვრებას იმ სამყაროში, სადაც ჩემს გვერდით ჩემი დაუძინებელი მტრები იარსებებენ.

– ნუ ჩქარობ, არც ასე უცებ მოხდება შენი განთავისუფლება. შეცდომის საფუძველზე რომ გაგანთავისუფლონ, კანონის ძალით უნდა აგინაზღაურონ დაკარგული დრო ასი პროცენტით და დაგაკმაყოფილონ სამთვიანი უფასო საგზურით სულიერი დამშვიდებისათვის. ყოველივე ეს რომ გაკეთდეს უნდა გამტყუნდნენ მართლმსაჯულების სადარაჯოზე მდგომი პირები, რომლებმაც სასჯელი გამოგიტანეს, მაგრამ გგონიათ თავს გაიმტყუნებენ?

– აბა შენ როგორ გგონია, ასე განუკითხავად გაგრძელდება ჩემი აქ ყოფნა?

– არა, გაგათნთავისუფლებენ, მაგრამ ისევ სასამართლოს ძალით, რომლებიც რაღაც ახალ დანაშაულს გამოგიჩხრეკენ, გაგასამართლებენ, გაკმარებენ ნაჯდომ დღეებს და გაგანთავისუფლებენ, ამას კი დრო უნდა...

– მე პროტესტს განვაცხადებ და საერთოდ არ გვალ სასამართლოზე.

– არ გახვალ და მაგათაც ეს უნდათ, სწორედ

ურჩობის სარჩულს დაგიდებენ და იყავი ჩვენთან ერთად, ვინ გიშლის.

– აბა როგორ მოვიქცე, ბოროტმოქმედთა სამყარო შენ უფრო იცი ვინმემ მე, რასა მირჩევ რა მოვიმოქმედო, რომ ახლა მაინც დავაღწიო თავი ამ დაუმსახურებელ, აუტანელ პირობებს?

– მაგ საკითხზე მე თვითონ ვიზრუნებ, გვერდით ამოვიყენებ ყველა პატიმარს, გავიფიცებით და დუყოვნებლივ მოვითხოვთ შენს განთავისუფლებას, მაგრამ როდესაც აქედან თავს დააღწევ, რას ფიქრობ?

– დღევანდელი ამბავი ჩემთვის მოულონედი იყო და იმდენად თავზარდამცემი, რამდენადაც დაპატიმრება. მომავალის გეგმები ჯერ არ დამისახავს, მაგრამ შურისძიებაზე ალბათ არასოდეს ვიფიქრებ, რადგან ბაქიაობა არ მიყვარს. აქ ყველა ფიქრობს შურისძიებაზე, ტრაბახობენ კიდეც, შემდეგ კი როდესაც თავისუფალი ცხოვრება გაუტკბებათ, ყოველივე ავიწყდებათ.

– ქალებს ავიწყდებათ წარსული, კაცები კი წარსულის ღვარძლითა და მომავლის იმედით ცხოვრობენ. შურისძიება საკმაოდ ბოროტად არის წარმოდგენილი მისივე უკეთური სახელით და მაინც შეიძლება ითქვას, რომ ესაა საღი აზრი სიამაყისა, ვაჟკაცობისა, თავდადებისა და სახელის მოხვეჭის უმოკლესი და ყველაზე კეთილშობილური გზა.

– შენ რას მირჩევ, ისევ აქ შემოვბრუნდე?

– არა, ღმერთმა დაგიფაროს, შენ ქებას იმსახუ-

რებ ჩემს თვალში იმ ღირსების გამო, რომელიც გაგაჩნია. დაუსჯელად დატოვო ჯალათი, რომელმაც შემთხვევით ააცილა ნაჯახი შენს კისერს, ეს დიდ მოთმინებასა და ადამიანთა სიყვარულზე მეტყველებს.

– ეჰ, ჩემო მეგობარო, შენზედ უკეთესად ვინ გამიგებს, თუ როგორ ვეწამებით რათა გულში ჩავიკლათ შურისძიების ბოროტი განზრახვა. ეს წამება ხშირად უფრო სასტიკია ვიდრე ბოროტმოქმედების ჩადენა, მაგრამ კეთილშობილი ადამიანები არ დაგიდევენ საკუთარი ხორცისა და სულის ტანჯვას, რათა გადაარჩინონ უკეთესი ადამიანები და ბოროტება კეთილისაკენ შემოაბრუნონ...

– შენ მართლაც კეთილშობილი ადამიანის ხარ შმაგი, შენთვის არ არის ბოროტმოქმედთა სამყარო შექმნილი, იცხოვრე თავისუფლებაზე შენი კაცთმოყვარეობის ზნე–ჩვეულებით, ვინ იცის იქნებ გაგიმართლოს კიდეც და შენისთანა პატიოსანი ხალხისათვის შექმნა ცხოვრების უკეთესი პირობები. ახლა კი წავიდეთ, ვიცნობოთ ჩვენს პატარა სამყაროს შენი უდანაშაულობა და მოვითხოვოთ დროულად განთავისუფლება.

ჭუკია წამოდგა და შმაგი ათასი ფიქრით თავგამოტენილი დარცხვენილივით გაჰყვა უკან.

კანონიერი ქურდი დიდი პრივილეგიებით სარგებლობს ბოროტმოქმედთა სამყაროში, ამიტომ რამოდენიმე წუთში შეძლო ერთად შეეკრიბა ყველა მსჯავრდებული და მათ წინაშე სიტყვით გამოსულიყო:

– მეგობრებო – დაიწყო მან – ბოროტმოქმედთა სამყარო, როგორც ამას დღევანდელი ხელისუფლება უწოდებს, ბოროტმოქმედთა მასას უნდა წარმოადგენდეს. მე პირადად და არც ერთი ჩვენგანი არ არის მომხრე სახელმწიფოში ქაოსი სუფევდეს და ბოროტმოქმედი დაუსჯელი დასეირნობდეს თავისუფლებაში, მაგრამ სავალალოდ ასეც ხდება, რომელი ერთი ჩვენთაგანი ადგება და იტყვის, რომ სასჯელზე კმაყოფილია? თითქმის ყველას თავისი კუთვნილი სასჯელი ან „ნაყიდი“ აქვს ან მთელი სიმკაცრით არის „დაჯილდოვებული“, მაგრმ ვხვდებით გაუთვალისწინებელ სასჯელსაც. სრულებით უდანაშაულო ადამიანი ჩვენს გვერდით იხდის სასჯელს.

ჩვენ ყველანი კარგად ვიცნობთ შმაგი დიმიტრის ძე მგალობლიშვილს, რომელსაც შეყვარებულის გაუპატიურებისა და მკვლელობისათვის მოსჯილი აქვს თორმეტი წლით თავისუფლების აღკვეთა, მაგრამ ისმის კითხვა: სწორია განაჩენი? როდესაც ის ადამიანი ვისი მკვლელობისთვისაც სასჯელს იხდის ბოროტმოქმედი, დღეს თავისუფლად დასეირნობს და „ცა ქუდად არ მიაჩნია, დედამიწა ქალამნად“. ისევ ჩვენ, არაფრის შემძლენი უნდა ამოვუდგეთ მხარში უდანაშაულო ადამიანს და გავაძეოთ ჩვენი რიგებიდან. მე არავის არ ვაავალებ, მხოლოდ ყველას ვთხოვ ხვალიდან ზონაში გამოცხადდეს მწოლიარე შიმშილი, რათა ვიხსნათ განსაცდელისაგან ადამიანი.

ზონას ელვის სისწრაფით მოედო შმაგის უდანაშაულობა და უკლებლივ ყველამ უთანაგრძნო.

მეორე დღეს, როგორც ყოველთვის დილით ადგომა გამოცხადდა, მაგრამ ადგილიდან არც ერთი არ განძრეულა და ჭუკიამ კოლონიის უფროსი მოითხოვა. მოთხოვნილების ადგილზე გამოცხადდა კოლონიის უფროსი, რომელსაც აშკარად ეტყობოდა აღელვება და მოსვლისთანავე მუქარით დაიწყო.

– მე თქვენ გასწავლით შიმშილსა და გაფიცვას, ყველას ციმბირში გიკრავთ თავს, ჩემს ზონას კი ახალი ეტაპით შევავსებ. რას მოითხოვთ, რა გინდათ, გაძეხით და გინდათ ენერგია გახარჯოთ? აბა როდის იყო მშიერი ადამიანი პურის მეტს ითხოვდა რაიმეს?

– დაწყნარდი უფროსო – ზეზე წამოდგა ჭუკია და კოლონიის უფროსს წინ დაუდგა – ნუ შეგვაშინებ ნურც შიმშილითა და ნურც ციმბირით, ჩვენ შეშინებულები ვართ და ყველაფერი გვაქვს გამოცდილი. ასე მკაცრად რად გველაპარაკებით, ჯერ ჩვენი მოთხოვნა მოისმინეთ, იქნებ სამართლიანია და არ არის საფუძველს მოკლებული. ჩვენ გვჯერა, რომ ბევრის შემძლე ბრძანდებით, მაგრამ თქვენი კოლეგები ყველა ბოროტად როდი იყენებს თავის შესაძლებლობას. ჩვენ კი ნუ დაგვძრახავთ იმისათვის, რომ მეტის შესაძლებლობა არა გვაქვს და ვიყენებთ ჩვენს უკიდურეს შესაძლებლობას, რათა ცოტაოდენ სიმართლეს მაინც

მივაღწიოთ და ჩვენი რიგებიდან გავანთავისუფ-ლოთ სრულიად უდანაშაულო ადამიანი შმაგი დი-მიტრის ძე მგალობლიშვილი.

– ღმერთო ჩემო – ცოტა დატკბა კოლონიის უფ-როსი – მე რისი გამთავისუფლებელი ვარ, ნუთუ თქვენს შეგნებამდის არ დადის, რომ მე თქვენი ბადრაგი ვარ, ანუ ეგრეთწოდებული საწყობის გამგე, რომელსაც მონდობილი მაქვს თქვენი დაც-ვა ისე, როგორც ფქვილით სავსე ტომრისა, რომ ტომარა თაგვმა არ გაღრღნას. მე შემიძლია თქვენ შეგიცვალოთ ადგილი, რადგან ვატყობ თქვენს გულში მღრღნელმა დაიბუდა. ამასაც გავაკეთებ, რომ სხვა საწყობში უფრო თავისუფლად იგრძ-ნოთ თავი. მე არავინ არ მეკითხება ვინმე დავი-ჭირო ან გავათავისუფლო, ამ საქმეს მართლმსა-ჯულება განაგებს და როდესაც მათ მიერ შმაგი მგალობლიშვილის განთავისუფლების სათანადო საბუთებს მივიღებთ, ჩვენ მას აქ ერთი წუთითაც არ გავაჩერებთ.

– დღევანდელი მართლმსაჯულება ესაა სიყვა-რული თავის კოლეგებისა და ყოველივე იმის მი-მართ, რაც მათ თავის სასიკეთოდ და სასარგებ-ლოდ ევლინებათ.

ვერაფერი შეედრება მათი ვნების სიმძაფრეს, ზრახვების იდუმალებას. მისწრაფებების ცბიერე-ბას, გონებამიუწვდომელია მათი მოქნილობა და ფერისცვალება. მათ წინაშე ხუნდება ადამიანთა სიკეთე და იგივდება ბოროტებასთან. ანგარიშ-

მიუცემლად ასაზრდოვებენ თავიანთ უკეთურ ზრახვებს და ზრდიან ურიცხვ სიძულვილს ჩვენ მიმართ და ბოლოს ისეთ ურჩხულებად გვხატავენ, რომ შეძრწუნებული მშრომელთა მასა ყოველნაირად ცდილობს მოგვკვეთონ საზოგადოებას.

მათი უკუნეთიდან დასაბამს იღებს მათივე ბრიყვული თვითრწმენა, მათი ცდომილება, უმეცრება, უხეში და უგვანო შეცდომების საფუძველზედ, რომელთა მსხვერპლი ყოველთვის ჩვენ გახლავართ.

ისინი საჭიროების შესაბამისად მბრძანებლებიც არიან და მონა–მორჩილნიც, გულწრფელნიდა თვალთმაქცნიც, ლმობიერნი და ულმობელნიც, მხდალნი და მამაცნიც: აი ჩვენი დღევანდელი მართლმსაჯულების ზუსტი ხატება.

– შენ ქურდი კი არა ორატორი უნდა გერქვას – თქვა კოლონიის უფროსმა და განაგრძო – მე რაც შემიძლია დახმარებას გაგიწევთ, პატიოსან სიტყვას გაძლევთ დღესვე შევატყობინებ შინაგან საქმეთა სამინისტროს თქვენს მოთხოვნას და პასუხს დაუყოვნებლივ გაცნობებთ, თქვენ კი შეგიძლიათ ენდოთ ჩემს პატიოსან სიტყვას, შეწყვიტოთ შიმშილი, სამუშაოზე გახვიდეთ და გეგმას ნუ ჩამიგდებთ.

– სიტყვის პატიოსნება, ნახმარი საჭიროებისათვის, შინაგანი სიმშვიდის თუ მღელვარების გამოძახილია და ჩვენი ცხოვრების მოვლენებზე როდია დამოკიდებული. მათ შესრულებას კიდევ ზემ-

დგომი ორგანოები განაგებენ, ამიტომ ნუ გვიწყენ უფროსო, თუ დაველოდებით სამინისტროდან მოსულ პიროვნებას ან მათ მიერ დამტკიცებულ პასუხს – უთხრა ჭუკიამ.

– ნება თქვენია, მაგრამ არ მინდა ცუდად დამთავრდეს თქვენი სიჯიუტე, თქვა კოლონიის უფროსმა და წასასვლელად შეტრიალდა.

– დიდი საქმის კეთებისას იმაზე კი არ უნდა ვიზრუნოთ, რომ ხელსაყრელი და სარფიანი პირობები შევიქმნათ, არამედ იმისათვის, რომ ხელიდან არ გავუშვათ არც ერთი ხელსაყრელი შესაძლებლობა, თუგინდ მაშინაც კი, როდესაც ვიცით ჩვენდასაკეთილდღეოდ არ დამთავრდება წამოწყებული საქმე – წასვლისას სიტყვა დაადევნა ჭუკიამ, კოლონიის უფროსმა ამჟამად არაფერი უპასუხა, ხელი ჩაიქნია და ზონიდან გავიდა.

კოლონიის უფროსმა სიტყვა შეასრულა, შინაგან საქმეთა სამინისტროს აცნობა კოლონიაში მომხდარი დებოშის შესახებ ყოველივე წვრილმანი და არც მათ დააყოვნეს პასუხი.

რამდენიმე წუთის შემდეგ შავი ვოლგა მოადგა კოლონიის ფართო ჭიშკარს და კოლონიის უფროსის კაბინეტში ორი მაღალჩინოსანი პირი შევიდა, დაწვრილებით მოისმინეს კოლონიის უფროსისაგან ზონაში მომხდარი დებოშის მიზეზი, შემდეგ დებოშის მოთავენის პირადი საქმეები მოითხოვეს სპეციალური ნაწილიდან და რვა მოთავის პირადი საქმე გვერდზე გადადეს შორეული ეტაპისათვის,

რა თქმა უნდა მათ შორის იყო ქურდი ჭუკიაც, ხოლო შმაგი მგალობლიშვილის საქმე შეაჩერეს რესპუბლიკის პროკურორის შუამდგომლობით ახალი გამოძიებისათვის.

მეორე დღეს დებოშის მოთავე რვა პატიმარი თბილისის ციხეში გადაიყვანეს ეტაპისათვის, ხოლო კოლონიაში დილით ჩვეულებრივი სამუშაო დღე დაიწყო.

კოლონიაში როდესაც სიწყნარე და სიმშვიდე დამყარდა, ხოლო აქა–იქ შეშინებული პატიმრები ჩუმად საუბრობდნენ, ამავე დღეს კოლონიის უფროსის კაბინეტის კარები, ათლეტური გარეგნობის მქონე ახალგაზრდა კაცმა შეაღო და გაპრიალებულ მაგიდასთან მშვიდად მჯდომ კოლონიის უფროსს წარუდგა:

– ზვიადი ზაალის ძე ზვიადაური, შინაგან საქმეთა სამინისტროდან!

– გისმენთ ბატონო! – ფეხზე წამოიჭრა აქამდის მშვიდად, მჯდომი კოლონიის უფროსი და ხელი მოწიწებით გაწუოდა მოსულს.

– დავალებული მაქვს ახალი ძიება ვაწარმოო შმაგი დიმიტრის ძე მგალობლიშვილის საქმის ირგვლივ, თუ თქვენთვის სიძნელეს არ წარმოადგენს, გთხოვთ გამოუძახოთ მსჯავრდებულს და სპეციალური ნაწილიდან იმისი საქმეც გამოითხოვოთ! – წყნარად წარმოეთქვა ახალგაზრდა კვალმაძიებელმა და პირადობის მოწმობა გაუწოდა კოლონიის უფროსს.

– ახლავე ბატონო! – წარმოთქვა კოლონიის უფროსმა და ტელეფონის ყურმილს დასწვდა.

ტელეფონით საუბრის ორიოდე წუთის შემდეგ კოლონიის უფროსმა ყურმილი წყნარად დადო და გამომძიებელს გაუღიმა, თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ კი ორმა ბადრაგმა კაბინეტში შმაგი მგალობლიშვილი შემოიყვანა, რომელთაც უკან მაიორის ჩინიანი ჩამრგვალებული ქალი შემოჰყვა. ქალმა გამომძიებელს შმაგი მგალობლიშვილის საქმე, რომელიც სქელ საქაღალდეში იყო მოთავსებული წინ დაუდო და ღიმილად დაფერფლილმა უფროსის კაბინეტი დატოვა. ქალს შმაგის მომყვანმა ბადრაგებმაც წაბაძეს და კაბინეტში სამნიღა დარჩნენ.

გამომძიებელი გამალებით იწერდა შმაგის პასუხს, რომელმაც სკოლის მერხიდან დაიწყო და დღემდე განცდილსა და გადატანილს ჰყვებოდა: მან თითქმის შეუცდომლად გაიმეორა იგივე, რაც დუშეთში სახალხო სასამართლოს დროს და დაუმატა:

– როგორც გუშინ გავიგე, შორენა სახლში არ შესულა და იმ ღამესვე გაპარულა: ქმრად ვიღაც სომეხი აურჩევია, მე კი ცოცხალი ადამიანის სიკდვილს შემედავნენ და თორმეტი წლით მომისაჯეს თავისუფლების აღკვეთა...

– გუშინ საიდან გაიგეთ, რომ შორენა ცოცხალი იყო? – სიტყვა შეაწყვეტინა პატიმარს გამომძიებელმა.

– მამა იყო ჩემთან სანახავად და ის მომიყვა ყოველივე.

– კიდევ რა გითხრათ?

– მეტი არაფერი, ოჯახში მოსულა ქმართან ერთად მშობლების მოსანახულებლად, მაგრამ შორენას მშობლები კეთილშობილი ხალხია და შვილის მიღებაზე უარი განუცხადებიათ.

– თქვენ როგორ ფიქრობთ, გვამი რომელიც ტბაში იპოვეს, ვისი უნდა იყოს? ადამიანი ჩიტი ხომ არ არის ასე უგზო–უკვლოდ დაიკარგოს მშვიდობიან ქვეყანაში?

– ჩემ მიერ ძნელია მაგ შეკითხვაზე პასუხის გაცემა, სწორედ მაგ უცნობი გვამის აღმოჩენამ დამღუპა, მე რომ იურიდიული დამემთავრებინა აქამდის ვაღიარებდი მკვლელსაც და გვამის მეპატრონესაც, მაგრამ მე ხომ მსახიობი ვარ?

– ნუ იდარდებ, ახალგაზრდა ხარ, ცხოვრება წინ გაქვს, ხანდისხან ქედიც კი უნდა მოუხარო მუხთალ ბედს, მაგრამ იმედი არ უნდა დაკარგო. დღეს თუ ხვალ გაგანთავისუფლებენ და შენ იცი როგორი ახალგაზრდული ენერგიით შეუდგები ახალ ცხოვრებას. საკადრის სასჯელს ჩვენ თვითონ მივაგებთ ყველას, შენ კი მეგობრულად დამირიგებიხარ, არავითარი შურისძიება გულში არ გაივლო. შენ კიდევ შეგიძლია ყველას დაუმტკიცო შენი განათლება და მაღალი ღირსება, არის შემთხვევა, ღირსეული კაცი დიდ გავლენას ვერ აღწევს, მაგრამ შეუძლებელია გავლენის მიღწევა ღირსებისა და განათლების გარეშე. მე შენში ორივეს ვხედავ და ნამდვილად მენანება შენს მიერ

მუქთად დაკარგული დრო. თუმცა ეს „სკოლაც“ კარგი იყო შენთვის, დაინახე ადამიანთა მზაკვრობა და ქალის ბუნება, ახლა მეტი გამოცდილება გაქვს და მწამს აქ გატარებული ორიოდე დღე ვერ გარდაგქმნიდა, შენ ისევ ისე პატიოსნად გააგრძელებ ცხოვრებას თავისუფლებში, რომელსაც წინასწარ გილოცავ და წარმატებას გისურვებ.

ორსაათიანი საუბრის შემდეგ გამომძიებელმა მაგრად ჩამოართვა ხელი შმაგის, კიდევ ერთხელ მიულოცა მომავალი თავისუფლება, წარმატება უსურვა ცხოვრებაში, კოლონიის უფროსსაც თავაზიანად გამოემშვიდობა და წავიდა.

შმაგი იმავე დღეს საგამომძიებლო იზოლიატორში გადაიყვანეს, აქამდის არაფერზედ ფიქრობდა კაცი, წინ სასჯელის წლები ჰქონდა მოსახდელი, მაგრამ ახლა კი სულიერად აფორიაქდა. ყოველ წუთს ელოდა განთავისუფლებას, მაგრამ ეს ნანატრი თავისუფლება რატომღაც იგვიანებდა. ოჰ, რა ძნელია ლოდინი. გაახსენდა როდესაც შორენამ პაემანზე დაიგვიანა მხოლოდ ხუთი წუთი და მთელი კვირა გაბუტული იყო. ახლა კი წუთები კი არა დღეები გადიან და ვის გაებუტოს?

ყველაფერში ისევ და ისევ ადამიანები არიან ადამიანთა მიმართ დამნაშავენი. ადამიანის ლოდინიც ვიღაცის ძალმომრეობიდან იღებს სათავეს და იმ „ვიღაცას“ სიამოვნებს ადამიანის ტანჯვა. ლოდინი ერთ–ერთ ტანჯვად მიმაჩნია და არც ისე დიდხანს გაგრძელდებოდა ეს ბოროტება, რომ

იყოს შემცოდე, მაგრამ უკაცრავად, როგორ შეიძ-ლება მოვძებნოთ თანამდებობით თავბრუდახ-ვეული ისეთი კაცი, რომ ან თავქარიანი არ იყოს ანდა ფუქსავატი, არც ნაკლები გააჩნდეს და არც ძალმომრეობის წარმოსახვა?

ადამიანები, როდესაც პირველად შედიან მაღა-ლი საზოგადოების წრეში, მორცხვები და მოკრ-ძალებულნი ჩანან, იციან თავდაჯერებულობა და სითამამე თავხედობად აღიქმება. ცოტაც და თვი-თონ მაღალი საზოგადოება აძლევს ახალბედას ბიძგს ჩაიდინოს ყოველივე ის, რაც დასაბამიდან მოსდევს მაღალი ფენის საზოგადოებას, და გგო-ნიათ მათ არ ესმით თავიანთი შეცდომების შე-ლამაზებას? და გგონიათ ოსტატურად ვერ მიჩქ-მალავენ, რაც თვითონაც საძრახისად მიაჩნიათ? რა თქმა უნდა ამას ახერხებენ არა მაღალი თანამ-დებობის წყალობით, არამედ მაღალ საზოგადო-ებაში აღზრდით, მათ გვერდში გამოწრთობითა და გამოქნილებით. ასეთ ფიქრებში ჩაძირული, ოთხ კედელში გამომწყვდეული ადამიანისათვის გამორიცხული არ არის ლოდინს ბოროტად ემოქ-მედა შმაგის ნერვულ სისტემაზე, ოდნავ მაინც არ შეერყია იმისი ჯანმრთელობა და ეს ცვლილება შესამჩნევი არ ყოფილიყო ზედამხედველისათვის. მაგრამ პატიმრის ცვლილებას ვერავინ ამჩნევდა, როგორც პატიმარი, ასევე ზედამხედველები მხო-ლოდ მსჯავრდებულის განთავისუფლების დღეს ელოდებოდნენ და გამომძიებლის ბოლო დაკითხ-

ვიდან ერთი კვირის შემდეგ დადგა ნანატრი დღე, შმაგი მგალობლიშვილი უმაღლეს სასამართლოს წარუდგინეს.

სასამართლო სხდომა დახურული იყო, როგორც პირველად, შმაგის არ ჰყოლია დამცველი, ამჟამად არც პროკურორს ულაპარაკია პატიმრის ავ ბედზე, განაჩენი წინასწარ გამოტანილი იყო და მოსამართლემაც პირდაპირ დაიწყო:

– საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესმა მართლმსაჯულების ორგანომ შეისწავლა რა შმაგი დიმიტრის ძე მგალობლიშვილის უდანაშალუობანი, უმაღლესი სახალხო სასამართლო ადგენს:

გაუქმდეს სასჯელი შეცდომით სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული შმაგი დიმიტრის ძე მგალობლიშვილის მიმართ, მიეცეს კანონით დადგენილი შეღავათები, რაც გამოიხატება გაცდენილი დღეთა მატერიალური ანაზღაურებით და სამი თვით უფასო საგზური წყნეთის პანსიონატში.

მაგრამ შეღავათები გამორიცხულია წინასწარი ძიებისაგან დადგენილი მასალებიდან, კერძოდ ძიების შეცდომაში შეყვანისათვის და სასჯელის ადგილზე მოხდის უდისციპლინობისათვის, რაც დასტურდება შრომა–გამასწორებელი ადმინისტრაციის მიერ გაცემული დახასიათებიდან. აქედან გამომდინარე საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო ადგენს:

წინასწარი ძიების შეცდომაში შეყვანისა და სასჯელის მოხდის პერიოდში უდისციპლინობისათვის შმაგი დიმიტრის ძე მგალობლიშვილს მიესაჯოს თავისუფლების აღკვეთა ექვსი თვის ვადით, ნაჯდომი დღეები ჩაეთვალოს ყოველგვარი შეღავათის გარეშე და განთავისუფლებული იქნეს სასჯელისაგან...

შმაგი გულისყურით უსმენდა მოსამართლეს. არც ერთი ხმა, არც ერთი შეკამათება, მხოლოდ მოსამართლემ როგორც კი განაჩენის წაკითხვა დაამთავრა და საქაღალდე დახურა, სიცილი აუტყდა ყოფილ პატიმარს, რომელიც თანდათან ისტერიკაში გადაიზარდა, შემდეგ თვალები გაუფართოვდა, ნიკაპი აუკანკალდა და ცეკვა დაიწყო, სუფთა „ქართულით“ ჩამოუარა წრეს და მოსამართლე გამოიცეკვა.

მოსამართლე სინანულით მიჩერებოდა ახალგაზრდა კაცს, რომელიც ნამდვილად გაგიჟებულიყო და დაცვის უფროსს გადაულაპარაკა: – გამოეყო ორი ბადრაგი და სახლამდის უვნებლად მიეცილებინათ ყოფილი პატიმარი.

მოსამართლემ საქაღალდე იღლიაში ამოიჩარა და დარბაზიდან გავიდა, დაცვის უფროსი კი მოსამართლის ბრძანების შესრულებას შეუდგა.

საღამო იყო მოახლოვებული, როდესაც ორმა ბადრაგმა შმაგი საკუთარ ოჯახში მიიყვანა და დიმიტრის ჩააბარა, შეიკრიბნენ მეზობლები, კეთილნათესავები, ნაცნობითა და უცნობით გაივ-

სო ეზო, ულოცავდნენ შმაგისა და ოჯახის ყველა წევრს შმაგის სიმართლეს და უვნებლად დაბრუნებას, მაგრამ როდესაც შმაგიმ არეულად დაიწყო ლაპარაკი და „მარსელიოზას“ სტვენა, ყველას სიბრალულის ცრემლები მოადგათ თვალებზე.

მეორე დღიდან შმაგის გიჟად იცნობდნენ, ის ერთთავად ჩაფიქრებული დადიოდა და გზებზე თეატრალურ ნიღბებს ხატავდა.

ტიროდა შმაგის დედა და მამა, დები და ძმა, ძლიერ განიცდიდნენ შმაგის ავადმყოფობას, მაგრამ ვერაფერს შველოდნენ, ექიმთან მიყვანის ეშინოდათ, „ვაი რომ საგიჟეთში გაგზავნონო“. არადა დაშავებით არაფერს აშავებდა ავადმყოფი, ეტყოდი რაიმეს – გიპასუხებდა, აჭმევდი – შეჭამდა თუ არა და მთელი დღე ჩუმად დადიოდა ტუჩების ცმაცუნით, საკუთარ თავს ესაუბრებოდა. არც ჭამა ახსოვდა და არც სმა, მტვერში ხაზავდა და ხატავდა ახალ–ახალ ფორმის თეატრალურ ნიღბებს, რომლებიც ზოგი იცინოდა და ზოგი ტიროდა. როდესაც წარმატებას მიაღწევდა გულიანად გაიცინებდა, ასანთის კოლოფს ჰაერში შეათამაშებდა და სახლში წავიდოდა.

ერთ დღეს ფიქრებში წასულ შვილს დიმიტრი მიუახლოვდა და უთხრა:

– შვილო, რაღაც მინდა გკითხო, შეგიძლია მომისმინო?

– ბრძანე მამა, თუმცა ხომ იცი გიჟს არაფერს ეკითხებიან!

– არა შვილო, შენ მხოლოდ დღისით ხარ გიჟი, ღამით კი არა, რატომღაც შენს ავადმყოფობაში სიგიჟეზე მეტად ნაღველი იმალება, ნუ დაგვწყვიტავ მთელ ოჯახს, გვითხარი რაიმე, შენ უფრო შეძლებ შენს მკურნალობას, ვინმე სხვა გაიგებს შენს სატკივარს.

– სწორი ბრძანებაა მამა, მე უფრო მესმის ჩემი სატკივარი, ვიდრე სხვას, მაგრამ ნუ იჯავრებთ, დადგება დრო მე განვიკურნები, თუ ხელს გიშლით საერთოდ წავალ ოჯახიდან და არ დაგენახვებით.

– რას ამბობ შვილო, ხელს როგორ გვიშლი, მაგრამ მე მამა ვარ ბიჭო, მინდა შენი სატკივარი გავიზიარო და ტკივილი შეგიმსუბუქო.

– მე არაფერი არ მტკივა, ხვალიდან ტყეში ვივლი ბუნებაში, ცოტა გულსაც გადავაყოლებ და ზამთრისთვის თითო ხესაც მოვიტან ყოველ დღე.

– არ მინდა შვილო შენი მოტანილი არაფერი, მხოლოდ შენ იყავი კარგად და შეშა რად გინდა მე დავიწვები შენი გულის გასათბობად.

– გეუბნები მამა მომეცი დრო, მე თვითონ გამოვჯანმრთელდები, შემდეგ ვეცდები დიდი თანამდებობა შევიძინო, რომ ზემოდან მეც პაწაწინა დავინახო ჩვენი მტრები.

– ხანდახან რა კარგად და ჭკვიანურად ლაპარაკობ შვილო, ხანდახან კი გული მიღონდება შენს შემყურეს.

– არ არსებობს ისეთი გიჟი, სიბრძნე არ წამოც-

დენოდეს და არც ისეთი ბრძენი სიგიჟეში არ იყოს მხილებული, დარდნი ნუ გაქვს მამა, მე ან სიგიჟით მივაღწევ მიზანს ან სიბრძნით, შემდეგ კი მოვისვენებ.

– მაინც რა გაქვს გადაწყვეტილი შვილო, გამიღეგული, აბა სად ნახავ ჩემზე ერთგულ დამხმარესა და მესაიდუმლეს?

– გადაწყვეტილი მაქვს გამოსაფხიზლებელის აშენება ბედნიერებისაგან მთვრალებისათვის.

– ეჰ, ისევ ის აურიე შვილო, ნეტავი გამაგებინა რა მეშველება! – თქვა დიმიტრის, ხელი ჩაიქნია და დამძიმებული ნაბიჯით გასცილდა შვილს.

მეორე დღიდან მართლაც ტყეში დაიწყო შმაგიმ სიარული. დილით ადრე წავიდოდა და საღამოს ბრუნდებოდა დაღლილ–დაქანცული. უზარმაზარი ხით ბეჭზე გადებული. უშლიდნენ ოჯახში, მაგარმ ვერ იქნა და ვერ გადააჩვიეს ამ ახირებულ ჩვევას ავადმყოფი, ბოლოს ოჯახის წევრებსაც მოსწყინდათ ავადმყოფზე ფუჭი შეგონება და ისიც აუღელვებლად ასრულებდა თავის მისიას.

ᲨᲣᲠᲘᲡᲫᲘᲔᲑᲐ

შინდისფერი „ჟიგული“ რაიონის პროკურატურის წინ გაჩერდა, ავტომანქანაში ერთი იჯდა, მძღოლიც ეს იყო და მგზავრიც. მგზავრმა ახალგაზრდული შემართებით აირიბნა მარმარილოს კიბეები და პროკურორის მდივანმა პროკურორთან შესვლის უფლება სთხოვა:

– არ არის ადგილზე, თათბირზეა წასული! – მკაცრად წარმოთქვა მდივანმა და მოსულს ზურგი შეაქცია.

– მე სამინისტროდან გახლავართ, აი ჩემი პირადობის მოწმობა! – უთხარ მოსულმა და პირადობის მოწმობა მიაწოდა.

– ბოდიში ბატონო! – ღიმილად დაიფერფლა მდივანი – მე კი სხვა მეგონეთ, ახლავე მოვახსენებ ბატონ დავითს თქვენს მობრძანებას. – თქვა მდივნმა და პროკურორთან შევიდა.

ცოტა ხნის შემდეგ მდივანმა კარები ფართოდ გააღო და ახლაგაზრდა კაცს თავაზიანად შესთავაზა:

– შებრძანდით!

ახალგაზრდა კაცი პროკურორის კაბინეტში შევიდა, ზრდილობიანად მიესალმა სავარძელში ჩაფიქრებულ პროკურორს და თავისი პიროვნება წარუდგინა.

– შინაგან საქმეთა სამინისტროდან გახლავართ, გამომძიებელი ზვიადი ზაალის ძე ზვიადაური, დავალებული მაქვს...

– ჩემი დაპატიმრება? – სიტყვა შეაწყვეტინა პროკურორმა გამომძიებელს.

– როგორ გეკადრებათ ბატონო დავით, დავალებული მაქვს შმაგი მგალობლიშვილის საქმისა და ბაზალეთის ტბაში ნაპოვნის გვამის გამოძიება. მე, როგორც წესი მოითხოვს, პირველად პროკურატურაში გამოვცხადდი, რომ საქმის კურსში თქვენც ჩაგაყენოთ და თუ დამჭირდება დახმარება აღმომიჩინოთ.

– ძალიან კარგი, მაგრამ ვერავითარ დახმარებას ვერ გაგიწევთ, დღეიდან მე პროკურორი აღარა ვარ. დილით ჩემი გადარჩევის დადგენილება მივიღე რესპუბლიკის პროკურორისაგან, ჩემი ბედი გაიზიარა მოსამართლე არჩილ არაბულმაც. დაგვღუპა იმ ძაღლის ნაშიერმა ირონდი წიკლაურმა, დღესაც არ გვჯერა ამდენი ხნის მუშაკი როგორ შეგვიყვანა შეცდომაში, მაგრამ არც თვითონ წაუვიდა კარგად საქმე, ძიებაშია და ვნახოთ რა იქნება ბოლოს.

– შეცდომისათვის არავის იჭერენ ბატონო დავით! – დააიმედა ზვიადაურმა პროკურორი და კაბინეტის კარები წყნარად გაიხურა.

საგონებელში ჩავარდა ახალგაზრდა გამომძიებელი, სრულებით არ მოელოდა რაიონში ამხელა ცვლილებას, კინაღამ გადაწყვიტა დედაქალაქში დაბრუნება და საქმის აცილება, მაგრამ გადაიფიქრა და „ჟიგული“ ბაზალეთის ტბისაკენ შემოაბრუნა. რამოდენიმე წუთის შემდეგ გამომ-

ძიებელი ტურისტულ ბაზის დირექტორის კაბინეტში სავარძელში იჯდა და ისევ საუბრობდნენ, თითქოს ახალგაზრდა კაცი ტურისტული საგზურით ყოფილიყოს მოსული.

– მითხრეს თქვენთან ხალხმრავლობა არისო წელიწადის ნებისმიერ დროს, მართალია? – შეეკითხა გამომძიებელი დირექტორს.

– როგორ გითხრათ, ზამთარში საგრძნობლად კლებულობს ტურისტების რაოდენობა, მაგრამ ზაფხულში გაგიხარია, იმდენი მოდის მომსახურებას ვერ აუდივართ. – წყნარად წარმოთქვა დირექტორმა და თავის თავში შეცოდებათა დავთარს ფურცლავდა, რომ დროულად შეეტყო თუ რისთვის იყო მოსული გამომძიებელი შინაგან საქმეთა სამინისტროდან.

– რამდენი ნავით ემსახურებით ტურისტებს? – ახალი შეკითხვა დაუსვა გამომძიებელმა.

– ნავი თორმეტი გვაქვს, მენავე რვა, ხომ იცით, რომელიმე ნავი მწყობრიდან რომ გამოვიდეს, სათადარიგო აუცილებლად გვესაჭიროება.

– ნავი თორმეტი გაქვთ, ალბათ მენავეც თორმეტი გყავთ გაფორმებული, სახეზე კი რვა, ხომ სწორია?

– ნუ დამღუპავთ ბატონო, ეს ხომ რაღაც კაპიკებია. აბა ამ მიყრუებულ ადგილზე როგორ უნდა ირჩინოს კაცმა თავი? – ბოლოს და ბოლოს მიუხვდა მოსვლის მიზეზს დირექტორი გამომძიებელს და ნებისმიერი დავალების შესრულებაზე იყო

მზად, მხოლოდ დირექტორის „მკვდარი სულებიდან“ ძიება არ დაეწყოთ.

– ჯერჯერობით ეს საქმე ღიად დავტოვოთ, არ მაინტერესებს შენს სასარგებლოდ გვერდებიდან შემოსული კაპიკები, მხოლოდ გამოძიების მიმართ გულახდილი იყავი და ყოველ შეკითხვაზე ამომწურავი პასუხი გამეცით. თუ თქვენ რომელიმე თანამშრომლის გადაფარებას მოისურვებთ ეს იმა სნიშნავს თქვენს მიმართ ავღძრავთ სისხლის სამართლის საქმეს.

– გისმენთ თქვენი მონა–მორჩილი, მზად ვარ გემსახუროთ.

– ექვსი თვი სწინანდელი ამბავი მინდა გაგახსენოთ, როდესაც თქვენს ტბაში ქალის გვამი იპოვეს. თქვენი აზრით, როგორ შეიძლება მოხვედრილიყო ტბის შუაგულში ქალის გვამი? ან ვის შეიძლება ეკუთვნოდეს გვამი?

– ვერაფერს ვერ ვიტყვი. მაგ საქმეში მართლაც უცოდველი ვარ, თუმცა ხომ გამოიძიეს ეგ საქმე და ბოროტმოქმედმა საკადრისი სასჯელიც მიიღო?

– საქმეს წორედ მაგაში მდგომარეობს, რომ არასწორად გამოიძიეს და ის ადამიანი დღესაც ცოცხალი იმყოფება, ვისი გვამიც ეგონათ. ამიტომ მიმდინარეობს ახალი ძიება, რათა ამოვიცნოთ გვამი და ვავლინოთ ბოროტმოქმედი.

– ასეც ვიცოდი!

– რა იცოდი?

– ვიცოდი და ღრმად ვიყავი დარწმუნებული, რომ შმაგი მგალობლიშვილი მკვლელი არ იქნებოდა.

– რატომ იყავით ასე დამაჯერებლად დარწმუნებული შმაგის უდანაშაულობაში?

– შმაგი ისეთ ოჯახშია აღზრდილი, არ შეიძლება იმისაგან ბოროტმოქმედი დადგეს.

– თქვენ თუ დაგბადებიათ ვინმეს მიმართ მკვლელობის ეჭვი?

– არა, თუმცა ეჭვით ადამიანს ბრალდებას ვერ მიუყენებ, ხშირ შემთხვევაში ეჭვი მცდარია და ადამიანის საცოდაობაში ვიდგამთ ფეხს.

– რას ფიქრობთ, როგორ შეიძლებოდა გვამი ტბის შუაგულში მოხვედრილიყო? – კითხვა გაუმეორა გამომძიებელმა დირექტორს.

– იქნებ ნაპირიდან ტალღამ გაიტანა!– არა, ეს გამორიცხულია, გვამს ხომ ტრაქტორის სახნისი ჰქონდა შებმული. ეს საკმაოდ სიმძიმეა, რომ ტბის ტალღამ გვამი ადგილიდან ვერ დაძრას.

– თქვენ ფიქრობთ გვამი ნავიდან არის გადაგდებული?

– სწორი შენიშვნაა!

– შესაძლებელია, მაგრამ ასეთი მენავე ჩვენს ორგანიზაციაში რომ არ მეგულება?

– თუ ყოფილა შემთხვევა, რომ ნავი გაგენათხოვრებინოთ?

– არა ასეთი შემთხვევა არ შეიძლება მოხდეს,

რადგან მოტორიანი ნავის მართვა ყველამ როდი იცის.

– თქვენ ნიჩბიანი ნავებიც ხომ გაქვთ?

– კი, მაგრამ მას საერთოდ არავინ ხმარობს და პირადად მე მაქვს საწყობში ჩაკეტილი.

– თქვენ მენავეთა შორის ნუთუ ყველა ისეთი კეთილსინდისიერია, რომ არ შეიძლება ეჭვის თვალით შევხედოთ რომელიმეს?

– ამჟამად არავის!

– როგორ „ამჟამად“, ადრე იყო ვინმე?

– ადრე წიკლაური იყო ერთი, გული მიგრძნობდა წმინდა წყლის დამლევი არ უნდა ყოფილიყო, შეიმჩნეოდა ტურისტებში ლოთობითა და დროსტარებით, ბოლოს გაცდენებიც დამიწყო და მოვხსენი, თუმცა შემებრალა და შრომის წიგნაკში – „საკუთარი სურვილით განთავისუფლება“ დავუწერე?

– ეს რომელი წიკლაურია?

– ვარლამი წიკლაურის უფროსი ვაჟი მანუჩარი, გამომძიებელი რომ არის. იროდი წიკლაური იმისი ძმა.

– გასაგებია! ახლა სად იმყოფება თუ იცით მანუჩარი?

– არ ვიცი, მე მგონია რუსეთშია წასული. ცოლი გაეყარა, კანონის ძალით, მანუჩარმაც მიატოვა სამი მცირეწლოვანი ბავშვი და გაიქცა.

– განქორწინების მიზეზი ხომ არ იცით?

– როგორ არა, ხომ გითხარით ლოთობითა და

დროსტარებით გამოირჩეოდა–მეთქი. ჰო და ერთ მშვენიერ დღეს ოჯახში ვენერიული დაავადება „სიფილისი“ მიიტანა, ბუნებრივია ცოლიც დაავადდა და...

– სამუშაოდან როდის განთავისუფლდა, განქორწინებამდე თუ განქორწინების შემდეგ?

– განქორწინების შემდეგ თითქმის ერთი თვე აქ ჩვენთან ათევდა ღამეს, შემდეგ კი განთავისუფლდა და წავიდა.

– თუ გახსოვთ ტბაში გვამის ნახვის შემდეგ განთავისუფლდა თუ მანამდის? – გვამის ნახვამდე დაახლოებით ერთი კვირით ადრე.

– თუ ყოფილა შემთხვევა, ძმასთან ეროდი წიკლაურიც მოსულა დროს სატარებლად?

– კი, ხშირად შემინიშნავს, მაგრამ ვერ დავუშალე, ხომ იცით თანამდებობის პირია და მეორეც, მამა – ვარლამ წიკლაური გაქნილი ინტრიგანია, მოსკოვში ფეხით წავა და სანამდის არ გაგაფუჭებს, არ მოგეშვება.

– კარგი, დიდად კმაყოფილი ვარ და მადლობელი გულახდილი საბურისათვის, მხოლოდ დღევანდელი ჩვენი გასაუბრება ჯერჯერობით საიდუმლოდ უნდა დარჩეს.

– საფლავი ვარ, რაც არ მინდა რომ ვთვქა, თვით ღმერთიც ვერ ამალაპარაკებს, მაგრამ ასე ნამდვილად ვერ გაგიშვებთ. „დღეს სტუმარი ხარ შენ ჩემი“...

– არა, გმადლობთ. შემდეგისთვის იყოს, როდე-

საც ძიებას მოვრჩები – თქვა გამომძიებელმა და კაბინეტიდან გამოვიდა.

ზვიადაურმა „ჟიგული“ შემოაბრუნა, საჩქაროდ რაიონში დაბრუნდა, პატარა მდინარეზე გადებული ხიდი გადაჭრა და აღმართს შეუყვა, მალე ხისფიცრიან ჭიშკართან შეაჩერა „ჟიგული“. ჭიშკარს ანჯამები დასძრომოდა და ისე იყო გადმოყირავებული, რომ გაღება შეუძლებელი იყო და ეზოს უპატრონობაც თვალნათლივ ეტყობოდა.

ეზოში სანდომიანი სახის ახალგაზრდა სქელ შავხუჭუჭთმიანი ქალის ფუსფუსებდა, რომელსაც ორი მცირეწლოვანი ბავშვი კაბაზე ებღაუჭებოდა.

– გამარჯობათ! – ჭიშკრიდანვე მიესალმა ზვიადი ქალს და „ჟიგულის“ კარები მიხურა.

– გაგიმარჯოთ – მოღრუბლული სახით უპასუხა გამომძიებელს ქალმა და ჭიშკრისაკენ წამოვიდა.

– ბატონი მანუჩარ წიკლაური აქ ცხოვრობს? – თავაზიანად შეეკითხა გამომძიებელიქალს.

– ცხოვრობდა! – ისევ წარბგაუხსენელად და უკმეხად უპასუხა ქალმა.

– მე შინაგან საქმეთა სამინისტროდან ვარ, გამომძიებელი ზვიადაური, ცოტა რამ გაურკვეველი საკითხი მაინტერესებს მანუჩარის შესახებ და გთხოვთ, თუ ბევრ დროს არ წაგართმევთ ზოგიერთ შეკითხვაზე მიპასუხოთ.

– მობრძანდით! – ოდნავ გახსნა ბაგე ქალ-

მა და გაღიმება სცადა, მაგრამ არ გამოუვიდა, იმის სახესა და თვალებში ნაღველი ძველებურად იკითხებოდა.

ზვიადაური ეზოში შევიდა, ქალმა დერეფანში სკამები გამოიტანა და პატარა ვენურ მაგიდასთან დააწყო.

გამომძიებელი სკამზე ჩამოჯდა, უდარდელი და მომღიმარი სახე მიიღო. ფარულად შეათვალიერა ქალის ფიზიკური მდგომარეობა და შეეცადა ამოეცნო შინაგანი დარდის მიზეზი. მდუმარებამ რამოდენიმე წუთს გასტანა, უხერხულობას გრძნობდა გამომძიებელი ქალი სწინაშე, არ იცოდა საუბარი საიდან დაეწყო და აი, თითქოს განგებამ უკარნახაო დაუფიქრებლად წარმოთქვა:

– ქალბატონო, ძალიან დიდ ბოდიშს მოვითხოვ, საოჯახო საქმეს მოგაცდინეთ, მაგრამ ძიებისათვის აუცილებელია ვიცოდეთ თქვენი ყოფილი მეუღლის ვინაობა.

– ჩემი მეუღლე? – ქალი ოდნავ ჩაფიქრდა, თვალებზე ცრემლი აუკიაფდა, რომლის შემშრალება არც უცდია და არც სახე მოურიდებია გამომძიებლისათვის, აწყლიანებული თვალები ჯიქურ მიაშტერა ზვიადაურს და წყნარი, ოდნავ აკანკალებული ხმით დაიწყო: – ჩემი მეუღლე ნამდვილი ვაჟკაცია, ქართველი რაინდის განსახიერება, მაღალი, ლამზაი, ტანადი... ეს არის სულ იმისი ფიზიკური ხატება, მაგრამ თუ რა იმალება იმის სულიერ ღირსებაში, ძნელი სათქმელია.

მანუჩარი თავის თავზე დიდი წარმოდგენის პიროვნებაა, არავის არაფრად არ აგდებს, მან იცის მხოლოდ „მე“ და მეტი არაფერი. ძალზედ აყოლილია ალკოჰოლს და სიმთვრალეში ჩადენილ ყოველგვარ უხამსობას ალკოჰოლს აბრალებს. გარეთ ყოველთვის დაეძებს მიზეზს ჩხუბი ატეხოს და სტუმარს თუ მასპინძელს ჩაუშხამოს ნადიმის სურვილი. ყოფილა შემთხვევა თამადაც კი გამოუძევებია გარეთ, რადგან იმისი წარმოთქმული სადღეგრძელო არ მოსწონებია, ოჯახში კი ჩხუბის მიზეზი არასოდეს არ უძებნია, უმიზეზოდ ტეხდა დებოშს, ცემდა ბავშვებს და მე სასიკვდილოდ მიმეტებდა...

– თქვენ მაინც ერთ ჭერქვეშ ცხოვრობდით? – ვეღარ მოითმინა და თხრობა შეაწყვეტინა ქალს გამომძიებელმა.

– აბა სად წავსულიყავი, ის ხომ ჯერ მთლად ახალგაზრდაა. ვფიქრობდი, დაკაცდებოდა, დადუღდებოდა და ჩვენც გვეშველებოდა რაღაც, მაგრამ „კაცი უკეთესზე ფიქრობდა და ღმერთი იცინოდაო“, არის ნათქვამი.

– რამდენი წლის არის შენი მეუღლე?

– ორიოდე წელიწადში ორმოცის გახდება!

– მერე ეს წლოვანება არის „მთლად ახალგაზრდა„?

– მე მაინც ახალგაზრდა მგონია, რადგან მეუღლებიდან თხუთმეტი წლის მანძილზე ერთჯერაც არ იცვალა ნირი და ხასიათი.

– იქნებ თქვენგან აკლდა რაღაც, ქალური კლდემამოსილება, სითბო, სიყვარული და ოჯახურ უთანხმოებასაც ეს იწვევდა?

– მე ქალი ვარ და ნუ გაგიკვირდებათ თქვენს წინაშე ქალის ღირსება თუ დავიცვა. თუმცა სიმართლეს მოგახსენებთ, რომ ქალი სათუთი გულისა და გრძნობის სულიერი არსებაა, რომელსაც შეუძლია სიყვარული და სიყვარულისათვის თავგანწირვაც კი.

ქალის კლდემამოსილება, სითბო, სიცივე, სიყვარული თუ სიძულვილი ქმრიდან იწყება, ქმარი აიძულებს ცოლს იბოზოს, რადგან მთვრალი ქმარი ყოველთვის მოთხოვს მას, რაც არასოდეს ოჯახში არ შემოუტანია. ცოლის ცემის შემდეგ, რომელსაც ცრემლის შედეგად ყოველგვარი სითბო დაკარგვია ის მოხვევასა და სითბოს მოითხოვს. ჩემი აზრით, ყოველგვარი დებოშის სათავე შინ თუ გარეთ მამაკაცები არიან.

ნუ გაგიკვირდებათ ჩემი საუბარი, მე უმაღლესი განათლება არა მაქვს. შეიძლება თქვენს ღონეს ვერ ჩავწვდე და ვერ ვილაპარაკო ისე, როგორც განათლებულ ადამიანს შეეფერება, მაგრამ მე სკოლამ კი არა, ოჯახმა და ცხოვრებამ მასწავლა ავი და კარგი. ჩემი აზრით ადამიანობის სწავლა ოჯახიდან იწყება, ფუძედამპალი ოჯახიდან არ შეიძლება შვილი ნორმალური გამოვიდეს, ბოროტი თესლი ხშირად რამოდენიმე შთამომავლობის შემდეგაც ბარტყობს. მათ დასაბამიდან მოჰყვე-

ბათ ეს სისხლის უწმინდურობა და გადადის თაობიდან თაობაში სკოლით, სწავლითა და ცოდნით იმისი ამოძირკვა შეუძლებელია, რომელიც ბუნებისაგან აქვთ შთამომავლობით მიღებული. ბევრს ასე სწამს, „მე ოჯახის უფროსი ვარ და ჩემს ირგვლივ მზესავით უნდა ტრიალებდეს ყოველი“, კი ბატონო ვიტრიალებთ, რა დიდი საქმეა მეუღლის კისერზე ჩამოვეკიდო, სითბო და სიყვარული ვაგრძნობინო, მაგრამ პირველად ხომ შენ უნდა შემიქმნა ორგანიზმიდან სითბოს გამომყოფი პიროებები?

ქალები კი გიჟები ვართ, დროს ველოდებით „დრო მკურნალია“, ჩადგება ოჯახისაკენ მოიხედავს ქმარი, მაგარმ გვავიწყდება, რომ „დრო მკურნალიც არის და დამავადებელიც“. მეც ქმრის გამოკეთების ლოდინში საგრძნობლად დაავადმყოფდი, მოშლილი მაქვს ნერვიული სისტემა, დარღვეული მაქვს გულის რიტმი და ასე გასინჯეთ ვენერიული დაავადებაც კი შევიძინე.

კაცი ოჯახში დროსავით უნდა ტრიალებდეს, მაგრამ არ უნდა იცვლებოდეს. კაცი კაცად უნდა რჩებოდეს, მშობლიურ მიწაზე და ოჯახში მტკიცედ უნდა იდგეს, რომ არ წაიქცეს, თორემ ერთხელ თუ წაიფორხილა საკმარისია, რომ იმისი გაუკულმართებული სახელი მძიმე ტვირთად დააწვება მის შთამომალვობას და უბედური მათი შთამომავალი მუდამ შურის თვალით შეაჩერდება სინდის–პატიოსნებით გაკრიალებულ ადამი-

ანებს და როგორ გგონიათ, ბავშვობაში შეძენილი მტრობა და შური ბოროტების სათავედ არ იქცევა? აი ჩემი ბავშვები შეხედავ, ანგელოზები არიან და ფიქრობთ ღმერთებად აღიზრდებიან? არა! არც ესენი დაკარგავენ მამის დამპალი სისხლის გენებს და ცხოვრებაში ისე დაიკარგებიან, როგორც მამამისი. ცოდვაა ცხოვრებისაგან გარიყული ადამიანი და იმავე ცხოვრებაში დაკარგული, რომელშიდაც არსებობა უწევს. ამიტომ ბევრჯერ გადავწყვიტე საზოგადოებაც ავაშორო განსაცდელს და ჩემი შვილებიც. უმჯობესია მეც დავაკვდე მათ.

– თქვენ ასეთი უმსგავსო გიფიქრიათ? უბრალოდაც კი გულში გაგივლიათ? რა დედა ხართ მაშინ? – აღელვებისაგან თვალებგაფართოებული გამომძიებელი ზეზე წამოიჭრა.

– დედა რომ ვარ და კარგი დედა, იმიტომ ვფიქრობ ასე – განაგრძო საუბარი ქალმა – მშობლების ურთიერთობაში შეპარული ბზარი უმალ ბავშვების აღზრდაზე, მათ ხასიათზე და მომავალზე მოქმედებს. ჩემი ბავშვების გული უკვე დაიკოდა, ვიცი მათგან კარგი მოქალაქე აღარ დადგება, როგორი განათლებაც არ უნდა მივაღებინო. მათ სულში უკვე ჩასახლებულია შიში, ხალხისადმი – სიძულვილი, საკვების თუ ჩასაცმლის უქონლობის გამო – ეგოიზმს.

მე შვილები მიყვარს და ნურავინ ნუ შემეჯიბრება შვილების სიყვარულში, მაგრამ იშვიათ დედად

ვთვლი ჩემს თავს. რადგან სხვისი შვილებიც მიყვარს. ამიტომ ჩემი გზასაცდენილი შვილებით არ მინდა სხვისი შვილებიც ავაცდინო კეთილსინდისიერების გზას, რომელთაც შეიძლება ჩემი შვილები ჩაუდგნენ ბოროტების სათავეში...

– შეჩერდით ღვთის გულისათვის, მე არაფერი დანაშაული არ მიმიძღვის თქვენ წიანშე, ნუ ამიფორიაქებთ სულსა და გონებას. თქვენ ასეთი საუბარი ქმართან გქონიათ? – შეეკითხა მთლად აკანკალებული გამომძიებელი ქალს.

– სალაპარაკო და საოცნებო თხუთმეტი წლის განმავლობაში ბევრი გვქონია, ოცნებით აგვიგია შვილებისათვის ისეთი კოშკები, რომელთა სიმაღლიდან გადმოიხედავდნენ ჩვენი შვილები და ჩვენსავე სამშობლოს გამოადგებოდნენ, მაგრამ არავითარმა შეგონებამ არ იმოქმედა მასზე. ჩემი აზრით, მხოლოდ ქალი უნდა ამაყობდეს და კეკულუცობდეს, საკუთარი ტანისა და სახის სილამაზეზე ამყარებდეს დიდ იმედებს. კაცისათვის ეს დიდება გამონაკლისი და შეუმჩნეველი უნდა იყოს თუკი ბუნებისაგან არის თვითონ დაჯილდოვებული. მანუჩარი კი „კარგ ბიჭობას“ – კარგ შეხედულებაში ხედავდა. აღზრდა აკლდა, არ დამიშურებია ძალი და ღონე, რაც დიდი ოჯახიდან დააკლდა, ჩვენს ახლად შექმნილ ოჯახში შეეძინა, მაგრამ ვერ შევძელი, ის თავის სიძლიერეს ჩემსა და ბავშვების ცემაში ხედავდა, ვერავითარმა შეგონებამ ვერ გაჭრა მასზედ.

– ხომ მუშაობდა, ოჯახისათვის ნუთუ არ ზრუნავდა? – შეეკითხა გამომძიებელი ორატორად ქცეულ ქალს.

– როგორ არა, მუშაობდა მენავედ ტბაზე, ხელფასიც კარგი ჰქონდა და ცოტაოდენი გამორჩენაც, ტურისტები თითოეულ გასეირნებაზე კარგ თანხასაც ჩუქნიდნენ, მაგრამ იქვე იხარჯბეოდა იმის ნაშოვნი. დროსტარებასა და ღრეობებს იყო გადაყოლილი. მეგობრებიც ისეთი ჰყავდა, რომლებიც უოჯახო ან ოჯახდანგრეულები იყვნენ და არც თვითონ ფიქრობდა ოჯახზე.

ბოლოს ოჯახში ვენერიული დაავადება შემოიტანა და იმხელა ზნედაცემულობა გამოიჩინა, რომ მე დამაბრალა ავადმყოფობის გავრცელება, თვითმკვლელობამდე მივედი, მაგრამ ვიღაცისთვის ხომ უნდა დამემტკიცებინა ჩემი უდანაშაულობა? მამამისს, ვარლამს გავანდვე ჩვენი ოჯახი სტრავმა, მაგრამ აქ მეტ წინააღმდეგობას წავაწყდი. – „არ დამიწყო გულის პრანჭვები, თუ არ მოგწონს აიკარი ბარგი–ბარხანა და მოუსვი აქედანო“ – მითხრა. ოჯახის დანგრევას ისევ გაჩუმება და მკურნალობა ვამჯობინე, მაგრამ მანუჩარმა მკურნალობა სასტიკად ამიკრძალა – „თვითონ გაივლისო“ მითხრა. ენციკლოპედიაში მოვძებნე და წავიკითხე თუ რა იყო ვენერიული დაავადება და როგორ შეიძლებოდა იმის მკურნალობა, როდესაც გავიგე, რომ ეს გადამდები სნეულება იყო და ბავშვებსაც ემუქრებოდა დაავადება, ექიმს

მივაკითხე, სანეპიდსადგურმა საჩაქაროდ გამოყო ექიმთა კომისია, დაწვეს ლოგინი სადაც ჩვენ ვიწექით და სახლი მთლიანად შეწამლეს, იმ დღესვე ცალკე იზოლიატორში მომათავსეს და მკურნალობამ სამ თვეს გატანა. ვიცოდი ამ ამბის შემდეგ ჩვენი ცხოვრება აღარ აეწყობოდა და განცხადება შევიტანე სასამართლოში განქორწინების შესახებ. ის სასამართლოზე არ გამოცხადდა. მაგრამ მკურნალ ექიმთა დასკვნითა და მოთხოვნილებით მანუჩარის დაუსწრებლად განგვაქორწინეს. სულგრძელობა გამოიჩინა, იმ დღიდან მანუჩარი სახლში აღარ მოსულა და ღამეს ბაზალეთის ტურისტულ ბაზარში ათევდა.

მართალია ბევრი ტანჯვა და წამება მიმიღია მანუჩარისაგან, მაგრამ ქალს არ შეიძლება დაივიწყოს პირველი სიყვარული, პირველი კოცნა და პირველი პაემანი, მეც დროს გამოვნახავდი თუ არა ბაზალეთის ტბისაკენ მივდიოდი, რომ უბრალოდ დამენახა მანუჩარი და ერთ საღამოს მანუჩარის ოთახში ფანჯრიდან ოთხი ადამიანი შევნიშნე. კარგად ვიცანი ეროდი და მანუჩარი, რომელთაც გვერდით ზიზილპიპილოებით მოკაზმული ქალები უსხდნენ, მანუჩარის გვერდით ფართოსახიანი, თვალებწვრილი, ცხვირპაჭუა და სახეგაბრტყელებული გოგონა იჯდა. ეროდის გვერდით კი ნათელსახიანი, სწორნაკვეთიანი სილამაზის განსახიერება. მანუჩარი თავის გვერდით მჯდომ გოგონას რაღაცას გაცხარებით ეკამათებოდა, მე ახ-

ლოს მივედი, მაგრამ მათი საუბარი ვერ გავარჩიე, სახლში გულმოკლული დავბრუნდი და მხოლოდ მაშინ ვიგრძენი, რომ ქმარი დავკარგე.

– იმ დღის შემდეგ მანუჩარზედ აღარაფერი გაგიგიათ? – შეეკითხა ქალს გამომძიებელი.

– იმ დღის შემდეგ ბაზალეთის ტბისაკენ აღარ გამიხედავს. მანუჩარის სიყვარული ჯოჯოხეთად გადამექცა, იმისი სახელის გაგონებაც კი ალერგიას მმართებს, მარტო სიძულვილს კი არა, ზიზღს იწვევს ჩემში და გული მერევა.

– მგონი რუსეთში წასულა სამუშაოდ, ამ ამბის შესახებ არაფერი გსმენიათ?

– კი გავიგე, მეზობლებმა მითხრეს და ნურც ჩამოსულა ცოცხალი.

– სად იმყოფება ხომ არ იცით, იქნებ წერილი მიიღეთ ან ბავშვებს უგზავნის ცოტაოდენ დახმარებას?

– ნუ დამცინით, ბავშვებს დახმარებას მაშინ არ უწევდა, როდესაც ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობდით და ახლა გამოუგზავნიდა?

– სასამართლოს უნდა მიმართოთ და ალიმენტს დაგინიშნავენ!

– არ მინდა, ვეცდები შვილები ისე გამოვზარდო იმისი დამპალი ოფლი არ გავურიო მათ ლუკმაში.

– ნუთუ ასეთი წყალწაღებულია მთელი ოჯახი? მანუჩარის მამაზე ვარლამზე რას იტყვით?

– ... რაც მამა, იგია შვილი...

– მანუჩარის ძმაზე, ირეოდიზე!?

– რაც ალხანა, ის ჩალხანა!

– გმადლობთ ასეთი გულახდილი საუბრისათვის, ბოდიში ფიქრები აგირიეთ, მაგრამ მეც არანაკლებ დადარდიანებული გავდივარ ამ ოჯახიდან. – თქვა გამომძიებელმა, ბავშვს რომელიც დედას კაბაზე ეპოტინებოდა ხელში ათმანეთიანი ჩაუდო და საჩქროდ დატოვა დადარდიანებული ოჯახი.

ფიქრებით დამძიმებული ზვიად ზვიადაური დედაქალაქისაკენ მიაქროლებდა „ჟიგულს“, საღამოვდებოდა და უხაროდა, რომ დღევანდელი დღე უშედეგოდ არ დაიკარგა, ხვალ კი მეტი სამუშაო ელოდა. რესპუბლიკის პროკურორთან შეიარა, ადგილზე დაუხვდა და ქებაც დაიმსახურა მუყაითი და საზრიანი მუშაობისათვის, როდესაც ახალგაზრდა გამომძიებლისაგან წინასწარი ძიების შედეგი მოისმინა.

– ბატონო კაკო, ხვალისათვის ჩემთვის საჭირო იქნება საექიმო ექსპერტიზა და ორი ან სამი აკვალანგისტი. გთხოვთ თქვენი შუამდგომლობით დილის რვა საათზე აქ შემახვედროთ – მოწიწებითა და დიდი თავაზიანობით თხოვა პროკურორს ახალგაზრდა გამომძიებელმა.

პროკურორი ყურმილს სწვდა, გამომძიებლის თხოვნის შესასრულებლად, როდესაც ტელეფონით საუბარს მორჩა, კმაყოფილების ღიმილი სახეზე დაეფინა და გამომძიებელს უთხრა: – „ყველაფერი თქვენი გეგმის თანახმად იქნებაო მზად!“

დილით რვა საათს თხუთმეტი წუთი აკლდა ზვიად ზვიადაური პროკურატურის შენობის წინ ბოლთას სცემდა და ღრმად იყო ჩაფიქრებული. ზუსტად რვა საათზე საექიმო ექსპერტიზა მოვიდა ჯვრიანი სასწრაფო დახმარების ავტომანქანით და თითქოს ერთი მგზავრები ყოფილიყვნენ მას უკან მოჰყვა ყვითლად შეღებილი და წითელზოლებიანი ყველგან მავალი ავტომანქანა, რომელშიდაც აკვალანგისტების მთელი ბრიგად იჯდა.

მოსულებმა როდესაც გამომძიებელი შენიშნეს ავტომანქანიდან გადმოვიდნენ, მიესალმნენ დამხვდრუს, დანიშნულ ადგილზე გამოცხადება და სამსახურისათვის მზადყოფნა აუწყეს.

გამომძიებელი პროკურორის მოსვლას აღარ დალოდებია, ექსპედიციას სათავეში ჩაუდგა და დუშეთისაკენ აიღეს გეზი.

სასაფლაოს პოვნა არ გაძნელებულა, გრანიტის ლოდი იუწყებოდა თუ სად განისვენებდა „შორენა მინდიას ასული ძიძიგური“, ექსპედიციის წევრებმა ავტომანქანიდან ნიჩბები გადმოიღეს და მიწას დაუწყეს გათხრა ადგილზევე გაასაუფთავეს სადგომი და ფრთხილად ამოიღეს მიწიდან გახსნეს სადგომი და როგორც დასაფლავების დღეს ისევ ისე იყო მიცვალებული კუბოში. ჭირისუფალს ეზრუნა გვამის შეწამვლისათვის, გახრწნა რომ შეეჩერებია.

– აიღეთ ანალიზები, დაამტკიცეთ და სამედი-

ცინო ექსპერტთა დასკვნა წარმომიდგინეთ უმოკ-ლეს ვადაში, თუ რით არის გარდაცვლილი და ან გარდაცვალებამდე რითი იყო დაავადებული მიცვალებული! – მტკიცედ წარმოთქვა გამომძიებელმა ექსპერტის ხელმძღვანელის მისამართით და საფლავს გადახედა, რომელიც ურჩხულის ხახასავით იყო დაფჩენილი და მსხვერპლს ელოდებოდა.

საექიმო ექსპერტიზამ სპეციალურ კოლბებში მოათავსა ანალიზები, შემდეგ კუბოს თავი დააჭედეს და ფრთხილად ჩაასვენეს „ურჩხულის ხახაში“.

ცვიოდა სადგომზე ბელტები და ყრუ გუგუნი ამოდიოდა მიწიდან. შემდეგ ყველაფერი მიწყნარდა. პატარა ბორცვი აღიმართა მიცვალებულის სასაფლაოზე და ის იყო წასვლა დააპირეს, რომ მინდია და ქეთევან ძიძიგურებიც მოვიდნენ. დამწუხრებული სახით მიესალმნენ ექსპედიციის წევრებს და კმაყოფილები დარჩნენ, როდესაც შეიტყვეს ახალი ძიების აუცილებლობისათვის გვამის ამოღება.

მასწავლებელი მინდია ძიძიგური გამოჯანმრთელებულიყო, მაგრამ სახეზე სიყვითლე გადაჰკროდა და სისუსტესაც საგრძნობლად უჩიოდა.

– ვაი ამის დედას – ცრემლის მშრალებით წარმოთქვა ქეთევანმა და ხელი ახლად აღმართული ბორცვისაკენ გაიშვირა – ვინაობა იქნებ დაადგინოთ, ცოდვაა მშობლებისაგან და კეთილ–ნათესავებისაგან დაუტირებელი ადამიანი.

– მაგას თუ ჩვენგან ცრემლი აკლია, ზღვას ქვი-

შა დააკლდება! – გამოეპასუხა მინდია საყვარელ მეუღლეს.

– კარგი ის იყო, ვისაც ეკუთვნოდა ის ცრემლი იმას მოხმარებოდა, მაგრამ დიდია განგება ღვთისა, მეორედ არ დამახარჯვინებს ცრემლს უმადურ შვილზედ. მკვდარი სჯობს ცოცხლად მოკვეთილს, საფლავი მაინც გეცოდინება, დაიტირებ და ქრისტიანული ზნე–ჩვეულების თანახმად პატივს სცემ მიცვალებულს. როგორ კარგი ნასწავლი და ზრდილი შვილი ახარებს მშობლებს, ასევე კარგად მოვლილი სასაფლაო ეამაყება მათ. ახლა კი ვამბობ „არ მყოლია მეთქი“, მაგრამ რომ მყავდა? შემარცხვინა, თავს ლაფი დამასხა. ეს როგორ დავფარო, ხალხმა ხომ იცის გველის წიწილი მყოლია სტომაქში და გველი გამიზრდია... – თქვა ქეთევანმა და ნამდვილი ჭირისუფალის ცრემლი მოიწმინდა.

საექიმო ექსპერტიზამ მიცვალებულის ანალიზების სასწრაფო დახმარების ავტომანქანაში შეინახეს – „მალე შეგატყობინებთო შედეგს“ – უთხრეს გამომძიებელს და წითელჯვრიანი ავტომანქანა სასაფლაოს ტერიტორიას გასცილდა.

– ახლა კი ბაზალეთის ტბისაკენ წავედით! – უთხრა ზვიადაურმა აკვალანგისტებს, თვითონ თავის „ჟიგულში“ ჩაჯდა, გვერდით მინდია ძიძიგური მოისვა და უკან გაჰყვა აკვალანგისტების ავტომანქანას.

– ბატონო მინდია, – უთხრა გამომძიებელმა მასწავლებელს – ეს ძიებისათვის კი არა პირადად

მაინტერესებს, თუ როგორ მოხდა თქვენი ავტო-კატასტროფა?

– მეც არ ვიცი, გამომძიებელთან ვიყავი, ირო-დი წიკლაურმა ისე ამშალა ნერვებზე, როგორ გა-მოვედი იმისი კაბინეტიდან არ მახსოვს. ქუჩაში იქნებ თვითონ დავარღვიე მოძრაობი სწესები და შემთხვევით დამეჯახა ავტომანქანა, მე მგონია შემთხვევითობაა, არა მგონია ინტერესი ჰქონოდა ვინმეს ჩემი და სიკვდილით დასჯა განეზრახათ. – უპასუხა მინდიამ.

– თქვენ ხომ ტროტუარზე მიდიოდით, როდესაც ავტომანქანა დაგეჯახათ?

– რა თქმა უნდა, ფეხით მოსიარულეთ ტრო-ტუარზე მივაბიჯებდი და ხალხმრავლობაც იყო, მაგრამ ხომ შეიძლება სიჩქარე გადაჭარბებული ავტომანქანის საჭე ვერ დაიმორჩილოს მძღოლმა და ტროტუარზე შეფრინდეს?

– ყველაფერი შესაძლებელია, მაგრამ მიმალვა ყოველგვარ კანონს ეწინააღმდეგება. – უთხრა გა-მომძიებელმა.

– ვინ იცის, შეიძლება ჩემი კატასტროფაში მოხ-ვედრაც წიკლაურის კაბინეტიდან მოდის, ის ხომ იმ დღეს კაცობრიობის მოდგმის გაწყვეტაზე მე-ლაპარაკა და შეიძლება ჩემიდან დაიწყო ოცნების ასრულება!

– მაინც რას გელაპარაკა ასეთს წიკლაური, არა მგონია გაუნათლებელი ახალგაზრდა ჩანდეს.

– კაციჭამია თუ დანა–ჩანგალს ხმარობს, ვითომ

ეს იმის განათლებაზე მეტყველებს რაიმეს?

– თქვენ როგორ ფიქრობთ, წიკლაურმა ის საქმე, რომელზედაც თქვენ ასე ხართ განაწყენებული, შემთხვევით ვერ გამოიძია სწორად და შეცდომა მოუვიდა, თუ სპეციალურად არ გამოიძია სწორად?

– წარმოგიდგენიათ? მე მასწავლებელი ვარ, კვალმაძიებლობის არაფერი გამეგება, მაგრამ ვიცი „როდესაც დათვს მიჩერებიან იმის კვალს აღარ დაეძებენ“. აქ ხომ თვალნათლივ ჩანს ვიღაც სულ სხვა ბოროტმოქმედი და არა შმაგი მგალობლიშვილი? იმ დღეს ბაზალეთის ტბაზე მონავარდე ასობით ადამიანი იყო, მაინცდამაინც რატომ შმაგი სცნეს ბოროტმოქმედად? და ბოლოს ვის ეკუთვნის ტბიდან ამოღებული გვამი?

– დარდი ნუ გაქვს ბატონო მასწავლებელო, ყველაფერს დავადგენთ, რაც შეეხება წიკლაურის უნიათოდ გამოძიებულ საქმეს, მთლად გამომძიებლის ბრალი არ უნდა იყოს. დღეს ცხოვრებამ მოიტანა დიპლომანობია და არა ცოდნა, თუ დიპლომი გაქვს ცოდნას აღარ კითხულობენ და ამ საქმეში სტუდენტები კი არა, მასწავლებლები ცოდავენ.

– მცდარ აზრს მეტყველებთ ბატონო ზვიად, არ არსებობს ცუდი მასწავლებელი, ის ყველას ერთნაირად ზრდის, იმ მასწავლებლისაგან აღიზარდეთ თქვენც, რომელმაც წიკლაური აღზარდა, მაგრამ ჩემი შეხედულებიდან გამომდინარე, რაღაც ბო-

როტი გენები განაგებენ ადამიანს სწავლამდე და სწავლის შემდეგაც. გთხოვთ მე მასწავლებელი აღარ დამიძახოთ, რადგან განათლების სამინისტროში განცხადება შევიტანე განთავისუფლების შესახებ. ჩემი ყოფილი მოსწავლეა წიკლაური, რომელიც ვერ აღმიზრდია, ჩემი მოსწავლე იყო ოჯახში და სკოლაში ჩემი შვილი, რომელთა სულიერ სიმახინჯეს თვალნათლივ ვხედავთ და ვინ იცის იქნებ სხვებიც მრავალი სულიერად გაგვინადგურებია. ამის შემდეგ მე არ მეკუთვნის ვიყო მასწავლებელი. რაც შეეხება კვალმაძიებლის სპეციალობის შესწავლა შეუძლებელია. ადამიანს ბუნებისაგან ნაბოძები ნიჭი უნდა გააჩნდეს და იმისათვის აუცილებელია თანდაყოლილი სიმამაცე, საკუთარი ღირსების შეგნება, ხალხის და სიმართლის სიყვარული, ბოროტებასთან ბრძოლა და სიძულვილი, სიამაყისა და შეუვალობის გრძნობა. ეს გრძნობები თუ ადამიანს გენებით თანდაყოლილი არა აქვს, მასწავლებელი უძლურია მოსწავლის წინაშე.

ყოველთვის როდი გამოუდის ადამიანს და მითუმეტეს მასწავლებელს კეთილის ქმნა, რომელსაც ის ესოდენ თესავს და ნერგავს, უფრო ხშირად თავის დანთებულ ცეცხლზე წვავენ როგორც უმეცარს. ასეთი ყოფილა მასწავლებლის ხვედრიც. მე როგორც მასწავლებელს მიჯობდა ცეცხლზე დავეწვი ინკვიზიტორებს, ვინემ ჩემს აღზრდილ მოსწავლეებს ცოცხლად თავზე ლაფდასხმული გამო-

ვებუნძულებინე იქედან, სადაც ნახევარი საუკუნე ძალი და ღონე არ დამიშურებია ახალგაზრდობისთვის ჩამენერგა პატიოსნება და სიყვარული.

– ჯერ ნაადრევია, არ უნდა დაგეყარათ ფარ–ხმალი ბატონო მინდია, თქვენ რომ მარტო სიკეთისაკენ ღაღადებთ, არც ასეა საქმე, როდესაც სიკეთე დაიბადა, მაშინ გაჩნდა ბოროტებაც და ჩვენ კეითლის მთესველნი ვალდებულნი ვართ ვებრძოლოთ ბოროტებას. ცხოვრება კი უკეთესი და საუკეთესო არასოდეს არ ყოფილა, როგორც დღეს ასე იყო ყოველთვის ფათერაკებით აღსავსე და თვითონ ბოროტმა სულებმა იმდენად იზრუნა კეთილ ადამიანებზედ, რომ ყოველ ნაბიჯზედ ვსწავლობთ რაღაცას მათ დასამარცხებლად.

თქვენ დატოვეთ ბრძოლის ველი, მიდიხართ, მე წავალ და ასე ნელ–ნელა გაიბოჭება სინდის–პატიოსნება. ბრძოლის ველზე კი გამარჯვებული თავისთავად ბოროტება დარჩება. ერთი ადამიანი ყოველგვარ საქმეში სუსტია, მხარდაჭერა და ერთობაა ძალა. თქვენ ცუდად აღზრდილ მოსწავლეს რომ ხედავთ, რატომ ვერ დაინახეთ თქვენს მიერ აღზრდილი კეთილი ადამიანები? მასწავლებლები, ექიმები, მეცნიერები, მევენახეები, მჭედლები და სხვა?

– ორიოდე ცუდმა აღზრდილმა დაჩრდილა ყველა ის დიდება, რომელთაგანაც შარავანდედით მოსილ გვირგვინს ველოდი, ჩემი უმწიკვლო პა-

ტიოსნებით მინდოდა დიდების კვარცხლბეკზედ ავსულიყავი, მაგრამ დღეს ჩემმა აღზრდილებმა საზოგადოების თვალში სამარცხვინო ბოძზე გამაკრეს.

„ჟიგულის“ კარები გაიღო და აკვალანგებში გამოწყობილმა აკვალანგისტებმა გამომძიებელსა და მასწავლებელს საუბარი შეაწყვეტინა:

– ბატონო ზვიად, ჩვენ მზადა ვართ შევასრულოთ ყოველგვარი თქვენი ბრძანება, მოგვეცით მითითება – სამხედრო წესით გამოეჭიმა ერთ–ერთი აკვალანგისტი გამომძიებელს.

გამომძიებელი ავტომანქანიდან ჩამოვიდა, ტბას გახედა და შემდეგ აკვალინგისტები შეთვალიერა.

– აი ბიჭებო – თქვა მან ოდნავი ფიქრის შემდეგ – თქვენს წინაშე დიდი ამოცანა დგას, ტბის ფსკერზე უნდა ვიპოვოთ ადამიანის გვამი. ვამბობ „გვამს“, მაგრამ ის ადამიანის გვამი ექვსი თვის წინათ იყო, ამჟამად შეიძლება დაფარული იყოს შლამით, ან უფრო ადვილი შესაძლებელია ჩონჩხად ქცეული. ამიტომ უყურადღებოდ არ დატოვოთ ტბის არც ერთი მონაკვეთი, ტბა ღრმა არ არის, მაქსიმალური სიმაღლე შვიდი მეტრია და იმედი მაქვს არ გაგიძნელდებათ ფსკერის ძირფესვიანად გამოკვლევა, წარმატებას გისურვებთ...

აკვალანგისტებს გამომძიებლისათვის სიტყვა არ შემოუბრუნებიათ, სახეზე ნიღებები მოირგეს და წყალში სათითაოდ უკუღმა მოადინეს ზღართანი. გამომძიებელი ისევ თავის „ჟიგულში“ ჩაჯ-

და, მასწავლებელს გაუღიმა, სურვილი აღჩობდა მასთან საუბარი გაეგრძელებინა, ძალზედ იზიდავდა მასწავლებლის ბრძნული, თავისუფალი და მიმზიდველი ლაპარაკი.

– ბატონო მინდია, – მოკრძალებით წარმოთქვა გამომძიებელმა – მაინც რა გითხრა ასეთი ეროდი წიკლაურმა, რომ სულიერად აგაფორიაქათ?

– თქვენ ახალგაზრდა ბრძანდებით – ოდნავი ფიქრის შემდეგ წარმოთქვა მინდიამ – და არ მინდა თქვენს წინაშე გავიმეორო ის უხამსობა რა თემაზედაც ის მესაუბრა, თქვენ სხვაგვარად არ გამიგოთ, ახალგაზრდა კაცის ბუნება ასეთია: მუდამ დაუჯერებლობისა და შეუძლებლობისაკენ ილტვის, მათ ახასიათებთ ახლის შექმნა და სიძნელისაკენ ნაბიჯის გადადგმა, იმას კი არ დაგიდევენ რა შედეგი მოჰყვება მათ მოუფიქრებელ წინსვლას.

– მართალს ბრძანებთ ბატონო მინდია, მაგრამ ნუ მიწყენთ და მე არ მივეკუთვნები ისეთ ახალგაზრდობას, რომელიც თქვენ გყავთ მხედველობაში, თქვენი მაშინდელი საუბარი გამორიცხული არ არის იქნება დღევანდელი ძიებასაც გამოადგეს.

– ძიებისათვის გამოსადეგი საუბარი ნამდვილად არ გვქონია, ჩვენ უბრალოდ სინდის–პატიოსნებაზე ვლაპარაკობდით და მან დამიმტკიცა სინდის–პატიოსნების სიკვდილი, რომ დიდი ხანია იმისი ადგილი ცხოვრებაში ბოროტებამ, უსინდისობამ და ღალატმა დაიკავა.

კი ბატონო, მე ჩემს ყოფილ მოსწავლეზე უკეთესად ვიცი, რომ მოსალოდნელია მსოფლიო ევოლუცია, გარდაქმნა, გარდატეხა, ზრდა ან დაკნინება, ძველის წაშლა და ახალის აღმოცენება, მაგრამ ჩვენ უფლება არა გვაქვს ეს ხმამაღლა ვიყვიროთ, რადგან მომავალ თაობათა შორის მსოფლიო ევოლუციის მოლოდინი სახელმწიფოში ქაოსს გამოიწვევს. აბა თვითონ წარმოიდგინე: თუ ადამიანმა იცის ხვალ რომელიმე კომეტა დედამიწას დაეჯახება და ყოველ სულიერთა არსებობა შეწყდება, ისინი დღეს მოუთვინიერებელ მხეცებად გადაიქცევიან, მსოფლიოში იფეთქებს პროსტიტუცია, მკვლელობა, ყაჩაღობა, ღრეობა და სხვა უმსგავსოებანი.

– ეროდი წიკლაურთან საუბრით თქვენც იმ დასკვნამდე მიხვედით, რომ გარდაუვალია მსოფლიო ევოლუცია?

– როგორ გეკადრებათ, ხომ მოგახსენეთ სხვაზე უკეთესად ვიცი ჩვენი პლანეტის წარსული და თვალნათლივ მივჩერებივარ მომავალსაც– მეთქი!

ჩვენი პლანეტა – დედამიწა – ოთხ პერიოდს ითვლის, უფრო სწორად მეოთხე პერიოდში იმყოფება და ამ პერიოდის მეხუთე პერიოდით შეცვლა გარდაუვალია. ზოგიერთმა ეს იცის და ხმამაღლა გაჰყვირის, მე კი ხმამაღლა ამის თქმა არ შემიძლია, რადგან მებრალება კაცობრიობის

სისხლითა და ცრემლით, ნაღველითა და იმედით დატვირთული დედამიწა. ჩვენი მოვალეობაა მივყვეთ აუფორიაქებლად ბუნების განუზომელ საიდუმლოებას და ნუ ჩავიხედავთ იმის სულში, რამეთუ მცირეოდენი საიდუმლოების ამოხსნაც კი საგრძნობლად ააფორიაქებს კაცობრიობას ყველამ უნდა შეიგნოს, რომ ცხოვრებას თავისი კანონები აქვს და ცივლიზაციის იმ საფეხურს, რომელზედაც დღევანდელი კაცობრიობა დგას, თავისი განსაკუთრებული საჭიროებანი ახასიათებს.

დღეს თქვენ მკვლელობის საქმეს იძიებთ, მისასალმებელია, გაწუხებთ ადამიანის ბედი, მაგრამ მე დედამიწის ბედი უფრო მაწუხებს, რომელსაც დედოფალასავით ათამაშებს განგება, ხან ოქროს ჯინჯილებით მორთულ აკვანში ჩააწვენს და თეთრი ნისლის აბრეშუმით შებურავს, ხან ფოთოლცვენის ყვითელ კაბას ჩააცმევს და ბაღში მოსეირნე ბავშვივით ატარებს. ხანდისხან შავ ნაბადსაც წამოახურავს და მოტაცებული მზეთუნახავივით პანეტათა შორის უხილავი ხდება. დედამიწა კი ნერვიული ქალივით ჭირვეულობს, ხან უმიზეზოდ გაიცინებს, ხან ასევე უმიზეზოდ ატირდება.

სამყაროს ბედის ვარსკვლავმა იმ ზომამდე გაათამამა კაცობრიობა, რომ მომავალ დროთა ჯადოსნურ სანთლად აინთო ტექნიკა და შემოქმედება, საიდანაც იელვა სიყვარულის, ბრძოლისა

და მეცნიერების შარავანდედმა, ამ ღვაწლს კი ადამიანთა უმადური მოდგმა, დედამიწის გულის გამოგლეჯვით ან მოძმეთა სისხლით შეღებვით იხდის...

აკვალანგისტები თანმიმდევრობით ამოვიდნენ წყლიდან, წინამ ნიღაბი მოიხსნა და „არსაიდან ხმა არსით ძახილიო“ – წარმოთქვა.

– აქ თევზია იმდენი, რომ რომელი გვამი დაურჩებოდათ შეუჭმელი? – თქვა მეორემ.

– თევზს არც უნდა ჭამდე ადამიანი, ბინძური საზიზღრობაა – თქვა მესამე.

გამომძიებელმა აკვალანგისტები თავიანთ ავტომანქანაში შეიპატიჟა – ამ ექვსიოდე თვის წინათ ამ ტბიდან ქალის გვამი ამოიღეს, მაშინ თქვენს შორის რომელი ღებულობდა მონაწილეობას იმ ექსპედიციაში? – შეეკითხა გამომძიებელი აკვალანგისტებს.

სიჩუმე ჩამოვარდა, მხოლოდ ერთ ახალგაზრდას მზერა განზე გაექცა და ზვიადაურმა სწორედ მას მიმართა:

– თუ არა ვცდები და მახსოვრობა არ მღალატობს თქვენ უნდა ყოფილიყავით ერთ–ერთი მონაწილე იმ წყალქვეშა ექსპედიციისა – მიმართა გამომძიებელმა ერთ–ერთ ახალგაზრდას, რომელსაც სახეზე სიყვითლემ გადაურბინა და უხერხულობა იგრძნო.

– დიახ ბატონო! – ძლივს გასაგონად წარმოთქვა ახალგაზრდამ.

– ბოდიში, თქვენი სახელი? – წყნარად შეეკითხა გამომძიებელი.

– ბადრი ბადრიძე – უპასუხა ახალგაზრდამ.

– ჰო და ჩემო ბადრი, თქვენ ჩემთან დარჩით, დანარჩენებმა კი გააგრძელეთ ტბის ფსკერის შესწავლა. – თქვა მკაცრად გამომძიებელმა და თვალი გააყოლა აკვალანგისტებს, რომლებიც თანმიმდევრობით გაიკრიბნენ გარეთ.

როდესაც პირისპირ დარჩა ზვიადი ბადრისთან, გამომძიებელი ცოტა არ იყოს მკაცრად შეეკითხა:

– ექსპედიციის ხელმძღვანელი თქვენ იყავით როდესაც ტბაში გვამი იპოვეთ?

– ხელმძღვანელიც მე ვიყავი და მონაწილეც, აკვალანგისტი ჩემს მეტი არავინ ყოფილა!

– სანამ ტბაში შეცურავდით გვამის ამოსაღებად, რა საუბარი გვქონდათ გამომძიებელ ირეოდი წიკლაურთან?

– არაფერი, ირეოდი წიკლაური თვალითაც არ მინახვს!

– იქნებ არც იმისი ძმა გინახავს – მანუჩარი?

– რა თქმა უნდა, არა!

– თქვენ ტბის ფსკერზე ერთი გვამი ნახეთ თუ ორი?

– ერთი, მეორე რომ მენახა იმასაც ამოვიღებდი.

– ჰო და ჩემო ბადრი თქვენ დაპატიმრებული ბრძანდებით, შეგიძლიათ შეიხსნათ ქამარი და ჩემთან წამობრძანდეთ, მაგრამ ეს უსიამოვნება

თავიდან რომ აიცილოთ და მეც ლმობიერება გამოვიჩინო თქვენს წინაშე, უმჯობესია იყოთ გულახდილი და სიმართლე ილაპარაკოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ბრალად დაგდებთ ძიების შეცდომაში შეყვანას და შეიძლება მკვლელობასაც გამოჰკრათ ხელი.

– თქვენ შესაძლებლობებს და უფლებებს იყენებთ ჩემს წინააღმდეგ? რა დამიშავებია, რისთვის დამაპატიმრებთ?

– დანაშაული არც შმაგი მგალობლიშვილს არაფერი ჰქონდა, მაგრამ თორმეტი წლით აღუკვეთეს თავისუფლებაში ცხოვრაბა, შენ კი გვამის გადამალვისათვის დაგაპატიმრებ!

– ჩემი ბრალი არ არის ბატონო!

– სწორედ მაგას გეკითხებით, ვისი ბრალია და სად არის გვამი!

– იმ გამომძიებელმა მიბრძანა მხოლოდ ერთი გვამი ამომეღო წყლიდან, მეორე კი ფსკერზე დამესაფლავებინა.

– გასამრჯელო მოგცათ რაიმე?

– არაფერი ბატონო, მე ბრძანება შევასრულე!

– მიაგნებ სადაც გვამი დაასაფლავე?

– კი, ზედ ნიშანი მაქვს დადებული!

– აბა ჩქარა, თუ გინდა უსიამოვნებას აშორდე ერთი საათის შემდეგ გვამი ამ ავტომანქანაში უნდა იყოს დასვენებული. უთხრა გამომძიებელმა და პირველი თვითონ გამოვიდა ავტომანქანიდან.

აკვალანგისტმა ტბაში შეცურა.

ზვიადურმა საკუთარი „ჟიგულის“ კარები გააღო, ისევ ისე მინდიას გვერდით მოკალათდა საჭესთან და საუბარი გააგრძელეს:

– ბატონო მინდია – შეეკითხა გამომძიებელი – თქვენ ბრძანეთ, რომ დედამიწა ევოლუციის მეოთხე პერიოდში იმყოფება და გარდაუვალია მეხუთე პერიოდი, ხომ ვერ მეტყოდით განვლილ პერიოდებს და ევოლუციის მოსალოდნელ მეხუთე პერიოდს?

– ათეიზმის გაჟღენთილ ადამიანებს შეიძლება სასაცილოდ მოეჩვენოს, მაგრამ რამდენიც არ უნდა ვიცინოთ, დედამიწაზე მაინც ახდენდა და კვლავაც მოახდენს გავლენას ციურ სხეულთა სამყარო, ეგრეთწოდებული ზოდიაქო. ამჟამად ჩვენი პლანეტა იმყოფება „თხის რქის“ ზოდიაქოში და დედამიწაზე კოსმოსურ გავლენას ახდენს „სატურნი“. ორიათასი წლის შემდეგ ჩვენ გადავდივართ „მერწყულის“ ზოდიაქოში და მოვექცევით „ურანის“ გავლენის ქვეშ. ეს იგივეა რაც განვითარებულ ერთა შორის „რევოლუცია“. რომელიც მსხვერპლს მოითხოვს კაცობრიობისაგან.

პირველი პერიოდი დედამიწის გაჩენა იყო, რომელიც „იუპიტერის“ მფრაველობის ქვეშ წარმოიშვა. ვინ იცის იქნებ მის გაჩენამდეც არსებობდა ჩვენს პლანეტაზე სულიერი არსებანი, მაგრამ მე მას გავარვარებულ ლავას ვხედავ, განვითარების უმაღლესი ფორმა იბრძვის არსებობისათვის და სპობს უმდაბლეს ფორმებს. ჩვენს პლანეტაზე განვითა-

რების უმაღლესი მწვერვალი კაცობრიობის ხელში ნუ გგონიათ, ჩვენ ვემორჩილებით დედამიწის არსებობას და ეს უკანასკნელი კოსმოსურ პლანეტათა ზეგავლენას. რა არის დედამიწა? უბრალო პლანეტა, რომლის მსგავსი რამოდენიმეა ჩვენი მზის გალაქტიკაში, რამოდენიმე დაღუპულა კიდეც და მათ კატასტროფას ისეთი მასალა მიუცია სხვა განვითარებული პლანეტისათვის, რომლის მეცნიერული მნიშვნელობა განუზომელია. ერთი პლანეტის კატასტროფა მეორე განვითარებული პლანეტისათვის, რომელიც ნაკლებად განვითარებულ პლანეტაზე დაკვირვებას აწარმოებს. მისთვის ნათელი გახდება პლანეტის დაღუპვისა, მისი ხელახლა წარმოშობის და განვითარების ბევრი ბუნდოვანი მხარე. მეცნიერება ხომ ყველა პლანეტაზე სიცოცხლის უზენაესი ფორმის უღრმესი ფუნქციაა. ამიტომ ნაკლებად განვითარებული პლანეტის დაღუპვა ბევრად მეტ სარგებლობას მოუტანს უმაღლეს წერტილზე განვითარებულ პლანეტას, ვინემ იმისი არსებობა.

კაცობრიობას არ შეუძლია ჩაერიოს კოსმოსური პროცესის ბუნებრივ მსვლელობაში. შეიძლება პირველი პერიოდიც ასეთივე იყო დედამიწისათვის. მაგრამ კატასტროფამ სამუდამოდ როდი დაღუპა პლანეტა, რადგან მას უნდა გაეტარებინა მომავალი სიცოცხლის დიდი პოტენციალი. გავიდა წლები, ანთებული პლანეტა ჩაქრა, გაცივდა და თავისი მოწოდებისა და მოვალეობის შესრუ-

ლებას შეუდგა. მარადიული სიცოცხლისათვის კი მნიშვნელობა არა აქვს რამოდენიმე ათეულ მილიონ წელიწადს.

მეორე პერიოდი კი, როდესაც ჩვენი პლანეტა „იუპიტერის“ კოსმოსური მფარველობიდან „მერკურის“ მფარველობაში გადავიდა, მოხდა გამყინვარება და მილიონი წლების შედეგად აღმოცენებული სულიერი არსებანი საგრძნობლად შემცირდა დედამიწაზე. როგორც ავღნიშნე – მილიონი წლები არაფერს არ ნიშნავს პლანეტისათვის და დედამიწაზედაც სულიერი არსებანი შეეგუენ გამყინვარებას, კაცობრიობამ მიაღწია მეცნიერულ განვითარებას, მაგრამ დადგა მესამე პერიოდი, როდესაც „მერკურის“ მფარველობიდან ჩენი პლანეტა გადავიდა „პლუტონის“ მფარველობის ქვეშ, ამ ევოლუციამ კი „ატლანტიდის“ დაღუპვა გამოიწვია.

ანტლანტიდა პლატონის გადმოცემით თავის მეცნიერულ ნაშრომში – „ტიმეოსი“ და „კრიტია“ – ვრცლად მოგვითხრობს ატლანტიდის დიდ ცივლიზაციაზე, ტექნიკასა და კულტურაზე, რომელიც მდებარეობდა ატალანტიდის ოკეანეში უზარმაზარი მატერიკის სახით, რომელიც თავისი ტერიტორიული სიდიდით აღემატებოდა ლიბიას და მცირე აზიას, კნუძული დასახლებული იყო ძლიერი ატლანტებით, რომლებმაც თავიანთი ბატონობა ევროპისა და აფრიკის ქვეყნებზე გაავრცელეს. შემდეგ მატერიკის მოსახლეობას ევოლუციის შედეგად დიდი უბედურება დაატყდა

თავს, კუნძული ერთ დღეღამეში ჩაიძირა ოკეანეში. თანამედროვე მეცნიერების აზრით ატლანტიდის კულტურის ანარეკლთან გვაქვს საქმე: ეგვიპტის, მესოპოტამიის, მინოსური და ძველი მსოფლიოს სხვა მაღალგანვითარებულ ცივლიზაციებში. მეოთხე პერიოდი – „პლუტონის“ მფარველობიდან დედამიწა „სატურნის“ გავლენის ქვეშ გადადის და ამ ევოლუციამ „მსოფლიო წარღვნა“ გამოიწვია. ეს მოხდა ცოდვილი კაცობრიობის დასჯის შედეგად ძველი წელთაღრიცხვის მესამე ათასწლეულის პირველ ნახევარში. შუმერული მითების მიერ შემონახული მასალები არა მგონია სიმართლეს შეეფარდებოდეს, რადგან შეუძლებლად მიმაჩნია ნოეს ფიჭვის ხისაგან აეგოს კიდობანი, წაეყვანოს ყველა ცხოველი, წაეღოს ყველა მცენარის თესლი დაწარღვნით მოვლენილ სტიქიაში შეეცურებინოს. წარღვნამდელი გათხრების შედეგად და ჩემი აზრითაც იმ დროს კაცობრიობა უმაღლეს წერტილზე განვითარებული იყო, იწინასწარმეტყველეს მოსალოდნელი კატასტროფა და ააგეს დედამიწის თანამგზავრი, რომელიც ორბიტაზე მსოფლიოწარღვნის წინა დღეს გაუშვეს. საპლანეტაშორითო ხომალდში არ ყოფილა მარტო ნოე. ეს ღმერთისაგან რჩეული ადამიანი იყო ხომალდის მეთაური, რომლის ოჯახთან ერთად იმყოფბეოდა კიდევ სხვა ოთხი ოჯახი. ყველანი ღმერთისაგან რჩელუნიდა ყოველმხრივ განვითარებული ადამიანები, არავითარი თესლი

და ცხოველები მათთან არ ყოფილა. ეს ბუნებამ შემდგომში თვითონ შექმნა რამოდენიმე ათასწლეულის განმალვობაში. თორმეტი დღე იფრინა ხომალდმა დედამიწის გარშემო. დედამიწაზე კი ბობოქრობდა სტიქია, რომელმაც „სატურნის“ მიზიდულობის შედეგად წამიერი შეფერხება განიცადა, ზღვებმა და ოკეანეებმა დატოვეს თავისი სამოფელი და ხმელეთზე გადმოვიდენნ, მთელ პლანეტაზე ბობოქრობდა უზარმაზარი ტალღები, თორმეტი დღე–ღამის ფრენის შემდეგ ნოემ კიდობანი ერთ–ერთი მთის შვერილზე დაუშვა, ჯერ კიდევ არ იყო მთლად დაწყნარებული დედამიწა, ხუთ ოჯახს კი არსებობისათვის, საარსებო პირობებით უნდოდათ. აბა თვითონ წარმოიდგინეთ, ასეთ პირობებში რას გააკეთებს შენი მეცნიერული განათლება? ამიტომ იძულებული გახდნენ თავიანთი ფიზიკური შრომით ერჩინათ თავი და დაიწყეს მიწათმოქმედება, თევზაობა, ნადირობა და ყოველდღიური ზრუნვა არსებობისათვის. პირველ ხანებში თანდათან დაქვეითდა ადამიანთა გონება, რომელთა საზრუნავს მხოლოდ საკვები წარმოადგენდა, განვლო ასწლეულებმა და დღევანდელ განვითარებას მივაღწიეთ.

ეს ხომ ლეგენდა არ არის, დღეს ჩვენ დედამიწაზე უხვად ვპოულობთ წარღვნის შედეგად დარჩენილ მასალებს, ამ საკითხზე წერენ და გვესაბურებიან ძველი ფილოსოფოსები, მსოფლიო წარღვნის შედეგებს მოგვითხრობს ბიბლია და სხვა. როგორც

ავღნიშნე ჩვენი პლანეტა ორი ათასი წლის შემდეგ „სატურნის“ კოსმოსური მფარველობიდან „ურანის“ მფარველობის ქვეშ გადავა და ძნელი სათქმელია თუ როგორ ევოლუციას განიცდის ჩვენი პლანეტა...

– ბატონო მინდია – ლაპარაკში შეეცილა გამომძიებელი – ტკბილია თქვენთან საუბარი, მაგრამ იმდენად ფანტასტიკური, რომ ყოველი საუკუნისათვის დაუჯერებელი და დაუმტკიცებელი თეორემაა. აბა თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ, როდესაც მზე დედამიწიდან საშულაოდ 150 მილიონი კილომეტრითაა დაშორებული და „სატურნი“, რომელიც – თქვენი მსჯელობის თანახმად ჩვენი პლანეტის მფარველია, მზიდან დაახლოებით ერთ ნახევარი მილიარდი კილომეტრითაა დაშორებული. ჩვენ ვიცით, სინათლის სიჩქარე სამასი ათასი კილომეტრია წამში, ესე იგი, თავისთავად იბადება კითხვა: – რამდენი წელიწადი მოუნდება „სატურნიდან“ წამოსული სხივი დედამიწამდე მოსვლას? – ჩვენ დღეს შეუიარაღებელი თვალით შეგვიძლია დავინახოთ „სატურნი“, მაგრამ ჩვენ ვხედავთ რამოდენიმე წლის წინანდელ ცდომილს და ვინ იცის დღეს შესაძლებელია პლანეტა „სატურნი“ აღარც არსებობს, თქვენ კი მიმტკიცებთ „დედამიწაზეო ახდენს გავლენას“...

– ბატონო ზვიად, საბურის დასაწყისშივე გითხათრით: – „თუ ათეიზმით ხართ შეპყრობილი, ძნელი დასაჯერებელია ყოველგვარი ზებუნებრივი

მოვლენების ზეგავლენის მტკიცება თქვენთან“. მაგრამ ჩვენ როგორი ურწმუნონიც არ უნდა ვიყოთ კოსმოსური ცდომილებები მაინც მოახდენენ დედამიწაზე ზეგავლენას და არა მარტო დედამიწაზედ, არამედ ადამიანთა თითოეულ პიროვნებაზედაც და ასე გასინჯეთ ცოცხალ არსებათა ფსიქოსექსუალურ მდგომარეობაზედაც კი. იმ პერიოდის განმავლობაში, რასაც „სატურნი“ მზიური ნიშნის გავლას უნდება, თითოეული ადამიანის პიროვნებაში მოსალოდნელია ფსიქოსექსუალური დარღვევები, არეულობანი, ხშირად ადამიანი სინამდვილისაგან მოწყვეტილად გრძნობს თავს და დიდ სექსუალურ სწრაფვას განიცდის სხვის მიმართ, ხშირად იმყოფებიან დეპრესიაში, რასაც ჯანმრთელობის მოშლა, შრომის სიძულვილი და სხვა უარყოფითი მოვლენები მოსდევს.

მართალია არამარტო „სატურნი“, არამედ კოსმოსური ყველა ცდომილი ძალზედ შორს არიან დედამიწიდან და თავიანთი ორბიტებით მზის ირგვლივ უფრო ნელა მოძრაობენ, ვიდრე დედამიწა, მაგრამ ისინი მეტი ძალით და უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმალვობაში ახდენენ ჩვენზე ზეგავლენას. მაგალითად, „სატურნი“ თავისი ორბიტის გავლას 29,5 წელიწადს უნდება, ხოლო ზოდიაქოს ყველა ნიშნისას – 2,5 წელიწადს. ამასთან ერთად ცდომილები დედამიწიდან, რაც მეტი მანძილითაც არის დაშორეუბლი და არც ნელა მოძრაობენ მზის ირგვლივ მით მეტ გავლენას ახდენენ როგორც

ჩვენს პლანეტაზედ, ასევე სულიერ არსებაზედაც.

– ბატონო მინდია, თქვენი საუბრიდან გამომდინარე, დედამიწას დაღუპვა არ უწერია, სანამ ყველა კოსმოსური პლანეტის ზეგავლენას არ გაივლის? – ცოტა ირონიულადაც კი შეეკითხა გამომძიებელი ყოფილ მასწავლებელს, რომელსაც არ გამოპარვია მოსაუბრის დამქირდავი შეკითხვა, მაგრამ არ შეიმჩნია და უწინდელი გულუბრყვილობით უპასუხა:

– ვინ იცის, ადამიანები ვერ ჩაწვდებიან კოსმოსურ ძალთა საიდუმლოებას, იქნებ დედამიწამ წარმოშობიდან ყველა კოსმოსური პლანეტის ზეგავლენა განიცადა და ახლა დადგა გადამწყვეტი ხანა, მაგრამ მე დედამიწას დაღუპულს ვერ ვხედავ, ის ოდნავ ჩქარა ბრუნავს თავისი ღერძისა და მზის ირგვლივ.

– ბატონო მინდია, ეგზომ სასიამოვნოა თქვენთან საუბარი, მაგრამ რატომღაც ბებიაჩემის მონაყოლ ზღაპრებს მაგონებს, რომელიც ბავშვობაში სასიამოვნო მოსასმენი იყო და მოზრდილთათვის სასაცილო. ვერცერთი ჭკუათმყოფელი ადამიანი ვერ დარწმუნდება იმ ამბავში, რომ ჩვენს პლანეტაზე და პირადად ადამიანთა არსებობაზე რომელიმე ციური სხეულის ახდენდეს გავლენას, რადგან მეცნიერების მიერ სულ სხვაგვარად არის წარმოდგენილი „ასტროლოგია“.

ასტროლოგიის მეცნიერული განმარტება გვას-

წავლის: – „ასტროლოგია ვარსკვლავთმისნობა, ცრუ მოძღვრება, რომლის თანახმად ვითომდა შესაძლებელია ცაზე მნათობთა განლაგების მიხედვით ადამიანის ან მთელი სახელმწიფოს ბედი სწინასწარმეტყველება“. მეცნიერების აზრით, ნებისმიერი ადამიანი ექვემდებარება ნებისყოფის, დისციპლინისა და შემოქმედების ზეგავლენას; ამ სამი ატრიბუტის გამომუშავებით ადამიანები შეიძენენ ცხოვრებისათვის აუცილებელ პირობებს, სწავლითა და ნებისყოფის დაძაბვით ყოველი ადამიანის გამოიმუშავებს რისკს, სითამამეს, გამბედაობას, მოთმინებას, დიდ ამტანიანობას და შემოქმედება ადამიანს ჩამოაყალიბებს სიკეთისაკენ დამოუკიდებლად, და გვასწავლის მიზნების წინასწარდასახულობას. ყოველივე აქედან გამომდინარე კი მიიღება ადამიანის ნამდვილი სახე, რომელსაც განიხილავს ადამიანის ცხოვრების მაღალი პროგრამა. მაგრამ არსებობენ ადამიანები, რომლებიც ნებისყოფის, დისციპლინისა და შემოქმედების გამომუშავებას ვერ ახერხებენ თავიანთი თანდაყოლილი სუსტი ნიჭის წყალობით. აქ კი თანამდეროვე მეცნიერების თვალსაზრისით, რომელთა აზრსაც მეც ღრმად ვეყრდნობი, არაფერ შუაშია კოსმოსური ცდომილები...

გამომძიებელმა სამყაროზე თავისი შეხედულების ფილოსოფია ვერ დაამთავრა მასწავლებელთან საუბრის დროს, რადგან წყლიდან აკვალან-

გისტების ჯგუფი ამოვიდა და თან ქერათმიანი ქალის გვამი ამოაცურეს, ერთ–ერთი აკვალანგისტი გაიქცა და ავტომანქანიდან საკაცე გამოიტანა, მიცვალებული ქალი სგვამი საკაცეზე დაასვენეს. კარგად შეენახა ტბის ფსკერს მიცვალებული. ასე გასინჯეთ გვამის სურათით ამოცნობაც კი შეიძლებოდა, მაგარმ სულ მალე მზის სხივებმა და ჟანგბადმა ისე სასწაულად იმოქმედა მიცვალებულზე, რომ წუთის წინანდელი მსგავსებაც კი გაქრა იმის სახეზე. მიცვალებული აკვალანგისტების ავტომანქანაში დაასვენეს. გამომძიებელი მინდიას გამოემშვიდობა და ორივე ავტომანქანამ დედაქალაქისაკენ აიღო კურსი.

დედაქალაქში დაბრუნებისთანავე ზვიადაურმა ქალის გვამი საექიმო ექსპერტიზას გადაუგზავნა და თვითონ რესპუბლიკის პროკურორთან შევიდა კაბინეტში ძიების შედეგის მოსახსენებლად. პროკურორმა ძიების ასე ენერგიულად წარმართვა მოუწონა ახალგაზრდა კვალმაძიებელს და გაკვირვებაც ვერ დაფარა, მეორე გვამის აღმოჩენით.

– საიდან იწინასწარმეტყველეთ, რო მტბაში მეორე გვამი იქნებოდა? – შეეკითხა პროკურორი ზვიადაურს.

– მანუჩარ წიკლაურის მეუღლის საუბრიდან დავასკვენი, რომ ტბაში ორი გვამი იქნებოდა

ჩაძირული, რადგან მან დაინახა თუ როგორ საუბრობდა მისი მეუღლე და მაზლი ორ ქალიშვილთან, ეჭვი დამებადა, რომ მკვლელი მოწმეს ცოცხალს არ დატოვებდა და მეორე გვამსაც დავუწყე ძებნა. ჩემი ეჭვი გამართლდა...

– მე სანქციას გავცემ წიკლაურების დაპატიმრების შესახებ. – თქვა პროკურორმა და ზვიადაურს ლმობიერი თვალით გადახედა, რომლისგანაც უყოყმანოდ მოელოდა თანხმობას, მაგრამ შეცდა, კვალმაძიებელმა უარის ნიშნად მძიმედ გააქნია თავი და პროკურორს თავისი წინადადება წაუყენა:

– ნუ ავჩქარდებით ბატონო კაკო, ჩვენ რომ წიკლაურების დაპატიმრება განვიზრახოთ, მანუჩარ წიკლაური მიმალვას შესძლებს, რომელიც თითქოსდა სამუშაოდ რესპუბლიკის გარეთ იმყოფება. ეროდი კი ყველაფერს ძმას გადააბრალებს თავის დასაძვრენად და ძიებაც საგრძნობლად გაგვიჭიანურდება, ამიტომ პირველ რიგში, მანუჩარზედ საკავშირო ძაბნა გამოვაცხადოთ, როდესაც იმის დაპატიმრებას შევიტყობთ, ეროდიც იმ დღესვე დავაპატიმროთ და ერთდროულად ვაწარმოოთ დაკითხვა.

პროკურორს გამომძიებლის გეგმა მოეწონა და კმაყოფილების ღიმილმა ბაგეზე პეპელა აუთამაშა.

ზვიადაური თავის კაბინეტში შევიდა და სა-

ვარძელში ღრმად ჩაჯდა. დაღლა იგრძნო, სავარძლის საზურგეს გადააწვა და თვალები მილულა, მაგრამ დიდხანს როდი აცალეს განცხრომით მოსვენება. მდივანმა გოგონამ დაუკითხავად შეაღო კაბინეტის კარები და კეკლუცური ტანის რხევით მაგიდაზე ფოსტა დაუწყო. კვალმაძიებელი წამოიმართა და უხვ მასალათა შორის ერთ–ერთი ამოარჩია: „საექიმო ექსპერტიზის დასკვნა“.

საექიმო ექსპერტიზა იტყობინებოდა, რომ დუშეთის სასაფლაოზე ამოღებული გვამის საექიმო ექსპერტიზის შედეგად ვადგენთ:

– „უცნობი ქალი წყალში ჩაძირვამდის არის მომხრჩვალი, რაც დასტურდება საექიმო ექსპერტიზის შემოწმებით.

ქალი დაავადებული ყოფილა ქრონიკული ვენერიულიდაავადებით, ათაშანგით, იგივე სიფლისი ანუ ლუესით. ორგანიზმში აღინიშნება მკრთალი ტრეპონემა. გვამს დაავადება აქვს შეძენილი სქესობრივი გზით მამაკაცთან უშუალო კონტაქტით...“

გამომძიებელს ბოლომდის არც კი წაუკითხავს საექიმო ექსპერტიზის დასკვნა და ხმამაღლა წამოიძახა – „ასეც ვიცოდით“ – თავისივე აღმოჩენამ ისეთი სიამოვნება მოჰგვარა, რომ მხრებიდან დაღლაც კი მოეხსნა და დანარჩენ ფოსტას ენერგიულად დაუწყო გადარჩევა.

* * *

– შვილო! – უთხრა დიმიტრიმ შმაგის, როდესაც ამ უკანასკნელმა მორიგი გასეირნებით ტყიდან მორი მოიტანა და ზღართანით დააგდო მამის ფეხებთან. – მე გლეხი კაცი ვარ, მაგრამ ცხოვრების გამოცდილება როდი მაკლია, რაღაცას მიმალავ შვილო. გამიღე გულის კარი, აბა ჩემზედ უკეთეს მესაიდმულეს ვის ნახავ ქვეყნად? როდესაც შვილის საიდუმლოება მამამ იცის, შვილს გულზე კაეშანი მოეხსნება და მამაც თავისუფლად ამოისუნთქებს. ვინ იცის, იქნებ კიდეც რაიმეში, ხომ იცი შენი გულისათვის სანთლად დავიწვები, რომ გზა გაგინათო!

– რას მეუბნები მამა, მე ხომ გიჟი ვარ, აბა სად შემიძლია საღად აზროვნება და რაიმე სერიოზული საკითხის დამოუკიდებლად გადაწყვეტა? – უთხრა შმაგიმ მამას და ოფლი ქუდით მოიწმინდა სახეზე.

– არა შვილო, შენ გიჟი არა ხარ, გიჟის თვალები სხვაგვარად მეტყველებს, სახეც არეული აქვს და მოქცევაც სხვაგვარი.

– მართალია მამა, მაგარმ მე მაინც გიჟი ვარ და ასე მინდა კიდევ ცოტახანს ვიყო.

– რას ნახულობ ამ მოგონილ სიგიჟეში, ნუთუ გესახელება ან გეამაყება ასეი ცხოვრება? შენ ხომ შთამომავლობა უნდა დამიტოვო, გვარი და ერი მომიმარავლო, გიჟსა და ნაგიჟარს რომელი ჭკუათმყოფელი ქალი გამოგყვება ცოლად?

– მოიძებნება ვინმე ჩემსავით გიჟი ან ნაგიჟარი და იმას შევირთავ ვინც გამიგებს და შემიყვარებს.

– კიდევ დიდხანს აპირებ ასეთ ცხოვრებას? მე მგონია დრო არის დაუბრუნდე საზოგადოებას და მოუხმო კეთილგონიერებას.

– ერთი კვირის სამუშაო დამრჩა და ერთი კვირის შემდეგ მე ჩემი სპეციალობით დავიწყებ სამსახურს!

– მაინც რას აკეთებ, რატომ არ მეტყვი?

– ადრე ხომ გითხარი: – „გამოსაფხიზლებელს ვაშენებ ბედნიერებით მთვრალებისათვის–მეთქი?!

– თუ შეიძლება მშენებლობაში დაგეხმარო?

– არა, უკვე ვამთავრებ და არც მინდა იცოდეს ვინმემ იმისი არსებობა და ადგილმდებარეობა.

ამ მამაშვილური საუბრიდან ზუსტად ერთი კვირის შემდეგ შმაგიმ თავაზიანად შეაღო თეატრის დირექტორის კაბინეტის კარები, ზრდილობიანად მიესალმა და მაგიდაზე განცხადება დაუდვა, სადაც ითხოვდა მსახიობად სამსახურის დაწყებას.

– შმაგი მგლობლიშვილი – წყნარად წაიკითხა განცხადების დასათაურება თეატრის დირექტორმა და სათვალის ზემოდან გადახედა მთხოვნელს. შემდეგ თითქოს რაღაცას იხსენებსო, მაგიდაზე თითები აათამაშა, გაიხსენა და თავისი მეხსიერების უნაკლოების სახე გაებადრა.

– აჰა, თქვენ ის მგალობლიშვილი არა ხართ მკვლელობისათვის რომ გაგასამართლეს?

– დიახ, მაგარმ ძიებაში დაშვებული შეცდომის შედეგად.

– ყველას შეცდომის შედეგად იჭერენ!

– მაგრამ მე ხომ გამამართლეს და გამანთავისუფლეს?

– განთავისუფლების შემდეგ ყველას ამართლებენ!

– ამით რისი თქმა გინდათ, ვერ მიმიღებთ მსახიობად?

– არა გენაცვალე. აბა თვითონ წარმოიდგინეთ ვინ დაესწრება ჩვენს წარმოდგენებს, როდესაც მაყურებელი გაიგებს ამა თუ იმ როლს ყოფილი ბოროტმოქმედი თამაშობს?

– მე ხომ ბოროტმოქმედი არა ვარ, მე გამამართლეს!

– მაგრამ მაინც ნაციხარი გეთქმის!

– ეს თქვენი ნებაა!

– მე ხომ საარსებო წყარო მესაჭიროება?

– არის ისეთი სამუშაოები, სადაც თქვენი ნაავკაცარი არ გამოჩნდება და იქ იმუშავეთ!

– მე ხომ თეატრალური განათლება მაქვს, თქვენს გარდა ვის ვთხოვო დახმარება?

– ამ შემთხვევაში დიპლომის გაჩოენა ხეირს არ დაგაყრის, თქვენთვის უმჯობესი იქნება შავ მუშად მოეწყოთ სადმე მშენებლობაზე!

– კარგი, თქვენთან მიმიღეთ რაიმე სამუშაოზე „შავ მუშად“, თუ გინდა დამლაგებლადაც, არ ვითაკილებ.

– არა გენაცვალე, აქ თეატრია. „წმიდა სავანე„!...

– თეატრია? მოდი მაშინ მე და შენ სპექტაკლი გავითამაშოთ. ისეთი კი არა სცენაზე რომ თამაშობენ, ნამდვილი, ცხოვრებისეული, სადაც მართლა ახრჩობენ და კლავენ!

დირექტორმა რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ შმაგი ჰალსტუხში სწვდა, თავისკენ დაითრია და ყელზე სალათის საყელო გადაუგრიხა. სავარძელი დირექტორთან ერთად ამოტრიალდა, მაგრამ ამას მგალობლიშვილისათვის ხელი არ შეუშლია, მკერდზე მუხლი დააჭირა და ხალათის საყელო კიდევ გადაუგრიხა, დირექტორს სახეზე სისხლი მოაწვა, თვალები გაუფართოვდა დ ა ხროტინი დაიწყო. რამდენიმე წამიც და დირექტორი წინაპართა სულებს მიესალმებოდა, მაგრამ შმაგიმ მოულოდნელად ხალათის საყელო შეუშვა და მსხვერპლს ამოსუნთქვის საშუალება მისცა. შემდეგ სავარძლიანად წამოაყენა და საწყის მდგომარეობაში დააბრუნა.

როდესაც დირექტორმა სული მოითქვა, შმაგიმ იატაკიდან სათვალე აიღო, თვალებზე მოარგო და ნაძალადევი ღიმილით უთხრა:

– ხომ არ გავიმეოროთ პატივცემულო, ახლა უფრო მკაცრად და გამომშვიდობების სახით? იცოდეთ ციხის პრაქტიკამ ისეთი ძალმომრეობის თეორია შემძინა, რომ თუ მზაკვრობას გულში გაივლებთ და ჩემს დაპატიმრებას ეცდებით, მე თქვენ უწინარესად გაგანადგურებთ, ახლა კი კე-

თილი ინებეთ და განცხადებაზე ხელი მომიწერეთ, მხოლოდ იმ პირობით, რომ თქვენი შუამდგომლობით ყველა პიესაში მთავარ როლს ვითამაშებ. რა თქმა უნდა შეკითხვა არ გექნებათ.

დირექტორმა მგალობლიშვილის განცხადება ახლოს მოსწია, სათვალე შეისწორა, ბურთულიან კალამს მისწვდა და განცხედებას ხელი მოაწერა.

– დღის ბოლოს შემოიარე! – უთხრა შმაგის და ხელმოწერილი განცხადება მიაწოდა.

დღის ბოლოს თეატრის დირექტორის კაბინეტში დირექტორის გარდა კიდევ სამი მამაკაცი იჯდა. შმაგი კაბინეტში შევიდა და კარებში გაჩერდა.

– დაბრძანდით! – თავზიანი ღიმილით უთხრა დირექტორმა.

– ხომ გითხარით მზაკვრობას გულში ნუ გაივლებთ–მეთქი! – უთხრა შმაგიმ და ადგილიდან არ განძრეულა.

– არა, თქვენ ბრწყინვალედ შეგიძლიათ ბოროტმოქმედის როლის განსახიერება, მე თქვენ გამომადგებით, დაბრძანდით, აქ ყველა ჩვენი კოლეგებია, ვისაუბროთ.

შმაგი სავარძელში იმ კაცის გამომეტყველებით ჩაჯდა, რომლისთვისაც სულ ერთია სავარძელში იჯდებოდა თუ ცივი ქვის ლოდზე. ყველაფრისათვის მზად იყო ყოფილი „ბოროტმოქმედი“, რომლისთვისაც დაღიც დაესვა და ბევრი რამეც ესწავლებინა ციხეს. კაბინეტში სიწყნარე სუფევდა, ხუთი ადამიანი იყო, მაგრამ ხმის ამოღებას ვერც

ერთი ვერ ახერხებდა, თითქოს ყველას ეშინოდა ეს მყუდროება არ დარღვეულიყო და ქაოსში არ აღმოჩენილიყვნენ. ბოლოს ისევ დირექტორმა იმარჯვა, ყელზე ხელი მოისვა, გაიღიმა, ხალათის საყელო შეისწორა და თითქოს ყველას ეშინოდა და ეს მყუდროება არ დარღვეულიყო ქაოსში არ აღმოჩენილიყვნენ. ჩაილაპარაკა – ყველა უფლება რომ წავართვათ ადამიანს საკუთარი თავის გასამართლების უფლება მაინც დარჩება, ჰო და მე ჩავუფიქრდი ჩემს საქციელს, სინდისის სასწორზედ დავაყენე საკუთარი თავი და გავასამართლე, უღირს დირექტორად შემიცნო ჩემმა სინდისმა ადამიანი დახმარებას მთხოვს, მე მაქვს დახმარების საშუალება და კიდევ ჰაერივით მესაჭიროება მთხოვნელი, მაგრამ მე ბოროტად ვიყენებ ჩემს ძალაუფლებას და უარს ვეუბნები დახმარებაზედ. „წადი სხვაგან“ ვეუბნები მას, სად სხვაგან წავიდეს? – ვეკითხები ჩემს თავს მარტოდ დარჩენილი სამშობლოდან გავაძევოთ? მე რა უფლება მაქვს, ეს ხომ მართლმსაჯულების საქმეა? აბა „სხვაგან წადი და იმუშავეო“ რომ ვეუბნები, სამშობლო ხომ ერთია? სხვას რად უნდა უვარგისი ადამიანი? ან სხვა ობიექტზე ჩადენილი დანაშაული ყველა ჩვენგანის დანაშაულად არ ითვლება? გამახსენდა ბრძენის ნათქვამი – „არასოდეს, არავის, არაფერი არ თხოვოთ განსაკუთრებით იმათ, ვინც თქვენზე უფრო შეძლებული და ძლიერია“. გამახსენდა და ჩემი მოქმედების შემრცხვა, რომ ვერ გავა-

ქარწყლე ბრძენის ნაწინასწარმეტყველებანი და საკუთარი თავი იმ გაბღენძილ ძლიერსა და შეძლებულში დავინახე, რომელსაც სიბრალული არ გააჩნია.

დირექტორმა სათვალე მოიხსნა, ცრემლით სავსე თვალები ცხვირსახოცით შეიმშრალა და შედარებით ხმამაღლა წარმოთქვა – მაპატიეთ!

– ვინმეს უნდა ვჭირდებოდეთ ბატონო და დახმარების ხელიც უნდა გავუწოდოთ ვისაც მივწვდებით, სწორედ მაშინ იქნება ჩვენი არსებობა მიზანშეწონილი – თქვა წვეროსანმა, რომელიც დირექტორის მარჯვენა მხარეს იჯდა და ნამდვილი ჯაშუშის გამოხედვა ჰქონდა.

– ეჰ, ყველა ასე რომ ფიქრობდეს კარგია – თქვა წვეროსანის პირდაპირ მჯდომმა მელოტმა მამაკაცმა და დაუმატა – სწორედ ციხიდან დაბრუნებულს უნდა შველა და ხელის გამართვა, როდესაც ჩვენ ბრწყინვალედ ვხედავთ, რომ მთელი კავშირი ციხეა. თეატრში მარტო ის კი არ არის მაყურებელს დროის გაყვანის ტაქტიკა ვუჩვენოთ. ჩვენ სული უნდა ჩავბეროთ მომავალს, ხალხს რწმენა უნდა ჩავუნერგოთ, რადგან რწმენის გარეშე ხმლის ამოღება შეუძლებელია, რწმენას კი მიზანი აკეთილშობილებს ბრძოლისათვის...

– მიგულეთ ერთ–ერთ მებრძოლად, ვეცდები გავამართლო თქვენი ნდობა... თქვა შმაგი მგალობლიშვილმა და მსახიობად დანიშვნის ახლად დაბეჭდილი ბრძანება გაუწოდა მოსაუბრეს.

გამომძიებელმა ზვიადაურმა გაზეთ „კომუნისტის“ მეოთხე გვერდი გადაშალა და მზერა ჯემალი ცინაძის ნეკროლოგზე შეაჩერა, რომელიც სურათით იყო დაბეჭდილი და ამხანაგების ჯგუფი ღრმა მწუხარებით იუწყებოდენ მოულოდნელად ჯემალი ცინაძის გარდაცვალებას, გამომძიებელს თვალწინ წარმოუდგა რუსთავის შრომა–გასწორებელი კოლონიის უფროსი ჯემალ ცინაძე და გადაწყვიტა მეორე დღეს სამძიმარი ეთქვა განსვენებული ოჯახისათვის.

ჯემალი ცინაძის ქვრივი, ახალგაზრდა ქალი სახეს იხოკავდა და ხმამაღლა ტიროდა: – „სწორი მითხრა იმ ბოშა ქალმა, ჩემი ბრალია ყველაფერი, ვერ გაგიფრთხილდი კაცო!..“ ერთსა და იმავეს რამოდენიმეჯერ იმეორებდა ის.

გამომძიებელმა რამოდენიმე წუთს ადროვა ქალს ტირილი, დერეფანში დაელოდა მის დაწყნარებას და სანამ ახალი ნაკადი მოვიდოდა სამძიმარზე, გადაწყვიტა ქალს გასაუბრებოდა:

– ქალბატონო, როგორ მოხდა ყოველივე ეს, ახალგაზრდა კაცი ასე უცებ როგორ გამოგვეცალა ხელიდან? – დამწუხრებული სახით შეეკითხა გამომძიებელი ქალს.

– გულს არასოდეს არ უჩიოდა, არა ეს ინფაქტი არ იყო, უფრო მოწამლულობას ჰგავდა, მაგრამ სანამ სასწრაფო დახმარების ავტომანქანა მოვიდოდა ყველაფერი დამთავრდა.

– როგორ შეატყვეთ მოწამლულობა, ან რას შეეძლო მოეწამლა?

– დილით, როგორც ყოველთვის ერთი სირჩა არაყი დალია და სამსახურში წავიდა, ორი საათის შემდეგ დაბრუნდა სამსახურიდან გამიკვირდა, მაგრამ დავინახე თუ არა ფერი არ მომეწონა მისი და მივხვდი ცუდად რომ იყო, სასწრაფო დახმარებისთვის მინდოდა დამერეკა, მაგრამ თვითოთნ არ დამთანხმდა: – „წამოვწვები, ცოტა მუცელი მტკივა და გამივლისო მითხრა“ – მართლაც ტახტზე წამოწვა, მაგრამ მალე მუცლის ტკივილი გაუძლიერდა, დაეწყო კრუნჩხვები და სუნთქვა გაუხშირდა, სასთუმალთან არ მოვშორებივარ და უკეთესობისაკენ შემობრუნება, რომ ვერ შევატყვე, გავმწარდი და მის შეუკითხავად სამედიცინო სასწრაფო დახმარებას დავურეკე. ცოდვას ვერ ვიტყვი მალე მოვიდა, მაგრამ მაინც გვიანი იყო.

– თქვენ ბოშა ქალი ახსენეთ, მაინც რა გითხრათ ასეთი, რომ ხშირად იგონებთ მას?

– ოჰ, ნულარ მკითხავთ, არასოდეს არ მჯეროდა მარჩიელის, ის კი ვიღაც იყო, მარჩიელი კი არა თითქოს ჩენი ოჯახი სწევრი ყოფილიყოს ისე მომიყვა ყველაფერ.

– მაინც რა გითხრათ ასეთი?

– დღის მეორე ნახევარი იყო, ზომაზე მეტად ცხელოდა. მე ეზოში ჩრდილში ვიჯექი და „ჯეკ ლონდონს“ ვკითხულობდი, ჭიშკარი ბოშა

ქალმა შემოაღო, ქალობაც არ ეთქმოდა, უფრო ქალიშვილს ჰგავდა, მთლად ახალგაზრდულად გამოიყურებოდა. ეზოში დაუკითახავად შემოვიდა და სახელით მომართა: – „ნელი თუ შეიძლება ერთი ჭიქა წყალი დამალევინეო“. – მთხოვა მან, მე გამიკვირდა, საიდან უნდა სცოდნოდა ჩემი სახელი ქუჩაში მოწანწალე ბოშა ქალს? – და გაკვირვება არ დამიფარავს. უკმეხად შევეკითხე: – ვინ გასწავლე ჩემი სახელი–მეთქი! – მას გაეცინა. არაფერი მიპასუხა და ხელის გულზე დამაცქერდა, შემდეგ ფრთხილად აიღო ჩემი ხელი, დიდხანს დაჰყურებდა მას, მომღიმარი სახე მწუხარებით შეეცვალა – „ნეტავი არ მოვსულიყავიო!“ – თქვა და წასვლა დააპირა, მაგრამ ცნობისმოყვარეობამ დამძალა და მარტოობით გათანგულმა გადავწყვიტე ამელაპარაკებინა მარჩიელი.

– ჩემს ხელზე რა დაინახე ასეთი, რომ მოსვლა ინანე? – შევეკითხე მას.

– მწუხარება, დიდი მწუხარება! – მიპასუხა მან.

– მაინც რა? – კიდევ უფრო დავინტერესდი მე.

– არა უმჯობესია არ გითხრა, უბედურებას მაინც ვერ აიცილებ თავიდან, თუმცა შეიძლება, რატომაც არა. გაფრთხილება ხომ წინდახედულების დედაა? – თქვა, ცოტა ხანს ჩაფიქრდა და დაიწყო. – მითხრა ჩემი ქმრის სახელი, გვარი და ასე გასინჯეთ მამის სახელიც კი, სად და რა თანამდებობაზე მსახურებოდა, თუ როგორ აფასებ-

დნენ მეგობრები, ალკოჰოლს რომ ეტანებოდა და ბოლოს მითხრა:

– „ისეთი სამსახური აქვს სიკეთესთან ერთად ცოდვებიც ბევრი აქვსო ჩადენილი, მოჩვენებითი მეგობრები ჰყავს, ფეხებში მიჩერებიან როდის წაიქცევა, მტრები მეტი ჰყავს მეგობრებზე, გაუფრთხილდი თორემ მისი მხრიდან ელოდეო მწუხარებას“ – ასევე მეც მითხრა ყველაფერი ოჯახიის ირგვლივ ისე მელაპარაკა და ისეთი საიდუმლოებები მითხრა, რომელიც მეც არ ვიცოდი და შემოწმებით ყველაფერი სიმართლე გამოდგა.. მე მადლობელი ვარ იმ უცნობი ქალის, გამაფრხილდა, მაგრამ მე ვერ გავუფრთხილდი...

– იცი რომ ნამდვილად ბოშა ქალი იყო?

– როგორ არ ვიცი, მაგათ ლაპარაკს, ფერსა და ჩაცმულობას მილიონი ეროვნების ხალხში ამოიცნობს ადამიანი.

– წყალი რომ გთხოვათ, დაალევინეთ?

– კი, წყალი მაცივრიდან გამოვუღე. ერთი ჭიქა არაყიც და დალია. ფული არ გამომართვა, დაგვლოცა და წავიდა.

– ეზოში საუბრობდით თუ სახლშიდაც შემოვიდა?

– მეზობლების შემეხათრა ეზოში რომ ვინმეს დავენახე მარჩიელთან მოსაუბრე და სახლში შევიპატიჟე, უარი არ უთქვამს, გულდასმით დაათვალიერა მთელი საცხოვრებელი, განსაკუთრებით კი ჩემი მეუღლის სამუშაო კაბინეტი

და აღფრთოვანებაც ვერ დაფარა უზარმაზარი ბიბლიოთეკის გამო: – „ეჭვი არ მეპარებოდა, რომ თქვენი მეუღლე განათლებული კაცი იქნებოდა, მხოლოდ ეს კი არ არის მოსაწონი უამრავი წიგნების გვერდით ალკოჰოლის ბარი რომ დგასო!“

– ალკოჰოლი თავის ტვინის უჯრედებს ხსნის და ნორმალურად მიღება საზიანო არ არის– მეთქი, ვუპასუხე.

– შესაძლებელია, ვერ შეგეკამათებით, მე ხომ ამხელა განათლება არა მაქვს ალკოჰოლის ზიანი ან სარგებლობა დავამტკიცოვო, – მითხრა.

– თუ შეიძლება მეც მაჩვენეთ თქვენი მეუღლის სამუშაო კაბინეტი! – უთხრა გამომძიებელმა ქალს და როდესაც იმის დამწუხრებულ სახეს თვალი შეავლო დარწმუნდა რომ თხოვნა უადგილო იყო, მაგრამ მოულოდნელად ქალი წამოიმართა და სიტყვის უთქმელად წინ გაუძღვა გამომძიებელს კაბინეტისაკენ.

მართლაც, უნიკალური იყო კაბინეტის გაწყობილობა და გამომძიებელს არ გაკვირვებია ბოშა ქალის აღფრთოვანება გამოეწვია ამ ქმნილებას. ნებისმიერი მწერალი შურის თვალით შეხედავდა კაკლის ხისაგან დამზადებულ მოჩუქურთმებულ საწერ მაგიდას, რომელსაც ასეთივე ხისაგან დამზადებული და მოჩუქურთმებული სავარძელი ჰქონდა მიდგმული. აღმოსავლეთის კედლის მთელ სიგრძე–სიგანეზე ბრწყინვალე ხელოსნის

მიერ გაკეთებული წიგნების კარადა იყო ჩამწკრივებული და რომელ წიგნს იტყოდით, რომ თაროზე არ აღმოჩენილიყო. კაბინეტს თვალნათლივ ეტყობოდა, რომ აქაური გაწყობილობა ფუფუნების საგნებს წარმოადგენდა და არა სახელმძღვანელოს. აქ ხმარებაში ერთადერთი კარადა უნდა ყოფილიყო, რომელსაც „ბარი“ ეწოდებოდა და რომელიც სხვადასხვა სასმელებით იყო გამოტენილი.

გამომძიებელმა მზერა არაყის ბოთლზე შეაჩერა, რომელიც თეთრი არაყის სითხით ნახევრად თუ იქნებოდა და გვერდით ორმოცდაათგრამიანი ბროლის ჭიქა ჰქონდა მიდგმული. გამომძიებლის გამოცდილი თვალი კი არა უბრალო ადამიანიც შეატყობდა, რომ ხმარებაში მხოლოდ ეს ბოთლი და ჭიქა იყო. – „ალბათ ყოველ დილით ამ ბოთლიდან სვამდა არაყს ჯემალ ცინაძე“ – გაიფიქრა გამომძიებელმა და დამწუხრებულ მანდილოსანს უთხრა:

– ამ ჭიქას წავიღებ, ყოველ შემთხვევისათვის შევამოწმებ, ვინ იცის შეიძლება თქვენი ვარაუდი გამართლდეს.

– არა, ღვთის გულისათვის, გამოძიების ხლართებში ნუ გამიხვევთ მეუღლეს, თორემ შემდეგ დაიწყება გვამის გაკვეთა, საფლავიდან ამოღება და მიცვალებულის ათასგვარი წამება, რომელიც ისედაც გაწამებულ გვამს სიცოცხლესა და არსებობას მაინც ვეღარ დაუბრუნებს.

– სიტყვას გაძლევთ, რომ არავითარ გამოძიებას

არ ვაწარმოებ, მხოლოდ ეს ჭიქა პირადი ინტერესისათვის მჭირდება, თვითონ ვარ დაინტერესებული ასე უცებ რამ მოკლა ეს ლომივით კაცი, – თქვა გამომძიებელმა და ქალის თანხმობის შემდეგ ჭიქა სპეციალურ ქაღალდის კოლბაში მოათავსა.

პროკურატურაში დაბრუნებულმა გამომძიებელმა ის იყო ჯემალ ცინაძის ოჯახიდან წამოღებული ჭიქა საექიმო ექსპერტიზას გადაუგზავნა შესამოწმებლად, რომ ტელეფონმა დარეკა. გენერალური პროკურორი მანუჩარ წიკლაურის დაპატიმრებასა და ადგილზე ჩამოყვანას იუწყებოდა:

– თუ დრო გაქვს, ჩემი თანდასწრებით ხომ არ დაკითხავდით? – გაისმა ყურმილში პროკურორის ხავერდოვანი ხმა.

– სიამოვნებით! უბრძანეთ შემოიყვანონ – უპასუხა გამომძიებელმა – შემოიყვანეს.

ზვიადაური თავაზიანად მიესალმა მკვლელობაში ეჭვმიტანილ მანუჩარ წიკლაურს და სკამზე მიუთითა.

– იცით რისთვის დაგაპატიმრეს? – შეეკითხა გამომძიებელი ეჭვმიტანილს.

– ვიცი. დაპატიმრების წინ კარგად გამოვძეხი და როგორც ქართველებს ჩვევიათ კერძს ზედმეტი პური მივაყოლე, თუ არ ვცდები თქვენი სისხლის სამართლის კოდექსი ზედმეტი პურის გაფლანგვისათვის სასჯელს ითვალისწინებს, მხოლოდ ის კი არ ვიცი რამდენი წლით მომიწევს თავისუფლების აღკვეთა!

– იმ ბოროტმოქმედებისათვის, რომელიც ბრალად გედებათ თავისუფლების აღკვეთას კი არა, სასჯელის უმაღლეს ზომას ითვალისწინებს, მაგრამ გულახდილად ნაღიარები ბოროტმოქმედება ამსუბუქებს სასჯელს და შეღავათიც გექნებათ, როგორც გამოძიების დროს ასევე სასამართლო პროცესზედაც.

– ოჰო! არ მეგონა სამასი გრამი პურის შეჭმა ამხელა სასჯელს თუ ითვალისწინებდა, თორემ მარტო „ხარჩოს“ ჩავხვირიპავდი.

– თავს ნუ იგდებთ, უმჯობესია თქვენ თვითონ აღიაროთ როგორ მოახრჩვეთ და შემდეგ როგორ ჩაძირეთ ქალის გვამი ბაზალეთის ტბაში.

– ღმერთმანი სასაცილოდაც არ მყოფნის ასეთი ბრალდება, მე როდესაც ბაზალეთის ტბის ტურისტულ სანაოსნო ბაზაში ვმუშაობდი ტურისტებს ვასეირნებდი ტბაზედ ნავით და არა გვამებს.

– არსებობს მოწმე, რომელმაც დაგინახათ შენ და შენი ძმა ირიდი წიკლაური თუ როგორ ეკამათებოდით ორ ქალიშვილს.

– ნუ გეწყინებათ და უნდა ვაღიარო, რომ კარგად ვერ გიმუშავნიათ, მხოლოდ ერთი მოწმე გიშოვნიათ და მეტი ვერა, რომელსაც ქალთან კამათის დროს დავუნახივარ, მე კი ასი მოწმე შემიძლია მოვიყვანო, რომელთაც საერთოდ არ დაუნახივარ ბაზალეთის ტბაზე.

– ოჰ, როგორ გინდათ თავი მოისულელოთ, მაგრამ ნუთუ არ იცით, სიგიჟე სასჯელს არ ამსუბუ-

ქებს? თქვენ ხომ არ უარყოფთ რომ ბაზალეთის ტ ბის ტურისტულ ბაზაში მუშაობდით მენავედ?

– არა!

– რატომ განთავისუფლდით სამუშაოდან?

– მსხვილი ფულის შოვნა მომინდა და რუსეთში წავედი სამუშაოდ, როგორ არ შეიძლება თუ?

– მეუღლესთან რატომ გაქორწინდით?

– უბრალოდ ვერ გავუძელი იმის საყვედურებს, მე მგონია ესეც დასაშვებია ჩვენს პირობებში.

– ვენერიული დაავადება სიფილისი ვისგან შეძინეთ სქესობრივი კავშირით?

– მე არავითარი სიფლისით დაავადებული არ ვყოფილივარ არასოდეს.

– აბა თქვენი მეუღლე როგორ დაავადდა ამ სენით თქვენ მიერ?

– ჩემ მიერ? ეშმაკმა უწყის ვის მიერ, მე კი სწორედ მაგ მიზეზით გავქორწინდი მასთან და უსიამოვნება რომ თავიდან ამეშორებინა რუსეთში გადავიკარგე!

– როგორც ჩანს რუსეთში დროსტარებამ დაგავიწყათ ბაზალეთის ტბაზე განვლილი სიამოვნებანი, მაგრამ მკვლელობა ასე ადვილი დასავიწყებელი არ უნდა იყოს, მითუმეტეს როდესაც მასთან მხოლოდ ექვსი თვე გვაშორებს რადგან თქვენ დავიწყებას მიეცით ეს საქმე, მე შემიძლია ზოგიერთი დეტალი შეგახსენოთ:

როდესაც თქვენ ბაზალეთის ტბის ტურისტულ ბაზაში მოეწყვეთ მენავედ, პირველ ხანებში გამოირ-

ჩეოდით დამჯერებლობით და მუყაითი შრომით, მაგრამ როდესაც თქვენმა ძმამ იურიდიული განათ-ლება მიიღო და ქალაქის პროკურატურაში დაიწყო მუშაობა, თავი ძლიერი მფარველის ქვეშ იგრძენით, მიჰყევით ქეიფსა და დროსტარებას, ხშირად შენთან ერთად შენი ძმაც იზიარებდა შენს ბედს და ნელ–ნელა ითქვიფებოდით ამორალური საქციელით.

დაახლოებით ივნისის თვეში ბაზალეთის ტბის სანაპიროზე თქვენ გაიცანით უზბეკეთიდან თვითნებურად ჩამოსული სუსტი ნებისყოფის ქალიშვილი, რომელსაც თბილისში მაცხოვრებე-ლი რუსის გოგონა ახლდა. შენ ორივენი რეს-ტორანში მიიპატიჟე და წინააღმდეგობასაც არ წაწყვეტებიხართ. შემდეგ ძმას ტელეფონით და-უკავშირდით და იმ ღამეს გვაინობამდის მოულ-ხინეთ, შემდეგ წინასწარ გამზადებულ ცალ–ცალკე ოთახებში გაიზიარეთ ქალებთან სარე-ცელი, იროდის უზბეკი გოგონა არ მოეწონა და ეს უკანასკნელი შენ გერგო წილად. სამიოდე დღე დაჰყვეს გოგონებმა თქვენს ხარჯზე და კარგადაც ისამოვნეთ. ისინი წავიდნენ, მაგრამ აი უბედურება, შენ ვენერიული დაავადება აღ-მოგაჩნდა და ამ სენით შენი მეუღლეც დაავად-და. შეიქმნა ოჯახში უკმაყოფილება, შენი მეუღ-ლე საავადმყოფოში მოათავსეს, შენ კი კერძო მკურნალობა აირჩიე, შენმა მეუღლემ არ დათმო ოჯახის წაბილწვა და განქორწინება მოითხოვა, სახალხო სასამართლომ მისი თხოვნა დააკმაყო-

ფილა. შენ ყველაფერი ძმას გაანდე და ორივემ ერთად დაიწყეთ გოგონების ძებნა, რათა სამაგიერო მიგეზღოთ ოჯახის ამრევისათვის.

შენ იცოდი უზბეკი გოგონას გვარი, სახელი და მისამართი, რომელთანაც სარეცელს იყოფდი, მაგრამ ეს ყველაფერი ტყუილი გამოდგა, რადგან ასეთი გოგონები სწორ მისამართს არ იძლევიან. შენი ძმა კი შენზედ ჭკვიანი აღმოჩნდა, როცა მის რჩეულ რუს გოგონას ეძინა, ირ0დიმ პასპორტი მოპარა და მისამართი ამოიწერა. მრავალჯერ მიაკითხეთ დაქალებს ბინაზე, მაგრამ სახლში არ დაგხვდათ. იძულებული გახდი დადარაჯებოდი და აი აგვისტოს დასაწყისში გამოიჭირე კიდეც. გოგონებს შენ ყველაფერი შეახსენე, მაგრამ შენს ნაცნობობაზე უარი განაცხადეს, ამიტომ იძულებული გახდი ძალით ჩაგეჯინა ორთავენი ავტომანქანაში და ბაზალეთის ტბაზე ამოგეყვანა.

წარმატება ირ0დის შეატყობინე და ისიც დაუყოვნებლივ შენთან გაჩნდა. გვიან ღამემდეს იკამათეთ, ქალები უარს ამბობდნენ ვენერიულ ავადმყოფობაზედ, შენ პირველად უზბეკი გოგონა ცემე და შემდეგ თავისივე ყელსახევით მოახრჩვე, რადგან უზბეკი გოგონა მოაკალით უნდა მომკვდარიყო რუსი გოგონაც, ვინაიდან მკვლელობის მოწმის ცოცხლად დატოვება თქვენთვის ხელსაყრელი არ იყო. გოგონა ბევრს გეხვეწებოდათ, რომ არაფერს არ იყტოდა, მაგრამ რომელი ჭკუათმყოფელი დაუჯერებდა? ამიტომ

ისიც გზიდან ჩამოიშორეთ. ღამით, როდესაც დარაჯსაც კი ეძინა, ნავი გამოიყვანე, გვამები ზედ მოათავსეთ და ტრაქტორის სახნისები ჩააბით წყალში რომ ჩაძირულიყო. ნავის ძრავა არ ჩაგირთავს ხმა რომ არავის გაეგონა და ნიჩბებით ტბის შუაგულში შეცურეთ, გვამები წყალში ჩაუშვით და დამშვიდებული დაბრუნდით ნავსაყუდელში იმ იმედით, რომ არავის დაუნახიხართ, მაგრამ თქვენ შეცდით, დაგინახეს და მოწმეებიც არსებობს.

– ბრავო! კარგი ზღაპარია, მაგრამ იცოდეთ ამ ზღაპრის მსხვერპლი მე არ გავხდები – წამოიყვირა მანუჩარმა.

– არა, ეს ზღაპარი არ არის, ხვალ შენს ძმასთან დაპირისპირებას მოგიწყობ და ეცადე იმართლო თავი.

– როგორ ერთ–ერთ მოწმედ ჩემი ძმა არის?

– ასე გამოდის!

– მანუჩარს თვალები გაუფართოვდა, პირველივე ცეცხლმა დაიკვესა და ნაპერწკლები დააფრქვია. შემდეგ თანდათან ჩაიფერფლა და ჩანაცრდა სიმკაცრე.

– არ გამოვა! – თქვა მან ოდნავი დუმილის შემდეგ და დაუმატა.

– უბრძანეთ გამიყვანონ! – ზვიადაურმა მანუჩარის თხოვნა დააკმაყოფილა.

გამომძიებელმა პროკურორისაგან ირეოდი წიკლაურის დაპატიმრების ნებართვა გამოითხოვა

და იმისი დაკითხვა მეორე დღისათვის გადადვა.

ეროდი წიკლაური ავადმყოფის იერით გამოცხადდა პროკურატურაში და გამომძიებელ ზვიადაურის პირისპირ მოთენთილი ჩაჯდა სავარძელში, სულიერ აფორიაქებას ვერ შეამჩნევდით, ეტყობოდა უფრო მეტი აწუხებდა რაღაც, თვალები ჩაღამებოდა და სახე ისე ჰქონდა გაცრეცილი, რომ თაბაშირის ბიუსტს მოგაგონებდათ.

– ბატონო ეროდი – დაიწყო გამომძიებელმა – თქვენ განათლებული ადამიანი ბრძანდებით, რა თქმა უნდა იცით, თუ გამოძიებას ხელმოსაკიდი ფაქტი არ გააჩნია ბოროტმოქმედის მიმართ პროკურორისაგან დაპატიმრების ნებართვასარ გამოითხოვს. იმედი მაქვს ჩვენ როგორც კოლეგები ერთი – მეორეს გაუგებთ და შეცდომაში არ შევიყვანთ მართლმსაჯულებას.

– რა გაქვთ მხედველობაში, ბრალად რა მედება? – წყანარად წარმოთქვა წიკლაურმა.

– რა საჭიროა შეგახსენოთ, თქვენც კარგად იცით ჩადენილი ბოროტმოქმედების არსი.

– ბოროტმოქმედება ბევრი ჩამიდენია, თითოეული კანონის ძალით მკაცრ სასჯელსაც იმსახურებს, თქვენ კი არ ვიცი რომელ დანაშაულზე შეაჩერეთ მხედველობა და აწარმოებთ გამოძიებას.

– მე ბაზალეთის ტბის ფსკერზე აღმოჩნეილი გვამების ირგვლივ ვაწარმოვებ გამოძიებას, მაგრამ საინტერესოა კიდევ რა დანაშაულებანი

გაქვს ჩადენილი და ან როგორ მოასწარი უამრავი დანაშაულის ჩადენა ესოდენ ახალგაზრდა კაცმა?

– მართლაც, რომ მოვასწარი, ალბათ დღეიდან აღარც შემწევს ძალა ვიყო თაღლითი ან კეთილი. ჩემი არსებობის მცირე მონაკვეთში ბევრი ადამიანი შემიშინებია, გამომიძალავს, უდანაშაულოსათვის სასჯელიც მომირგია, დავივიწყე პატიოსნება და ბოროტებას ვეთაყვანებოდი. სწორი მეგონა ჩემ მიერ არჩეული გზა, მაგრამ ახლა როდესაც ძალზედ გვიანია, და სიცოცხლეც ისე მინდა როგორც არასდროს, ყველაფერი დამთავრებულად მეჩვენება. არ იფიქროთ ჩადენილი ბოროტმოქმედებისათვის სასჯელის მეშინოდეს, ან შეღავათს ვითხოვდე მართლმსაჯულებისაგან, არა ჩემ მიერ სავალალო მხოლოდ ის არის, რომ მე ვერ მოვისმენ უმაღლესი სასამართლოს გადაწყვეტილებას, რომელიც ჩემს სასჯელს გამოიტანს.

– საიდან მოგდის ასეთი შავი ფიქრები, ახალგაზრდა კაცი ჯანღონით სავსე და სიკვდილზე ფიქრი რა საკადრისია?

– ვერსად ვერ დაემალები განგების ძალას და იმის გადაწყვეტილებას. ერთი კვირის წინათ დედაქალაქში ვიყავი, მინდოდა დაკარგული დიდება აღმედგინა და ჩემს რაიონში თუ არა, სხვაგან მეშოვა სამსახური სპეციალობით მიხედვით.

წერეთლის გამზირზე პირისპირ ბოშა ქალი შემომეჩეხა, გამიღიმა მართლაც კარგი რამ იყო და მეც გავუღიმე...

„ისევ ბოშა ქალი, თვალები გაუფართოვდა გამომძიებელს“.

წიკლაური კი საუბარს განაგრძობდა:

– ის მომიახლოვდა, ჩემი მარჯვენა ხელი აიღო, მტევანზე დამაცქერდა და ბოშური დამტვრეული ქართული მითხრა:

– „შენ იროდი გქვია, წიკლაური ხარ გვარად, ოოო„ დიდი სამსახური დაგიკარგავს და ახლა ლამობ აღდგენას, მაგრამ შენ კიდევ დიდი მწუხარება მოგელის“.

– ის წასასვლელად შეტრიალდა, მაგრამ მე მაჯაში მოვკიდე ხელი და საშუალება არ მივეცი წასულიყო.

– კიდევ მითხარი რამე. – ვუთხარი მე.

– არა, ქუჩაში არ ვმარჩიელობ. – მიპასუხა.

– მაშინ ჩემთან წამოდი, სახლში მარტო ვცხოვრობ და არც შორს ვარ აქედან – ის ცოტახანს ჩაფიქრდა და როდესაც თხოვნა გავუმეორე მითხრა:

– წავიდეთ! მხოლოდ ხელი არ მახლო, თორემ ინანებ!

ხალხმრავალ ქუჩას გავუყევი, ის უკან მომყვებოდა და ათიოდე წუთის შემდეგ ჩემი ბინის კარები შევაღე.

– როდესაც ბინა დაათვალიერა, „შენ მდიდარი არ ხარ!“ – მითხრა მან, – „რაც შენ ფული გიშოვია დროსტარებისათვის მოგიხმარებია და მადლობელი კი არავინ არა გყავს“, – ბოშამ

ისევ აიღო ჩემი მარჯვენა ხელი, თითები გამაშლევინა, ხელის გულზე დიდხანს მიცქირა და საუბარი თუ მარჩიელობა განაგრძო:

– „თუ ყველაფერი სიმართლე გითხრა, ნუ გეწყინება, დიდი ხიფათი გელის და ვინ იცის იქნებ აიცილო თაივდან მოსალოდნელი უსიამოვნება. შენ კარგი სამსახური გქონია, ბევრ ფულს შოულობდი, მაგრამ ფულის ყადრი კი არ იცოდი, სამსახურიდან მოგხსნეს ცილისწამებისათვის. ცოდვილი ადამიანის სისხლი გაწევს კისერზე, მთავრობის სახლი გემუქრება, მაგრამ უეცრად ავადდები და საკუთარი თავის სასამართლო განაჩენს ვერ მოისმენ.

– როგორ ვკვდები? – შევეკითხე მე. მან ჩემს შეკითხვას არაფერი არ უპასუხა და მაგიდასთან ჩამოჯდა სკამზე. გადავწყვიტე გავმასპინძლებოდი. არაყი და ხილი მოვიტანე. ჭიქებში სითხე თვითონ ჩაასხა და პირველმა დალია, მეც დავლიე, საუბარი გავაგრძელეთ, მაგრამ იმისი ლაპარაკი აღერ მესმოდა, ძილმა თავი წამართვა და წამოვწექი, შიში არ მქონდა, რომ ბოშა ქალი გამქურდავდა და ჩავიძინე. დილით კარგ გუნებაზე გამომეღვიძე, ცოტა თავი მიბრუოდა, მაგრამ ეს არაფრად ჩავთვალე და ბოშა ქალს წავეპოტინე, როდესაც სავარძელში ჩაძინებოდა. ის დაფეთებული წამოიჭრა – „ხომ გითხარი ხელი არ მახლო–მეთქი“ – დამიღრიალა მამაკაცის ხმით და ისეთი ალიყური მაჭამა, რომ

დივანზე მოსხლეტით გავიშოტე, ბოშამ კარები გაიჯახუნა და წავიდა. მე დიდხანს ვისვამდი ნიკაპზე ხელს, შემდეგ ჩემი საქციელის შემრცხვა, გამეღიმა და ქუჩაში გამოვედი.

ბოშა ქალის სტუმრობიდან მესამე დღეს ბეჭის ძვლის ქვემოთ ორივე მხარეს მწვავე ტკივილები ვიგრძენი, პირველად ყურადღება არ მივაქციე, მაგრამ ტკივილები უფრო და უფრო აუტანელი გახდა, გუშინ ექიმებს გავესინჯე, რედგენზედაც გავეშუქე და ფილტვების ორივე მხარეს უკურნებელი სენი – კიბო აღმომაჩნდა.

– კიდევ რამდენ ხანს ვიცოცხლებ? – შევეკითხე ჩემს მკურნალ ექიმს და კალამი იმ ფურცელზედ დავამტვრევინე, რომელზედაც ჩემს რეცეპტს წერდა.

ექიმი მიხვდა, რომ ჩემი ჯანმრთელობის შესახებ ყველაფერი ვიცოდი, თვალებში შიში ჩაუდგა და ძლივს გასაგონად ამოილუღლუღა – „ორი კვირა, იშვიათ შემთხვევაში სამი“. – ვიცი მართლდება ბოშა ქალის წინასწარმეტყველება, ჩემი სიცოცხლის დღეები დათვლილია, მინდა ამ ქვეყნიდან გაწმენდილი სინდისით წავიდე, არ მინდა გავიყოლიო არც ერთი შეცოდება იმ ქვეყნად და არც ჩაუდენელი ბოროტებანი ვიდო კისერზედ. შემეკითხე და გიპასუხებ, მხოლოდ არ იფიქრო შენებურად, ასე იქნებოდაო, როგორც გამომძიებლებმა იციან, ჩემი პასუხი იქნება სწორი და ამომწურავი, მხოლოდ სანამ საუბარს დავიწ-

ყებდე ერთი სათხოვარი მაქვს და გთხოვთ შემისრულოთ: – „დღესვე გაანთავისუფლეთ ჩემი ძმა მანუჩარი, ამას არა აქვს მნიშვნელობა ის დამნაშავეა თუ არა, ყოველგვარ დანაშაულს მე ვიღებ ჩემს თავზე, თქვენ იმის განთავისუფლებას ვალდებულებად გაიხდით და თხოვნას შემისრულებთ იმ შემთხვევაში, თუ ის ოჯახს დაუბრუნდება და კეთილსინდისიერად აღზრდის თავის ობლებს.

– რომ მანუჩარის მეორე ნახევარმა არ მოისურვოს შერიგება?

– ის ისეთი ქალია, მოისურვებს!

– თვითონ მანუჩარმა რომ არ ისურვოს ოჯახში დაბრუნება?

– მაშინ მე ვუშოვი ადგილს შრომა–გამასწორებელ კოლონიაში!

– თქვენ ხომ კარგად იცით მართლმსაჯელების კანონი, ყველამ უნდა აგოს თავის დანაშაულზე პასუხი, რატომ დაუშვით გამონაკლისი თქვენი ძმის მიმართ? –

– ის მართლაც არ არის დამნაშავე, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ბოროტმოქმედების ცოდნას და მის გამოუმჟღავნელობას. – მე ვიძიებდი თბილისელი არჩილ მუზაშვილის საქმეს, რომელმაც ძარცვა ჩაიდინა ჩვენს ქალაქში, პროკურორმა ამ საქმის გამოძიება მე მომანდო და მეც ოსტატურად მოვარგე მძარცველს ყაჩაღობის მუხლი. ოც ივლისს ჩემთან კაბინეტ-

ში მუზაშვილის მეუღლე მოვიდა და სასჯელის შემსუბუქება მთხოვა ქმრის მიმართ. დავინახე ახალგაზრდა ქალი და ძლიერ მომეწონა, აღუთქვი დახმარება თუ ჩემს სურვილსაც გაიზიარებდა. ქალი შეყოყმანდა, დიდხანს იტირა და ბოლოს დამთანხმდა. ეს იყო ლამარა სეფისკვერაძე და არა ვიღაც უმისამართო რუსი, როგორც თქვენ გაქვთ წარმოდგენილი. მას გარეთ ელოდებოდა ლამარას მეზობელი ნარგიზი ზამბახიძე, რომელიც ერთი შეხედვით მართლაც უზბეკს ჰგავდა, მაგრამ ქალიშვილი მთლად ახალგაზრდა იყო და ამასთანავე პატიოსნების განსახიერება. ლამარამ ის მოტყუებით ჩემთან წამოიყვანა, მე კი ორივე ბაზალეთის ტბაზე ავიყვანე და ჩემი ძმის ოთახში შევიყვანე, კარგი ვახშამი გავაწყვეთ და ბოლოს სინათლე გამოვრთე. ნარგიზი ჩემი ძმის სურვილს არ დაჰყვა და გაქცევით უნდოდა თავისათვის ეშველა, მაგრამ სად წაუვიდოდა ლომივით ვაჟკაცს წიწილასავით გოგონა?

დილით ნარგიზი ლოგინიდან წამოიჭრა და პერანგისამარა ტბისაკენ გაიქცა, ძლივს დავეწიეთ და დაწყნარება დავუწყეთ – „სულიერთია თავს არ ვიცოცხლება, გაიძახოდა ის“.

– რა ხლაფორთში გამხვიე – ვუთხარი ლამარას – თუ ასეთი კერკეტი იყო რისთვის მოათრევდი ჩვენთან?

– ნუ გეშინია, პირველად ყველა ასე ხტის,

მაგრამ შემდეგ ერთიმეორეს ეჯიბრებიან ვინ–ვის აჯობებს – მიპასუხა ლამარამ.

– ტყუილი იმედი გვქონდა, ნარგიზი არ მშვიდ-დებოდა. სახეს იხოკავდა და დაკარგულ ქალწუ-ლობას დასტიროდა, ბოლოს მანუჩარი ცოლად შერთვას და დაჰპირდა და ცოტა დამშვიდდა ნარ-გიზი. დიდხანს ვისაუბრეთ, ტბის სანაპირო ტუ-რისტებითა და დამსვენებლებით გაივსო, ჩვენ კი ოთახში ვიყავით გამომწყვდეულნი და ათასგვარ ანეგდოტს ვყვებოდი, რომ ნარგიზისათვის დარდი გამეფანტა.

საღამოს გოგონები დედაქალაქისაკენ გავაცი-ლე იმ იმედით, რომ მანუჩარი მალე იქორწინებდა ნარგიზიზე.

ერთი თვის წინ რომელიღაც ტურისტისაგან მა-ნუჩარს სიფილისი აჰკიდებია. ვიცოდი ამის შესა-ხებ, რომ ის კერძოდ მკურნალობდა და მე მორჩე-ნილი მეგონა. მისი მეუღლე ჯერ კიდევ საავადმ-ყოფოში იმყოფებოდა.

– შენ კი გაიძახი, რომ მანუჩარი დამნაშავე არ არის? – ქალიშვილის გაუპატიურება, ვენერიული დაავადების გავრცელება, ოჯახის მიტოვება და-ნაშაული არ არის? – ვეღარ მოითმინა და თხრობა შეაწყვეტინა გამომძიებელმა წიკლაურს.

– ამას მე თქვენს სულის გასაწმენდად გელაპა-რაკებით და არა ოქმში შესატანად, როდესაც ჩვე-ნების დასაწერად მიდგება საქმე, მე ვიცი როგორ ვილაპარაკებ.

გამომძიებელს თვალწინ წარმოუდგა მანუჩარის მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედება, საღი თვალით გადახედა მომხდარ ვითარებას და გაისიგრძეგანა, შეიძლებოდა თუ არა ამ ადამიანის გამოსწორება, მაგრამ ჯერ მთავარი გასაგები იყო, რა მოხდა შემდეგ?

– შემდეგ კი ნარგიზი ხშირად აკითხავდა მანუჩარს – განაგრძო თხრობა წიკლაურმა – მანუჩარს კი თვალის დასანახავად შეჯავრდა ნარგიზი, აღარ იცოდა რა წყალში ჩავარდნილიყო საბრალო, აქეთ ოჯახი დაენგრა, ცოლმა განქორწინებისათვის განცხადება შეიტანა სასამართლოში, იქით ნარგიზის ვერსად ემალებოდა და რუსეთისაკენ გაქცევა გადაწყვიტა, მაგრამ ორ აგვისტოს ნარგიზმა ლამარასთან ერთად მანუჩარს მოაკითხა სამსახურში, მანუჩარმა კი მე დამირეკა, რომ მასთან მივსულიყავი, მეც დაუყოვნებლივ ვეახლე და საღამოს მაგიდას შემოვუსხედით, როგორც ყოველთვის ნარგიზმა ხმამაღლა დაიწყო:

– ბოლოს და ბოლოს, მითხარით რას მიპირებთ, რისთვის დამღუპეთ, რას მემართლებოდით, მე ვენერიული სენით ვარ დაავადებული, იცოდეთ ცენტრალური კომიტეტის მდივნის ატვომანქანას ბორბლებში შევუვარდები და თუ ცოცხალი გადავრჩი, ყველაფერს მოვუყვები მდივანს.

– მე ნარგიზის მივჩერებოდი და მივხვდი ამ ქალისაგან ყველაფერი მოსლაოდნელი იყო, ყველა-

ფერს იკისრებდა და ყველაფერს სინამდვილედ აქცევდა, რომ არ დაგიფიცო ცოტა შემეშინდა კიდეც.

მანუჩარი კი მაგრად იდგა, მე ყოვლად შემძლე ღმერთი ვეგონე და აქედან იქით ედავებოდა ნარგიზს:

– ალბათ სადღაც დაეთრევი, სიფილისი აგიკიდებია, ჩემთან მოდიხარ და ცოლობას მიპირებ, სასაცილოა მე და ჩემმა ღმერთმა. საიდან მოდიხართ ასეთი ჭკვიანები და როგორ პოულობთ ისეთ გიჟებს, როგორიც მე ვარ, აქედან გაეთრიე და აქ ამოსული ჩემმა თვალებმა არ გნახოს, თორემ ისე მიგახრჩობ, შენს კვალს თვით მამაზეციერიც ვერ მიაგნებს. – თვალების ბრიალით ეუბნებოდა მანუჩარი და თან უზარმაზარ მუშტს ურტყამდა მაგიდას.

– ასე ხომ, ძალიან კარგი – თქვა ნარგიზმა და პირველად შევნიშნე იმის ბაგეზე ღიმილი – მე ხომ დამღუპე, სიცოცხლე მომისპე, იცოდე არც შენ დაგტოვებ ცოცხალს! – მან აუღელვებლად გახსნა ჩანთა, რომელიც აქამდე მუხლებზე ჰქონდა დადებული, ვიფიქრე ცხვირსახოცს ამოიღებს–მეთქი, მაგრამ შევცდი, მის ხელში „სტეჩკინის“ მარკის პისტოლეტმა იელვა. დროს დაკარგვა არ შეიძლებოდა, პისტოლეტი შეიმართებოდა თუ არა ტყვია მსხვერპლს მოძებნიდა, ამიტომ ჩემს წინ დადგმულ ბოთლს ხელი დავავლე და ნარგიზის გამეტებით ვუ-

თავაზე თავში. ის სკამიანად ამოტრიალდა და ტყვიამ ჭერზე ბათქაში ჩამოანგრია.

– ეს რა ჩაიდინე მხეცო! უმჯობესი არ იყო მე მოვეკალი? – იყვირა მანუჩარმა და ნარგიზის უსიცოცხლო გვამს დააცქერდა.

– ნუ ღრიალებ, მოდი მომეხმარე! – წყნარად ვუთხარი მე.

– მკვდრის მეშინია! – ასევე წყნარად მიპასუხა მან. ფანჯარაში გადახტა და სიბნელეში გაუჩინარდა.

ასე დამცირებულად, მარტოდ, საშიშროების წინაშე არასოდეს არ მიგრძვნია თავი – „ეს რა ჩავიდინე“ – ვთქვი და ლამარა ჩავიკარი მკერდში, რადგან ახლა მხოლოდ ეს იყო ჩემი ერთადერთი ნუგეში. ასე ვიყავით რამოდენიმე წეს. „ქალი ეშმაკია“ პირველად ისევ ლამარა გამოერკვა, ნუგეში მომცა და დახმარება აღმითქვა.

არ ვიცი რამდენმა დრომ გაიარა სანამ დავმშვიდდებოდით, შემდეგ ნარგიზის ზეწარი წავაფარე და ლამარასთან ერთად ერთი ბოთლი კონიაკი გამოვცალე მხნეობის აღსადგენად. კონიაკმა სიმხნევე შეგვმატა და ცოტა თუ ბევრად დაგვამშვიდა, გარეთ გამოვედი და არემარე შევათვალიერე, მთვარიანი ღამე იყო, ტბა მშვიდად ლივლივებდა – „სწორედ ის დროა, ერთი ძილი წყალსაც რომ ძინავს“ – ვუთხარი ლამარას და ნავსაყუდელისაკენ წავედით. დარაჯის ჯიხურთან ჩავიარეთ, მას მშვიდად ეძინა. ჩემი

ძმის ნავზე ბოქლომი შევამტვრიე, ზედ ლამარა დავსვი და მე გვამის გამოსატანად წავედი, არავის დაუნახივარ, გვამი ზეწარში შევახვიე და ფრთხილად ჩავაწვინე ნავში, შემდეგ შევბრუნდი, შენობის უკან ტრაქტორის სახნისები მეგულებოდა და ორი ცალი სახნისი მოვიტანე, მთვარის შუქზე შევამჩნიე ლამარას გაკვირვებული მზერა:

– რისთვის დაგჭირდა ორი ცალი სახნისი? – წყნარად შემეკითხა ის.

– ტბა ღრმაა, იქნებ ერთმა ვერც კი ჩაძიროს ფსკერამდის! – ჩურჩულითვე მივუგე მე და ნავი წყალში შევაცურე.

– ცუდი არაფერი გაიფიქრო თორემ იცოდე, ჩემი შვილების ცოდვა მიწაშიც არ დაგაყენებს! – თავისი ეჭვი გამოთქვა ლამარამ.

– ნუ სულელობ! – ვუთხარი და ნიჩბები წყნარად მოვუსვი ტბის ზედაპირზე... ტბის შუაგულამდის გავცურეთ, ნარგიზის გვამს ერთი ცალი სახნისი შევაბი, ლამარა აკანკალებული მიცქერდა, ის უკვე გრძნობდა თუ რისთვის მესაჭიროებოდა მეორე სახნისი და წყალში გადახტომა განიზრახა, მაგრამ ხელის შეშველება მოვასწარიდა ზეწარი, რომელიც ხელში მეჭირა კისერზე შემოვუჭირე, ორიოდე წუთში ყველაფერი დამთავრდა და მეორე სახნისი იმას ჩავაბი, ვისთვისაც იყო გამიზნული. პირველად ლამარა და შემდეგ ნარგიზი ისე მშვიდად გავგზავნე ფსკე-

რისაკენ, თითქოს უზარმაზარი ტვირთი მომხსნოდეს მხრებიდან...

– ნარგიზის მკვლელობა შეიძლება შემთხვევითობისათვის მიგვეწერა, მაგრამ ლამარა რისთვის მოკალი ვერ წარმომიდგენია!? შეეკითხა მთლად ფერდაკარგული გამომძიებელი წიკლაურს, რომელიც ისე მშვიდად ლაპარაკობდა ამ დროის განმავლობაში, ერთი ნაკვთიც არ შერხევია სახეზე.

– სხვაგვარად არ შეიძლებოდა, – საუბარი განაგრძო წიკლაურმა – ალბათ იგივე დანაშაული რომ ახლა ჩამედინა იგივეს მოვიმოქმედებდი, რადგან ლამარა პირველ რიგში ქმრის განთავისუფლებას მომთხოვდა, შემდეგ საიდუმლოს შენახვისათვის ხარკის გადახდას და ვინ იცის შემინახავდა სადუმლოს? მე ხომ მუდამ შიშში უნდა ვყოფილიყავი? ამიტომ ეს წინასწარ მოფიქრებულ განზრახ მკვლელობად შეგიძლიათ ჩამითვალოთ.

– დაპირების თანახმად ლამარას ქმარი თუ ასარგებლე რაიმე შეღავათით? ან სიმართლე თუ არ დაუკარგე მაინც კარგია.

– მაგ საკითხზე ბევრი ვიფიქრე და გადავწყვიტე მთელი სიმკაცრით დამესაჯა, რადგან ციხიდან დაბრუნებული არჩილ მუზაშვილი მეუღლის მოძებნას დაიწყებდა და გამორიცხული არ იყო კვალისთვის მიეგნო. ახლა კი ნახევარი საქართველო იმაზე ლაპარაკობს, თუ როგორ მიატოვა

პატიმრის მეუღლემ მცირეწლოვანი შვილები, აიყოლია მეზობლის მცირეწლოვანი გოგონა და სადღაც გაუჩინარდნენ ამორალური საქციელით დროს სატარებლადო. ზოგი ამბობს: – „შავი ზღვის სანაპიროზე ვნახე, საცურაო კოსტუმში გამოწყობილი და კეკლუცი ტანის რხევით იზიდავდაო მამაკაცებს!“ – ზოგი კიდევ – კასპიის ზღვის სანაპიროს ასახელებს! – ზოგიც ამბობს: – „მამის ტოლ კაცს გაჰყვა ცოლად და თვითონ თუ ბედნიერად იცხოვრა, შვილებს რას დაგიდევსო“ და სხვანი და სხვანი სხვაგვარად და სხვადასხვაგვარად თხზავენ თქმულებებს.

– ალბათ თქვენი ღვაწლიც იქნება ამ თქმულებების გავრცელებაში.

– რასაკვირველია!

– და დღეს თქვენ არ გრცხვენიათ თქვენივე ნამოქმედარის.

– არა! უბრალოდ გული მწყდება, თუ სიცოცხლის მეტი დღე არ მეწერა კიდევ მეტი ბოროტება უნდა ჩამედინა, რადგან სიკეთის გაკეთება არ შემეძლო, ადამიანი კი სახელგანთქმული ან ბოროტებით უნდა იყოს, ან სიკეთით.

– არჩილ მუზაშვილი რამდენი წლით მოაშორეთ თავისუფალ სამყაროს?

– თოთხმეტი წლით!

– ვერ მოვიხელთე, თორემ ცოცხალი არ უნდა აღმოჩენილიყო. ასეთი იყო ჩემი გეგმა, მაგრამ თუ აღმოჩნდებოდა, არც ეს იყო საგანგაშო,

რადგან მართმსაჯულება იშვიათად გრძნობს თავს დამნაშავედ, მეორეც, შმაგი მგალობლიშვილის მშობლები და ახლო ნათესავები გლეხები არიან, მათ არც სახსრები გააჩნიათ და არც გზა იციან სიმართლისაკენ მიმავალი. შმაგი მგალობლიშვილი თუ გაიგებდა შორენას არსებეობას და იყვირებდა არც ეს იყო სახიფათო, რადგან პატიმრები ყველანი ყვირიან, მაგრამ მათი ხმა მავთულხლართს ვერ ცილდება.

ერთი იყო საშიში პიროვნება მათ შორის, რომლის თავიდან მოშორება ადრე შეიძლებოდა, მაგრამ არ მეგონა საკუთარ შვილს თუ დაგმობდა და სასიძოს გამოსახსნელად თავს გასწირავდა.

– თქვენ მასწავლებელი მინდია ძიძიგური გყავთ მხედველობაში?

– დიახ!

– იმის თავზედ დატეხილი ავტოკატასტროფაც თქვენი ნახელავია?

– ჩემი დავალებით. თუმცა ამ ბოროტმოქმედებასაც მე ვიდებ ჩემს თავზედ.

– იმ კეთილ მოხუცთან რაღა გინდოდა?

– ის ყველაზე ადრე ადრე იყო მოსაკლავი, მაგრამ ჩემი ბრალია, საქმის მოგვარება უხიაგსა და უძირს დავავალე.

– კმარა! – წამოიყვირა თვალებში სისხლჩაწოლილმა ზვიადაურმა და მუშტი მაგიდას დაჰკრა. – შენ მშობელმა ხალხმა გამოგზარდა, სახელმ-

წიფომ შენი აღზრდისათვის ხარჯები გაიღო და შენ რითი უხდი ამ გრანდიოზულ ვალს შენსავე ერს? მკვლელობით გამოძალვითა და უდანაშაულო ხალხის ციხეში გამომწყვდევით?

– ნუ ღრიალებ თუ კაცი ხარ, არა ვარ ნაჩვევი, როდესაც მაშინებენ, მე შენ საუბრის დასაწყისში გითხარი, ორი კვირის სიცოცხლე დამრჩენია–მეთქი და ჩემ მიერ განვლილი გზა მინდოდა შენთვის ჩამებარებია, როგორც წმინდანისათვის. შენ კი ჩემს წინაშე დიდ მოუთმენლობას იჩენ., რითაც მე მამუნჯებ და გამოძიებას თითონ თქვენ მოაქცევთ ჩიხში. – ისე დინჯად უპასუხა ირ0დიმ გამომძიებელს, რომ ერთი ნაკვთიც არ შეკრთობია.

– განაგრძეთ! – მოჩვენებითი სიმშვიდით უთხრა გამომძიებელმა ირ0დი წიკლაურს და რომ შეეთამემებინა გაუღიმა კიდეც. მაგრამ ყოფილ გამომძიებელს არ გამოპარვია მხედველობიდან მლიქვნელური ღიმილი, რომლის მსგავსიც თვითონაც მრავალჯერ დასჭირვებია. მაგრამ იმისთვის ახლა სულ ერთი იყო, ვინ იდგა ბოროტმოქმედის წინ, მას სიკვდილადამდის სათქმელი უნდა მოესწრო და ხალხს უნდა სცოდნოდა იმის ნამდვილი დაავადების მიზეზი. კარგად იცოდა და გრძნობდა, რომ დღეს იმის ორგანიზმში გაიღვიძა აქამდის მიძინებულმა ადამიანობის მარაგმა, რომლის ამოძირკვაც არ შეძლებია, არც ისტორიის უკუღმართობას, არც გაცოფე-

ბული მანიაკების სასტიკ იდეებს და არც საყოველთაო შეშლილობას ყოველი ადამიანის სულში, სადღაც თვალით უხილავ უჯრედში იმალება სიკეთის დაუხარჯავი მარაგი, მხოლოდ ეს უჯრედი გამონთავისუფლებას ითხოვს ადამიანის ბოროტი სულისაგან და აი, დღეს ეროდი წიკლაურის ორგანიზმიდან სიკვდილის მოლოდინმა გამოათავისუფლა სიკეთის გრძნობა. ის არხეინად დგას მართლმსაჯულების წინაშე და სრულებითაც არ განიცდის უარყოფითად ჩადენილ ბოროტმოქმედებას, ერთი თვალის გადავლებით ეამაყება კიდეც. როდესაც ზვიადაურმა ესოდენ უდარდელობა ამოიკითხა ბოროტმოქმედების სახეზე, რომ მთლად არ დამუნჯებულიყო შეკითხვა ლმობიერად განუმეორა:

– განაგრძეთ!

– როდის მომხდარა, ავადმყოფი ვერ მოარჩინაო, მკვდარს ექიმიც ჩააყოლონ მიწაში, ბოროტმოქმედება დასაბამიდან მოსდევს ადამიანის მოდგმას – წყნარად და აუღელვებლად თქვა წიკლაურმა, თითქოს სკოლაში ისტორიის გაკვეთილს უხსნიდა ბავშვებს. – ჯერ კიდევ როდესაც ერთი ოჯახი ცხოვრობდა ჩვენს პლანეტაზე, კაენმა აბელი მოჰკლა, იმის შემდეგ სისხლისღვრა არ შენელებულა და ბოროტმოქმედთა უმეტესობა გმირად არის ნაღიარები. ტარას ბულბამ შვილი მოჰკლა – ეროვნულ გმირად აღიარეს, ხევისბერგმა გოჩამ შვილი მოჰკლა –

ისიც გმირად აღიარეს, სუვოროვმა თუ ნაპოლეონმა, ჰიტლერმა თუ სტალინმა რა გააკეთეს ადამიანთა ხოცვა–ჟლეტის მეტი, რომ ორდენები უმშვენებდათ მკერდს? მე კი სადღაც ერთი გათახსირებული წუპაკი გომბიო შემომაკვდა და კარიერაც დამაკარგვინეს და საციხედაც მიმეტებენ მგონი...

ზვიადაურს გაეღიმა – ეს ნამდვილად სრულ ჭკუაზე არ უნდა იყოს, – გაიფიქრა და დღეს წიკლაურთან საუბრის გაგრძელება მიზანშეწონილად არ ჩათვალა, ელექტრო ზარის ფარულ ღილაკს თითი დააჭირა, კაბინეტში თვალებზე ქუდჩამოფახტული მილიციელი შემოვიდა:

– გაიყვანეთ და იზოლიატორის საავადმყოფოში მოათავსეთ, ექიმების განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ, – უთხრა გამომძიებელმა კაბინეტში ახლად შემოსულ მილიციელს და წიკლაურზე მიანიშნა. წიკლაური მოულოდნელობისაგან სახეზე წამოენთო, ზეზე წამოიჭრა და ხმამაღლა წამოიყვირა:

– მე ხომ კიდევ მქონდა სალაპარაკო?

– უმჯობესია ხვალ გავაგრძელოთ, დღეს თქვენ დაღლილი გამოიყურებით! – უთხრა ღიმილით ზვიადაურმა და ზეზე წამოდგა, რომ წიკლაურსაც დროულად დაეტოვებინა კაბინეტი, მაგრამ წიკლაური დაჯდა და ადგომას არ აპირებდა. პირიქით, მარცხენა მუხლზე მარჯვენა ფეხი გადაიდო, სავარძლის საზურგეს ბეჭებით მიაწვა და უფრო

ნებივრად და მოხერხებულად მოთავსდა სავარ-ძელში. დაჯდა და ადგომას არ აპირებდა. რამო-დენიმე წუთს ასე იყო თვალებმინაბული და შემ-დეგ თითქოს ძილის ბურანიდან გამოიყვანესო, წყნარად წარმოთქვა:

– მე დიდი საათის ყოფილი პატარა ნაწილი ვარ, ბრწყინვალედ მესმის ყველა საათის მუშაობის პრინციპი, ჩემი არსებობის ხანგრძლივობა ორი კვირაა, მაგრამ შესაძლებელია ერთი კვირის შემ-დეგ ლაპარაკსაც ვეღარ შევძლებ, ამიტომ მინდა მოვასწრო მართლმსაჯულების წმინდა სავანეში ვთქვა ჩემი აღსარება, რადგან მართლმსაჯულე-ბის არქივი შთამომავლობას შემოუნახავს ჩემს მიერ განვლილ გზას, რომლებიც თავისებურად განსჯიან ჩემს სიმართლეს, რომელშიც ზოგი ბო-როტებას დაინახვს და ზოგიც სიკეთეს. ამიტომ სიცოცხლისათვის დარჩენილი ორი კვირა მინდა წასულს მივუძღვნა და მოგონებებით ვისაზრ-დოვო. რადგან წარსული ვიცი რაც იყო, ვნახე და განვიცადე იმისი სიტკბო–სიმწარე, ვერავინ ვერ შემოიცვლის მას და კიდეც რომ შემიცვალონ უარს ვიტყოდი, რადგან არ ვიცი მომავალი როგო-რი იქნება. ამიტომ თქვენ თუ არ გექნებათ დრო მოისმინოთ ჩემი იღბლიანი თუ უიღბლო წარსუ-ლის შინაარსი, გთხოვთ რესპუბლიკის პროკუ-რორს შემახვედროთ, ის მიცნობს და უარს არ იტ-ყვის რამოდენიმე საათი მოცდეს ჩემი აღსარების მოსასმენად.

ზვიადაური მიხვდა, რომ სწავლულ გაიძვერასთან ჰქონდა საქმე, უხერხულობა რომ დაეფარა, მილიციელს უთხრა – „დაგვტოვეო“ – და თვითონ სავარძელში ჩაჯდა წიკლაურის აღსარების მოსასმენად, რომელიც არც თუ საინტერესო იყო მისთვის, მაგრამ ახლა სხვაგვარად არ შეიძლებოდა.

– კარგი, გისმენთ, მხოლოდ გთხოვთ ცოტა შემოკლებით ილაპარაკოთ. ჩემთვის სრულებითაც არ არის საინტერესო ისტორიის გაკვეთილი – უთხრა ზვიადაურმა და თვალებში ჩახედა ბოროტმოქმედს.

– ცდებით, კოლეგავ! – წამოიძახა წიკლაურმა. – თითოეული ადამიანის წარსული ისტორიაა და სხვისი წარსული თუ არ გაინტერესებს, ეს იმას ნიშნავს არ გიზიდავს შენი ერისა და საკუთარი თავის ისტორია. მე მინდა გითხრათ, თუ რატომ გავხდი ხალხთმოძულე. ეს ჩემი ისტორიის ერთ–ერთი თავფურცელი იქნება და ვინ იცის იქნებ კეთილისაკენ გარდაქმნას შთამომავლობა ჩემმა მახინჯმა წარსულმა. აღზრდა ოჯახიდან იწყება და ცოდნა სკოლიდან, ამ ორმა წმინდა სავანემ, აღზრდისა და ცოდნის კერამ ჩემში რევოლუცია მოახდინა.

ოჯახი კათცმოძულეობას მინერგავდა, ჩემი მშობლების წარმოდგენით ადამიანი მხოლოდ ბოროტებისათვის იყო დაბადებული და რომ გვეცხოვრა, ყოველგვარი უხამსობით უნდა მოვრგებოდით ცხოვრების აღმა მდინარეობას.

სკოლა კი, მხოლოდ კეთილსინდისიერებას გვიქადაგებდა. გვასწავლიდა გასაჭირში ურთიერთდახმარებას, კეთილშობილებას, პატისონებას, დიდსულოვნებას და გვინერგავდა ყოველგვარ ადამიანურ კეთილ ზრახვებს.

ასე დაუკავშირდა ერთიმეორეს სკოლისა და ოჯახის ორი სხვადასხვა უძლიერესი მცნება, რომელიც ორივე ადამიანთა ურთიერთობას ასახავს, მხოლოდ სხვადასხვა მიმართულებით. ასე იწყება ბრძოლაც, სადაც ერთმანეთს უპირისპირდება კეითლშობილება და უსინდისობა, პატიოსნება და სიცრუე, დიდსულოვნება და ცბიერება, ზნეობა და უზნეობა, ადამიანის თავის ტვინს კი არ შეუძლია ორივე ასაზრდოვოს, ორივეს ემსახუროს, სკოლისა და ოჯახის გათვალისწინებულ და გაუთვალისწინებელ პროგრამას. ამიტომ ერთ–ერთი გზა უნდა აირჩიოს და მეც პატიოსნების გზას დავადექი, რადგან ჩემზედ მეტი ზეგავლენა მოახდინა ამხანაგებმა და მინდია ძიძიგურმა, ვინემ ოჯახმა, მაგრამ ადამიანობის პირველი მარცხი მაშინ ვიწვნიე, როდესაც საშუალო განათლება მივიღე და სწავლის გასაგრძელებლად უმაღლეს სასწავლებელში გამომცდელების წინაშე აღმოვჩნდი, ბილეთზე ვპასუხობდი და შიშით კრავივით ვკანკალებდი. რადგან მეჩვენებოდა, რომ ჩემს წინ მგლები ისხდნენ და კბილების ღრჭიალით ღებულობდნენ მისაღებ გამოცდებს.

თვალცრემლიანი გამოვედი მისაღები გამოც-

დებიდან, მაგრამ ადამიანობას მაინც ვერ ვუღალატე და მუშაობა წყალკანალტრესტის მეურნეობაში დავიწყე. პირველად ცხრაასართულიანი საცხოვრებელი სახლის დამონტაჟებამ მოგვიწია, შენობას მურმან ყრუს ლაშქარივით შევესიეთ თორმეტკაციანი ბრიგადით და დავიწყეთ ასფალტის აყრა, შეღებილი კედლების გამონგრევა, კაფელის გამომტვრევა და წყალკანალიზაციის მილების გაყვანა, ვითმინე და ბოლოს ვიყვირე:

– „ხალხო, რას შვრებით, ამ გაკეთებულ საქმეს რად ანადგურებთ მეთქი„?

„პრარაბი“ მომიახლოვდა ყურებამდის მომღიმარი სახით და მითხრა:

– „ნეტავი ვიცოდე რა გაღრიალებს, შენზედ უკეთესად ჩვენ ვიცით რას ვაკეთებთ და რას ვაფუჭებთ. შენ კი რაზედაც მიგითითონ ის გააკეთე, ეს არისო შენი მოვალეობა“.

– კი მაგრამ ეს გაკეთებული საქმე რომ ფუჭდება? – შიშით შევკადრე მე.

– არა უშავს, ისევ ისე გააკეთებენ, დიდია ჩვენი ქვეყანა, გაუძლებს როგორმე ამ დანაკლისს – მიპასუხა მან და გამეცალა.

მე რადგან სინდის–პატიოსნების ეშმაკი შემომიჩნდა, მოსვენება აღარ მომცა და საღამოს ჩემს ყოფილ მასწავლებელს მინდია ძიძიგურს მივმართე რჩევისათვის.

– მერე ასეთმა დაბრკოლებამ შეგაშინა ყმაწ-

ვილო? – მითხრა მან, როდესაც ჩემი ნათქვამი მოისმინა – ნუთუ მარტო შენი „პრარაბია“ ამ ქვეყანაზე ადამიანთა ბედის გამგებელი, ნუთუ არ არსებობს ზემდგომი ორგანო, გულთან მიიტანს ამ საქმეს და არ გაანადგურებს გაკეთებულ საქმეს?

გამიწყრა ღმერთი, სამართალი მოვინდომე, ქვეყნის გასწორება დავაპირე, მინდია მასწავლებელი კი სიმართლის დიდი მცოდნე. წმინდა მოციქული და გზის მასწავლებელი იყო ჩემთვის, ავდექი და მეც ივანე სულელივით, ქორწილში წივილ–კივილითა და მოთქმა–გოდებით რომ მივიდა, მივსიდიე ნასწავლ წმინდანობასა და სიმართლეს. ზღაპარში რომ არის „ბევრი ვიარე თუ ცოტა“ სხვებსაც გავუმწარე სიცოცხლე და საკუთარი თავიც დავიღუპე. ისეთი ძლიერი პანღური ამომკრეს, რომ სამუდამოდ დამეტყო წიხლი საჯდომზე და რაიმე სამუშაოზე მიღების ოცნებაც დაიკარგა.

სახლში მამაჩემი დაცინვას ვეღარ გავუძელი, ზედმეტ სახელად დაცინვით „პატიოსანი კაცი“ შემარქვეს და ყოველდღე მამაჩემი დედაჩემს ელაპარაკებოდა ჩემს გასაგონად: – „პატიოსანმა კაცმა კიდევ ვერსად იშოვა სამუშაო?“, „პატიოსანი კაცი დღეს რას აპირებს?“, „პატიოსანი კაცი კიდევ არ ამდგარა?“, პატიოსანი კაცი არ მოსულა?“ და ბოლოს დააყოლებდა: – „ვაი მაგის პატრონს!? რა იცის მაგ საბრალომ, რომ პა-

ტიოსანი ხალხი მოჩვენებითია, თითოეული ზამ-ბარიან სათამაშოს ჰგავს, სანამ ხელს ახლებდე პატიოსანია, თუ ხელი ახლე იქედან ისეთი ეშმა-კი გამოგიხტება, კისერს წამში მოგატეხინებს“.

ვხედავდი ორ წერტილს შორის სწორი გზა მარტო გეომეტრიაში ყოფილა, მაგრამ ცხოვ-რების გეომეტრია სულ სხვაგვარია. აქ მრუდი გზა მუდამ სწორზე უმოკლესია. ჩვენი პედაგო-გები კი ვერ ამჩნევენ ცხოვრების მდინარებას და მღვდელებივით ერთსა და იმავეს გაიძახიან – „სიკეთე თესო“ – ლამაზი ზღაპრებით აცდუ-ნებენ ხალხს და როგორც სარწმუნოება, ადა-მიანს თუ გაგიჯდა ორგანიზმში მასწავლებლის შეგონებაც, ძნელად განთავისუფლდები იმის კლანჭებისაგან.

დღესაც ყურში ჩამესმის მასწავლებლების შეგო-ნება: –„იყავ კეთილი, პატიოსნებაა ყველაფერი, სიავე არ ჩაიდინო, ძლიერს ნუ შეუშინდები, თი-თონ დაზარალდი და სუსტს დაეხმარეო და სხვა მრავალი ამდაგარვარი.

– აბა შენ როგორ გინდოდა რომ ესწავლებინათ? – ვეღარ მოითმინა გამომძიებელმა და წიკლაურს თხრობა შეაწყვეტინა – უსინდისობა, უპატიოსნო-ბა, ღალატი, გაიძვერობა, ძლიერს წინ ნუ აღუდ-გები, სუტი თვითონ გათელე და გაიარეო“...

– არა, არც მთლად ასე უნდა ესწავლებინათ და არც მთლად ისე, მასწავლებელი პირველად ცხოვრებას თვითონ უნდა ჩახვედროდა, უნდა

კარგად გაეგო და შეეასწავლა იმისი სწორხა-ზოვნება, შემდეგ უნდა გადმოეცა მოსწავლე-ებისათვის თავისი გამოცდილება. აღსაზრდელი თაობა კი „ჭურსა ჰგავს რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებს“, – მასწავლებელი იმიტომ ხარ უნდა ჩასძახო, მაგრამ ფრხილად, უნდა იცოდე რომელ დროს როგორ უნდა ჩასძახო, თუ საჭიროა უნდა ჩასჩურჩულო, თუ საჭიროა ჩაჰღრიალო კიდეც, ოღონდ ჭკვიანურად, უნდა გაითვალისწინო „ვა-იმე“, რომ მერე არ აგაყვირონ!? ეს ჭკვიანური მეცნიერება რომ ესწავლებინათ ჩემთვის ფე-ხებში ჩავუვარდებოდი ჩემს ყოფილ მასწავლებ-ლებს, მაგრამ მე მხოლოდ ღრიალით ნასწავლი პატიოსნება შევისისხლხორცე და ავღრიალდი, დავინახე თუ როგორ ატყუებდნენ ქუჩაში ახალ-გაზრდები მოხუცს, რომლებიც რაღაც ბურთუ-ლის დამალობანას ეთამაშებოდნენ და გამოვე-სარჩლე, სიმართლე დავიცავი და ხულიგნობის-თვის დამიჭირეს. აქ კი პანღურს არ დამაჯერეს და იმდენი მცემეს ახლა არა მარტო საჯდომზე, გვერდებზედაც დამეტყო ნაწიხლარები. ჭკუა მაინც ვერ ვისწავლე:

მოხუც კაცს რომელიღაც სოფლიდან ზურგით ქვევრი ჩამოეტანა ჩვენს ქალაქში და ხიდის თავში შეისვენა, მილიციელმა, გამოიარა, – „აქ რომელი დასასვენებელი ადგილი ნახეო“ – უყვირა კაცს, აიღო ქვა, ქვევრს დასცხო და გაუტეხა, ატირდა კაცი და მე გამოვესარჩლე სუსტს, დამიჭირეს და

ბევრი მახვეწნინეს: – „გუშინდელ ნარტყმევზედ ნუღარ დამარტყავთ–მეთქი“.

ასე ვიცავდი სიმართლეს და „მუჭანახევარას“ ზღაპარივით მუდამ გალახული და დალურჯებული ვიყავი.

– დალახვროს ღმერთმა – წამოიძახა გამომძიებელმა – რომელი ქვეყნიდან შემოტანილ თარგზე ჭრი ცხოვრების ავკარგიანობას? სხვა თუ შეეგუა სინდის–პატიოსნებას, შენ რატომ ვერ შეეგუე?

– იმიტომ, რომ სხვამ თვალი აარიდა უსამართლობას, მე კი როგორც მქონდა ნასწავლი პირდაპირ შევეჩეხე და დავმარცხდი მათი უმრავლესობის წინაშე.

– ცხოვრებაში სწორი გზის მოძებნა და შეგუება გადარჩენას ნიშნავს, მაგრამ ადამიანი მარტო საკუთარი სიცოცხლისა და შთამომავლობის შესანარჩუნებლად როდი იბრძვის, ის რა კაცია, ვინც მხოლოდ იმისათვის ზრუნავს – თავი როგორ გადაირჩინოს და საკუთარი სიცოცხლის შესანარჩუნებლად ათასობით სიცოცხლე შეიწიროს, განა შეიძლება ადამიანი გამოცალკევდეს ამ უკიდეგანო სამყაროსაგან? წუთისოფელი არ დაინდობს მოღალატეს, უბირსა და უმეცარს. უკეთესი იყო შენ წყალკანალმეურნეობის მუშა ყოფილიყავი, მეტ სარგებელს მოუტანდი ერსა და სამშობლოს. განათლებამ კი ვხედავ ცხოვრების გზას კი არა ბილიკსაც აგაცდინა, უფსკრულისაკენ მიექანები დასაღუპავად და შენი ქადაგებით ჭკუაშერყეულ-

ნი თან უნდა ჩაიყოლო. მე შენ რჯულშეცვლილ ქართველად მეჩვენები და მართლაც რა განსხვავებაა, ქართველმა ვერ გაუძლო სიდუხჭირეს ქრისტიანული სარწმუნოება შეიცვალა, მაჰმადიანური სარწმუნოება მიიღო და თავისი სამშობლოს წინააღმდეგ გაილაშქრა. შენ კი პატიოსნებას უღალატე, დაჰგმე ქართველი ვაჟკაცის ღირსება, ბოროტებას ეზიარე და შენც სარწმუნოება შეცვლილივით ილაშქრებს შენი ხალხისა და სამშობლოს წინააღმდეგ. შენ ცხოვრების სიდუხჭირეს ვერ გაუძელი და შიშმა დაგაბეჩავა, ვინც პატიოსნად იბრძვის და ცხოვრების უთანასწორო ჭიდილში არიან ჩაბმული, მათ თავგამოდებით ებრძვით და ცდილობთ მკაცრი მსჯავრის გამოტანას.

შენ ცდები, როდესაც გგონია ჭკუა ისწავლე და ჭკუა ასწავლე შენს ყოფილ მასწავლებელსაც, შენი ჭკუის სწავლა შენ განუკურნებელ ავადმყოფობაში სჩანს, რომელშიდაც გამორიცხული არ არის შენს მიერ გამწარებული ადამიანის ხელი ერიოს. მინდია ძიძიგური კი რაც მართალია, მართალია აწი აღარ შეცდება, რადგან აღარ იქადაგებს პატიოსნებაზე და რაღა შეაცდენს, როდესაც აღარაფერს გააკეთებს? ამიტომ შორიდან მაცქერალს იგი ყოველთვის მართალი ეგონება, მაგრამ ეს საშიში არ არის, საშიში მხოლოდ ის არის, რომ შენი შთაგონებით შეიძლება შენს შემდეგ კიდევ გაჩნდეს ეროდი წიკლაური, მუდამ გულჩათხრობილი,

მუდამ ყველაფერში მართალი, ვისაც არც საკუთარი თავისა და არც სხვისი პატივისცემა არ ექნება.

რა დაინახეთ ცუდი მინდია ძიძიგურის ქადაგებაში, ის ხომ ცდილობდა და დღესაც ცდილობს დაიცვას ყველა ადამიანი ამა ქვეყნის სიავისაგან, – არ ილოთოთ – ამბობს ის – ლოთობა მომავალი დანაშაულის საწინდარია, არ იჩხუბო, გწამდეს რომ ყველა ძმაა შენი, გიყვარდეთ სამართლიანი ურთიერთდამოკიდებულება და იყავით ყველას მიმართ კეთილშობილი.

ასეთი ქადაგება ყველას რომ ეღაღადა, ყველას მოესმინა და გაეტარებინა ცხოვრებაში, ხომ აღკვეთილი იქნებოდა დღეს ყოველგვრი დანაშაულებანი?

– ვერ გამიგია რისთვის ესაჭიროება ადამიანს ქადაგებანი და ცხოვრების მიმართულების სწავლება, როცა ყველაზე უკეთ თვითონ ცხოვრება ასწავლის ჭკუასა და აძლევს გამოცდილებას?

– კი ასწავლის, მაგრამ გააჩნია როგორ? ცხოვრებას შეუძლია ასწავლოს არა მარტო სიმტკიცე და კეთილშობილება, არამედ სისასტიკეც, უნამუსობაც, გარყვნილებაც და ყოველგვარი უხამსობაც. ცხოვრება სტიქიონია, ვერ ენდობი მას და დიდი უგნურება იქნებოდა იმის იმედით ყოფნა, რომ ეს ბრმა სტიქიონი შეენაცვლება მასწავლებელს. აი ადამიანთა მოძულეობამ და საკუთარი თავისადმი უსაფუძვლო რწმენამ ხომ ხედავთ ბო-

როტმოქმედებამდე მიგიყვანათ, ვინ არის დამნაშავე, მასწავლებელი?

– დიახ! მასწავლებელი ჩემო გამომძიებელო, რადგან ეს დანაშაული ათეული წლების მანძილზე მრავალი ადამიანის ხელშეწყობით ნელ–ნელა მწიფდებოდა და დაამწიფეს კიდეც, ბევრი მათგანი დიდი ხანია წასულია ამაქვეყნიდან, მაგრამ ზოგ–ზოგები დღესაც ცოცხლები არიან და ტკბილად შეექცევიან თავის მიერ დამწიფებულ ნექტარს. დანაშაულიც კიდეც რომ აღიარონ სამართალში მაინც ვერცერთს ვერ მისცემ, „რამეთუ არ იცოდნენ რას სჩადიოდნენ“, მათი დანაშაულებანი თვალთნათლივ ჩანს, მაგრამ სამართალში მიცემა ისევე უაზრობა იქნება, როგორც მეხი დაადანაშაულო – სახლი რისთვის გადაწვა. – ეს სტიქიაა და ასევე სტიქიურია ამ ადამიანთა ნამოქმედარიც, ამიტომ კეთილი ინებეთ, მარტო მე დამდეთ ბრალი და მაგებინეთ პასუხი ყველას მაგივრად.

– ვინც არ იცოდა რას სჩადიოდა, რა თქმა უნდა, მათ არ მოუწევთ საბრალდებო სკამზე დაჯდომა, მაგრამ შენ მიერ ჩადენილი დანაშაული დიდი ხნის ნაფიქრალია, დიდი ხანია ემზადებოდით ნახტომისათვის და გადახტით კიდეც. ახლა ნუღარ ხტიხარ, ნუ ეცდები ვინმეს შემოახვიო შენი დანაშაული, „ჩხუბის შემდეგ მუშტების ქნევას აზრი აღარა აქვს“. მესმის შენი და ვხვდები საიდანაც გგონია მოდის დანაშა-

ული, მაგარმ იცოდე „მძლავრთა დასის“ ვიწრო თათბირი დამთავრდა, ყველა აგებს პასუხს თავის დანაშაულზე.

– ნეტავი მართლა მე ვიქნებოდე ბოლო ბოროტმოქმედი და მუზეუმში შესანახი ჩემი დანაშაულის ისტორია, მაგარმ არა მგონია ასე მოხდეს, მეწუკი თუ გამოწურე მთელ სხეულს მოედება, ასე ედება ბოროტმოქმედების აღგზნებაც კაცობრიობას სხვის მიერ ჩადენილი დანაშაული, თუგინდ სიკვდილით დასჯაც კი მალე ეძლევა დავიწყებას, სამწუხაროდ ცხოვრება ყველაფერზე დიდხანს ადამიანის სული ინახავს ტკივილს, ვის შეუძლია ახლა გვითხრას რომელ ოთახში მოჰკვეთეს თავი პაატა სააკაძეს? მაგრამ პატარა მამულიშვილის თავდადების ამბავი დღემდე არ წაშლილა ადამიანთა სულსა და მეხსიერებაში...

– შენ განათლებული გაიძვერა ხარ და მე მრცხვენია შენც ის უმაღლესი სასწავლებელი გაქვს დამთავრებული, რომელიც მე.

– თავი შეიკავეთ გამომძიებელო, მე სასჯელს ვიმსახურებ და არა შეურაცხყოფას, მე თქვენთვის არც გაიძვერა მიწოდებია და არც მოჩვენებითი პატიოსნებით მთვრალი.

– არის ერთი ანდაზა – „ცუდი კაცი ის კი არ არის, ვისაც ერთი წიგნიც არ წაუკითხავს, ცუდი ისაა ვინაც მხოლოდ ერთი წიგნი წაიკითხაო, მაშინ არიან არა სულ მთლად უმეცარნი, არამედ ვაი განსწავლულნი“. საინტერესოა თქვენი ცოდნით

და პატისონებით როგორ ჩაირიცხეთ უმაღლეს სასწავლებელში?

– მეც ისეთივე მგლად ვიქეცი, როგორიც გამომცდელები იყვნენ, მგელთა ხროვის ბელადს ბატკანი მივართვი, ოო, – ნეტავი გეყურებინა როგორი ყმუილი ასტეხა სიხარულით და მე გავხდი სტუდენტი.

– შენი ცხოვრების ეპიზოდმა ისე გაგვიტაცა, რომ საგრძნობლად გადაუხვიეთ გამოძიების გზიდან, ჩვენ უკვე ვიცით იმ დანაშაულის არსი რომელიც ბრალად გედებათ და რომლის გამოძიებასაც მე ვაწარმოვებ. იქნებ სხვაც გაქვს რაიმე სათქმელი, როგორც თქვენ ეძახით – „სულის გასაწმენდად?“

– ჩემი სტუდენტობისა და მუშაობის პერიოდში ბევრი დანაშაული ჩამიდენია, ალბათ არ არის საინტერესო ყველა რომ ვაღიარო, მაგრამ როდესაც ახლა მე თვითონ პატიმარი ვარ და ცოტა თუ ბევრად ტუსაღთა ბედის მონაწილე გავხდი, არ შემიძლია ერთი დანაშაულის ისტორია არ მოგითხროთ:

– თქვენ მგონი მართლა დეტექტიური ნაწარმოებისათვის მაწვდით მასალას, მაგრამ მე რომ მწერალი არა ვარ?

– თქვენთვის მაგალითი უნდა ვიყო, რადგან ჩემი წარსული ორივე კლასის გამომძიებელს გამოადგება.

– რა გაქვს მხედველობაში?

– სინდისი და უსინდისობა!

– სინდისი ძვირფასია და მაშინ უფრო მეტად ფასობს ის, როდესაც უსინდისო ადამიანი გადმოგვცემს იმის ღირსებას. დაიწყეთ მე მზად ვარ ფირზე ჩავიწერო თქვენი საუბარი.

წიკლაური ჩაფიქრდა, ვერ გადაეწყვიტა მოყოლოდა თუ არა ამ ადამიანთან ერთ–ერთი ღირსშესანიშნავ ეპიზოდს თავისი ცხოვრებიდან, შემდეგ ხელი ჩაიქნია იმედდაკარგული ადამიანის გამომეტყველებით და ავადმყოფური გაცრეცილი ხმით დაიწყო:

– „საგზაო პატრულმა სწორედ მაშინ დააკავა დევი კიკნაძე, როდესაც ქალის გვამი გადასაგდებად თუ დასამარხად მიჰქონდა, ერთი შეხედვით ყველაფერი ნათელი იყო, მკვლელი დევი კიკნაძე უნდა ყოფილიყო, ხოლო თუ ვის ეკუთვნოდა გვამი ამას თვითონ ბოროტმოქმედი იტყოდა.

საქმე გამოსაძიებლად პროკურორმა მე გადმომცა, თუმცა რა გამოძიება უნდოდა თვალხილულ ბოროტმოქმედებას? ვიმედოვნებდი, რომ ორიოდე ფურცელს შევავსებდი, ბოროტმოქმედს დანაშაულზე ხელს მოვაწერინებდი და საქმეს სასამართლო გადავცემდი, მაგრამ შევცდი, ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც ბოროტმოქმედმა მკვლელობაზე უარი განაცხადა.

„ნამდვილი გიჟია“, გავიფიქრე მე, ადამიანი ფაქტზე დაიჭირეს და დანაშაულს უარყოფს, შეიძლება სადღაც სწორია, მაგრამ მეც გიჟი ხომ არა ვარ

ფაქტი ხელიდან გავუშვა და მინდორში ქარს დევნა დავუწყო?

საექიმო ექსპერტიზმის შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ გვამი ნელი კოკუჩავას ეკუთვნოდა, რომელსაც მარცხენა ძუძუს ზემოთ ჰქონდა დანით მიყენებული ერთადერთი ჭრილობა. დანა შემთხვევის ადგილზე იპოვეს და დანის ტარზე დევი კიკინაძის თითების ანაბეჭდები დაფიქსირდა.

დევი მკვლელობას მაინც უარყოფდა, ამბობდა, რომ ნელი კოკუჩავას გვამი თავის ოთახში იპოვა, რომელსაც დანა მკერდში ჰქონდა ჩარჭობილი, მე დანა ჭრილობიდან იმ იმედით ამოვაძვრე, რომ ნელის გადავარჩენდი, მაგრამ ის უკვე მკვდარი იყო. შემეშინდა, მკვლელობას მე მომაწერდნენ და გადავწყვიტე გვამი თავიდან მომეშორებინა.

– ადრე თუ იცნობდი ნელი კოკუჩავას? – შეეკითხე დევის, ხანგრძლივი დუმილის შემდეგ მიპასუხა:

– კი! ის საყვარელი იყო ჩემი!

– ადრეც თუ ყოფილა შენთან ბინაში?

– კი ხშირად!

– ვის შეეძლო მოეკლა და თქვენს ბინაში შემოეტანა გვამი?

– ის ადგილზე, ჩემს საწოლზე იყო მოკულული, ვის შეეძლო მოეკლა ვერ ვიტყვი, ეჭვი არავის მიმართ არა მაქვს, ჩვენი სიყვარული საიდუმლოებით იყო მოცული.

– იქნებ ქმარმა ჩაიდინა ყოველივე ეს?

– ქმრის მიმართ ეჭვი გამორიცხულია, ნელი ისე ფრთხილად მოქმედებდა, ქმარი როდესაც ქალაქში იყო გვერდითაც არავის გაუვლიდა.

– როდესაც მკვლელობა მოხდა იმ დღეებში სად იმყოფბეოდა ნელის მეუღლე?

– სოფელში იყო წასული, საშემოდგომო მოსავლის მოსანახავად!

– საიდან იცი?

– წინა ღამით ჩემთან იყო ნელი!

– იქნებ სოფლიდან მოვიდა, დაუდარაჯა და მოაგნო თქვენს სამიჯნურო თავშესაფარს?

– არა, არა, ნელი ძალზედ ცბიერი ქალი იყო, ის ყოველთვის გააცურებდა ქმარს!

ასე დამაჯერებლად ლაპარაკობდა დევი კიკნაძე, მაგრამ მე მაინც დავკითხე ნელი კოკუჩავას ქმარი – ცოტნე აბაშიძე, არავითარი ეჭვი იმის წინააღმდეგ არ დაფიქსირდა. ცოტნე, მართლაც, სოფელში იმყოფებოდა, როდესაც მივაკითხეთ ის თავგამოდებით მუშაობდა. მეზობლებმაც დაადასტურეს, რომ „სამი დღეა სახლიდან არ გამოსულა, მშიერ–მწყურვალი მუშაობსო“.

როდესაც მეუღლის დაღუპვის ამბავი ვაცნობეთ, ძლიერ განიცადა, მაგრამ მკვლელობის ვითარება რომ გაიგო დასაფლავებაზე უარი განაცხადა.

მეც რა მქონდა გამოსაძიებელი, ან რომელი მკვლელი იტყვის „მე მოვკალიო“, ვინც ფაქტზე

დააკავეს. იმის მიმართ აღვძარი სისხლის სამართლის საქმე, მოვიყვანე უამრავი ფაქტები მკვლელობის შესახებ და სასამართლოს გადავეცი, რომელიც ასე დავასრულე:

– „მიუხედავად იმისა, რომ ბოროტმოქმედმა თავი დამნაშავედ არ სცნო, გამოძიება არ იზიარებს დევი კიკნაძის ცრუ ჩვენებას და ადგენს:

– იყო რა ნელი კოკუჩავა დევი კიკნაძის საყვარელი, დევი კიკნაძემ გადაწყვიტა დროულად თავიდან მოეშორებინა ნელი კოკუჩავა, რომ ქმარს არაფერი გაეგო და ხიფათი აეშორებინა. ამ განზრახვით თავის ბინაზე დაიბარა ნელი კოკუჩავა, მოჰკლა თავისივე სამზარეულო დანით და ღამით შეეცადა გვამის გადამალვას, მაგრამ საგზაო პატრულმა გამოიჩინა უმაღლესი ოპერატიულობა და ბოროტმოქმედი ფაქტზე დააკავეს.

მკვლელობის ფაქტზე ლაპარაკობს სისხლიანი დანა დევი კიკნაძის ხელის ანაბეჭდით, დევის სისხლიანი ტანსაცმელი, სისხლიანი საწოლი, რომელზედაც მოკლული იყო ნელი კოკუჩავა და დევი კიკნაძის საცხოვრებელი ბინა.

ამის შემდეგ საქმე დასრულებულად ჩავთვალე, ხელი მოვაწერე, დავხურე და სასამართლოს გადავეცი.

ერთი კვირის შემდეგ უმაღლესმა სახალხო სასამართლომ დევი კიკნაძეს სასჯელის უმაღლესი ზომა დახვრეტა მიუსაჯა...

იმავე საღამოს ჩემთან კაბინეტში ახალგაზრდა

კაცი შემოვიდა, გამხდარი, მზისაგან გარუჯულს თვალები ჩასცვენოდა, გაცვეთილი, მოკლესახელოიანი ხალათი ეცვა, საიდანაც ზომაზე მეტად დაკუნთული მკლავები მოუჩანდა, რომელიც მდიდრონი ხელის მტევნებით ბოლოვდებოდა, რაც იმის ზომაზე მეტად ფიზიკური შრომის მომასწავლებელი იყო. ათლეტიკური ტანის აგებულება ჰქონდა, მაგრამ ძალზედ დაღლილად გამოიყურებოდა და იმის გამოხედვა მეუბნებოდა, რომ რაღაც სულიერი ტანჯვა აწუხებდა. კაბინეტში შემოსვლისთანავე ვიცანი – ცოტნე აბაშიძე – და მდივანს ქოქოლა დავაყარე, რატომ შემოუშვა– მეთქი, მართალია, იმის შემოსვლისათვის ყურადღება არ მიმიქცევია და ქაღალდებში თავი ჩავრგე, მაგრამ არც ის დამლოდებია დიდხანს, ყოველგვარი ნებართვის გარეშე ჩემს პირდაპირ სავარძელში ისე ჩაეშვა, თითქოს ვინმეს წაექციოს.

– მე თქვენთვის დაჯდომის უფლება არ მომიცია! – ვიღრიალე მე.

მას დამცინავად გაეღიმა და წყნარად მიპასუხა:

– არც მე გამომითხოვია თქვენთვის დაჯდომის ნებართვა, რადგან ეს სავარძელი ხალხს ეკუთვნის და ცოტაოდენი წვლილი ჩემიც გახლავთ შიგ ჩაქსოვილი.

– დღეს მე განვაგებ მაგ სავარძელის ბედს – ისევ ხმამაღლა ვუთხარი მე.

– ეს ყველაფერი დროებითია, ბატონო ირეოდი, მე მინახავს ეგ სავარძელი, სადაც თქვენ მეფუ-

რად განისვენებთ, ამ ორიოდე წლის წინათ შიგ სულ სხვა კაცი იჯდა, ამიტომ ფრთხილად უნდა იყოთ, თორემ ადვილი შესაძლებელია ხვალ სხვა კაცი აღმოჩნდეს შიგ ჩაბრძანებული.

– ჩემთან ასე ვერ ლაპარაკობენ! – ისევ ხმამაღლა ვუთხარი მე და დავაპირე კაბინეტიდან გამეძევებინა, მაგრამ სანამ რაიმეს ვიტყოდი მან დამასწრო!

– „ვერ ლაპარაკობენ“, იმიტომ რომ ეშინიათ!

თანდათან მდგომარეობიდან გამოვყავდი იმის მოურიდებელ საუბარს, ახლა კაბინეტიდან გაძევება გადავიფიქრე და მტკიცედ გადავწყვიტე რაიმე მიზეზი მეპოვა ამ ხამი ადამიანისათვის და მიმებრძანებინა იქ, „სადაც ჯერ არს“. მიზეზის პოვნა კი უამრავი შეიძლებოდა, თუ გინდ ის, რომ საცემად შემომიხტა კაბინეტში, ან ყაჩაღობაში თანამონაწილეობა შემომთავაზა, ან ანაშით გატენილი პაპიროსი შემომაბოლა და უამრავი სხვა. და მე გავიყუჩე, რადგან ხელსაყრელი მომენტი შემერჩია, ის კი განაგრძობდა.

– არა, შენი კი არ ეშინიათ, მაგ სავარძლის ეშინიათ, რომელშიდაც ღრმად ჩაბრძანებულხართ, თქვენ მე ქუჩაში მრავალჯერ შემხვედრიხართ, სრულებითაც არ შემშინებია თქვენი, არც გავდით შესაშინებელ კაცს, არც სხვებს ეშინოდათ, არც არავის უყვიროდით და არც არავინ გიყვიროდათ, აქ კი ამ ჯადოსნურ სავარძელ-

ში სრულებით გარდაქმნილი ბრძანდებით, რაც ჩემი აზრით, ადამიანის ორ ბუნებადობაზედ მიგვითითებს.

– რას ბედავთ ყმაწვილო, ან აქ როგორ მოგდით ასეთი აზრები სალაპარაკოდ? ან საიდან შეგიძენიათ ასეთი სიბრძნე ჯერ კიდევ ახალგაზრდას, რომ მართლმსაჯულებას ჭკუას ასწავლით? – კიდევ მეტი სიმკაცრით ვუთხარი მე და ერთი სული მქონდა ხელი გამეპარებინა ფარული ზარის ღილაკისაკენ, რათა დაბორკილებული გაეყვანათ აქედან ეს „არამკითხე მოამბე“, მაგრამ მის გამოხედვაში სრულებით უდარდელობა ამოვიკითხე, რომელიც თითქოს მეუბნებოდა – „ჩემთვის სულ ერთია, რას მოიმოქმედებ, მე დავამთავრეო ჩემი ცხოვრება“ – ამიტომ შევჩერდი რადგან ინტერესიც გამიღვივდა შემეტყო ამ ახალგაზრდა კაცის ჩემთან მოსვლის მიზეზი. ის ისევ ისე უდარდელი კაცის თვალებით შემომცქეროდა და არც ჩემს კითხვაზე დაუყოვნებია პასუხი:

– არა ბატონო ეროდი, ჭკუას როდი ვასწავლი მართლმსაჯულების უდიდებულესობას, მაგრამ ეს სიბრძნე თუ დაცინვით არ ამბობთ და ჩემს საუბარს სიბრძნეს უწოდებთ, ცხოვრებამ შემასწავლა პრაქტიკულად მაშინ, როდესაც თქვენ თეორიულად სწავლობდით. წლოვანებით კი ჩვენ ერთი ვართ, როდესაც მე საშულაო სკოლა დავამთავრე, მაშინ თქვენ დამამთავრებელ ჯგუფში ბრძანდებოდით.

კი, მე ვიცანი როგორ არა ვინც იყო, ისიც ვიცოდი, რომ ჩემზედ ერთი წლით უფროსი თუ იქნებოდა და მეც მის მიერ გამთბარ მერხზე რომ დავამთავრე საშუალო სკოლა, მაგრამ დღეს ვიღას უნდოდა დაგლახავებული ადამიანის ხილვა და დაახლოვება? ამიტომ მკაცრად ვუთხარი:

– როგორც გატყობ, შენ ჩემი ჭკუის დასარიგებლად და წარსულის მოსაგონებლად არ ხარ მოსული, მოკლედ მოყევი რისთვის მოსულხარ!

– მოკლედ არ ითქმის, – მომიგო მან – თქვენ თუ შეგიძლიათ ერთი საათი მაინც გამომიყოთ და როგორც ერთ მერხზე და ერთი სულისკვეთების აღზრდილთ, გულთან მიიტანო ის მწუხარება რომელიც გამაჩნია, გთხოვთ გულისყურით მომისმინოთ, მაგრამ თუ ამის საშუალება არ გამოიძებნება, ვეცდები საჩქაროდ ჩემი დარდი ზემდგომ ორგანოებში ვაღიარო.

– მოკლედ არ ითქმის?

– არა!

– მაშინ ხვალ მოდი და ვისაუბროთ! – ვუთხარი მე, მითუმეტეს დატვირთული არაფრით ვყოფილვარ და მეორე დღეს არ ვიქნებოდი, დაჩის მშენებლობისთვის უნდა მიმექცია ყურადღება.

– არა ხვალ გვიანი იქნება, მაშინ მე წავალ! – თქვა და წამოდგა, მაგრამ შეურაცხყოფა ჯერ კიდევ არ გამომნელებოდა და ასე ამის გაშვებას სწორედ არ ვაპირებდი, ამიტომ „მოჩვენე-

ბითი“ ფურცლები ავკრიფე, სეიფში შევინახე და ვუთხარი:

– კარგი, რაც არის, არის. მოვცდები ძველი მეგობრისათვის, დაიწყე!

– თქვენ დამემოწმებით – დაიწყო მან, რომ ჩვენი სკოლა ერთ–ერთი თვალსაჩინო და სინდის–პატიოსნების განსახიერება იყო მთელს რესპუბლიკაში, ასეთივე იყო ჩემი ოჯახიც და ამავე სულისკვეთებით აღვიზარდე. საშუალო სასწავლებელი რომ დავამთავრე ოჯახური, ხელმოკლეობის გამო სწავლის გაგრძელება აღარ მიცდია, ან ვეღარ ვცადე და მუშაობა დავიწყე ავტო–პარკში ზეინკლის დამხმარედ. იმავე წელიწადს, გემახსოვრებათ, ნელი კოკოუჩავა ცოლად შევირთე და მეგონა ცხოვრება ამიყვავდა, მაგრამ მალე სამხედრო სავალდებულო სამსახურმა მომწია და საბჭოთა არმიაში გამამწესეს. სამი წელიწადი ქვეყნის დასასრულში, ვლადივოსტოკში ვიხდიდი ჩემს მოვალეობას, როდესაც დემობილიზებული გამომიშვეს, ვლადივოსტოკ–მოსკოვის მატარებელზე ბილეთი შევიძინე, შევედი ჩემი ვაგონის რბილ კუპეში, თავქვეშ ჩემოდანი ამოვიდევი და მეორე იარუსზე წამოვწექი. ვაგონში ხალმრავლობა არ იყო, ჩემს კუპეში კი ერთადერთი ორბავშვიანი ქალი იმყოფებოდა და ისიც ქ. ჩიტაში ჩავიდა, მაგრამ იმისი ჩასვლა იყო და კუპეში სამი მთვრალი მამაკაცი შემოვიდა, ერთი ძალზედ მთვრალი იყო, ფეხზე ვერ იდგა და ის ორი ხელში აყვანილს მო-

აპორწიალებდა. იმ ორმა ეს ძალზე მთვრალი ჩემს ძირს პირველ იარუსზედ წამოაწვინეს, ცოტახანს საპირისპიროდ ჩამოსხდნენ, შემდეგ ერთ–ერთმა რომელსაც გადმოკარკულული თვალები ჰქონდა და მწიფე პამიდორივით ცხვირი, მე მითხრა:

– ე, ჯარისკაცო, ამ მთვრალს ყურადღება მიმიქციე, თუ ადგეს,უ თხარი ვაგონ–რესტორანში ვიქნებით.

– კარგი რა, – შევაწყვეტინე ცოტნეს საუბარი – რაში მაინტერესებს შენი მგზავრობის სიტორია, – ვლადივოსტოკიდან–მოსკოვამდის და შემდეგ მოსკოვიდან–თბილისამდი, ვგაონში რამდენი მთვრალი, მწყურვალი გამაძღარი თუ მშიერი შემოვიდა, ვთქვათ მოკლედ, ჩამოხვედი თბილისში, შემდეგ?

– მოთიმინება იქონიეთ ეროდი ბატონო, სწორედ ეს არის სავალალო, რომ თბილისადმის ვერ ჩამოვედი და ჩემი მგზარვობა ჩერემხოვოში დამთავრდა.

– როგორც, ვაგონიდან ჩამოგაგდეს? შემდეგ, შემდეგ გააგრძელე, საინტერესოა!

– არა, კი არ ჩამომაგდეს, გადმოვაგდე – მიპასუხა მან და განაგრძო: – როდესაც ისინი კუპედან გავიდნენ, ჩვენმა ჩქარმა მატარებელმა ისე აიწყვიტა აღვირი, რომ გაფრენის მოლოდინში გავიტრუნე, მაგრამ რომელიღაც გაჩერებაზე ისე უხეიროდ დაამუხრუჭა, პირველ იარუსზედ მწოლიარე მთვრალი მამაკაცი საწოლიდან გადმოვარდა

და სახით იატაკზე დაემხო, მე ხმაურზე გადმოვიხარე, რომ დამენახა რა მოხდა, ამ დროს ჩემი ჩემოდანიც გადმოცურდა და საბრალო მთვრალს ზედ კეფაზედ დაეცა. გადმოვხტი გამწარებული, ჩემოდანი ისევ მეორე იარუსზედ მოვისროლე და მთვრალს ვეცი, ავწიე და თავის ადგილზე დავაწვინე, მაგრამ ეს კაცი ცივი მეჩვენა, პულსი გავუსინჯე არ მუშაობს, მკერდზე ყური დავადევი – მხოლოდ მატარებლის დაგადუგი ისმის და მკერდიდან სიცივე უბერავს.

„ჩემმა ჩემოდანმა მოკლა, კაცი მოვკალი“ – გამიელვა თავში და კინაღამ წნევამ დამარტყა. კარები ჩავკეტე და დავფიქრდი როგორ მოვქცეულიყავი. ერთი აზრი მიკარნახებდა – „იყოს დაწოლილით ავის ადგილზე, ამხანაგები რომ მოვლენ, იფიქრებენ ალკოჰოლმა მოგუდაო“ – მეორე აზრი კი საწინააღმდეგოს ამბობდა – „ამხანაგები რომ მოვლენ და ნახავენ მიცვალებულს თავში აქვს დაკრული, ვის დააბრალებენ შენს მეტს მაგის მკვლელობას? უმჯობესია თავიდან მოიშორო და ამხანაგებს უთხრა რომ თქვენთან წამოვიდა–თქო. რა ვიცოდი, რომ ჩემი პირველი მრჩეველი ანგელოზი იყო და მეორე ეშმაკი, ბევრი აღარ მიფიქრია, ფანჯარა გამოვაღე და მიცვალებული მუთაქასავით მოვისროლე ფანჯრიდან. კარები გავაღე, კორდიდორში არავინ არ არის, უკვე გვიანია, მთელ ვაგონს ძინავს, ნეტავი ჩვენი მემანქანეც დაიძინებდეს და მატარებლის მთელი შემად-

გენლობა ბაიკალის ტბაში მოადენდეს ზღართანს, გავიფიქრე მე ძალზედ შეშინებულმა, შემდეგ ოფლი შევიწმინდე, ჩემს ადგილზე წამოვწექი და ძილი მოვიგონე.

დაახლოებით ერთი საათის შემდეგ ამ ერთი მთვრალის, ის ორი მთვრალი ამხანაგიც მოვიდა, მოიკითხეს თავიანთი მთვრალი მეგობარი და ადგილზე რომ ვერ დაინახეს, მე შემეკითხნენ: თუ სად წავიდაო, – მე არც მაცივა და მაცხელა ვუპასუხე: – თქვენთან წამოვიდა რესტორანში–მეთქი. – მათ ერთმანეთს გადახედეს და სიცილი აუტყდათ. შემდეგ როგორც იქნა თავი შეიკავეს სიცილისაგან და იმ პამიდორა ცხვირიანმა მითხრა:

– ჯარისკაცო სწორი თქვი, რა უყავი ჩენი მეგობარი?

– ხომ გეუბნები ადგა, გაიზმორა, თქვენ მოგიკითხათ და მე ისევ მოვიქეცი როგორ დამარიგეთ, ვუთხარი ვაგონ–რესტორანში წავიდნენ–მეთქი.

– და ისიც წამოვიდა?

– რასაკვირველია!

– ჯარისკაცო, როგორ წამოვიდოდა, ის ხომ მკვდარი იყო?

– ააა? – თვალები გამიფართოვდა მე მოულოდნელობისაგან და რისი ქართველი ვიქნებოდი ეს ამხელა „მკვლელობა“ უჩხუბრად ჩამეტარებინა? – ვეცი და შეიქმნა ერთი–ორთან ჩხუბი, ჩაიმსხვრა ფანჯარა და მიჰყვა კარებში ჩასმული სარკე: სად არ არიან და ჯერ კიდევ შუა ჩხუბშიდაც არ

ვიყავით, რომ მილიცია გაჩნდა, მათ მალე დაგვა-შოშმინეს და სადგურ თუ პატარა ქალაქ ჩერემხოვოში ჩამოგვსვეს მატარებლიდან.

გამოირკვა, რომ ქალაქ ჩიტაში, ერთ–ერთ საავადმყოფოში გარდაცვლილმა ჩერემხოვოში მაცხოვრებელი ვინმე უპატრონო ივანე კოზლოვი, რომელსაც მხოლოდ ერთი მოხუცი მეუღლე გააჩნდა მარიამი, საავადმყოფოს ადმინისტრაციამ იმ დღესვე შეატყობინა მარიამს მეუღლის გარდაცვალება და აუწყა მიცვალებული წაეღოთ თორემ დაასაფლავებდნენ. ამ უკანასკნელმა დიდი გულისწუხილით მოიმწუხრა მეუღლე და ოჯახში ჩამოსასვენებლად წავიდა ჩერემხოვოდან ჩიტაში,ს ადაც სამედიცინო სასწრაოფ დახმარების ავტომანქანის მძღოლს მოელაპარკა მიცვალებულის გადმოსვენებაზე და გასამრჯელოდ ათმანეთიანი აჩუქა. მძღოლმა თავის მეგობარ, ვინმე მიშენკოვთან ერთად ამ ათი მანეთით არყები იყიდა, კარგად გამოთვრნენ და მიცვალებულის წასვენება მატარებლით გადაწყვიტეს. სამი ბილეთი იყიდეს ჩიტაიდან – ჩერემოხოვომდის, ასხურეს არაყი მიცვალებულს და თითქოს ძალზედ მთვრალი იყო ხელში აყვანილი შემოიტანეს ვაგონში. დანარჩენი კი უკვე მოისმინეთ როგორ მოხდა. მაგრამ საქმე ისე არ დამთავრებულა, როგორც მოველოდით. ქალაქ ჩიტას სასხალხო სასამართლომ მე ოთხი წლით მომისაჯა თავისუფლების აღკვეთა, მიშენკოვსა და მეგობარს ორ–ორი წლით, ხოლო ვაგო-

ნის გამცილებელს ერთი წლით პირობითი სასჯელი აკმარეს.

სასჯელი ჩიტაში მოვიხადე ჰიდრო–ელექტრო–სადგურის მშენებლობაზე და არ მოვყვები იქაურ ცხოვრების ტანჯვა–ვაებას, რაც გადავიტანე. სასჯელი მოვიხადე და ოჯახში შვიდი წლის შემდეგ დავბრუნდი. ოჯახში ნელი მელოდებოდა, რომლის წერილებითაც სამი წელიწადი წითელ არმიაში ვსულდგმულობდი და ოთხი კილონიაში.

ჩვენ წარმოშობით გუდამაყრელები ვართ და დასაბამიდან ჩვენი გვარი მესაქონლეობის მივდევთ, გუდამაყარში მშობლები მყავს და ერთი უმცროსი ძმა, დუშეთში კი მამაჩემი ნაქონი ერთოთახიანი ბინა. პატიმრობიდან დაბრუნების შემდეგ, პირველად, რა თქმა უნდა ნელის მივაკითხე, რომელიც სოფელში არ წასულიყო ჩემს მშობლებთან და ჩვენსავე ბინაში ცხოვრობდა დუშეთში, მუშაობით კი ხალიჩების საქსოვ ფაბრიკაში მუშაობდა. მეორე დღეს სოფელში წავედით, მოვინახულეთ მშობლები, მეზობლები და კეთილი ნათესავები, გულით გავიხარეთ ერთმანეთის ნახვა–შეხვედრით. გადავწყვიტე სოფლეში დავრჩენილიყავი და როგორც სხვა მრავალი ცხოვრებს, მეჯოგეობისათვის მომეკიდებია ხელი და ასე მეცხოვრა, მაგრამ ნელიმ ქვა ააგდო და თავი შეუშვირა... – შენ დაგთმობ და დუშეთს ვერ დავთმობო“ – განმიცხადა, მეც იძულებული გავხდი დუშეთს დავბრუნებოდი და სამუშაო მეძებნა, მაგრამ საქმეში

ხარ? სადაც მივედი ყველგან კარები დაკეტილი დამიხვდა, ჩვენი რაიონი პატარაა და აქ მაცხოვრებელმა ყველამ იცოდა საიდანაც დავბრუნდი. ამიტომ სამუშაოს ვერ ვშოულობდი. არ ვიცი ეს განკარგულება ზემდგომი ორგანოდან მოდის, თუ ადგილობრივი მმართველობა იყენებს კანონს ბოროტად და ახალ დანაშაულზე უბიძგებს ადამიანს. ფაქტი კი ერთს მეტყველებს – სამუშაოზე არავინ მიმიღო, რომ ნაპატიმრები ვიყავი. – ნელისთან კი ერთი კვირის შემდეგ უკმაყოფილება შემექმნა – ის ხომ ყოველ წუთში ერთსა და იგივე ჩამჩიჩინებდა: – „მარჩენს და ვეღარ მიძლებს“. – ასეთი ცხოვრების აუტანელ პირობებში, როდესაც ნერვიული სისტემა გადაწყვეტამდის არის დაჭიმული, თუთუნის წევას თავი დავანებე, რომ მართლა კისერზე არ დავწოლოდი მეუღლეს. თუმცა კისერზე როგორ ვაწექი, მე ხომ სოფლიდან მომქონდა კვირიდან–კვირამდის სამყოფი სარჩო, რომელიც გვყოფნიდა კი არა, გვრჩებოდა კიდეც. შემდეგ გადამეკიდა რუსეთში წავსულიყავი სამუშაოდ, რუსეთში რაც ვიყავი გადაკარგული მეყო, მიძნელდებოდა ისევ მიმეტოვებია მშობლიური კერა, მაგრამ ყოველდღიურ ჩიჩინს ვეღარ გავუძელი და წავედი. სამშობლო მოძულებული ადამიანი ვის რად უნდიხარ? ჰოდა ორიოდე თვის შემდეგ მეც ხელმოცარული დავბრუნდი ოჯახში. შევატყვე ნელის არ ესიამოვნა ჩემი დაბრუნება, მაგრამ მეგონა ეს მატერიალური სისუსტის ბრა-

ლი იყო და ყურადღება არ მიმიქცევია.

შემოდგომა იყო მოახლოვებული, მე ერთოთა-ხიან ბინაში უქმად ვიყავი გამოკეტილი, როცა სოფელში აუარებელი საქმე იყო გასაკეთებელი, ამიტომ ერთ საღამოს ნელის ვუთხარი: – „სოფელ-ში უნდა წავიდე, ბალახს მაინც მოვცელავ ზამთ-რისათვის პირუტყვის საკვებად. ცოტას წავეხმა-რები მშობლებს და დაზამთრებამდის ჩამოვალ–მეთქი“ – ნელის თვალებში სიხარულის ნაპერწკა-ლი შევნიშნე და უყოყმანოდ დამთანხმდა ხვალვე წავსულიყავი.

მეორე დღეს დილით ადრიანად ავდექი, ჩავიცვი დაწასასვლელად გავემზდე, მაგრამ ნელიმ გამას-წრო, მას სამსახურში აგვიანდებოდა, წასვლის წინ გამიღიმა კიდე, რაც აქამდის არასოდეს არ უქნია და მითხრა:

– „გასაღები კარებთან ტილოს ქვეშ დამეტოვე-ბია“ – მეც გავუღიმე, თავი დავუქნიე თანხმობის ნიშნად და კარებამდის მივაცილე.

რაღაც გაუთენებელი დღეა, დილიდანვე ბურუ-სი ჩამოწვა და წვრილად ცრის კიდეც წვიმის წვე-თებს, გული წასვლას მიზარის, მაგრამ რაღაი გამ-ზადებული ვარ წასასვლელად და ნელისაგანაც თანმხობა მივიღე, აღარ გადავიფიქრე წასვლა და კარები ჩავკეტე, ეზოში ჩამოვედი და ახლა გა-მახსენდა გასაღები კარებთან ტილოს ქვეშ უნდა დამეტოვებია, მე კი ისევ ხელში მეჭირა და უაზ-როდ ვატრიალებდი. უკან დაბრუნება კარგად არ

მქონდა დაცდილი და გადავწყვიტე გასაღები ნელისათვის სამსახურში დამეტოვებია, მითუმეტეს გზაც იქით მქონდა.

ხალიჩების საქსოვს ფაბრიკაში ყველა მიცნობდა როგორც ნელის მეუღლეს და დარაჯს უარი არ უთქვამს ფაბრიკაში შესვლაზედ. ნელი აქ წუნმდებლად მუშაობდა და ერთი პატარა კაბინეტის მაგვარი ოთახი ჰქონდა მიჩნეული. ოთახის კარები დაუკითხავად შევაღე, მაგრამ აქ ნელი არ დამხვედრია, მაგაიდაზე კი ნელის ხელით დაწერილი ბარათი შევნიშნე, ხელი არ მიხლია, ერთი თვალის გადავლებით წავიკითხე: – „დევი! დღეს ის სოფელში მიეთრევა მოუსვლელად, იქნებ არ ჩამოვიდეს ცოცხალი, საღამოს სამსახურის დამთავრების შემდეგ შენს ბინაში დაგელოდები, არც შენ დაიგვიანო!...

შენი ნელი“.

თვალებზე ბინდი გადამეკრა, მაგრამ ვიაზრე, რომ აქ ჩემი გაჩერება აღარ შეიძლებოდა და საჩქაროდ საამქროში გამოვედი, ავუყევი სხვადასხვა დანადგარებით ჩამწკრივებულ საამქროს გზას და ნელიც დავინახე. ის ხალიჩის მქსოველებს ადგა თავზე და მათთან ერთად რაღაცას კამათობდა დამინახა თუ არა წყრომით შემომიყვირა:

– „რაო, ფანარი ჩაგიქრა და ვეღარ წახვედი?

– „არა, მივდივარ, გასაღები გამოგირონიე, – ვუპასუხე და სახლის გასაღები გავუწოდე, მან გასაღები უკმეხად გამომგლიჯა ხელიდან და თავის

შეცდომა რომ გამოეწსორებინა, თქვა: – „პირდაპირ მოგშლიან ნერვებზე ეს ქალები“.

– შენც ნუ მოიშლები! – ვუპასუხე ღიმილით, თითქოს არაფერიც არ მომხდარიყოს და დავუმატე: – „ჰე, აბა კარგად, მე წავედი!

ვგრძნობ რაღაც იაზრა და თვალი გამომაყოლა, მე კი უკან აღარ მომიხედავს, პირდაპირ გუდამაყრის გზას დავადექი, ვგრძნობ ვიღაცის თვალი მიყურებს, მითვალთვალებს და ჩემს გზას ჩაჰკირკიტებს, მაგრამ მე უკან არ ვიხედები, არც მინდა დავინახო ვინ არის ეს „ვიღაც“. ასე გამოვიარე რამოდენიმე კილომეტრი გუდამაყრის მიმართულებით და გზისპირის წყაროსთან ჩამოვჯექი ქვაზე.

ფიქრებმა გამიტაცა:

ვინ არის ეს დევი? ნუთუ მე რუსეთში იმიტომ გამაგზავნა სამუშაოდ, ხელს ვუშლიდი დევის სიყვარულში? ნუთუ სოფელშიც იმიტომ არ გამომყვა, რომ დევის ხშირად ველარ მოინახულებდა? ნერვიულობით პირღებინება დამეწყო და ოთხ საათამდე ცივ ქვაზე ვიჯექი, ვერ ვგრძნობდი შემოდგომის ცივ წვიმას, რომელიც ძვალსა და რბილში მატანდა. ათასნაირი აზრები მოდიოდა თავში, მომეკლა ნელი თუ მიმეტოვებინა მთლიანად საქართველო და გადავკარგულიყავი? ამ აზრს უარვყოფდი: მიმეტოვებინა ჩემი დამღუპველი, გადავკარგულიყავი და ის ცოცხალი დამეტოვებინა კუროების სანადიროდ? – „საქმის ვითარება მაჩვენებს–მეთქი ყოველივეს“ – გავიფიქრე

და ისევ დუშეთისაკენ მიმავალ გზას დავადექი. ხალიჩების საქსოვი ფაბრიკის შორიახლოს დავიმალე ისე, რომ გამოსასვლელი ჭიშკრისთვის თვალი არ მომიცილებია და სამუშაო დღის დამთავრებას დაველოდე. დიდხანს ლოდინ არ დამჭირვებია, ჯერ ნელ–ნელა იწყო ხალხის ნაკადმა ჭიშკარში გამოსვლა, შემდეგ კი ჯგუფ–ჯგუფად და აი ბოლოს ნაცრისფერ ლაბადაში გამოწყობილი ნელიც გამოვიდა, თითქოს რაღაცას მოელოდა, არამარე შეათვალიერა და მხეცივით დაყნოსა ჰაერს, შეჩერდა, კიდევ ერთჯერ მომავლო თვალი მიდამოს და ჩქარი ნაბიჯით წავიდა. სამალავიდან გამოვედი და კატის სიფრთხილით გავყევი უკან, ის ხშირად ჩერდებოდა და უკან იცქირებოდა, თითქოს გრძნობდა მოსალოდნელ უბედურებას, მაგრამ როდესაც საეჭვოს ვერაფერს შეამჩნევდა ისევ გულდაჯერებით წინ მიდიოდა. ბოლოს ოთხსართულიანი სახლის პირველ სადარბაზოში გაუჩინარდა და კვალიც დავკარგე, მე ცოტახნის შემდეგ მაინც შევედი სადარბაზოში და კიბეებს ავუყევი ბოლომდის ავედი და ისევ ძირს ჩამოვედი, მეორე სართულზე ერთ–ერთი ოთახის კარები ოდნავ ღიად მეჩვენა, ფრთხილად მივაწექი და ოთახში შევედი. ნელა სამზარეულოში ტრიალებდა და ათასნაირი ხორაგით სუფრას აწყობდა, მე არ შევუმჩნევივარ და ეს კუკუმალობანა რომ არ გაგრძელებულიყო, ჩავახველე.

– მოხვედი!? – წყნარად ჩაილაპარაკა ნელიმ და

მომღიმარე სახით შემობრუნდა, მაგრამ ღიმილი სახეზე შეეყინა – „უიო“ – შეჰკივლა და ჩაიკეცა. არ ვიცი მოიგონა თუ გული მართლა შეუწუხდა, მე დავიხარე, ბუმბულვივი ავიტაცე ხელში და ლოგინში ჩავაწვინე. ციხეში ნასწავლი ხერხი გამოვიყენე,თ ვალებზე სული შევუბერე და წამწამები აახამხამა, ესე იგი იგონებს, გავიფიქრე მე და სამზარელუოში გამოვედი, სუფრას გადავხედე და ბოღმა ყელში მომებჯინა, გავიფიქრე მე და სამზარელუოში გამოვედი, სუფრას გადავხედე და ბოღმა ყელში მომებჯინა. მე კანონიერ ქმარს ლუკმა–პურს მამადლიდა და საყვარლის მაგიდას ჩიტის რძეც კი არ აკლდა. დაუფიქრებლად წამოვავლე სამზარეულო დანას ხელი და მკერდში ჩავსცხე. ის ერთი კი შეხტა საწოლზე და შემდეგ აღარ განძრეულა, დანა მკერდიდან არ ამომიღია, კარები წყნარად გამოვიხურე და წამოვედი. არავის არ დაუნახივარ, თითქოს მხრებიდან ტვირთი მომეხსნა, ისე მშვიდად ვიგრძენი თავი. ჩემს ლაბადაში გამოვეხვიე და გაუდექი გუდამაყრის გზას, მალე სატვირთო ავტომანქანა წამომეწია და ჯერ კიდევ არ იყო დაღამებული სახლში რომ მივედი.

დანარჩენი თქვენც კარგდ მოგეხსენებათ რაც მოხდა!

– ბედს გაუღიმია შენთვის და ახლა რიღასთვის მოხვედი? – შევეკითხე გაკვირვებით მე.

– არა, ეს ბედის გაღიმება არ არის, მე ბედმა სატანჯველი გამომიგზავნა – მიპასუხა მან.

– როგორ? – შევეკითხე ისევ გაკვირვებით.

– დღეს ჩემი დანაშაულისათვის უდანაშაულო კაცს დახვრეტა მიუსაჯა სასამართლომ, მე არ შემიძლია გულგრილად ვუცქირო ამ ამბავს.

– აქამდის სად იყავით? როდესაც მე დაგკითხეთ, რატომ არ აღიარეთ სიმართლე?

– არ მეგონა კიკინაძეს თუ დახვრეტას გამოუტანდით, ციხის ღირსი კი იყო და ამიტომ გაჩუმება ვარჩიე.

– საციხედ რისთვის გამიმეტეთ?

– იმიტომ, რომ დევიკო კიკნაძე მე კარგად მიცნობდა, სანამ წითელარმიაში წამიყვანდნენ ის ჩვენთან მუშაობდა ავტოპარკში ხარატად. ჯერ ერთი პატივი უნდა ეცა ჩემთვის, როგორც ამხანაგისათვის და ჩემი ცოლისათვის დევნა არ უნდა დაეწყო, მეორეც: პატიმრის ცოლს რომ არ გამოდევნებოდა, სხვა ცოტა იყო სუსტი ნებისყოფის ქალები? მესამე და მთავარი: თუ ჩემი პატიმრობის პერიოდში მას ნელისთან სქესობრივი კავშირი აკავშირებდა, ჩემი პატიმრობიდან დაბრუნების შემდეგ ეს კავშირი უნდა შეეწყვიტა, რადგან ჩემი თუ არა მამაკაცის ხათრი უნდა ჰქონოდა ცოტათი მაინც, მეოთხე ის, რომ ახლა თვითონ ეწვნია ცოლის გაბოზება, რომელთანაც მე დავიჭერდი საქმეს.

– ჰო და ღმერთს შენთვის მოწყალების თვალით გადმოუხედავს, დახვრეტის შემდეგ იმისი ცოლი ღალატისათვის მალე გამოიგლოვებს დევიკოს და

შენც ღმერთმა ხელი მოგიმართოს.

– მერე ამ ამბავს ის საიქიოში გაიგებს? მე კი მინდოდა მას ეს ამბავი ცოდნოდა, გაეგო და გამწარებულიყო.

– მე მაინც ვერ გავიგე, ახლა რა გნებავს რომ მოიმოქმედო?

– თქვენი დახმარებით უნდა უშველოთ დევი კიკნაძეს.

– როგორ?

– ვაღიაროთ სიმართლე უმაღლეს ისტანციაში!

– ეს ახლა შეუძლებელია, ამ საქმის გახმაურებისათვის მე სამსახურიდან დამითხოვენ და უმაღლესი სახალხო სასამართლოს სხდომაც „ვირთხის დღეში ჩავარდება“.

– იროდი, იყავი მოწყალე ბიჭო, ადამიანი იღუპება არაფრის გულისათვის და შენ სამსახურის დაკარგვას ნაღვლობ? – მითხრა ცოტნემ და თვალებზე ცრემლი აუკიაფდა, ამას კი აღარ ველოდი, რომ ნაპატიმრალს ასეთი ჩვილი გული ექნებოდა მივუგე:

თუ კაცი ხარ ქალივით ნუ იქლერცები, სულ ერთია მართლმსაჯულების მსახურთ ცრემლით გულს ვერ მოულბობ, ჩვენ მასეთ ამბავის შეჩვეულები ვართ. მაინტერესებს აბა შენ როგორ გინდა ახლა მოიქცე, დანაშაული აღიარო და შენ წახვიდე დევის მაგივრად „ვიშკაზედ„?

– არა იროდი ბატონო – მითხრა მან, მე დახვრეტას არ მომცემენ, ჯერ ერთი, ცოტა თუ ბევრად

სულიერ აღელვებას მიიღებს მხედველობაში სასამართლო და მეორეც, თქვენი დახმარებით შეღავათი მომეცემა საკუთარი ფეხით თქვენთან გამოცხადებისა და დანაშაულის აღიარებისათვის.

– არავინ არ იძლევა შეღავათს დანაშაულის აღიარებისათვის, ეს ჩვენი მოგონილია შე საცოდავო, რომ ბოროტმოქმედის დაკითხვის დროს ბევრ წინააღმდეგობას არ წავაწყდეთ.

– ესე იგი დამხვრეტენ?

– უსთათუოდ!

– ჩემი სისხლი და ცოდვაც ნელის ჰქონდეს სამარეში. მე კი დამხვრიტონ. ერთ კეთილ საქმეს მაინც გავაკეთებ ცხოვრებაში, უდანაშაულო ადამიანს სიცოცხლეს შევუნარჩუნებ და თუ მართლა საიქიო არსებობს,ღ მერთიც შემინდობს დანარჩენ ცოდვებს.

– მოდი იმქვეყნიურ სიკეთეს ნურავის დაესესხები, ეგ სიცრუე მღვდლების მოგონილია, ისე როგორც „გულახდილი ნაღიარები ბოროტმოქმედება თითქოსდა ამსუბუქებს სასჯელს“ – ჩვენი მოგონილია. ახლა მე შენ ძმურად გირჩევ, როგორც ჩემს ძველ მეგობარს, წადი სახლშიდა მეჯოგეობას მოკიდე ხელი, გული გადააყოლე ნახირში და ეს არასასიამოვნო სიზმარი დაივიწყე.

– არა ბატონო ირროდი, ასეთ მზაკვრობას მე ვერ ჩავიდენ, რადგან თქვენ ვერ გამიწევთ დახმარებას, გენერალურ პროკურორთან შევალ როგორმე დღესვა, რომ ადამიანის დახვრეტა არ მოასწრონ.

თქვა და ზეზე წამოდგა, წასასვლელად მოემზადა.

– დაიცა, დაიცა, – ვუთხარი მე, ჩვენს გარდა ამ ამბის შესახებ იცის ვინმემ რაიმე?

– არა არავინ, – მიპასუხა მან – პირველია დამიანი ბრძანდებით, ვისთანაც ასე გულახდილად ვილაპარაკე და ცოტა ტვირთიც კი მომეხსნა გულიდან.

– ესე იგი ეს ამბავი მხოლოდ მარტო მე და შენ ვიცით და მეტმა არავინ?

– ვფიცავ ლაშარის ძალას და ძლიერებას, სიტყვაც არავისთან დამცდენია დღემდე.

– ძალიან კარგი! – ვთქვი და ჩავფიქრდი – საკმარისია ღილაკს თითი დავაჭირო და დავაპატიმრო ეს უგნური, მაგრამ ციხეში ამის მოკვლას ვეღარ მოვახერხებ, ჩემს ნაავკაცარს კი ქვეყანა გაიგებს და ვინ მაპატიებს ადამიანის სიცოცხლის შეწირვას? მოვლაქუცებოდი და სხალში გამეშვა დარიგებით, სიტყვა არავისთან დაცდენოდა, ჯერ ერთი არ მიდიოდა და მეორე, რა გარანტია მქონდა საიდუმლოს შეინახავდა? ამიტომ გადავწყვიტე სხვაგვარად მოვლაპარაკებოდი:

– ყველაფერი გასაგებია ჩემო ცოტნე – ვუთხარი მე – დიდი სიამოვნებით გაგიწევთ დახმარებას, მაგრამ ეს ჩემს ძალას აღემატება. მე საქმე გამოვიძიე, დავხურე და სასამართლოს გადავეცი, ამის შემდეგ კი მე უფლება ჩამორთმეული ვარ გამოძიებულ საქმეს დავუბრუნდე და მით უმეტეს სასამართლოსაგან მსჯავრდადებულს. ამიტომ

თქვენ მართლაც სწორად მოგიფიქრებიათ, წადი გენერალურ პროკურორთან, პირისპირ ისაუბრე ასე თავისუფლად, როგორც ჩემთან და ვინ იცის იქნებ საწადელსაც ეწიო.

– მერე შენ რომ სამსახურიდან დაგითხოვონ?

– შე კაცო შენ დახვრეტას არ გარუბიხარ და მე სამსახურის დაკარგვის შემეშინდეს?

– ეროდი, ერთად გაზრდილები ვართ ბიჭო და ცუდი არაფერი გაივლო გულში! – მითხრა, ზედა წამოიმართა, გამომემშვიდობა და წავიდა. ჩემი კაბინეტის ფანჯარა ქუჩას გადაყურებდა, სწორედ ამ ქუჩაზე უნდა გაევლო ცოტნეს, სხვა გზა არ ჰქონდა, ამიტომ ფანჯარა გამოვაღე, სეიფიდან შაშხანა გამოვიღე, ხმის მაყუჩი მოვარგე და დაველოდე. ქუჩაში ხალხმრავლობაა, მაგრამ ამას არ შევუშინდი. ჯერ შორს წასვლა ვადროვე, რადგან უფრო ძლიერად ემოქმედა შაშხანას და ტყვია სხეულში არ დარჩენილიყო, შემდეგ სამიზნეზე დავსვი იმის თავის ქალა და სასხლეტს გამოვწიე. დავინახე თუ როგორ აფრინდა ჰაერში ნახევარი თავი და ამის შემდეგ ტყვიამ კიდევ ჩამოკენწლა ნაძვის ხის ტოტები და ალბათ უსასრულობაში გადაიკარგა.

შაშხანა დავშალე და შევინახე, ქუჩაში კი ყვირილი ძლირდებოდა „კაცი მოლკეს“, „კაცი მოკლეს“ და ხან სასწრაფო დახმარებას უხმობდნენ, ხან კიდევ მილიციას.

კაბინეტის კარები დავკეტე და მეც გავედი შემთხვევის ადგილზე. სხვა თანამშრომლებთან ერთად

დავიწყე მკვლელობის ადგილის შესწავლა და ამ საქმის გამოძიებაც მე მხვდა წილად პროკურორისაგან. მალე დავადგინე, რომ ცოტნე აბაშიძეს მტერი არავინ ჰყოლია და არც არავის შეეძლო განზრახ მოეკლა იგი, მკვლელობა მოხდა დაუდგენელი ადგილიდან შემთხვევითი გასროლილი „ბერდენის“ ტყვიით. საქალალდე დავხურე და საქალალდესთან ერთად დაიხურა ამ მკვლელობის საიდუმლოებაც, თქვა ყოფილმა გამომძიებელმა და გაჩუმდა.

– საოცარია! – წამოიძახა აქამდის წყნარად გაჩუმებულმა, მაგრამ სავარძელში მბორგავმა ზვიად ზვიადაურმა – შენ მართლაც ისტორიაში ხარ შესატანი შენი ბოროტმოქმედებით. დავუშვათ, ცოტნე აბაშიძე გაიმეტეთ საკუთარი ტყავის გადასარჩენად, მაგრამ ხომ შეიძლებოდა ტყვია ცოტნეს აცდენოდა და სხვა მოგეკლა?

– მერე რა, მეორეს ვესროდი! – დაუფიქრებლად უპასუხა წიკლაურმა. ზვიადაურს კი გაეღიმა ასეთ პასუხზე და ისევ შეეკითხა:

– ნუთუ არ შეგეცოდა მოსაკლავად ისეთი პატიოსანი ადამიანი, როგორც ცოტნე ყოფილა?

– როდესაც ადამიანს უბედურება მოელის, ის სხვის კეთილდღეობაზე აღარ ფიქრობს!

– ახლა რამ გაიძულათ, რომ ჩემთან ცოდვების მონანიება გადაგიწყვეტია?

– დათვლილმა დღეებმა!

– ხომ არავის ადანაშაულებთ თქვენ ავადმყოფობაში?

– საკუთარ თავს, მეტად ფრთიხილი უნდა ვყოფილიყავი, მგონია ეკა თურქაძემ მომწამლა, მასთან ვივახშმე ერთ საღამოს და დილით უკვე სისხლი ამოვახველე.

– ეკას რაღა უნდოდა შენთან?

– წასული საქმეა, სტუდენტობის დროინდელი, გავაბოროტე, დავინდე არ მოვკალი და აი სამაგიერო გადამიხადა, გამაბოროტა კიდეც.

– რაღაზე აკითხავდი, ვეღარ დაივიწყე?

– უსაქმურობის გამო, როდესაც დედაქალაქში მოვხვდებოდი გაუვლიდი ხოლმე. ტემპერამენტიანიც იყო და კარგი სადილის მომზადებაც იცოდა.

– კიდევ ხომ არაფერი გაქვს სათქმელი?

– ბევრი, მაგრამ ყველას უმნიშვნელოდ ვთვლი, ასე რომ სათქმელი აღარაფერი მაქვს, სათხოვარს კი გაგიმეორებ: ჩემს ძმას, მანუჩარს მიაქციეთ ყურადღება და ცოლთან შეარიგეთ, მენანება ბავშვები, უკეთური გზა ცხოვრებაში არ ამართლებს და მინდა ისინი კეთილ ადამიანებად აღიზარდონ.

– მეეჭვება თქვენს მოდგმაზედ კეთილი აღიზარდოს ვინმე!

– მასე რად ამბობ, მე რომ შვილი მყოლებოდა ნამდვილად კეთილ ადამიანად აღვზრდიდი!

– ალბათ მაშინ, როდესაც სიკვდილის მოახლოვებას იგრძნობდით!

– სავალალოა ასეთ მდგომარეობაში ადამიანი ამჟამად რომ ვიმყოფები, ძველი ძლევამოსილება რომ მქონოდა...

– ალბათ არც მე დამტოვებდით ცოცხალს, ამისი თქმა გინდათ არა?

– დიახ, მიმიხვდით!

– კიდევ ხომ არაფერს ისურვებდით?

– დაუძახე, რომ გამიყვანონ!

ზვიადაურმა ამჟამად ფარულად აღარ გააპარა ხელი ზარის ღილაკისაკენ და შემოსულ ორ თანამშრომელს უთხრა: პატიმარი გაეყვანათ და იზოლატორის ლაზარეთში მოეთავსებიათ.

წიკლაური ძლივს წამოდგა, სუნთქვა გახშირებოდა და ქოშინით მივიდა კარებამდის, შემობრუნდა და ავადმყოფური, მაგრამ ომახიანი ხმით წარმოთქვა:

– როგორც მაცილებთ, მეც ასე გავაცილე ცოტნე აბაშიძე. იმ ღამეს გემრიელად ვივახშმე, ალბათ თქვენც ასე მოიქცევით. სხვისი სიკვდილი ჯანმრთელ ადამიანზედ არ მოქმედებს. იმ ქვეყნად შეხვედრამდის კოლეგავ!

კაბინეტის კარები პატიმრის გამცილებელმა გაიხურა, ზვიადაური კი გაუნძრევლად იდგა ბიუსტივით ერთ ადგილზე და სავარძლის კიდეს დაყრდნობოდა.

– აი ასეთებიც ყოფილან ჩვენს შორის! – თქვა ბოლოს და სავარძელში დაღლილი კაცის იერით ჩაეშვა.

* * *

მეორე დღეს გამომძიებელმა ზვიადაურმა, პროკურორს დაურეკა:

– ხომ არ ინებებდით მანუჩარ წიკლაურის დაკითხვას დასწრებოდით?

– სიამოვნებით! – იყო ტელეფონის ყურმილში პროკურორის პასუხი.

შემოიყვანეს თუ არა მანუჩარ წიკლაური გამომძიებელთან, პროკურორიც შემობრძანდა.

მანუჩარ წიკლაური გამომძიებლის პირისპირ დაჯდა. პროკურორმა კი კაბინეტის კუთხეში დაჯდომა ინება.

– მანუჩარ, თქვენ ბრალად გედებათ... დაიწყო ზვიადაურმა, მაგრამ პატიმარმა სიტყვა აღარ დაამთავრებინა და ღრმა მწუხარებით მოცული სახით უთხრა:

– ვიცი! რასაც მდებთ ბრალად, მაგრამ ჩემი ძმა რომ ავად არ იყოს, მე ყოველგვარ ბოროტმოქმედებას მისდასასარგებლოდ ვაღიარებდი.

– რა იცით, რომ თქვენი ძმა ავად იმყოფება?

– ციხეში კედლები ლაპარაკობენ.

– და რა გითხრათ კედლებმა, თავი დამნაშავედ არა სცნოთ, რადგან თქვენი ძმა ავად არის და ყოველგვარი დანაშაულებანი თავის თავზე აიღოო?

– არა, რაც არ გაგიკეთებია, სხვისი დანაშაული არ მიისაკუთროო...

– რისთვის უნდა მიგესაკუთრებიათ სხვისი დანაშაული?

– იმისათვის, რომ გრძნობა ძმობისა, ყოველგვარ ბოროტმოქმედებას აღემატება, თვით სიყვარულზე და სიცოცხლეზედაც მაღლა დგას...

– თუ ასეა, გასაჭირში ჩავარდნილ ძმას რად არ დაეხმარე?

– რომელ დახმარებაზეა საუბარი?

– გვამების წყალში ჩაძირვა მაქვს მხედველობაში.

– ამ საქმეს უჩემოდაც მოევლებოდა, თუმცა მთელი ღამე მეთვალყურეობის ქვეშ მყავდა, სანამ სახლში არ მივიდა, მე კი რუსეთში იმ განზრახვით გავიქეცი, მკვლელობის ეჭვი ჩემზე აგეღოთ და ეროდი გადამერჩინა.

– ახლა თავი გადარჩენილი გგონიათ?

– ვერ წარმომიდგენია რას დამდებთ ბრალად!?

– თუგინდ მკვლელობის გაუმჟღავნებლობას ან ცოლ–შვილის მიტოვებას და ალიმენტის გადაუხდელობას!

– სასაცილოა, ბოროტმოქმედების გაუმჟღავნებლობისათვის ჯერ არავინ დაუპატიმრებიათ. ყველა გამფლანგველის ცოლმა იცის, რომ მისი ქმარი გამფლანგველია, მაგრამ ცოლები როდი იხდიან ქმრებთან ერთად სასჯელს? ყველა ქურდის მეუღლემ იცის, რომ მისი ქმარი ქურდია და ოჯახშიდაც მოაქვს ნაქურდალი, მაგრამ ცოლებს როდი იჭერენ? რაც შეეხება ცოლ–შვილის მიტოვებას, სიცრუეა, მე ისინი არ მიმტოვებია. ჩვენ კანონის ძალით ვართ განქორწინებულები და სასამართლო პროცესის შემდეგ უცხონი, ალიმენტის გადაუხდელობაც არ არის ბრალი, რადგან თვით ჩემმა მეუღლემაც არ იცის საიდან ღებულობდა

უმისამართო „პერევოდებს“. თუ მან ალიმენტის გადახუდელობა განაცხადა, რატომ არ დაინტერესდა საიდან ან ვის მიერ ღებულობდა ფულს თვეში ას მანეთს, როდესაც თვითონ თვიური ხელფასი ასოცი მანეთი მქონდა? ჩემი სიმართლე შეგიძლიათ ფოსტაში დაამტკიცოთ.

– არც ისე საშიში ყოფილხართ, როგორც მეგონეთ, მაგრამ თქვენ პირველი იქნებით, რომელიც გასამართლდებით მკვლელობის გაუმჟღავნებლობისათვის.

– ნათურის სხივი ჭერს სწვდება, მაგრამ არ იზრდება ამით ქვეყნად ნათელი, ამას არა აქვს მნიშვნელობა მე თავისუფლებაში ვიქნები თუ ციხეში, ამით არ აღიკვეთება ქვეყნად ბოროტმოქმედება?

– რას იტყვით თქვენი მეუღლის შესახებ, რატომ განქორწინდით?

– ცათა სწორო ცოლის ქება აუგია“* – რაც შეეხება განქორწინებას კი ბრალი ნამდვილად მიმიძღვის, რომელშიდაც სახალხო სასამართლოს ვადანაშაულებ, რადგან არავის არ უზრუნია ჩვენი შერიგება.

– ვენერიული დაავადების გავრცელებისათვის კანონი სასჯელს ითვალისწინებს.

– სწორედ ამაშიდაც ვადანაშაულებ სახალხო სასამართლოს, რომელმაც განაჩენი განქორწინება გამოიტანა და არა სასჯელი. თუ კანონი სწორად

---

* ავტორს ნაგულისხმევი აქვს ოპერა „აბესალომ და ეთერი“.

იმსჯელებდა, ვენერიული დაავადების გავრცელებისათვის უნდა მოესაჯათ იძულებითი მკურნალობა, ან თავისუფლების აღკვეთა დადგენილი ვადით და სასჯელის მოხდის შემდეგ ოჯახში დაბრუნება.

სასამართლომ კი განქორწინება სცნო მიზანშეწონილად და ვენერიულ დაავადებაზე სიტყვაც არ დაუძრავს. ეს იმას ნიშნავს, რომ თუ ცოლი დაავადე, მოდექი ახლა სხვა ქალებიც გახადეო სამკურნალო.

– ალბათ ამ საქმეში თქვენ ძმას, ირ0დის მიუძღვის ღვაწლი!

– ღმერთო ჩემო, კანონი ირ0დი წიკლაურს ემორჩილება თუ ირ0დი წიკლაური უნდა დაემორჩილოს კანონს?

– არის შემთხვევა როდესაც თანამდებობას ან მეგობრობას ემორჩილება კანონი.

– მაშინ თქვენი კანონი არ ყოფილა მტკიცე და არც არის გასაკვირი ირ0დიც, რომ თავისი არშინით ზომავდა და თავისივე გამოჭრილ თარგს არგებდა ყველას.

– მაინც რას გვეტყვი ირ0დის საქმიანობაზე?

– ირ0დიმ რაც თვითონ გითხრათ მასზე დამატება არ ძალმიძს, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჩვენს ყოველდღიურ კამათს.

– რისთვის კამათობდით?

– ოჯახურ პრობლემბეზე, მინდოდა რომ სწავლას არ გაეთამამებინა, რადგან იმის სწავლაში

ჩემი ღვაწლიც იყო გარეული, მაგრამ ეროდი ბავშვობიდანვე იყო თავმოყვარე, თავმოყვარეობა კი მოგეხსენებათ ეს არის განუკურნებელი სენი, სიყვარული თავისი თავისა და ყოველივე იმის მიმართ, რაც მას სასიკეთოდ ევლინება. მისი წყალობითაა ადამიანები ასე რომ აღმერთებენ თავიანთ თავს და თუ ბედი უღიმით, ნამდვილი ტირანებივით ექცევიან სხვებს. თავმოყვარე მხოლოდ თავისთავს ელოლიავება, თავისთავს დაჰკანკალებს, ყოველივე დანარჩენი კი მხოლოდ იმდენად აინტერესებს, რამდენადაც ფუტკარს – ყვავილი, რომელსაც ნექტარი უნდა გამოსწუწნოს.

– იმის თავმოყვარეობაში ან ხალხის სიძულვილში იქნებ სკოლა ან ოჯახია დამნაშავე?

– იმ სკოლაში და იმ ოჯახში აღვიზარდე მეც, მაგრამ სიკეთის მეტი არაფერი დამითესია, მანამ სანამ ეროდის ძლევამოსილებამ არ გამათამამა, ცხოვრების გემო არ გავუგე და არ გავთახსირდი.

სამსახური კარგი მქონდა, მართალია მენავედ ვმუშაობდი, მაგრამ არ არის მაინც და მაინც ხელწამოსაკრავი მენავეობა ხელფასიც კარგი მქონდა და თან ორიოდე კაპიკს ტურისტებიდანაც ვშოულობდი, რომლებიც გასეირნებისათვის მჩუქნიდნენ. ფული მართალია თავზე საყრელად არ მქონდა, მაგრამ იმდენი მქონდა რომ ეროდისაც დავხმარებოდი სტუდენტობის პერიოდში და ოჯახიც კმაყოფილი მყოლებოდა, მაგრამ შემიჩნდნენ სუსტი ნებისყოფის ქორფა გოგონები, რომლებიც

ироდის ამოჰყავდა დედაქალაქიდან და შემდეგ ვღრეობდით. ტკბილმა ცხოვრებამ გათამამება იცის და მეც ნელ–ნელა გადავინაცვლე ტურისტებზე და ბოლოს სადისპანსეროში მოვხვდი კიდეც.

ბევრჯერ მითქვამს ироდისათვის, რომ კეთილსინდისიერ გზას დადგომოდა, აბა ვისთვის უნდა მერჩია, თუ არა ძმისთვის, მაგრამ ინსტიტუტის დამთავრებისა და გამომძიებლად დანიშვნის შემდეგ სულ მთლად გამოიცვალა. არასოდეს არ დამავიწყდება, ერთხელ რომელიღაც წიგნიდან ლექსი ამოვიწერე და ироდის წავუკითხე:

– „სახაზავმა უთხრა კალამს: თუ რამის თქმა გინდა ძმაო,

ნუ დამალავ, პირდაპირ თქვი საამოც და სავალალოც,

არაფერი საჭიროა, ძრომიალი ხაზებს შორის,

გვირისტებით გაოცება კოლეგის და თანამშრომლის,

წიგნიერის სავალ გზაზე არ აგებნეს, თუ გსურს გზები

გაატარე სწორი ხაზი, ყველასათვის გასაგები“...

ироდი მიმხვდა, რისი თქმაც მინდოდა ლექსით, გაეღიმა და მითხრა:

– ფრინველების საკვებით ხომ არ იკვებები იადონივით, რომ ჭიკიჭიკებო, და იმ დღიდან „წიგნობარა“ შემარქვა.

ახლა მეც გამეღიმა იმის მოსწრებულ პასუხზე

და ალბად სიმკაცრე რომ შემენარჩუნებია ჯობდა, ჩემმა ღიმილმა იმ საღამოსვე ქალწულთან დამაწვინა და მას შემდეგ აეწყო ასე უბედურად ჩვენი საქმეც.

– იქნებ თქვა, რომ არც ქალწულის გაუპატიურებისათვის გეკუთვნის სასჯელი?

– მაშინ ყველა მამაკაცი დასაჭერი ყოფილა, ვისაც ცოლი შეურთავს, მე კი ნამდვილად ვაპირებდი იმის ცოლად შერთვას, მაგრამ მოხდა გაუთვალისწინებელი რამ...

– ცოლად შერთვას რომ უპირებდი, ტყვიის სროლა იმიტომ გადაწყვიტა შენზედ, თუ რომ არ აპირებდით?

– სიმართლე გითხრათ, ძალზედ მეჯავრებოდა, მაგრამ მებრალებოდა კიდეც და თუ ცოლი საბოლოოდ უარს მეტყოდა შერიგებაზე, აუცილებლად შევირთავდი.

– რას გავაკეთებდით, ეს ფილოსოფიური მსჯელობაა, ჩვენ კი იურიდიულად ვუდგებით საკითხთა უმრავსლესობა და თქვენ ბრალი გედებათ – მკვლელობის გაუმჟღავნებლობაში და მის თანამონაწილეობაში. ვენერიული დაავადების გავრცელებაში, მხედველობაში მაქვს არა მარტო თქვენი მეუღლე, არამედ ქალწულიც, რომელიც გააუპატიურეთ და ვენერიული დაავადებაც შეჰყარეთ. და ბოლოს ქალწულის გაუპატიურებაში, რომელიც შემდეგ თქვენი მსხვერპლი გახდა.

როდესაც ბედმა ასე აგაღზევათ იმ სიმაღლემ-

დე, რომელზედაც ოცნებასაც ვერ ბედავდით და ამჟამად გრძნობთ არ იყავით ამ პატივის ღირსი, ახლა კეთილი ინებეთ, მოუხმეთ კეთილგონიერებას და პასუხი აგეთ ჩადენილი ბოროტმოქმედებისათვის.

გამომძიებელმა ზვიადაურმა პროკურორს გადახედა, სქელტანიანი საქაღალდე დახურა და უმაღლეს სასამართლოზე გადასაცემად გაამზადა.

* * *

როდესაც ზვიადაურმა მკვლელობისგამოძიება დასრულებულად ჩათვალა და საქმე უმაღლეს სახალხო სასამართლოზე გადასაცემად დახურა, გადაწყვიტა შორენა ძიძიგურსა და მის მეუღლეს არქის ავეტისიანს გასაუბრებოდა, არა როგორც ბოროტმოქმედებაში ეჭვმიტანილთ, არამედ როგორც ადამიანური მორალის უარმყოფელთ, რომელ ქმედებაზედაც სავალალოდ კანონი სასჯელს არ ითვალისწინებს.

გამომძიებელს არ გასჭირვებია სარქის აშოთის ძე ავეტისიანის მისამართის დადგენა (ბარნოვის ქუჩა №2) და ახლადშეუღლებული ცოლ–ქმარი პროკურატურაში გამოიძახა.

კაბინეტის კარები ფართოდ გაიღო და კაბინეტში მოზვრული შემართებით ისე შემოვიდა ახალგაზრდა კაცი, თითქოს მოჭიდავე ყოფილიყოს და საჭიდაო ლეიბი ეს ეს არის გამარჯვებულს მიეტოვებინოს. მას წვერი ახლად გაპარსული ჰქონ-

და და სადაც სამართებელს ემუშავნა სახის ის ნაწილიც სუფთად გამოიყურებოდა, ხოლო ცხვირის, თვალებისა და შუბლის არეში თმის ბუსუსები ისე ღრმად იყო ჭუჭყში ჩამჯდარი, რომ ახლად დავარცხნილი თმისაგან, რომელიც ჭუჭყისაგან შეწებებულიყო არაფრით არ განსხვავდებოდა. კისერი აბიბინებული თმით იყო დაფარული, საიდანაც რამოდენიმე ადგილას ძირმაგარა იყო გამოწურული და ჩირქნარევ სისხლს ხალათის საყელო შეეღება.

მოკლე კისერი განიერ ბეჭებზე ისე იჯდა, თითქოს უზარმაზარი თავი სადედეზე მოკლე კვირტივით ყოფილიყოს დამყნილი.

გრძელი და მსხვილი დაკუნთული მკლავები ფართო ხელის მტევნებით ბოლოვდებოდა, რომელიც ჭუჭყით ისე სქლად იყო დაფარული, რომ მშრომელი გლეხი ზედ ხახვს დათესავდა და უდანაკარგოდაც მოიყვანდა მოსავალს.

მთლიანი სიმაღლე ერთი მეტრი და ორმოცი სანტიმეტრი თუ იქნებოდა, მაგრამ ამასთანავე ერთად არც ბეჭების სიგანე ექნებოდა ნაკლები და ცოცხალი არსება უფრო უნიათო მეცნიერების მიერ შექმნილ კვადრატულ რობოტს მეტად ჰგავდა, ვიდრე ადამიანს.

ბარნოვის ქ. №2–ში, რევოლუციამდე ქურჯიძეების ოჯახი ცხოვრობდა, სარქისის მამა, აშოთ ავეტისიანი, გაქნილი ვაჭარი იყო, მაგრამ როდესაც სერგო ორჯონიკიძე რუსეთის

მეთერთმეტე არმიით თბილისში შემობრძანდა, აშოთ ავეტისიანი „დიდი მხედართმთავრის, ორჯონიკიძის“ მარჯვენა ხელი გახდა. ბოროტი ენები იმიასაც კი ლაპარაკობს, თითქოს აშოთ ავეტისიანს საქვეყნო არეულობითა და ორჯონიკიძის ნდობით ესარგებლოს, ქურჯიძეების ოჯახი დაეხვრიტოს და მათ სახლში თვითონ დაედოს ბინა. რა თქმა უნდა, ამას „ბოროტი ენები“ ლაპარაკობენ, მაგრამ ბოროტება ყოველთვის როდი სრულდება კეთილად, ფაქტი ყოველთვის თავისას ამბობს, თვალნათლივ იცქირება ისე, როგორც ჩვენ ვიხედებით თუ როგორ ცხოვრობს ავეტისიანების ოჯახი ყოფილ გურჯიძეების ორსართულიან აგურის სახლში.

რევოლუციამ გაიმარჯვა საქართველოში, ვინც მარიფათი გამოიჩინა, ცხოვრებაც საგრძნობლად გაუმჯობესდა იმისათვის. მრავალი ფაბრიკა–ქარხანა აშენდა და მათ შორის გიგანტური „ჟიგულევსკი“, – „უკეთესი სარფიანი ადგილი არც შეიძლება იყოს“ – გაიფიქრა აშოთ ავეტისიანმა და თავის შვილს, სარქის ავეტისიანს მსუბუქი ავტომანქანების შეკეთება შეასწავლა.

ახლა გამომძიებლის წინაშე დგას სარქის ავეტისიანი და როგორც მსაჯს გამარჯვებული ფალავიანი ისე მიჩერებია ზვიადაურს.

– თქვენ დამიბარეთ უფროსო? – შეეკითხა სარქისი გამომძიებელს, რომლის გამომეტყველებაში

ნათლად იგრძნობოდა რაღაცით გათამამებული კაცის დაცინვა.

– თქვენ ვინ ბრძანდებით? – თავაზიანად შეეკითხა გამომძიებელი და შეეცადა თვალი თვალში გაეყარა მოსულისათვის, მაგრამ ეს ვერ შესძლო, რადგან სარქსისს მზერა სქელი წარბების ჩრდილში დაემალა.

– ცას, ცავატანემ, როგორ ისე მეკითხები წიგნში რო წერია ტო, დამიბარე და ვერ მიცნობ?

– ვერა, ვერ გიცნობ!

– მე სარქისა ვარ, ვიფიქრე, ალბათ მანქანა ვერა ჰყავს ჯანზე–მეთქი და გეახელით ტო!

– ჰა, თქვენ სარქის ავეტისიანი ბრძანდებით?

– დიახ, დიახ უფროს–ჯან, თუ მანქანა გყავთ შესალამაზებელი ჩემს მანქანას ახლავე გადავაბრუნებ გარაჟში მივიტან და შენსას წავიღებ!

– არა სარქის, ნუ შეწუხდებით, საკუთარი ავტომანქანა არა მაქვს, მე გამოძიებას ვაწარმოებ და უბრალოდ თქვენი შორენაზედ დაქორწინების ამბავი მინდა მოვისმინო.

– აი უფროს–ჯან, თურმე რა გდომებია. მე შორენა მიყვარს და ეს რა საკითხავია, როგორ და რისთვის მოვიყვანე? იმისი არ იყოს წიგნში რომ წერია „მურმანოვო!“

– თქვენ თუ იცოდით, რომ თქვენი შეუღლების მიზეზით პატიმრობაში მოხვდა შმაგი მგლობლიშვილი?

– ეს საქმე შინაგან საქმეთა სამინისტროს ეხე-

ბა უფროს–ჯან. ჩემი მოვალეობა ავტომანქანების შეკეთებაა ცავატანემ.

– მართალია, მაგრამ ხომ შეგეძლოთ მართლმსაჯულებისათვის შეგეტყობინებიათ: – „ადამიანს, რომელსაც დაღუპულად მიიჩნევთ, ჯანმრთელად იმყოფება და ჩემი მეუღლეა–თქო„?

– უფროს–ჯან, წიგნში რომ წერია საბჭოთა გამოძიება ჰუმანურიაო, დავიფიცებ, რომ იმ წიგნის დამწერს არასოდეს ჰქონია საქმე გამოძიებასთან, მე მაინც თქვენ მიკვირს, რა მსჯიდა მილიციაში მოვსულიყავი და გამეცხადებინა, „თქვენ რომ ადამიანს მკვდრად მიიჩნევთ ჩემი მეუღლეა–თქო?“ ამით ხომ დავაჩქარებდი საკუთარი თავისადმი უსიამოვნებას?

– შენ უსიამოვნებას ერიდებოდი, რომელიც ადრე თუ გვიან მაინც მოხდებოდა ქალის მშობლების მხრიდან და არა მართლმსაჯულებისაგან, რადგან კანონი არ მსჯელობს სრულწლოვან ქალთან შეუღლებაზედ და არ გებრალებოდა ადამიანი, რომელიც ციხეში იჯდა და ამაოდ ელოდებოდა სიმართლეს?

– ხომ გითხარი უფროს–ჯან, ეგ საქმე ჩემი საქმე არ არის მეთქი. იმის დაჭერაში მე და შორენა უცოდველები ვართ და წიგნშიდაც ასე წერია: „უცოდველ ადამიანს ბედი არა სჯის ჩადენილი ცოდვებისთვისო“. გამომძიებელს გაეღიმა და იმის ნაცვლად, რომ შეკითხვოდა – „უცოდველი როგორღა იქნება ადამიანი თუ ცოდვები ჩაიდინაო“ – შეეკითხა:

– როგორ სულ წიგნის სიბრძნეებს იყენებთ ჩემთან საუბარში, ალბათ ბევრი წიგნი გაქვთ წაკითხული!

– არა უფროსჯან, შორენა კითხულობს ხოლმე და მე ვუსმენ!

– მაინც როგორ მოხდა თქვენი შეუღლება, გიყვარდათ ერთი–მეორე?

– მე შორენა მიყვარდა, შორენას კი როგორც ახლა ვატყობ ჩემი სახლი და მანქან უყვარდა.

– ბედნიერი ხარ შორენასთან მეუღლებით?

– კი! მე ის მიყვარს, მაგრამ წიგნში რომ წერია „ქალი ოჯახის კეთილი ანგელოზიაო“, დავიფიცებ, რომ იმ წიგნის დამწერი უცოლო იქნებოდა.

ზვიადაურს გაეღიმა, ადამიანს, როდესაც უნდა ყველაზე უფრო ჭკვიანი ჩანდეს, ყველა ბრიტყვზე მეტ სიბრიყვესა და სისულელეს ავლენს, ამიტომ გამომძიებელმა საჭიროდ აღარ ჩათვალა სარქისა ავეტისიანთან საუბარი, ზეზე წამოდგა, თავი მდაბლად დაუკრა და უთხრა:

– თავისუფალი ხართ, მხოლოდ ნება მიბოძეთ თქვენს მეუღლეს გავესაუბრო.

– მხოლოდ ჩემი თანდასწრებით, ცავატანემ! – ისე გამომწვევად წარმოსთქვა სარქისამ, რომ გამომძიებელს ისევ გაეღიმია.

– კარგი, თქვენი თანდასწრებით იყოს, აქ ხომ არ გახლავთ? – შეეკითხა ზვიადაური და ღიმილი, რომ დაეფარა თავი საქაღალდეში ჩარგო.

– დიახ, აქ გახლავთ, „ვოლგაში“ ზის და მუსი-

კებს უსმენს! – დამცინავი გორილასებური ღიმილით წარმოთქვა სარქისამ.

– გთხოვთ შემოიყვანოთ, – თქვა გამომძიებელმა და სარქისაც დაუყოვნებლივ გავიდა კაბინეტიდან.

ორიოდე წუთის შემდეგ კაბინეტის კარები ისევ ფართოდ გაიღო ყოველგვარი შეკითხვის გარეშე და კაბინეტში სარქისა შემოვიდა, რომელსაც ულამაზესი ქალისათვის მაჯაში ხელი ჩაევლო და წინ მოუძღოდა. ამ სურათის მნახველს თვალწინ წარმოუდგებოდა ცირკის მსახიობი, რომელიც მაყურებელს მადლობის გადასახდელად სცენას ნარნაირი ტანის რხევით უბრუნდება და წინ გორილა მოუძღვის მაყურებელში მეტი ოვაციის გამოსაწვევად.

ნუთუ ყოველივე ეს სინამდვილეა? ნუთუ ფულს შეუძლია მოახდინოს სულის დამონება და ხორცის გაძარცვა? ნუთუ ეს სილამაზე არის ამ არასრულყოფილების ღირსი? თუმცა ეს სილმაზე სრულყოფილი რომ ყოფილიყო, მაშინ არასრულყოფილება ისეთი კარგი იქნებოდა, ეს სილამაზე მართლაც არ იქნებოდა ამ არასრულყოფილების ღირსი. მაგრამ აი თურმე ვინ ყოფილა ადამიანი, მას „გაუმაძღრობა“ უნდა ერქვას და არა ადამიანი, რომელსაც სიკეკლუცითა და მგრძნობიარობით მოაქვს თავი, მაგრამ ხშირ შემთხვევაში დარცხვენილი დუმს ანგარების ჭაობში ჩაყვინთული.

– შეიძლება დავჯდე? – ფიქრებში გართულ გა-

მომძიებელს შემოესმა ქალის ხავერდოვანი ხმა.

– ჰო, რასაკვირველია. დაბრძანდით! დაბნეულად წარმოთქვა გამომძიებელმა, ზეზე წამოდგა და სავარძელზე მიუთითა ქალს.

ქალმა იგრძნო თავისი სიძლიერე და პირველი გამარჯვებით ნასიამოვნებმა ღიმილით წარმოთქვა:

– შეიძლება არ ვიყო ღირსი თქვენი ყურადღებისა, მაგრამ თავაზიანობა საკუთარი სულის ასამაღლებელი კვარცხლბეკია, სადაც ზრდილობიან კაცად უნდა ჩაგთვალონ.

– მაპატიეთ ქალბატონო უყურადღებობა, მაგრამ ჩემი ზრდილობის განსასჯელად როლი დაგიბარეთ, მე კვალმაძიებელი ვარ და თავს ვალდებულად ვთვლი დამნაშავეს თავისი ჩადენილი დანაშაულის შესაბამისად მოვემსახურო.

– ოჰო, დამნაშავედ და ბოროტმომქმედადაც შემრაცხეთ? რით დავიმსახურე ასეთი დიდი ღირსება მართლმსაჯულების წინაშე?

– თუ შეიძლება თქვენთან პირისპირ ვილაპარაკო ყოველგვარი მოწმეების გარეშე? – თქვა გამომძიებელმა და ქალის გამომწვევ მზერას თვალი გაუსწორა.

– არა, იყოს. ეს ჩემი „გოშიაა“ – თქვა ღიმილით ქალმა და გორილას გადახედა, „გოშიამაც“ ისეთნაირად გაიღიმა, გამომძიებელი კინაღამ ზეზე წამოხტა, რომ ქალი არ დაეკბინა.

– კარგი იყოს, თუ თავისუფლად იგრძნობთ თავს

მეუღლის წინაშე, როდესაც სხვის სიყვარულზე გელაპარაკებიან.

– უფრო ღირსეულადაც, შემიძლია ვიამაყო, რომ ვიღაცას თავდავიწყებით ვუყვარვარ და თუ უფრო მეტად გააზვიადებთ ჩვენს სიყვარულს კიდევ მეტად კმაყოფილი დაგრჩებით.

– თქვენ გიყვარდათ შმაგი მგალობლიშვილი?

– ახლაგაზრდა კაცი ხართ და ნუ გამაცინებთ, რომელ სიყვარულზეა საუბარი, როგორ, არსებობდა ოდესმე სიყვარული? სიყვარული დროებითი ბავშვური გატაცებაა და მეტი არაფერი. თუ ოდესმე არსებობდა სიყვარული მას მარადიული სიცოცხლე არ წერებია, თუმცა ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ სიყვარული არასოდეს არ არსებობდა.

– ასე რისთვის მსჯელობთ, შმაგი მგალობლიშვილს თქვენ თავდავიწყებით უყვარდით.

– თუ ვუყვარდი ახლა რატომ ვძულვარ? ესე იგი, თუ სიყვარულს დავიწყება და შეძულება შეუძლია, არც არასოდეს ვყვარებივარ და აქედან გამომდინარე სიყვარულიც არ არსებობს.

– თქვენ როგორ გგონიათ, დუსჯელად ჩაივლის ეს ჩვენი ბავშური გატაცების მოტყუება? თუ ფიქრობთ, რომ შმაგი მე მოსაკლავად არ გამიმეტებს თუკი ამის საშუალება მიეცემა? თუ ვუყვარდი და არსებობს სიყვარული, როგორც შეუძლია თავისი სიყვარული მოკლას ადამიანმა?

– თქვენ სიყვარულში არასრულყოფილებას ხე-

დავთ და დადებით თვისებებს რატომღაც ვერ ამ-ჩნევთ!

– პოტურ სიყვარულზე მელაპარაკებით? ეს ხალხის გულში სიყვარულის გამაღვიძებელი გა-მოძახილია, რომლის ცრუ გამოძახილს ადამიან-თა მოდგმა თვალნათლივ ხედავს და დღემდე „პო-ეტურ სიყვარულს“ კაცობრიობაში ფეხი ვერ მო-უკიდებია.

– კი მაგრამ დღევანდელი ქმრის სიყვარულზე რას მეტყვი, ნუთუ არც ის ადამიანი გიყვარს, რო-მელთანაც მთელი სიცოცხლის გატარება გადა-გიწყვეტია?

– ხომ გითხარით სიყვარული არ არსებობს–მეთ-ქი. მე ქმართან თუ ვარ და მასთან ოჯახის შექმ-ნა გადამიწყვეტია. ეს ქალის მოვალეობაა და არა სიყვარული, ჭკუათმყოფელი კი ამაზედაც უარს იტყოდა. ოჯახის შექმნას ვეძახით ჩვენ როდესაც ჩვილი ჩანასახიდანვე დედის სისხლით იკვებება და სიკვდილამდე გვჭამს? მე მაინც ვერ მივხვედ-რივარ რას ვხედავ კარგს ამ მოვლენაში?

– თქვენებური შეხედულება ცხოვრებაზე თქვენს დედას რომ ჰქონებოდა კარგი იქნებოდა?

– რომ მე არ გავჩენილიყავი?

– დიახ?

– რატომ, სწორი მსჯელობისათვის?

– არა, სიყვარულისა და ადამიანთა მოდგმის უარყოფისათვის.

– გიმეორებთ, სიყვარული არც ყოფილა და არც

იქნება. თუ ვინმეს სჯერა სიყვარულის არსებობისა ეს იმიტომ, რომ ბევრს ქადაგებენ იმისი ძლევამოსილების შესახებ. ჩემში კი სიყვარული მარადისობას მაშინ ჰპოვებს, როდესაც გრანდიოზულსა და განუმეორებელს შექმნის რაიმეს, დღეს კი სიყვარული სიძულვილსა იქმს, ეს უკანასკნელი კი – სიკვდილს.

– კარგი, თქვენებურად იყოს, მაგრამ თქვენ ხომ ბავშვური გატაცებით გიყვარდათ შმაგი მგალობლიშვილი, ღალატისათვის სინდისის ქეჯნას არ განიცდით?

– სინდისი სიტყვის მასალაა, სინამდვილეში კი არავითარი კავშირი არ გააჩნია მასთან ადამიანს, მაგრამ როდესაც წონასწორობას ვკარგავთ, ვცდილობთ დავეყრდნოთ მას და ვიყოთ სინდის–პატიოსნების მქონენი. მაშინ კი ყოველთვის ცუდად ვგრძნობთ თავს, რატომ? იმიტომ რომ ჩვენ არ შეგვიძლია სინდისი ბოლომდე შევინარჩუნოთ და ცხოვრების ბოლომდის პატიოსნად ვატაროთ ის.

– ესე იგი, თქვენი აზრით, არც სინდისი არ არსებობს და არც მის ქეჯნას განიცდით შმაგის ღალატისათვის!

– შმაგისათვის მე რომ არ მეღალატა, ის მიღალატებდა. ამას სიყვარულის არარსებობაში შემოპარული მატერიალური სიდუხჭირე განაპირობებდა. მართალია, შმაგიმ უმაღლესი განათლება მიიღო, მაგრამ რას გვაძლევს იმისი განათლე-

ბა? ნაქირავებ ბინას, შიმშილსა და სიტიტვლეს? ღმერთო ჩემო, ადამიანს მოწყინდა სულ გაჭირვებაში ყოფნა და თუ უკეთესობისაკენ გაგვიწიოს გულმა, ამის ღალატს ნუ დავარქმევთ.

ჩემს მეუღლესთან როდესაც რეგისტრაციაში გავეტარე ხელი ჩემი მეუღლის ნაცვლად მისმა მეჯვარემ მოაწერა, რადგან სკოლაში ერთი დღეც არ უვლია და საკუთარი სახელისა და გვარის დაწერაც არ შეუძლია, მაგრა იმისაგან ნაბოძები ეს ბრილიანტის ბეჭედი შმაგის საგვარეულოს იყიდის. უკვდავი არა ვართ, რომ ბედნიერი სიცოცხლეცა და სიდუხჭირეც გამოვცადოთ ცხოვრებაში, მე უპირატესობას მატერიალურ ფუფუნებას ვანიჭებ და სხვა ყველაფერი მეორეხარისხოვანად მიმაჩნია.

„იცოცხლო, რათა იფიქრო“ ამბობდა სპინოზა, რა თქმა უნდა მას მხედველობაში არ ჰქონია ფიქრი ლუკმა–პურის შოვნისათვის, მისი აზროვნება ზეციურ ფიქრს ითვალისწინებდა, მაგრამ ასეთი ფიქრისათვის შმაგის არასოდეს არ ექნება საშუალება, რადგან აზროვნების ფიქრს მატერიალური შესაძლებლობა უყრის საფუძველს.

ადამიანი ჯერ კიდევ ვერ ჩაწვდა ნორმალური ცხოვრების საიდუმლოებას და თუ ერთეულებმა ვიცით ეს, შეიძლება გიჟებად მოგვნათლოს იმედით მაცხოვრებლებმა.

ეჭვი არ მეპარება პანდორეს არსებობაში, რომელიც ღმერთმა მიწისა და წყლისაგან შეჰქმნა,

ქალღმერთის გარეგნობა და ადამიანის ხმა მისცა, აფროდიტემ მას მომხიბლაობა და სინარნარე დაანათლა, ჰერმესმა – ეშმაკობა და ვერაგობა, ათენა პალადამ კი ხელსაქმე ასწავლა და პრომეთეს ძმას ეპიმეთევსს შერთეს ცოლად, რადგან ღმერთს ადამიანთა ყოველგვარი საიდუმლოებანი გაეგო. პანდორემ თავი ახალ ყუთს, სადაც ადამიანთა უბედურება ინახებოდა, ამის შემდეგ ბოლო მოეღო ადამიანთა ბედნიერებას, რათა სამზეოზე უბედურებამ აიშვა, ღმერთის ნებით ყუთს თავი მხოლოდ მაშინ დაეხურა, როდესაც შიგ მხოლოდ იმედი დარჩა. ახლა მხოლოდ ამ იმედით სულდგმულობს ადამიანი, რადგან მათი აზროვნების სფერო ჯერ კიედვ ვერ გაცილებია ჯადოსნურ ყუთს, რომელშიც იმედი ინახება.

– შენ თუ განათლებული ხარ და მიჩერებიხარ ადამიანებში იმედის გაცრუებას, შენი სიბრძნე და შეხედულება ხალხს მოახმარე. არცერთ განათლებულ ადამიანს არ უძებნია ფუფუნება. თვით დიოგენე სინოპელმაც კი უარყო ამქვეყნიური ფუფუნება და კასრში გადასახლდა საცხოვრებლად.

– დიოგენე ბრძენი კი არა გიჟი ყოფილა, თუ ჰქონდა და უარყო კომფორტული ავეჯი და კასრში გადასახლდა საცხოვრებლად, მაგრამ არავინ მოგვატყუოს, მას არაფერი ჰქონდა იმ ძველი კასრის მეტი, ან რომელ პატიოსან სწავლულს გააჩნია ცხოვრების ნორმალური პირობები?

– შესაძლებელია, მას მართლაც არ გააჩნდა

ფუფუნების საგნები, მაგრამ მას გააჩნდა სიბრძნე, რომელიც კაცობრიობას დაუტოვა და დღესაც ვხელმძღვანელობთ იმისი მოძღვრებით ისტორიამ კი უკვდავჰყო იმისი სახელი და სანამ კაცობრიობა იარსებებს უკვდავი იქნება დეოგენე სინოპელი, დეოგენე აპოლონიელი, დეოგენე ლაერტიელი და სხვანი, რომლებიც არა მახვილითა და ფუფუნებით, არამედ სიბრძნით იბრძოდნენ ადამიანთა კეთილდღეობისათვის.

– ისტორიამ ნერონიც შემოგვინახა, რომელმაც დიოგენე სინოპელი ჯვარზე გააკრა და იმისი კასრი საქვეყნოდ დასწვა.

– მხოლოდ სხვადასხვა დიდებით, პირველი, როგორც ბრძენი და მეორე, როგორც ტირანი, რომელმაც საკუთარი დედა და ცოლიც კი არ დაინდო.

– შორს სად მიდიხარ, თბილისშიდაც იმყოფებოდა ტირანი. ის მოკლეს თუ თავი მოიკლა ამას მნიშვნელობა არა აქვს და მაინც საშინელი იყო ეს სიკვდილი, როგორც ყოველი მკვლელობა, მაგრამ როცა ორი საშინელებიდან ერთ–ერთს ვამჩნევთ, ჩვენ უფლება არა გვაქვს არ გავამართლოთ ხალხი ან ტირანი, ასევე მოძღვარი ფიქრობს სიცოცხლეზე. მაგრამ ყველაფერს დაისი ანაზღაურებს, როდესაც მზერა შორს ვეღარ აღწევს, შენს წინ ყველაფერი მუქდება, ჩამავალი მზისა და მომაკვდავი დღის ხილვისას სულს უცნაური სიმშვიდე ეუფლება და გვჯერა, რომ ჩვენ არ ვკვდებით,

ვრწმუნდებით სულის უკვდავებაში და სრულებითაც არ გვეძნელება ამქვეყნიური ბრძოლისა და არეულობის განშორება. დასანანსაც ვერაფერს მივჩერებივარ, ან კი რას უნდა მისტიროდეს კაცი ამქვეყნად? ნუთუ ის გვენანება, რომ ოფლის შედეგს ლუკმ–ლუკმა ვჭამთ და მაინც მშიერები ვართ?

თქვენ როგორ გგონიათ, რომ ვმსჯელობ სიყვარულის არარსებობაზე და სინდის–პატიოსნების სიკვდილზე, მე თვითონ არ განვიცდი ამ დიდ დანაკარგს? განვიცდი და მივსტირი კიდეც, მაგრამ მე არ ძალმიძს შევაჩერო დროის დინება. რამ განაპირობა, ნუთუ დრომ თბილისის დაწვა, მაგრამ არ ვჯავრობ, რადგან შეიძლება იმისი ხელახლა აშენება, ვინაიდან საქართველოს სულს ქვები და კრამიტი როდი შეადგენს. მაგრამ აბა მითხარით, როგორ დავიბრუნოთ საქართველოსათვის თავდადებული ადამიანები? გადამთიელ მტრებზე არა მაქვს საუბარი, მათ ქართველები უმკლავდებოდნენ, მაგრამ ვერ გაუძლო თვით ქართველების შემოტევას, რადგან ქართველმა კარგად იცის ქართველის სუსტი მხარე. თვითონ ქართველმა, დაქირავებული ჯარით, ქართველების გაწყვეტით და უბილწური ბოროტმოქმედებით გაითქვა სახელი. მე არ ვიცი როგორ აღვწერო მათი ავკაცობის ამბავი? როდესაც საქართველოში გრიგოლი (ორჯონიკიძე) დაბადებული კონსტანტინეს უთქვამს: – „მე და ჩემს ცოლს სხვა რა უნდა გაგვჩენოდა

გარდა უბედურებისაო“ და სულმნათ მამას შვილის დაბადებისთანავე უწინასწარმეტყველებია საქართველოს ბედი.

თქვენ ისე არ გამიგოთ, მე თითქოს სწავლისა და სიბრძნის უარმყოფელი ვიყო, მაგრამ ჩვენ თვითონ ვხედავთ, რომ სიბრძნეს გასაქანს არ აძლევს ძალმომრეობა და სახელმწიფოს სათავეშიდაც ყოველთვის ეს უკანასკნელი ზეიმობს, რომელი სახელმწიფოს მმართველი ყოფილა ბრძენი და სწავლული? უვიცობა ყოველთვის ამარცხებდა სიბრძნეს და ძალმომრეობით სახელმწიფოს სათავეში ექცეოდა, რევოლუციით, ბრძოლითა და ომებით. დაპატიმრებებითა და სიკვდილით დასჯით აღწევდნენ ზეციურ ადამიანთა სახელს. რა თქმა უნდა მიღწეულ სახელსაც გაფრთხილება და თანამდებობის გამოყენება უნდა, მაგრამ ჯადოსნურ სავარძელში მოკალათებულნი ამას ადვილად ახერხებდნენ. თუგინდ ჩვენი პარტიის ფუძემდებლები ავიღოთ, რომელი პიროვნება იყო მათ შორის განათლებული? ჩვენმა თანამემამულემ, რომელსაც სასულიერო სასწავლებლის სრული კურსიც არ ჰქონია დამთავრებული, ლეგენდარულ თანამდებობას მიაღწია და მსოფლიო ტაშს უკრავდა იმის წარმატებას.

– თქვენ როგორ ფიქრობთ, უცოდინრობით მიაღწია მსოფლიო წარმატებას იმ ჩვენმა თანამემამულემ? – საუბარი შეაწყვეტინა გამომძიებელმა შორენას.

– უფრო გამბედაობით, ვიდრე ცოდნით, – უპასუხა ქალმა, – მაგრამ ყველა ტერორთა შორის ის კეთილსინდისიერ და კეთილგონიერ პიროვნებად მევლინება, იმისი „იმპერატორობის“ დროს ყოველდღე იგრძნობოდა, თუ როგორ ამოდიოდა ნელ–ნელა ხალხი გაჭირვების ჭაობიდან და ბოლოს ტიტველმა ხალხმა ჩაიცვა, მშიერი გაძღა კიდეც. როგორ მრავალ სხვა სახელმწიფო მმართველს არ დაუტოვებია საკუთარი ოჯახისათვის უხვი სიმდიდრე, გარდაცვალების შემდეგ ერთადერთი სიმდიდრე – ჩიბუხიც – ვეღარსად იპოვეს მისი და რით გადაუხადა მისი სიბრძნითა და პურით გამაძღარმა ბრბომ ამაგი?

„ზარბაზნის ლულაში ჩავდოთ და იქით ვისროლოთ, საიდანაც მოვიდა“ – წამოაყენეს „ბრწყინვალე“ წინადადება მიცვალებულის „უკვდავსამყოფად“.

ახლა თვითონ მე გეკითხებით: შეიძლება თუ არა დახმარების ხელი გაუწოდო ადამიანს? არსებობს სიყვარული და სინდის–პატიოსნება?

– როგორ? თქვენ ხომ არ გინდათ დამამტკიცოთ, რომ ბელადის სიკვდილთან ერთად მოკვდა სიყვარულიცა და სინდის–პატიოსნებაც?

– თითქმის! ასე მინდა რომ ვთქვა. ადამიანი რომ გქვია, ამაგი არ უნდა დაუკარგო მავანს, თვით ტერორსაც კი. პიროვნებაზე შენი განაწყენება საქვეყნოდ არ უნდა აღიარო და მიცვალებულზედ ცილისწამება მიუტევებელ ცოდვად მიმაჩნია.

თუ რევოლუციითა და ტერორით მიაღწია მან „იმპერატორის“ სავარძელს, ამას დრო განაპირობებდა და სამაგიეროდ ხალხმა ამოისუნთქა იმის „მეფობის“ დროს. მე ასე მგონია, რომ ეს პიროვნება ღმერთისაგან მოვლენილი იყო კაცობრიობის გადასარჩენად. სიკვდილის დროსაც, რომელიც ჯერ კიდევ საიდუმლოებითაა მოცული, საიდუმლოებათა შორის თავი იჩინა სინამდვილის ნაპერწკალმა, საიდუმლო არქივში ვკითხულობთ: „ბელადმა ხალხისადმი უკმაყოფილება უზარმაზარ ულვაშებში ჩამალა, მარჯვენა ხელი შემართა, საჩვენებელი თითი უსასრულობისაკენ გაიშვირა და თავისი რჩეული დარბაისლური მტკიცე ხმით წარმოთქვა: „უმადური მოდგმით აღსავსე... სამყარო ვშობე...“ შემდეგ ოდნავ ჩაფიქრდა, როგორც ტრიბუნაზე იცოდა ხოლმე და ისევ იგივე, მხოლოდ ოდნავ გაბზარულიხმითა და მეტი ქართული აქცენტით წარმოთქვა: „გააჩერეთ დედამიწა, მე ჩავდივარ“... სიტყვის გაგრძელება აღარ მოისურვა, ან ვეღარ შესძლო, ზეცის უსასრულობისაკენ შემართული ხელი მძიმედ დაუშვა და ესოდენ დიდი ღვაწლითა და შრომით დაქაცული სული უკანასკნელ ამოოხვრასთან ერთად გაფრინდა და თვითონ განსაჯეთ საით?

დიახ, შეჩერდა დედამიწა. ის ჩავიდა, მზისებრ ჩაესვენა, ეს კატასტროფა იყო პლანეტისათვის. წყვდიადმა მოიცა სამყარო, სწო-

რედ მაშინ მოკვდა სინდის–პატიოსნება. ფეხქვეშ იწყო გათელვა ადამიანთა ღირსებებმა და კეითლშობილებამ.

იქნებ ჩემშიდაც მაშინ მოკვდა სიყვარული და დაიბადა ახალი გრძნობა, „მისწრაფება ფუფუნებისაკენ“. იქნებ ეს დრომ მოიტანა და რომელიღაც პლანეტის ზეგავლენით მოხდა თითოეული ადამიანის ორგანიზმში ევოლუცია, გარდაქმნა, გარდატეხა, ზოგი კეთილისაკენ, ზოგი ბოროტებისაკენ, ზოგი რწმენისა, ზოგიც ურწმუნოებისაკენ, მე მართლაც ბავშვური, გიჟური სიყვარულით მიყვარდა შმაგი, ის არის შემოქმედად მოვლენილი სამყაროსათვის, ეს არის ადამიანი „ცოცხალი ხელოვნება“.

ის ყველა მოსწავლისა და მასწავლებლის ხმაზე ლაპარაკობდა. გააჩნდა ქალის ნაზი, მომხიბლავი ხავერდოვანიხმა და ამასთანავე ერთად მხედართმთავრის მგრგვინავი ბარიტონი.

ის რომ ბოშა ქალს გამოაჯავრებდა და კეკლუცად ბანქოს გაშლას დაიწყებდა, ეს მართლაც ბოშა ქალის პიროვნება იყო და არა იმისი ორეულის განსახიერება. შმაგი ყველას უყვარდა და მე როგორ შემეძლო უარი მეთქვა იმის მიერ შემოთავაზებულ სიყვარულზედ? ეს ხომ იგივე იქნექოდა, რომ მონაზონმა უარი განაცხადოს მონასტერში სამსახურზედ?

მე სიხარულთან ერთად დამეუფლა სიყვარული. მუდამ ერთად ვიყავით მე და შმაგი. ოცნებით ვა-

გებდით მომავალს და ხშირად ვიმეორებდით ვლადიმერ სოლოვიოვის ლექსს:

„დრო და სიკვდილი არ აკლებს ზრუნვას
ხალხს და ქვეყანას ანგრევს ღალატი
ყველაფერს შთანთქავს პლანეტის ბრუნვა
სიყვარულის მზე არის მარადი“...

მაგრამ ეს ხომ პოეტის ნათქვამია. არ ყოფილა სიყვარულის მზე მარადიული. ისე ისე კვდება დაკვირვებების შედეგად ორგანიზმში, როგორც იბადება ახალგაზრდობის აყვავების პერიოდში.

– შმაგიმ თუ შეინარჩუნა ის ბავშვური სიყვარული და დღესაც უყვარხართ, თქვენ რატომ ჩაინერგეთ სიყვარულის უარყოფითი მცნება?

– ხომ გითხარით, ჩვენ რომ შევუღლებულიყავით ის პირველი შემიძულებდა, რადგან მისი უმაღლესი განათლებით გაგვიჭირდებოდა ოჯახის რჩენა. მე ჩემი „კაპრიზები“ ვიცი, დამეწყებოდა ფუფუნების მოთხოვნილებები, რომლის შესრულებას შმაგი ვერ შესძლებდა და იძულებული გავხდებოდით ერთი–მეორეს გავშორებოდით.

ქალს სილამაზე აინტერესებს, სამკაულები, ფული და სიმდიდრე, რომელ ქალს უნდა შენი უმაღლესი განათლების დიპლომი, თუ მას მატერიალური შემოსავალი არ ახლავს თან?

– შენი აზრით, უმაღლესი განათლების მქონე ყველა სიდუხჭირეში ვიმყოფებდით?

– ყველა არა, მაგრამ შმაგი ზედმიწევნით პა-

ტიოსანია, მე მგონია ეს სიტყვა კი ყველაფერს გეუბნებათ:

„ეს სიცოცხლე თამაშია ლანდების
და ლანდები გზას მივყვებით ეკლიანს
სააქაო შორეული სანთლების
წმინდა დღეთა მკრთალი ანარეკლია“...

თუ ნებას დამრთავთ ერთ ანეგდოტს მოგახსენებთ:

– ბრძანეთ! თქვენთან საუბარი მართლაც საინტერესოა.

– „ერთ–ერთ ზოოლოგიურ პარკში სენსაცია მოხდა, მაიმუნმა ადამიანთა ენაზე ლაპარაკი დაიწყო. მივიდნენ მეცნიერები და უთხრეს: ადამიანთა წრეში გადმოსახლებულიყო და ადამიანურად ეცხოვრება. მაიმუნი ჩაფიქრდა და უარი განაცხადა შემოთავაზებულ დიდებაზედ.

მეცნიერებს გაუკვირდა თდა შეეკითხნენ: – რატომ ამბობთ უარს?

– „იმიტომ რომ, – უთხრა მაიმუნმა, – მე თქვენ ახლა წამიყვანთ, საბავშვო ბაგაში მატარებთ სამ წელიწადს, რომ ბავშვობაცა და მაიმუნობაც დავივიწყო, შემდეგ ბაღში მატარებთ კიდევ სამ წელიწადს, რომ მთლად დამავიწყდეს ჩემი წარმოშობა, შემდეგ სკოლაში მატარებთ თერთმეტ წელიწადს. შემდეგ კი უმაღლესში მომაწყობთ და დამამთავრებინეთ, ბოლოს კი სამსახურში მომაწყობთ უმაღლესი განათლების დიპლომით, თვეში მხოლოდ ერთხელ მომცემთ ფულს, რომელიც

თხილის საყიდლადაც არ მეყოფა და იძულებული გახდები თავიდანვე დავიწყო მაიმუნობა. ამდენი ტანჯვა–წვალება რომ არ გავიარო, ვარ მაიმუნი და ღმერთი იწამეთ, დამტოვეთ მაიმუნად“.

ზვიადაურს გაეღიმა, ბაგის გასწვრივ პეპელა გაუთამაშდა. შორენასაც გაეღიმა, მხოლოდ სარქისამ ისე გადაიხარხარა, რომ სიცილის მეტს ყველაფერს ჰგავდა. ქალმა დამტუქსავი თვალით გადახედა „საყვარელ მეუღლეს“ და იმიასაც ისე შეეყინა სიცილი სახეზე, რომ დიდხანს ვერ მოახერხა ტუჩებით კბილების დაფარვა.

ქალისათვის ამ მდგომარეობას ხელი არ შეუშლია და ისევ ძველი, ხავერდოვანი ხმით განაგრძობდა საუბარს:

– დიახ, მე ძალიან ახლოს ვიყავი შმაგის ოჯახთანაც კი; მაგრამ, როდესაც დავინახე ჩვენ უნდა „გვემაიმუნა“, გადავწყვიტე სიყვარული ფუფუნებაზე გამეცვალა და მეუღლედ სარქისა ავირჩიე.

ალბათ ასე ინება ღმერთმა რომ მომხდარიყო ჩვენი საქმე. მისი ნებისა და თანხმობის გარეშე ხომ არავითარი საქმე არ წყდება?

– ღმერთსაც გადაწვდა შენი „ბრძნული“ აზროვნება? ოდნავ დამცინავი კილოთი ჰკითხა ქალს გამომძიებელმა.

– რატომაც არა! ღმერთი ხომ ჩვენი შემქნელია და მცირეოდენი განსჯის თემა ვიცოდეთ მშობლის შესახებ, რა გასაკვირია?

– გწამს ღმერთის არსებობა?

– მწამს და მერე როგორ, ღრმად ვარ დარწმუნებული იმის არსებობასა და ძლევამოსილებაში, მაგრამ სიყვარულით კი არ მიყვარს!

– ვიცი არ გვეყვარება, შენში ხომ სიყვარულის მცნება არ არსებობს, მაგრამ საინტერესოა, თუ გყვარებია ვინმე და თუ არის შემორჩენილი შენს გრძნობაში ვინმეს სიყვარული?

– კი მიყვარს: გველი და პრომეთე!

– ა? – თვალები გაუფართოვდა გამომძიებელს და ოდნავი დუმილის შემდეგ თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა – პირველ ადამიანს ვხედავ, მითუმეტეს ქალს, ვისაც გველი უყვარს.

ქალს გამარჯვებული ადამიანის იერით გაეღიმა. გამომძიებლის დაბნეულობას თვალი გაუსწორა და ოდნავი დამცინავი იერით წარმოთქვა:

– თქვენ ხომ კვალმაძიებელი ბრძანდებით, მოდით მართლმსაჯულების ენით ვილაპარაკოს და მე თქვენ დაგარწმუნებთ ყოველ კეთილსა და ბოროტში.

– განაგრძე, განაგრძე, მართლაც რომ საინტერესო და სასიამოვნოა თქვენთან საუბარი, გველის სიყვარულსა და ღმერთის სიძულვილს კი ზევით ღმერთი შეგინდობს.

– ეს ფრაზა „შეცდომას ღმერთი შეგინდობს“ მღვდლებისაგან მოგონილი ცრუ მცნებაა! ღმერთი დანაშაულს არასოდეს არ შეგვინდობს, ვიმსჯელოთ საღვთო ისტორიით ე. ი. „ბიბლიით“. ღმერთმა ადამი შექმნა თავისი მსგავსი, თავის

შვილად და ხატებად, მიუჩინა ბინა ედემის ბაღში, მაგრამ ეშმაკმა აცდინა ადამიანი და აკრძალული ხილი შეაჭამა. განრისხდა ღმერთი და ადამიანი სამოთხიდან გამოაძევა. ამის შემდეგ ადამის მოდგმა ღმერთთან ლოცულობს, რომ მას შეცოდება ეპატიოს, მაგრამ ის პირველი შეცოდება, რომელიც უნებლიედ ჩაიდინა ჩვენმა დიდმ აწინაპარმა დღემდე ვერ უპატიებია ადამიანისათვის. მე მგონია თვით ღმერთი არის როგორც სიკეთის, ასევე ბოროტობის სათავე. ღმერთმა შექმნა როგორც ადამიანი, ასევე ედემის ბაღი, შიგ დარგო ხე „ცნობისა კეთილისა და ბოროტისა“, თან აუკრძალა ადამის, რომ არ ესარგებლა ამ ხის ნაყოფით: – „ყოვლისა მის ხის სამოთხისა ნაყოფი სჭამოთ, ხოლო ხისგან მისგან ცნობისა კეთილისა და ბოროტისა არა შჭამოთ“ – ისმის კითხვა: – თუ არავის უნდა ესარგებლა „ცნობისა კეთილისა და ბოროტისა“ ხის ნაყოფით, მაშინ რისთვის დარგო ღმერთმა ეს ხე, როდესაც სამოთხის ბაღში ადამისა და ევას მეტი არავინ იყო?

– განაგრძეთ! – თქვა გამომძიებელმა – მე ბოლომდე თქმული სიმართლისა მწამს. ამიტომ თქვენს საუბარს არ გავაქარწყლებ ბოლო დასკვნამდე იმ მონაცემებით, რომელიც თქვენი საუბრის გასაბათილებლად მე გამაჩნია.

– ბესო ჟღენტის ენით ლაპარაკობთ! – ღიმილით შენიშნა ქალმა.

– ბესო ჟღენტის ენისა რა მოგახსენოთ, – ხმის აუმაღლებლად უპასუხა გამომძიებელმა, – მაგრამ თქვენი მსგავსი ადამიანებით სავსე სამყაროსაგან დაღლილი კაცის ენით კი გელაპარაკებით.

– იცი რას გთხოვ, ცხოვრებით დაღლილო გამომძიებელო!? როდესაც მე იმ სიყვარულის ხელით ცოცხალი აღარ ვიქნები, როდესაც თქვენ ასე აუფორიაქებიხართ და თქვენ მხოლოდ შემდეგ დარწმუნდებით ჩემს სიმართლეში, ჩემს სადგომთან ქუდი მოწიწებით მოიხადეთ.

– მე თქვენ არ გამტყუნებთ, ისე როგორც არცერთ ბოროტმოქმედს, ის რაც მართებული არ არის ყველა ამქვეყნიური კეთილშობილების მიმართ, მართლებულია ბოროტმოქმედების მიმართ. თქვენ შეიძლება მცდარმა წინდახედულმა ნაბიჯმა კიდევ აგამაღლოთ, მაგრამ ჩვენ არა მართლმსაჯულების კანონით, არამდე ადამიანთა თვალით, როდესაც ვხედავთ ჩვენი მოძმის მწუხარებასა და ტანჯვას, გიჟი, ბრმა ან ლაჩარი უნდა იყო, რომ შეურიგდე ადამიანის მიერ ჩადენილ საქციელს, რომელიც გაკიცხვის ღირსია.

– თუ ცხოვრებას საღი თვალით გადახედავთ, მე სრულებითაც არა ვარ გაკიცხვის ღირსი. ჩემს მიერ ჩადენილი ღალატი შმაგის მიმართ თუ ბოროტებაა, რაღა დავარქვა იმ „კეთილშობილებას“, რომელმაც იგივე შმაგი მგალობლიშვილი ციხეში გამოამწყვდია და განა მარტო შმაგი? მილიონობით მსგავსი შმაგისა, თქვენ არ გსმენია თავგანწი-

რული „კივილი“ პატიმრისა. მე კი შორიდან ვუთვალთვალებდი ჩემ მიერ თუ მართლმსაჯულების მიერ დაღუპულ ადამიანს, სანთელივით ვიწოდი ადამიანთა საცოდაობით და სწორედ მაშინ მთელი ჩემი სიძულვილი სამყაროს კანონზომიერებაზე გადავიტანე. როდესაც „ის“ განთავისუფლდა, ლმობიერი, მგრძნობიარე და თავმდაბალი გავხდი, მაგრამ ჯერაც ვერ შევუეგუე თქვენ მიმართ კეთილგანწყობას, რადგან ძალზედ გვიან აღმომაჩინეთ და მომიწყვეთ დაკითხვა, რომელმა დაგვიანებამაც შესაძლებელია მე მიმსხვერპლოს, რადგან თქვენ მიერ გაღებული მსხვერპლი ღმერთმა არ შეიწირა და ის გადარჩა.

– თქვენ სიყვარულს, ოჯახს, მთელ ნათესაობასა და კაცობრიობას უღალატეთ და მართლმსაჯულებას ამტყუნებთ?

– დიახ მართლმსაჯულებას ვამტყუნებ ჩემი პიროვნების გვიან აღმოჩენისათვის. თქვენ შეგეძლოთ ჩემი დროულად აღმოჩენა და მე დიდი სიამოვნებით მივიღებდი სასჯელს ჩადენილი დანაშაულის მიმართ, მაგრამ თქვენი კანონები ყველას ერთი და იგივე ხმით როდი ელაპარაკებიან. სწორედ თქვენ არ ატარებთ მტკიცედ დაწერილ კანონებს, რომ ის ერთი და იგივე იყოს ყველასათვის, განურჩევლად ერისა, სქესისა, თანამდებობისა თუ პიროვნებისა, კანონი დღევანდელი მართლმსაჯულების ხელში ობობას ქსელს მაგონებს, რომელშიდაც ებმებიან პატარა მწერები, მხოლოდ

დიდი ბუზანკალები და მათი მონათესავე მტაცებელი მწერები ბადეს თავზე იხევენ.

– ყველა ობობა როდი ქსოვს სუსტ ბადეს, ზოგიერთი სიმტკიცით გამოირჩევა და შიგ მოზრდილი ბუზანკალებიც ებმებიან. თქვენ ხომ შეგეძლოთ მართლმსაჯულებისათვის გეცნობებინათ სიმართლე, მაშინ ხომ ბადეში იმ ბუზანკალსაც გავაბამდით, რომლის არსებობას თქვენ ასე შეუშინებიხართ?

– ვინ გითხრათ, რომ არ მიცნობებია? მაგარმ მე ხომ მტკიცედ გამაფრთხილეს და დამაშინეს კიდეც გადავმალულიყავი, თორემ სინამდვილეში გავქრებოდით, ამას ხელი შეუწყო ჩემი მეუღლის გაუგებარმა ხასიათმა, რომელმაც წიკლაურის თხოვნით ბრძანება უყოყმანოდ შეასრულა და მე „შინა პატიმრობა“ მომისაჯა. თქვენ ჩემს „გოშიას“ ასე ნუ უყურებთ, ის ზომაზე მეტად აგრესიულია და ხშირ შემთხვევაში მოსარიდებელიც კი. სარქისს კმაყოფილების ნიშნად გაეღიმა და ქალის სიტყვისათვის სიმტკიცე რომ შეემატებია, გამომძიებელს აგრესიულად გადახედა, ქალს კი სათნოების ღიმილმა სახეზე გადაურბინა და საუბარი გააგრძელა:

– როგორც მოგახსენეთ, მე შმაგი ბავშვური სიყვარულით თავდავიწყებით მიყვარდა, რადგან მასში მხოლოდ პატიოსნებასა და კეთილშობილეას ვხედავდი, მაგრამ მოდი ნუ გავაზვიადებთ შმაგის ადამიანურ კეთილ ბუნებას, რადგან თუ ადამი-

ანის კეითლ თვისებებს გავაზვიადებთ, ამით ჩვენ-
და უნებლიედ ხოტბას შევასხამთ ბოროტებას და
კეთილი ადამიანის ბუბაშიც ბოროტ მხეცს გავაღ-
ვიძებთ. მოდი ნუ დავეყრდნობით იმ ფიქრს, რომ
თითქოს კეითლი საქმე მხოლოდ იმიტომ ფასობს,
რადგან იგი იშვიათია და კეთილი ადამიანის გულ-
ში ბოროტებამ არ შეიძლება გაიღვიძოს, ნურას
უკაცრავად, ადვილად შეიძლება კეთილი ადამი-
ანის ბოროტად გარდაქმნა, რადგან ბოროტები-
საგან დათრგუნვილი ცდუნებას ვერ გაუძლებს
და ცხოვრებაც იმ მხარეზე გადახრის, რომელიც
ადამიანთა მამოძრავებელი ძალაა, ამ ძალას კი
სიბოროტე და გულგრილობა ჰქვია.

შეიძლება თქვენ არ გაიზიაროთ ჩემი აზრი, რომ
ქვეყნად ჩადენილი ბოროტება ყოველთვის ძალ-
მომრეობითა და უვიცობით არის გამოწვეული და
კეთილ განზრახვას თითქმის ყოველთვის ისეთივე
ზიანის მოტანა შეუძლია, რაც ბოროტებას, თუკი
მას ცოდნის შუქი არ აცისკროვნებს.

დღევანდელი ჩვენი საზოგადოების ადამიანები
მეტ–ნაკლებად უვიცები არიან და თბილ ადგილ-
ზე მოკალათებულნი სწორედ ამას უწოდებენ კე-
თილსინდისიერებასა და სათნოებას. მაგრამ ვინ
არ ხვდება, რომ ყველაზე მეტი საშინელება უვი-
ცობაა, რომელსაც თავი ყოვლისმცოდნე ჰგონია
და სიბრძნის ურწმუნოება, უყურადღებობა, შეუს-
მენლობა და შეუსწავლობა გააჩნია. ამ შემთხვევა-
ში მათი სული ბრმაა და ყოველგვარი ხილვისა თუ

სიცხადით არც ჭეშმარიტი სიკეთე შეუძლიათ და არც არავითარი მშვენიერების წარმოდგენა.

ამიტომ როდესაც შმაგი მგალობლიშვილს ვაქებთ, ობიექტურობა უნდა შევინარჩუნოთ და ზედმეტი მჭერმეტყველებით ნუ შევასხამთ ხოტბას მის ნებისყოფას თუ გმირობას, რომელიც ვიცი თავისი „უცოდინარობით“ საკადრის მიაგებს ყველა მოღალატეს, თუმცა იგი ამით ვერ გამოსწორდება, ის კვლავ დარჩება აფორიაქებული, დაფლეთილი და შეურიგებელი თავისი ბოროტმოქმედების მიმართ.

– თქვენ თუ ჩემი „განათლება“ გადაგიწყვეტიათ, მე ჩემს „უვიცობას“ ისე ვუფრთხილდები და იმ სიმაღლეზე ვაყენებ, სწორედ არ დავაჯაბინინებ შენს განათლებას – ღიმილით წარმოთქვა უკვე საგრძნობლად ნირწამხდარმა გამომძიებელმა.

– არა როგორ გეკადრებათ, თქვენთან საკამათო აზრთა დიდება ვიცი არ გამაჩნია. თქვენ უმაღლესი განათლებით ბრძანდებით, მე კი უბრალო ბიბლიოთეკარი ვარ. მხოლოდ გახსოვდეთ, როდესაც თქვენ ლექტორ–მასწავლებლების ლექციას არც თუ დიდი მონდომებით ისმენდით, მე მაშინ მათ ნაშრომს გულისყურით, სულითა და მთელი მონდომებით ვსწავლობდი. ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ თუ მართლმსაჯულებაში ჩახედული პიროვნება ვიყო. აბრამ ლინკოლნს ერთ დღეც არ უვლია სკოლაში, მაგრამ ამერიკის თვალსაჩინო პრეზიდენტი გახლდათ.

– როგორც მიგიხვდით, თქვენ თვითგანათლებას მეტ უპირატესობას ანიჭებთ, ვიდრე კლასიკურ ცოდნას! – ჩიხში მოქცეული კაცის იერით შეეკითხა გამომძიებელი.

– რა თქმა უნდა, მე ეჭვიც არ მეპარება თვითგანათლებულ და ცხოვრებისაგან გამობრძმედილ ადამიანს იოლად ვერ გააცურებს მავანი. რა ძნელი მისახვედრია, როდესაც ერთ აქებენ, მაშასადამე ამ ქებით მეორეს ამცირებენ. მართალია, მე შმაგის შექებით მართლმსაჯულებას ჩრდილი მივაყენე, მაგარმ ეს დანაშაულად არ უნდა ჩამეთვალოს, რადგან ბრწყინვალედ ვიცი, რომ მართლმსაჯულებათა მსახურთ დაწერილი კანონის გარდა თავიანთი სულიერი კანონები გააჩნიათ, მათ სასამართლო პროცესამდის ცუდს ვერავისზე ათქმევინებ და დიდი საიდუმლოებით ინახავენ ძიების მსვლელობას, მაგრამ არც კარგს არავისზედ ფიქრობენ. რასაკვირველია, თავის კოლეგას თუ მოყვასს ხელს არასოდეს ჰკრავენ და არ გადაჩეხავენ, მაშინაც კი როდესაც განაწყენებულები არიან და ვერავინ უყურებთ, რამეთუ მართლმსაჯულების კოდექსის გარდა ზემდგომი ორგანოების შიშიც დიდი აქვთ. მაგრამ თუ ვინმე თავისთავად გადაიჩეხება და თავპირს დაიმტვრევს დიდად გაიხარებენ და მისი დამტვრული თავპირის ხილვით რომ უფრო მეტად დატკბნენ, პირველნიგაიქცევიან მის სანახავად და თანაგრძნობის გამოსაცხადებლად.

– ყველა მართლმსაჯულების მსახურზე არ ითქმის საყვედური. მე მწამს ღირსეულად ვემსახურები ხალხს და შეძლებისადაგვარად გზასაც ვკვალავ პატიოსნებისაკენ. მიუხედავად ამისა სულაც არ დამისახავს მიზნად კვალმაძიებელი ვყოფილიყავი, – შეეპასუხა ქალს გამომძიებელი, რომლიც ცდილობდა მეტოქე ცოდნით, მახვილგონიერებითა თუ სიბრძნით დაეჯაბნა, მაგრამ არა გამოუდიოდა რა. უნდოდა ეხუმრა და ხმაურით გაებათილებინა ქალის სიბრძნე, მაგრამ ეშინოდა მის ხუმრობაზე მარტო სარქისას არ გაცინებოდა, ქალის მეხსიერებაში კი პირქუში კაცის სახელი არ დაეტოვებინა და ხუმრობა „სამგლოვიარო ხუმრობად“ არ გამოსვლოდა. უნდოდა თვითგანათლება და წიგნები მიწასთან გაესწორებინა, გონებას აჩლუნგებს ზედმეტი წიგნების კითხვა, თვითგანათლება ეს მდაბიო კლასის მოგონილიაო, ცამდე აეყვანა კლასობრივი განვითარება, ტექნიკა, მეცნიერება და ეთქვა, ეს ყოველივე ადამიანის სულს ამაღლებს, აკეთილშობილებს და ჭეშმარიტებით ამდიდრებსო. მაგრამ შიშობდა, რამეთუ იცოდა ქალისაგან ამომწურავ და გამაცამტვერებელ პასუხს მიიღებდა.

– თქვენ ბრძანეთ, რომ „მიზნად არ დაგისახავთ კვალმაძიებელი ყოფილიყავით“! – წამიერი ფიქრებიდან გამოიყვანა ქალის ხავერდოვანმა ხმამ გამომძიებელი.

– დიახ! ახალგაზრდობაში პედაგოგობა ან ექი-

მობა მქონდა განზრახული, მინდოდა ჩემი ცოდნა ხალხს მოხმარებოდა, მაგრამ!...

– კარგი, მაგრამ თქვენს სამსახურზედ უფრო კეითლშობილური და სასარგებლო შეიძლება იყოს რომელიმე სპეციალობა?

– ჩემთვის არა, გააჩნია ვისთვის არის კეითლ-შობილური და ვისთვის სასარგებლო, აქ კი ადა-მიანი კეთილშობილებას ვერ ეზიარება, სარგებ-ლობა კი მძულს. ზოგიერთებისათვის ბოროტ-მოქმედის დაპატიმრება, საქმის გამოძიება თუ სხვა ამდაგვარი,ფ ულის შოვნის საუკეთესო გზაა, მაგრამ მე ადამიანობა მინდა, ფულაობა არ მაკმა-ყოფილებს, რომელზედაც ალბათ თქვენ და თქვე-ნისთანები უარს არ იყტოდით. ჩვენი სპეციალობა ძალზედ ცუდია, იმიტომ რომ ადამიანთა ბუნების ამოცნობა შეგვიძლია, ადამიანში ნათლად ვხე-დავთ ბოროტებას, მაგრამ სამსჯავროს გადავ-ცეთ არ ძალგვიძს.

აი, თქვენ რა თბილი ბრძანდებით და ამასთანავე ერთად ყინულივით ცივი, თითქოს ინდიელის სის-ხლი გიჩქეფთ ძარღვებში.უ ფრო სწორად თქვენში მე რაღაც სიველურეს ვხედავ, მაგრამ თქვენ რო-გორიც არ უნდა იყოთ, იმდენ ხანს იცოცხლებთ, რამდენ ხანსაც თქვენი ტოლები, უფრო სწორად კი არ იცხოვრებთ, არამედ იარსებებთ, თვითონაც ხომ მარმარილოსაგან ხართ შექმნილი, ქვასავით ცივი და სასტიკი. დიახ! მე თქვენში ბროტმოქმედს მივჩერებივარ, მაგრამ სავალალოდ უფლება არა

მაქვს მართლმსაჯულებას გადაგცეთ, რამეთუ თქვენი დანაშაული სასჯელს არ ითვალისწინებს.

ზვიადაურს შუბლი ოფლის წვეთებმა დაუცვარა, ეტყობოდა სულიერად განიცადა ქალზედ მიყენებული შეურაცხყოფა, მაგრამ ეს არაფრად ჩააგდო, რადგან ჩქარობდა ქალთან უყუათო საუბარი დაესრულებინა. ქალს კი სრულებითაც არ სწყენია გამომძიებლის პირდაპირი საუბარი, იმის ლამაზ სახეზე ერთი ნაკვთიც არ შეტოკებულა, პირიქით გაეღიმა კიდეც და პასუხი მოუფიქრებლად გასცა გამომძიებელს.

– თქვენ შეცდით ბატონო გამომძიებელო, როდესაც თქვით თითქოს ადამიანის ბუნების ამოხსნა–ამოცნობა შეგეძლოთ. მე ვიცოდი, რომ ჩემი ჭეშმარიტული საუბრით თქვენს რისხვას დავიმსახურებდი, მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ მე არა ვარ ის ადამიანი, რომელიც თქვენ ჩემში შეიცანით არც ისეთი ბოროტი ვარ, როგორც თქვენ გგონიათ და არც ისეთი კეთილი, როგორიც ჩემს „გოშიას“. მე თუ ჩემ მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის თავდაცვა გადამიწყვეტია, ეს დანაშაული, სიცივე და გულცივობა როდია. საკუთარი თავდაცვის მეტი აბა რაღა დამრჩენია, რომელმაც დავკარგე მშობლები, ახლობლები, სამშობლო, სიყვარული და ყოველგვარი სიკეთე, რომელიც გამაჩნდა. ყოველივე ეს ძვირფასელუობა ბრჭყვიალა მეტალზე გაიცვალა, საიდანაც იმხელა სიცივე გამოიყოფა ძვალსა და რბილში მატანს და ეს

სიცივე თქვენ ჩემი „ქვის“ ორგანიზმიდან გამოყოფილი გგონიათ.

მართალია, მე დავკარგე და აღარ გამაჩნია, მაგრამ სიყვარული არც ისე ხელწამოსაკრავია, როგორც ჩვენ ვახსენეთ. გასალანძლი არ არის ადამიანი, როცა ის არ უყვართ ან თვითონ არ შეუძლია სიყვარულის მოპოვება, საშინელება ის არის, როდესაც ადამიანს სიყვარულის უნარი არ გააჩნია. ამასვე მეტყველებს საღვთო წერილი: – „მარტო სატანას არ შეუძლია სიყვარული“ – თქვენ როგორც მოგესურვოთ ისე მიმიღეთ, გინდ ქეის უსულო ქანდაკებად, გინდ სატანად, ღირსიც ვარ სიყვარულის უარმყოფელი.

ზვიადაურს კისერი მხრებში ჩაემალა, ქალს სახეში შესცქეროდა, აკვირვებდა იმისი ორპირობა და გულში ფიქრობდა: „ამქვეყნად ადამიანზე უფრო საზიზღარი ცხოველი არ მოიპოვება, მაგალითისათვის ეს სათნო ქალბატონიც კმარა. მერედა, რა საპატივცემულო ვინმეა“. ამას ხოლოდ ფიქრობდა ხმამაღლა თქმა ვერ გაებედა, რადგან ქალი თავისებურ ახსნას უპოვნიდა ნათქვამს, მაგრამ ქალი თითქოს ფიქრს მიუხვდაო, თუ ვინ იცის, იქნებ მართლა ამოიკითხა იმისი ოფლით დაცვარულ შუბლზე ნაფიქრალი და საუბარი ისევ თვითონ განაგრძო:

– მარტო ჩემზედ არ ითქმის, ხშირად მითქვამს ყველა ადამიანის მიმართ, რომ ამ ქვეყანაზე ადამიანისთანა უკეთური და წამხდარი არსება არ და-

იარება, მით უმეტეს წესიერიადამიანისთანა.

– ნეტავი რა დაგიშავა ადამიანმა? – შეეკითხა ფიქრებიდან თავდაღწეული გამომძიებელი.

– სულაც არ არის აუცილებელი ადამიანმა დაგიშავოს რაიმე და ამიტომ გძულდეს. საკმარისია იგი შეიძულო თუ შენზედ ძლიერია, ან სუსტი, უბრალოდ გაიფიქრო რისი გაკეთება შეუძლია და რას აკეთებს, ან რა შეეძლო დაეშავებინა მას. მაგრამ არ იფიქროთ მე თქვენზე ან სხვაზედ მეტად მძულდეს ადამიანი, ჩემთვის საკმარსია, რომ ადამიანი – ადამიანია და სიძულვილთან ერთად გარკვეული ფორმით მიყვარდეს იგი.

ქრისტემ, ჩვენმა მაცხოვარმა, დაიბარა მისთვის „კეთილი“ არ ეწოდებინათ, რამეთუ კეთილი მარტო ერთი უზენაესი არისო, თუმცა ქრისტიანებს შორის ბევრი ისეთი არაკაცი მოიძებნება, ვინც უსირცხვილოდ აცხადებს კეთილი და პატიოსანი ვარო.

– ო, თქვენ ალბათ იმისი თქმა გინდა, რომ ადამიანმა შეიძლება თვითონ აღიაროს თავისი უგვანობა, მაგრამ ის კი არ უნდა იფიქროს სხვაზე უკეთესი ვარო.

– სრული ჭეშმარიტებაა, და სწორედ ასეთივე ქადაგებით არის ღირსშესანიშნავი მღვდლებისაგან გამოგონილი აღსარების საიდუმლოება.

– ღირსშესანიშნავი კი არა ჩეულებრივ ტყუილებზე აგებული ველურობაა.

– რატომ ველურობა? პირიქით, მეტისმეტად

ბრძნული გამოგონებაა, აღსარება საშუალებას გვაძლევს გულდამშვიდებით შევცოდოთ, რამეთუ ვიცით, ვინც ცოდავს იმან წინასწარ იცის ჩადენილი ცოდვა მიეტევება, მაგრამ ადამიანმა როდესაც ეს იცის არ დაგიდევს ახალ–ახალ შეცოდებებს, რადგან ჰგონია ისევ მოინანიებს და მონანიების შემდეგ ემზადება ახალი შეცოდებისათვის. ღმერთის დიდსულოვნება კი იმაში გამოიხატება, რომ არავის არავითარ შეცოდებას არ აქარწყლებს.

– ნუ მიწყენთ და შენი ფილოსოფია აქსიომა კი არა, გაფუყული განზოგადოებული ფუჭი სიტყვაა, ზოგიერთი ლეგენდის სამოსელშია გახვეული და სისულელედ მევლინება.

– მაშინ თვით ფილოსოფია რაღაა?

– ფილოსოფია საზოგადოებრივი ცნობიერების ფორმაა, რომლის მიზანია სიბრძნის სიყვარული, მეცნიერული მსოფლმხედველობის შექმნა და აზროვნების უზოგადესი კანონები...

– და ეს კანონები ერთმანეთის ტყავის გაძრობას გულისხმობს? – შორენამ საუბარი შეაწყვეტინა გამომძიებელს, რომელსაც უნდოდა ძირფესვიანად ჩამოეყალიბებინა ფილოსოფიის საკითხები და პრინციპები: მაგრამ მიხვდა რა, ქალსაც არანაკლებ ესმოდა ფილოსოფიის ძირითადი კანონები, თვითონაც ფილოსოფიის გზიდან გადაუხვია და ქალის გასაგულისებლად თქვა:

– ზუსტად ასეა. ერთმანეთის ტყავისგაძრობას გულისხმობს. ამაზე კარგად თქვენისთანა ადა-

მიანზედ არაფერი მოქმედებს, თქვენ ხომ შინაგანად გაძარცვული ბრძანდებით, ტყავის გაძრომის შემდეგ დავინახავთ ვინა ხარ შენ შინაგანად! – გახუმრება სცადა გამომძიებელმა, მაგრამ ქალი ვერც ამჟამად გამოიყვანა წონასწორობიდან.

– ვინ რა ვართ შინაგანად, ამაზე ნურაფერს ვიტყვით – მიუგო ქალმა. – მე უბრალოდ ჩემი ქვეყნის მოქალაქე ვარ, პროფესიით ბიბლიოთეკარი და სრულებითაც არ მაინტერესებს რა აქვს ადამიანს შიგნით, რომლის განჭვრეტა მე არ მესაჭიროება, რადგან ყველას სახეზე აწერია და ვკითხულობ რაც შიგნით არის.

– სწორი ბრძანებაა, ცხადია შენთვის ადამიანი მხოლოდ წიგნია და მეტი არაფერი.

– მერედა შენ ეს გეცოტავება? წიგნით თუ ადამიანის სულს ჩაწვდები, საკუთარ თავსაც კარგად მოუსმენ და შეისწავლა, ეს კი ცოტა როდია, მაგრამ შენთვის რაღაა ადამიანი? ადამიანი და ციხე, ადამიანი და ციხე, ციხე და ადამიანი კი ფიქრადაც არ მოგსვლია ალბათ არასდროს. ხომ მიმიხვდი, რომ კარგად წავიკითხე ჩემი წიგნით თქვენს სახეზე წარწერა, თქვენი ზრუნვაა ადამიანი გაგზავნოთ ციხისაკენ და არასოდეს არ გიფიქრიათ დაიცვათ ქრისტეს ერთ–ერთი მცნება „მიხედვა პატიმართა“ და ციხიდან გამოიყვანოთ ადამიანი.

– შენი ადგილი მართლაც რომ ციხეშია, რამეთუ ხარ ეშმაკის კერძი, რადგან არც შენ ამართლებ ქრისტეს მცნებას: „პატივი–ეც მამასა შენსა და

დედასა შენსა, რათა კეთილ გყოს შენ და დღეგრძელ იყვე ქვეყანასა ზედა“.

– ვიცი ეგ მცნება და მე უშენოდაც მივიღებ სასჯელს მაგ მცნების უარყოფისათვის, რომელსაც ღმერთი არ მაპატიებს და ვერც ერთი მღვდელი ვერ მომიხსნის ამ შეცოდებას. ასეთი ბოროტების წინააღმდეგ ერთადერთი გზა არსებობს და ეს გზა არის სიკვდილი, რომელიც ალბათ ჩემთან ერთად დაიბადა ჩემს მოსაკვდინებლად. მხოლოდ დაუფიქრებელი ნაბიჯის შემდეგ ვიგრძენი მათი განშორება, მათი სისხლი ცოდვათა გამოსაყიდი სისხლია, აი ვისი სისხლი გადამრჩენს, თუ გადამარჩენს, მხოლოდ მათმა წმინდა სისხლმ აშეიძლება შეძლოს ჩემი განწმენდა.

ჩემთვის მხოლოდ ინტიმური ცხოვრება იყო მარადიული ნათება, დანარჩენი არსებობა კი მისი მკრთალი ანარეკლი. დღეს ჩავხვდი ყოველივეს, დავბრძენდი კიდეც, მაგარმ გვიანია. ჩემ მიერ დაკარგული ადამიანები სისხლს აღარ გაიღებენ ჩემი ცოდვების შესამსუბუქებლად. არა მგონია ჩემზე უკეთ ვინმემ იცოდეს მშობლის და შვილის სულიერი შფოთვა, რადგან ერთად ყოფნის დროს ამას ვერც ერთი ვერ ამჩნევს, სამუდამოდ, ხორციელად განშორების შემდეგ კი ვგებულობთ ერთი–მეორის ფასს. მე სწორედ ახლა ჩავწვდი ჩემი მშობლების სულის ბორგვას, ვიდრე საკუთარ თავს და ჩავწვდი მეტი სიწმინდით, ვიდრე ოდესმე ვიფიქრებდი, რამეთუ საკუთარ ორგანიზმში რომ

ვიხედებოდი, მხოლოდ უწმინდურობას ვამჩნევდი, რისგანაც ვიყავი შექმნილი. დღეს მშობლების სულში ყოველივეს ძვირფასსა და საუკეთესოს მივჩერებივარ, რაც აქამდის ჩემს არსებაში მიჩქმალული იყო. მათი დიდება მხოლოდ ფიქრითა და მოგონებით დღესაც ძალასა და ნუგეშს მაძლევს, როდესაც სარკეში მათ ორეულს ვხედავ, ეს ორეული ისევე მინდა მეკუთვნოდეს მე, როგორც მის შემქმნელს, მაგრამ ხომ შეიძლება კარგმა ხელოვანმაც დახიოს ტილო, თუ ის უხეირო გამოუვიდა? გული არავისზედ მწყდება. მე ჩემი ბედი თუ უბედობა თვითონ შევქმენი და მისივე ახირების მსხვერპლი ვარ. მშობლები კი ცეცხლოვანი სულის მეამბოხენი არიან და ღმერთის არ იყოს შეცოდებას არასოდეს მაპატიებენ.

გამომძიებელმა საათს დახედა და ზეზე წამოდგომა დააპირა, რათა ქალისათვის ეგრძნობინებინა – კმარა, საუბარი დამთავრებულიაო – მაგრამ მყისვე გადაიფიქრა, აინტერესებდა თუ რას იტყოდა ქალი ღმერთის სიძულვილზე, გველისა და პრომეთეს სიყვარულზე, ამიტომ ოდნავი გაბზარული ხმით შეეკითხა:

– ჩვენ საუბრის თემას გადავუხვიეთ, მაინტერესებს რას იტყვით ღმერთის სიძულვილზე, გველისა და პრომეთეს სიყვარულზე?

– აი ხომ ხედავთ, თქვენ როგორ შეგძლებიათ სიტყვის გადაბრუნება – უთხრა ოდნავ განაწყენებულმა ქალმა – მე არ მითქვამს ღმერთი მძულს

მეთქი, სიყვარული ერთი მცნებაა, სიძულვილი კი მეორე. ვთქვი არ მიყვარს–მეთქი, მაგრამ როდი მძულს. განა თქვენ სუყველა არსება ერთნაირი სიძლიერით გიყვართ, ვინც გიყვართ? მე აღარ მიყვარს შმაგი, მაგრამ როდი მძულს, არც ღმერთი არ მძულს, რადგან ყოველგვარი სიკეთე რაც ადამიენს გააჩნია ღმერთის ნაბოძვარია, ამასთანავე ერთად ბოროტებაც მანვე გვასწავლა და ჩაგვინერგა. ღმერთისაგან მოდის მექრთამეობა, წუნიაობა, მკვლელობა, გახრწნილება და სხვა ყოველი უკეთურობა, რომელიც ადამიანს გააჩნია. აი სწორედ ამიტომ არ მიყვარს ღმერთი, რამეთუ მას კაცობრიობისათვის მარტო სიკეთე არ ჩაუნერგავს.

– ო, შენ ძლიერ გაუტიე. ნეტავი რომელი დამამტკიცებელი საბუთი გაგაჩნიათ ყოველივე ზემოთქმული სიტყვის დასამტკიცებლად? ღმერთი როდესაც სიკეთეს ნერგავდა, მაშინ ეშმაკი რაღას აკეთებდა?

–არ არსებობს ეშმაკი და ოჩოპინტრე, ეს ყველაფერი ხალხის მოგონილია ღმერთის სიკეთის გამოსავლინებლად და ბოროტების მისაჩქმალავად. ეშმაკი თვითონ ადამიანია ღმერთისაგან ბოროტ სული ჩასახლებული.

– იმიტომაც ხართ ბოროტი ღმერთი რომ არა გწამთ! – მიმართა გამომძიებელმა.

– მერე, და ღმერთის ურწმუნობა ბოროტებაა?

– მიჭირს ამის თქმა, მაგრამ თქვენი გაბოროტებუ-

ლი ვნების სათავე სწორედ ღმერთის ურწმუნოებაა.

– თუ ასეა და ჩემში ბოროტს მისჩერებიხართ, სწორედ ამიტომ არა მწამს ღმერთი, რომ მან შემქმნა ასეთი ბოროტი.

– მანვე მოგანიჭათ სიცოცხლე და საღი აზროვნება.

– სიცოცხლე ბოროტებისათვის?

– და კიდევ სიკეთისათვისაც!

– ერთ ორგანიზმში სიკეთე და ბოროტება არ მოთავსდება, ასეთი ღმერთია მხოლოდ.

კაბინეტში შავი ღრუბელივით ჩამოწვა სიწყნარე, მხოლოდ სარქისის ღრმა ფშვინვა ისმოდა, ქალი გამომძიებლის პასუხს ელოდა, გამომძიებელი კი ხაფანგში გაბმული მელასავით გატრუნულიყო, რომელიც თავს იმძინარებს და ფიქრობს: – „იქნებ ჩემი ხაფანგში გაბმა სიზმარი იყოსო“. შავ ღრუბელს წვიმა არ მოჰყოლია. დუმილის შემდეგ ისევ ქალმა დაარღვია მყუდროება და გამომძიებელმა შვებით ამოისუნთქა.

მოდი იურიდიული თვალით შევხედოთ ღმერთის დანაშაულს, რამეთუ შეგვიძლია განვსაჯოთ ღმერთის ავღმერთობაც, რადგან ჩვენს დიდ წინაპარს ნაჭამი აქვს – „ცნობისა კეთილისა და ბოროტისა“ ხის ნაყოფი, რომელიც ჩვენზედაც კიდევ მეტი სიძლიერით გადმოდის.

ვამბობ ღმერთმა გვასწავლა მექრთამეობა და წუნიაობა. რით დავამტკიცოთ ეს? – „ბიბლიიდან ვიცით“, რომ ადამს ორი ვაჟი ჰყავდა კა-

ინი და აბელი – „ხოლო ადამ იცნა ევათ ცოლი თვისი და მიდგომილმან შვა კაინ და. თქუა: მოვიგეთ კაცის ღვთისა მიერ და შესძინა შობად ძმაი მისი აბელ. და იქმნა იგი მწყეს ცხოვართა: ხოლო კაინ – მშრომელ ქვეყანისა და იყო შემდგომად დღეთა მოართუა კაინ ნაყოფთაგან ქვეყანისათა და მსხვერპლი უფალს. და აბელ მოართუა მანცა პირმშოთაგან ცხოვართა მისთასა და ცრემლთაგან. და მოიხილა ღმერთმან აბელსა ზედა და ძღუენთა მისთა ზედა. ხოლო კაინს ზედა და მსხუერპლთა მისთა ზედა არ მოიხილა“...

ბრწყინვალედ გვესმის, რომ ღმერთმა მიიღო აბელისაგან მირთმეული ქრთამი ძღვენის სახით, რათა მფარველობა გაეწია მისთვის, მაგრამ ღმერთმა დაიწუნა კაინის მირთმეული ძღვენი, ჩემის აზრით სწორედ აქ დაიბადა მექრთამეობა და წუნიაობა, რომელიც ადამიანთა ორგანიზმში გადმოსახლდა.

– ეს ხომ პირველი ადამიანები იყვნენ, – თხრობა შეაწყვეტინა ქალს გამომძიებელმა, – ნუთუ დღემდე კაცობრიობას ვეღარ დაუვიწყებია აბელისაგან მირთმეული კრავი.

– კაცობრიობამ თუ „ცნობისა კეთილისა და ბოროტისა“ ხის ნაყოფის შეჭმა ვერ დაივიწყა და დღესაც თავი მოგვაქვს სიკეთით, რატომ ქრთამის მიცემა უნდა დაევიწყებინა?

– ყოველშემთხვევაში ეს ქრთამი არ იყო. ეს იყო ღმერთისადმი შესაწირი!

– ამ ქმედებას შენ რაც გინდა ის დაარქვი, მაგრამ რას დაარქმევდით თქვენთვის ბოროტმოქმედს რომ ჯიბეები ფულით დაეჩურთა სასჯელის შესამსუბუქებლად“. რა თქმა უნდა, შენ იტყოდი ეს უბრალო მოსაკითხია, ან ურთიერთ პატივისცემა, მაგრამ სინამდვილეში კი ქრთამია, რომელიც იმდროინდელი სახეშეცვლილი ფორმაა და დღეს არც თუ სასიამოვნოდ ჟღერს. თქვენ თუ თქვენს უფროს პროკურორს დაბადების დღეზე ოქროს სათუთუნეს უბოძებთ, ამას რა ერქმევა? მაგრამ თქვენმა კოლეგამ რომ ოქროს სანთებელა აჩუქა, დაიწუნა და ამას რა ვუწოდოთ?

შენ მეტად მფარველობის ქვეშ აღმოჩნდით პროკურორთან, თქვენი კოლეგა კი... ამას რა დავარქვათ? შენი კოლეგა დაკნინდა უყურადღებობის გამო და ყოველ დღე ელოდება სამსახურიდან დათხოვნას. შენ კი გაიბღინძე დიდი კაცის მფარველობის ქვეშ და ერთჯერაც არ დაგცდენიათ თქვენს კოლეგასაც მფარველობის თვალით შეხედოს პროკურორმა. შენს საქციელს რა ეწოდება?

თქვენს შორის ძალაუნებურად ჩამოვარდა შუღლი, რადგან თქვენმა უფროსმა შეიძულა თქვენი კოლეგა, თქვენც შეიძულეთ. უკვე თქვენს შორის გაჩნდა კონფლიქტი, ამას შენცა გრძნობ და შენი კოლეგაც, ხელსაყრელი მომენტის ნახვის შემთხვევაში ან ის მოკვდება ან შენ. ამას კი შუღლი ეწო-

დება და ვინ არის აქ დამნაშავე? ცოტა თუ ბევრად თქვენი უფროსი ხომ არა?“ ასე მოხდა აბელის მკვლელობა კაინის ხელით და თქუა კაინ აბელის მიმართ, ძმის თვისისა: „განვიდედი ზოგად ველად და იყოს ყოფასა მათსა ველს, აღდგა კაინ აბელის ზედა ძმისა თვისისა და მოკლა იგი“...

– მერე ასე რატომ მოხდა? რატომ გადმოხედა მოწონების თვალით უფალმა აბელის მსხვერპლს? შეეკითხა ქალს ბიბლიაში ჩაუხედავი გამომძიებელი.

– შეიძლება იმიტომ, რომ უფალმა ამოიცნო კაენში მომავალი მკვლელი და მოშურნე.

– ისე გამოდის თვითონ მან შექმნა იგი მოშურნედ, მანვე შეასვა ეს შხამი და სამსალა.

– პირველი მკვლელადაც მოგვივლინა, მაგრამ ესაჭიროებოდა თუ არა ღმერთს შესაწირი ანუ ქრთამი? იცოდა თუ არა პირველი მკვლელობის შესახებ, რომელიც შთამმოავლობით გადმოეცა კაცობრიობას?

– ასე გამოდის, კაენს რომ არ მოეკლა აბელი, სავსებით მოსალოდნელი იყო, აბელს მოეკლა თავისი ძმა.

– სრული ჭეშმარიტებაა, როდესაც უფალს აბელის კრავები ეამებოდა, ცხვართა მწყემს მოწყალე თვალითაც გადმოხედავდა უზენაესი, ხოლო კაინის მიწის მუშის, მიწის ნაყოფისაგან მირთმეული ძღვენი არ ესიამოვნებოდა და კაენმაც დაკარგა უფლის წყალობის იმედი. აბელი იყო უფა-

ლი ღმერთისაგან გალაღებული და განებივრებუ-
ლი... კაინი კი მისგან მოძულებული.

ახლა ცხოვრებაში გადავხედოთ მსგავს მა-
გალითს: თქვენც დამიჯერებთ, რომ ბედის ნე-
ბიერთ, გალაღებულთ და ნაფერებთ ცა ქუდად
არ მიაჩნიათ და დედამიწა ქალამნად. ესეც ხომ
დანაშაულია, რომ ამ უპირატესობას და დაუმსა-
ხურებელ წარმატებას არ მალავენ. თუმცა ამის
ხმამაღლა გამოცხადება ესირცხვებათ, მაგრამ
ზედ შუბლზე აწერიათ თავისივე ქედმაღლობა.
ზოგიერთები ამ სირცხვილსაც არ დაგიდევენ და
ამით თავიც მოაქვთ, ქვეყანას ამცნობენ ასეთ
და ასეთ პატივში ვარო. მე პირადად ეჭვიც არ
მეპარება, რომ აბელი თვალშიც კი ეჩხირებოდა
კაინს, რადგან აბელი თავს იწონებდა კაინის წი-
ნაშე, უფალი მწყალობსო და აღიზიანებდა ხოლმე
თავისი კოცონებით, როცა მსხვერპლს სწირავდა
უფალს. ისინი, ვინც თავიანთ თავს სათნოებისა
და სამართლიანობის ნიმუშად ასაღებენ, სინამ-
დვილეში ქედმაღლები არიან ხოლმე და თავისი
მოჩვენებითი სათნოებითა თუ სამართლიანობით
სხვებს თვალებს უხვევენ და არცხვენენ კიდეც.
ბრძენს უთქვამს:

– „ეგრეთ წოდებულ საპატივცემულო კაცზე
უფრო დიდი მამაძაღლი ამ ქვეყანაზე არ მეგუ-
ლებაო!“

– შენ რა იცი, – ჰკითხა ამ საუბრის სერიოზუ-
ლობით გატაცებულმა გამომძიებელმა ქალს, –

რომ აბელი თავისი უპირატესობით თავს იწონებდა?

– ეჭვიც არ მეპარება, რომ სულ პატარა პატივისცემაც კი არ გამოუმჟღავნებია საკუთარი ძმის მიმართ და არც უფლისათვის უთხოვია, მასზედაც მიეღო მოწყალება, უფრო მეტიც, სწორედ მისი მითითებით გამოიგონა უფალმა ჯოჯოხეთი უყურადღებო კაენებისათვის, რათა მის დიდებას ფასი დასდებოდა. ცხოვრებაშიდაც ხომ ასეა, აღზევებულ კაცთა ნამდვილი სიხარული სხვათა ტანჯვის ჭვრეტაში იბადება.

– განცვიფრებული ვარ თქვენი მსჯელობით, – წამოიძახა გამომძიებელმა, – მგონი „ბილიას“ თქვენ მის შემდგენელზედ უკეთ გადმოსცემთ.

– რა გასაკვირია, თუ კი სხვა წიგნებიც დაგვეხმარება სრულებითაც არ არის ძნელი „ოქროს თაროზე“ დიდებული წიგნი გავშიფროთ, პლატონმაც ხომ უკეთესად, დადებულად და ღირსშესანიშნავად გადმოგვცა სოკრატეს მოძღვრებანი?

– და მაინც არ გეშინია ღვთისმოსავო, რომ შენი მსჯელობით ჯოჯოხეთისაკენ იკვლევ გზას?

– ღმერთს სიმართლე არ ეწყინება და თუ მაინც ჯოჯოხეთში მოვხვდები, ჩემი მსმენელებიც ჩემს უკან წამოჩანჩალდებიან ისე, როგორც დანტეს აედევნენ ისინი, ვინც ის ჯოჯოხეთში დაასახლა.

– ისევ „ბიბლიაზე“ მელაპარაკეთ, აი თუ გინდ გველის სიყვარულზედ, – მიუგო გამომძიებელმა.

– არა, ჯერ ღმერთის „დიდება“ არ დამიმთავ-

რებია. მინდა შევეხო ღმერთის მიერ დადგენილ არაკანონიერ წყვილთა შეუღლებას: როგორც უკვე აღვნიშნეთ ღმერთმა შექმნა ადამი და ევა თავისი სახის ხატებად. დამიჯერეთ და სამოთხის ბაღის მშვენებად, მაგრამ მათ შეცოდეს, რისთვისაც გამოძევებული იქნენ სამოთხიდან. ადამს და ევას ოთხი შვილი შეეძინათ: კაენი, აბელი. ადა და სელა. კაენმა თავისი დაი ადა ცოლად შეირთო, ხოლო აბელმა სელა. ღმერთს შეეძლო თუ არა შეექმნა მეორე ოჯახი, დავუშვათ რეზო და ნათია, რათა შეუღლებულიყო ადამისა და რეზოს ოჯახი სშვილები, სისხლის ამღვრევა არ მომხდარიყო და დღეს მათი შთამომავალს პატიოსნებაზე გველეპარაკა?“ დღეს ცხოვრებაში რომ მოხდეს დასა და ძმას შორის შეუღლება, ადამიანები და მითუმეტეს მართლმსაჯულება სხვაგვარი თვალით შეხედავს გარყვნილ სქესობრივ კავშირს.

– ღმერთმა დაგვიფაროს! – წამოიძახა თვალებგაფართოებულმა გამომძიებელმა.

– ჩვენ ასე თუ ისე კი გვიფარავს ღმერთი ამდაგვარი შეცდომებისაგან, მაგრამ სავალალოდ არ დაიფარა ადამის ოჯახი.

– ალბათ არც ასე იოლი იყო ყოველივე, როგორც ჩენ გვეჩვენება, – დაიწყო ღმერთთან ბრალდების გაქარწყლება გამომძიებელმა – ღმერთმა თუ შექმნა ადამიანი თავის ხატებად და სამოთხის სილამაზედ, კიდეც უნდა ყოფი-

ლიყო ღმერთის დამჯერე და თაყვანისმცემელი. თუ უფალმა აუკრძალა ადამს და ევას ნაყოფის ხისა „ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა“, ამით მათ ჩაუნერგა ჭეშმარიტი რწმენა, მორჩილება და მარხვა. მაცხოვარიც ჩვენი ამასვე გვაუწყებს: „ნათესავი ესე არარაით გახდეს, გარნა ლოცვითა და მარხვითა“. მაგრამ მათ დაარღვიეს უფლისაგან ნაბრძანები და შესცოდეს, რისთვისაც გამოდევნილნი იქნენ სამოთხიდან არა იმიტომ, რომ მათ შესცოდეს, არამედ მომავალ თაობას აჩვენეს უფლის ძლიერება, შეცოდების მიუტევლობა და ღვთისადმი სიყვარული.უ ფალი ლოცვასა და შესაწირს ღებულობდა და დღესაც ღებულობს ადამის შთამომავლისაგან, მხოლოდ კეთილი გულით მიძღვნილს და არა ძალდატანებულს, რამეთუ ღმერთს სრულებითაც არ ესაჭიროება ჩვენ მიერ მირთმეული კრავი, სანთელი თუ ხორაგი. მხოლოდ ამას აკეთებს იმიტომ, რომ დავიწყებას არ მიეცეს ქვეყნის შემოქმედი, ისე როგორც შვილმა არ შეძლოს მშობლის დავიწყება.

უფალმა მიიღო ალალი გულით მირთმეული კრავი აბელისაგან, რომელიც ლოცვითა და კოცონით გაანათა, ხოლო კაენის მიერ მიტანილი, ღვთის გაჩენილ მიწაზე მოწეული ხორაგი არ მიიღო, რადგან არც ულოცია და ყოველთვის ღმერთის საყვედურში იყო გაჩენისათვის. –

ილოცე! – ეუბნებოდა მამა ადამი კაენს, – რისთვის ან ვისთვის ვილოცო? – პასუხობს კაენი.

– ღმერთზე თქვენ, შვილო ჩემო, მადლობელი არა ხართ?

– არა!

– ცოცხალი რომ ხართ?

– იმიტომ რომ მოვკვდე? რად გინდოდა შენ, რომ შეჭამე ხილი – „ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა“ და რად არ შეჭამე ხილი ხისა „მარადიული სიცოცხლისა“, – საყვედურობს კაენი მამას. ამის შემდეგ მას ღმერთთან მიაქვს შესაწირი, როგორც ავადმყოფ ძაღლთან ლუკმა პური, ღმერთი არ ღებულობს კაინის მირთმეულ შესაწირს და ეუბნება:

– „და რქუა უფალმა ღმერთმან კაენს: რათა სად შეიჭუვინ პირი შენი, არცა მართლიოდ შემოწირე, ხოლო მართლიოდ არა განჰყავ, სცოდე დაყუდენ, შენდამი მიქცევაი მისი და შენ ჰმთავრობდი მას“...

კაენის სახით ღმერთმა კაცობრიობას უჩვენა ბოროტი სულის ზემოქმედება კეთილ არსებაზე. შეიძლება კიდეც იცოდა უფალმა, რომ კაენი მოჰკლავდა თავის ძმას, მაგრამ ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან კაცობრიობისათვის ეჩვენებინა ბოროტის ზეგავლენა კეთილზედ, რათა მსგავსი არ განმეორებულიყო ადამიანთა ცხოვრებაში.

– რომ მეორდება? – შეესიტყვა ქალი.

– მეორდება, მაგრამ შეუმჩნეველი რაოდენობით, მეორდება, რადგან ჯერ კიდევ არ მომწიფებულა ნაყოფი ხისა „ცნობადისა კეთილისა და ბო-

როტისა“, – როდესაც ეს ხილი ყველა ადამიანის ორგანიზმში მომწიფდება, ჩვენ, მართლმსაჯულების დამცველნი საჭირო აღარ ვიქნებით, რათა თვით აღიკვეთება ყოველგვარი ბოროტება.

რაც შეეხება კაენისაგან ადას ცოლად შერთვას, ეს „გახრწნილება“ როდია, როგორც თქვენ უწოდეთ. ეს ღმერთის მიერ ნაფიქრალმა აუცილებლობამ განაპირობა, რადგან თავის შექმნილი მიწა თავისივე შექმნილ ადამის შთამომავლობით მოშენებულიყო და ქვეყანა იმ სამოთხის ბაღს დამსგავსებოდა, საიდანაც პირველი ადამიანი გამოაძევა შეცოდებისათვის. მეორე ოჯახი სშექმნა კი ვერავითარ შემთხვევაში ვერ მოხერხდებოდა, რადგან ღმერთმა ევას შესაქმნელადაც კი ადამის ნეკნი გამოიყენა. აქედან გამომდინარე, ადამიანის შექმნას რაღაც სპეციალური ესაჭიროებოდა, რომელიც დიდ სიძნელესთან იქნებოდა დაკავშირებული.

თქვენ კმაყოფილი ხართ ჩემი პასუხით? ახლა კი მე თქვენს მიერ გველის სიყვარული მინდა მოვისმინო და შემდეგ ვეცდები მასაც იურიდიული გამართლება მოვუძებნო.

შორენა თვითგანათლებულ დამჯერლობაში გაწაფული, არ მოელოდა გამომძიებლისაგან ასეთი ამომწურავი პასუხის გაცემას თავისი ქადაგების ირგვლივ, როდესაც თავი გამარჯვებული ეგონა სახტადაც კი დარჩა, მაგრამ არ შეიმჩნია და „გველის სიყვარლის“ ახსნა დაიწყო:

– გველი ედემის ბაღში, ეშმაკისაგან კი არა, თვით ღვთის მოვლენილად მეჩვენება, რამეთუ მან ერთადერთმა შეიბრალა ადამიანი და გადაწყვიტა ადამიანისათვის თვალების ახელა, რათა სცოდნოდა კეთილი და ბოროტი, ამიტომ უქადაგა შეეჭამა აკრძალული ნაყოფი და მიზანსაც მიაღწია. რა არის აქ ცუდი, მან ხომ კეთილი განიზრახა ადამიანისათვის, მაშინ როდესაც ადამიანი ბრმა იყო და თავის სიშიშვლესაც ვერ ხედავდა?

– ღმერთმა ყოველი სულდგმული და მათ შორის გველიც თავის მორჩილად გააჩინა – თქვა ოდნავ ჩაფიქრების შემდეგ გამომძიებელმა – რა უფლება ჰქონდა გველს ღვთის ნების გარეშე კეთილი ან ბოროტება ექადაგა ადამიანისათვის, ხე „ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა“ ჯერ არ იყო მწიფე, ე. ი. ჯერ არ იყო ადამიანი ამისათვის მზად მომწიფებული, რომ იმისი ნაყოფი გარკვეულ დრომდე შეეჭამა, ამის დროს თვითონ ღმერთი მიუთითებდა ადამიანს, როდესაც მის მორჩილებაში და ღვთის ძლიერებაში დარწმუნდებოდა. გველმა ე. ი. ეშმაკმა კი იჩქარა, ღმერთი არად ჩააგდო და ადამიანს სამსალა შეაჭამა. იმის ნაცვლად, რომ ჩვენ გველი ღვთისაგან დაწყევლილ ეშმაკის კერძად მიგვაჩნდეს, შენ სიყვარულს უცხადებ მას.

მაგრამ პრომეთეზე რას გვეტყვი? ისიც ხომ შენი სიყვარულია?

– კი მიყვარს პრომეთე – დაიწყო დნავ დაბნეულ-

მა შორენამ – პრომეთე იაფეტის–ძე, ატლანტის ძმა, დევკალიონის მამა უდრეკი და ძლიერი ბუნების, ადამიანთა მფრველი და მათთვის წამებული გმირია.

პრომეთემ ოლიმპიიდან ლერწმის ჯოხით ცეცხლი მოსტაცა ღმერთებს და ადამიანებს მისცა, უფალი განრისხებულა და ადამიანებისათვის უბედურება მოუვლენია პანდროდეს სახით, ხოლო პრომეთე კავკასიის მთებზე მიუჯაჭვავს და არწივი მიუჩენია იმისი ღვიძლის საძიძგნად. პრომეთემ ცეცხლის მოტანით არა მარტო სითბო მოუტანა ადამიანებს, არამედ კულტურა და ცხოვრებისეული ყველა სიკეთე. ღვთის ნებით წარმოგზავნილი პანდროდეს სახით კაცობრიობას წილად ერგო უდიდესი უბედურება – სიკდვილი, – რადგანაც გამრავლების უნართან ერთად პიროვნებას დაეკარგა – უკვდავება.

ახლა გეკითხებით: – რატომ არ მიყვარდეს ეს კაცობრიობისათვის თავდადებული გმირი, რომელმაც ხალხს მოუტანა ცეცხლი, სითბო, კულტურა, სიკეთე და სიყვარული?

– გველის არ იყოს, პრომეთემაც იჩქარა. არ დაჰყვა უფლის ნებას და თუ გავშიფრავთ, მან სიკეთე კი არა ხალხს სატანჯველი მოუტანა, სწორედ იმის მოტანილ ცეცხლზე გაიჭედა მილიონობით ბორკილი ხალხის დასახუნდებლად, მილიარდობით ხმალი ღვთის მორწმუნეთა თავის წასაცლე-

ლად, მის მოტანილ ცეცხლზე დაიწვა ჯორდანო ბრუნო და მილიონობით ადამიანი ინკვიზიციის ხელით.

მე არ ვამბობ საყვედურს, იქნებ მართლაც გმირი იყო პრომეთე, მაგრამ უდავოა, ხალხს ცეცხლთან ერთად მოუტანა ძარცვისა და მტაცებლობის სურვილი, რადგან თვით პრომეთემ ღმერთებს მოსტაცა ცეცხლი და ამ ყაჩაღური ქმედებით გაითქვა სახელი. ვიმეორებ, პრომეთე იქნებ მართლაც გმირი იყო, მაგრამ უდავოა, მან ვერ გაითვალისწინა ადამიანთა შეზღუდული ბუნების შესაძლებლობა, ღმერთების ძლევამოსილება და მათ შეერკინა, რითაც ხალხი სატანჯველში ჩააგდო და თვითონ ღმერთის რისხვა დაიმსახურა. – ამჟამდა ქალი დამარცხებული ადამიანის იერით გამოიყურებოდა. საუბრის გაგრძელება აღარ მოისურვა და ზეზე წამოდგა. სკამი, რომელზედაც იჯდა, მოხდენილად შეაცურა მაგიდის ქვეშ და გამომძიებელს მიმართა:

– დღევანდელი საუბარი დამთავრებულად ჩავთვალოთ, მომავალ შეხვედრამდე. თუმცა ვინ იცის შედგება თუ არა მომავალი შეხვედრა, არსებითად კი ამას მნიშვნელობა არა აქვს. ერთი თხოვნა კი მაინც უნდა შემისრულოთ:

– ბრძანეთ! მიგულეთ თქვენს სამსახურში! – ღიმილით უპასუხა გამომძიებელმა.

– თუ შმაგი მგალობლიშვილი ბოროტმოქმედებისათვის სასჯელის ქვეშ აღმოჩნდეს, გთხოვთ

აპატიოთ, თუ გინდ ჩემს სისხლშიდაც ჰქონდეს ხელები გასვრილი...

ქალს თვალებზე ცრემლი აუკიაფდა, რომელიც ნაქარგი ცხვირსახოცით შეიმშრალა. წამიერი სიწყნარე ჩამოვარდა და საჩქაროდ ეს სიწყნარე გამომძიებელმა დაარღვია, რომ ქალის კაბინეტიდან გასვლა დაეყოვნებინა.

– შმაგის ციხის ნათლობა უკვე მიღებული აქვს. ახლა იმის დანაშაულში მხილება არც თუ ადვილია, მაგრამ ბოროტმოქმედებაში თუ მხილებული გახდა, სიტყვას გაძლევთ შეძლებისდაგვარად დახმარება გავუწიო.

– ჰო, თქვენ ამქვეყნიური სასჯელი აპატიეთ, ღმერთი კი იმქვეყნიურ სატანჯველს მიაგებს, – უპასუხა თვალცრემლიანმა შორენამ.

– ნეტავი რა გატირებთ? – შეეკითხა გაკვირვებული სახით გამომძიებელი.

– მეტირება და ვტირივარ, მივსტირი დაკარგულ სიყვარულს, დიდებას, მშობლიურ კერას და ყველაფერს, რაც კი ოდესღაც მებადა და დღეს ოცნებადღა შემომრჩენია.

– სამაგიეროდ თქვენ ყველაფერი გაქვთ ახალ ცხოვრებაში, რაც გიყვართ...

– არა, ყველაფერი არა მაქვს რაც მიყვარს, მაგარმ ყველაფერი მძულს რაცა მაქვს... – თქვა ქალმა და კარებისაკენ შეტრიალდა. მკრთალი მოვარდისფრო – მოცეცხლისფერო მთლიანი კაბა ეცვა, რომელიც ჭიპიდან გულისპირამდე ელვა–

საკინძით იყო გაწყობილი და სინატიფით მოქნილი, უბადლო ტანის უნაკლო ნაკვეთებზე მოტკეცილი, მართლაც ეკრანის ვარსკვლავთა ჭეშმარიტ დედოფლად ხატავდა ბედნიერებითა თუ უბედობით სწორუპოვარ მშვენიერებას. არაკლასიკური და მით არაამქვეყნიური, არამედ ღვთაებრივი სილამაზის მიწიერი განსახიერება იყო ეს სპარტანული ცოცხალი ხატება, რასაც ამქვეყნად ვერც ერთი მამაკაცი ვერ აღუდგებოდა წინ და რაც თანაბრად გააბედნიერებდა ან გააუბედურებდა ადამის ნებისმიერ შთამომავლობას, მისი ყურადღებით აღფრთოვანებულ და დათრგუნვილ ყველა ამქვეყნიურ არსებას. კარის გაღებამდე აღწერა გამომძიებელმა მისი ყოველგვარი მიმოხვრა, ის კი არ მიდიოდა, სცენა მიტოვებული მსხაიობის მიმოხვრით მიცურავდა, რომლის ზოგიერთ უბადლო ნაკვეთებს „გორილა“ ეფარებოდა, რომელიც უკან მიჰყვებოდა და მშვენიერაბას წელზე ხელს უთათუნებდა.

რატომღაც სევდამ მოიცვა ზვიადაური, როდესაც მოპირდაპირე მხრიდან კარები დაიხურა. სეიფიდან ბაკურიანში მომხდარი მკვლელობის საქმე გადმოიღო, გადაფურცლა, მაგრამ გული კი ვერ დაუდვა სამძებრო საქმეს. იმის გონება ამ წუთში სადღაც, სულ სხვა მიმართულებით მიჰქროდა და ფიქრებმაც სწორედ იქით გაიტაცეს იმისი სული,ს აითაც გონება იყო მიმართული.

განსაკუთრებით ძლიერია ადამიანის შინაგა-

ნი ბუნება ფიქრის დროს. სწორედ ფიქრის დროს ადამიანის თავის ტვინის უჯრედებში იღვიძებს ახალი უჯრედები და ბადებს უახლეს შემოქმედებას, სწორედ ფიქრის დროს შეიძლება უხამსო ადამიანში აღმოაჩინო მრავალი ჭეშმარიტი ადამიანური თვისებები. ადამიანის ერთი თვალის გადავლებასა და მისი ბუნების შესწავლას შორის ჩინური კედელია აღმართული, პირველს თუ თან ახლდა ცხოვრებაზე უარყოფა და ფარისევლობა, რასაც საფუძვლად უდევს ერთი ადამიანის მიერ დაჯაბვნის, ერთის მიერ მეორეზე პრიორიტეტის მიღწევის დანაშაულებრივი მისწრაფება, რაც გაცილებით უარესი ბოროტმოქმედებაა, ვიდრე რომელიმე სისხლის სამართლით გათვალისწინებული დანაშაული, რისთვისაც ადამიანი კანონით ისჯება, ფიქრი მეორე თვალით დაგვანახვებს მის დადებით მხარეებს, რაც გამოიხატება სულში ნატურალისტურ წვდომით, რომლის მეოხებითაც იგი ახერხებს ბრწყინვალე სოციალისტურ სრულყოფას და თანაც არ გაუწევს ანგარიშს იმ მოლაყბეთა ქაქანს, რომელებიც ერთი ხელის მოსმით აბაიბურებენ ქალის ღირსებას. მართალია, შეიძლება ბევრი გაჰყვეს მის გზას, მისი ყაიდით იფიქროს და მოაშენოს „მახინჯთა სამყარო“, მაგრამ მწამს მისი მონანიებაც ბევრს გამოასწორებს. იმ ქალს შმაგი ისევ უყვარს და ჯავრობს კიდეც დაუფიქრებლად გადადგმულ ნაბიჯს. ეს ხომ სულის ბორგვაა, რომელიც მთელი სიცოცხლის მანძილ-

ზე არ მოასვენებს უბედურს. ვხედავ სიცოცხლე არარაობად მიაჩნია, სიკვდილსაც კი ნატრობს, მაგრამ გასაოცარია რომ სიკვდილს სწორედ პირველი სიყვარულის ხელით ნატრობს და ანდერძად იბარებს არ დასაჯონ მკვლელი. არ ვიცი ამას რა დავარქვათ, ალბათ სულგრძელობა, ყოჩაღ ქალო, თუ ასეთი სულგრძელი ხარ,თუ ერთს ლაპარაკობ და სულ სხვას ფიქრობ.

კარგი, მე ვიქნები შენი კერძო დეტექტივი, მეყოლები თვალყურის ქვეშ, ცივ ნიავსაც არ მოგაკარებ და იმ შენს შმაგის დღეიდანვე ავიყვან ანკესზედ.

გამომძიელებელი ზვიად ზვიადაური ტელეფონის წკრიალმა გამოიყვანა ფიქრებიდან, ცოტა შეაკრთო კიდეც.

– ალო! ჩასძახა ყურმილს ზვიადაურმა – პროკურორი თავის კაბინეტში იხმობდა გამომძიებელს.

„პროკურორი მოწყალების თვალით მოგჩერებია“... გაახსენდა შორენა ძიძიგურის ლაპარაკი გამომძიებელს, – ისე მაგისი ოჯახი აშენდა! – ხმამაღლა წარმოთქვა ფიქრი გამომძიებელმა და კაბინეტი მოათვალიერა „არავინ მისმენდეს, არავის ვეგონო გიჟი“. მაგრამ მაინც რატომ გამახსენდა შორენა? ადრე მაინც გამეცნო, მაგრამ ის მე არ გამომყვებოდა, ის ხომ ვოლგასა და ბრილიანტებს გაჰყვა ცოლად და არა ადამიანს“.

– ახლა ჯავრობს! – შეეპასუხა ორეული.

– გვიანია, „თავს სინანული სჯობია“... გასცა

პასუხი გამომძიებელმა თავის ორეულს და პროკურორის შავტყავგადაკრული კაბინეტის კარები შეაღო, მიესალმა! – პროკურორმა სავარძელზე მიუთითია, კაბინეტში გაიარა–გამოიარა, სიგარეტს მოუკიდა, დუმდა, თითქოს უნდოდა ლაპარაკი პირველად ზვიადაურს დაეწყო, მაგრამ ზვიადაურს სათქმელი არაფერი ჰქონდა. ის გამოძახებულიყო უფროსთან, მას უნდა ეპასუხნა, კაბინეტში კი გულისგამაწვრილებელი სიწყნარე სუფევდა. პროკურორს ნათლად ერთი სული ჰქონდა როდის გაიგებდა თავისი უფროსის უსიამოვნების მიზეზს, სანამ თვითონაც არ გადადებოდა უსიამოვნების სუნი.

– დუშეთის რაიონის ყოფილი მოსამართლე, – როგორც იქნა ცრემლნარევი ხმა ამოიღო პროკურორმა, – არჩილ არაბულის ოჯახი, მეუღლე, ორი არცთუ მცირეწლოვანი შვილით წყნეთში ისვენებდა, დღეს მათ ჩამოსაყვანად არჩილი წასულა თავისი მსუბუქი ავტომანქანით, იქიდან მომავალი კლდეზე გადაჩეხილა და...

– დაიღუპა? – სევდიანიხმით წამოიძახა ზვიადაურმა.

– ოთხივე! – აკანკალებულიხმით უპასუხა კაკო ცხელიძემ და იმავე ხმით განაგრძო, – ჩემი ინსტიტუტის მეგობარი იყო, ერთად დავამთავრეთ იურიდიული ფაკულტეტი.

– ხომ არ ფიქრობთ, რომ ვინმეს ხელი ერიოს ამ ავტო კატასტროფაში?

– წყნარად იკითხა გამომძიებელმა და რატომ-ღაც თვალწინ შმაგი მგალობლიშვილი წარმოუდ-გა.

– არა, არა. ეს გამორიცხულია. ალბათ მუხრა-ჭებმა უღალატა და... სათქმელი აღარ დაამთავრა პროკურორმა.

– ხომ არ წამობრძანდებით? მე უნდა წავიდე. მინდა მაინც შევამოწმო ავტომანქანა.

– მე ახლა მოვედი, შენ თუ გინდა წადი, მხოლოდ იქ შესამოწმებელი აღარაფერია. ავტომანქანას ჭრიან, რომ როგორმე მიცვალებულები გამოეჩე-ხონ იქიდან.

– არა, მე მაინც წავალ! – თქვა ზვიადაურმა და კაბინეტის კარები გაიხურა.

ავტომანქანის დაჭრა და იქიდან გვამების გამო-ღება დაემთავრებინათ, გზის პირას ოთხი საკაცე იდო, ოთხივე თეთრზეწარგადაფარებული და სის-ხლით დასვრილი, აქვე იდგა მილიციისა და სამე-დიცინო სასწრაფო დახმარების ავტომანქანები, გულის შემკუმშველი მდგომარეობა სუფევდა.

გამომძიებელი ზვიადაური, როგორც იქნა ძლივს ჩაბობღდა კლდეზე, რათა კატასტროფის ადგილი დაეთვალიერებინა და ნაწილ–ნაწილ დაჭრილი ავტომანქანისთვისაც გადაევლო თვალი. გზაზე არსად დამუხრუჭებული ავტომანქანის კვალი არ ჩანდა, უდავო იყო, არჩილ არაბულის ავტომან-ქანისათვის მუხრუჭებს ეღალატა და მოსახვევში კლდიდან ხევში იყო გადაფრენილი.

გამომძიებელმა ავტომანქანას შემოუარა, რომლის თითქმის ყველა ნაწილი დაჭრილი ან დაგრეხილი იყო, მაგრამ ეს რა არის, მუხრუჭის შლანგები გაწყვეტილია, არა გაწყვეტილი კი არა ბასრი იარაღით არის გადაჭრილი.

– აქ ბოროტმოქმედის ხელი ურევია! – გაიფიქრა გამომძიებელმა და წყნეთისაკენ გააქროლა თავისი „ჟიგული“.

– დღეს თქვენ ხომ არ გაგიცილებიათ ოჯახში დასაბრუნებლად, არჩილ არაბულის ცოლ–შვილი? – – შეეკითხა წყნეთში ასული ზვიადაური სანატორიუმის დირექტორს ნათელა გორგაძეს.

– არა ბატონო, მათ კერძო ბინა ჰქონდათ დაქირავებული და აი იმ სახლში. – თითის ჩვენებით მიუთითა სახლი ნათელამ, სადაც არაბულის ოჯახი ცხოვრობდა.

– გამარჯობათ!

– გაგიმარჯოთ!

– მაპატიეთ შეწუხებისათვის, არაბულებს თქვენთან ჰქონდა ბინა დაქირავებული?

–კი ბატონო!

– დღეს თქვენ თვითონ გააცილეთ?

– კი ბატონო!

– ხომ არავინ შეგინიშნავთ უცხო პირი გაცილების დროს?

– უი, დამიდგეს თვალები. ცუდი ამბავი ხომ არაფერი მომხდარა?

– არა, არა, უბრალოდ მაინტერესებს მათი გა-

ცილების დროს უცხო ხომ არავინ შეგინიშნავთ? – კითხვა გაიმეორა გამომძიებელმა.

– აბა რა ვიცი!? აქ ყველანი უცხოები არიან და ყველანი ნაცნობები, მათი წასვლა თითქმის არავის დაუნახავს, მე გამოვემშვიდობე მხოლოდ. ჰო, თუმცა ახლა გამახსენდა, აქ ერთი ბოშა გოგო ტრიალებდა და გამოსვლის დროს გიორგიმ გალახა.

– ეს გიორგი ვიაღაა?

– არჩილის უფროსი ბიჭია!

– რისთვის გალახა, თუ იცით, ის ბოშა გოგო?

– არ ვიცი, მგონი ავტომანქანიდან რაღაცას იპარავდაო.

– ავტომანქანას კარებები ხომ ჩაკეტილი ჰქონდა?

– ჰქონდა, მაგრამ მაინც იქ იდგა ის გოგონა და... ისე ჩვენში დარჩეს და აუტანელი ბიჭი კი არის, სულ ჩხუბისა და აყალმაყალის მიზეზს დაეძებს, ასე როგორ შეიძლება?

– ადრე, აქამდის, დღემდე თუ დაგინახავთ ის ბოშა გოგონა აქ?

– კი, როგორ არა, ხანდისხან თავის ჩვილითაც კი მოდიოდა ხოლმე. ხან მკითხაობდა, ხან კიდევ შაქრის მამლებს ყიდიდა დამსვენებლებში.

– სად ცხოვრობს თუ იცით?

– აბა რა ვიცი, ბოშას საცხოვრებელს ვინ გაიგებს? დღეს რომ აქ არის, ხვალ თბილისში ვაჭრობს, ზეგ სოხუმში და ასე ბარგმოკიდებულნი დადიან მუდამ.

– ხვალ თუ გამოჩნდეს გეჭიროს თვალი და შემატყობინეთ, როდესაც აქ კიდევ გეახლებათ.

– არა, ის აღარ მოვა, ისე სასტიკად ცემეს რომ...

– მაინ როგორ?

– სულ წიხლებით შედგა ის უსინდისო.

– და შემდეგ გაიქცა?

– არა, წელი ძლივს აითრია და ნელ–ნელა წავიდა წყევლა–კრულვით.

– ბავშვი თუ ჰყავდა მაშინ, როდესაც სცემეს?

– არა, მაშინ ბავშვი თან არ ჰყოლია.

– როდესაც ბავშვი თან ახლდა თუ ტიროდა ხოლმე?

– ბოშა ქალების ბავშვები საერთოდ არ ტირიან, მაგრამ ის ხანდახან ძალზედ ჭირვეულობდა.

ხომ არ შეგიმჩნევიათ ბოშა ქალის საქციელში რაიმე მამაკაცური?

– არა, ის ქალი იყო, ნამდვილი ახალგაზრდა ქალი და აბა მასში მამაკაცურს რას შევამჩნევდი?

– ლამაზი იყო?

– როგორც ყველა ბოშა ქალი სილამაზის განსახიერება იყო, გააჩნდა სახის უნაკლო ნაკვეთები, სწორი ცხვირი, ოდნავ ამობურცული ტუჩები, დიდრონი თვალები და ტანი კი თითქოს ხელოვნურად გამოძერწილი. სწორედ თავისმა სილამაზემ სცემა ბოლოს.

– როგორ თავისმა სილამაზემ!?

– როგორ და გიორგი დღე და ღამე იმის კვალს დასდევდა, უნდოდა მასთან სქესობრივი კავშირი

დაეჭირა, მაგრამ ქალმა შორს დაიჭირა თავი და ყოველგვარი იმედი გაუცრუვდა გიორგის, როდესაც თავის მიზანს ვერ მიაღწია, ზებუნებრივი შესაძლებლობით განაწყენებულმა ცემა კიდეც. შეახმეს მარჯვენა, განა ქალი იმიტომ უნდა სცემო, რომ გარყვნილებას არ ეზიარა? კი, ქალის ცემა და დამცირება როგორ არ შეიძლება, ამიტომაც ჰქვია მას „სუსტი არსება“, მაგრამ ნამდვილი ქალის გატეხვა და დაყოლიება ცუდ საქმეზე შეუძლებელია. მართალია ჩვენი რჯულის არ იყო ის ბოშა ქალი, მაგრამ მე მის ბუნებაში ნამდვილი პატიოსნება ამოვიკითხე, რითაც შემიყვარდა კიდეც.

– მართალს ბრძანებთ, ქალი თავისი სულიერი ღირსებით ფასდება და თუ ამ ღირსებით ქალი დაჯილდოებულია, გაფრთხილებაც უნდა ამ ღირსშესანიშნავი ბუნების ჯილდოს.

– უნდა, მაგრამ მხეცები არ აძლევენ ამის საშუალებას. კანონი კი მხოლოდ მაშინ მსჯელობს, როდესაც უბედურება მოხდება.

– რომელ ადგილზე იდგა ის ავტომანქანა, რომლითაც არაბულები გაემგზავრნენ? – გამომძიებელმა საბურის თემას გადაუხვია.

– აი აქ! – ქალმა ხელის აქნევით მიანიშნა ადგილზე, სადაც ამ რამდენიმე საათი სწინ არაბულების კუთვნილი მსუბუქი ავტომანქანა იდგა.

გამომძიებელმა ავტომანქანის ნადგომი ადგილი შეამოწმა, რა თქმა უნდა, გამადიდებელი შუშა არ

დასჭირვებია, მიწას ისედაც თვალნათლივ ეტყობოდა მუხრუჭების დაღვრილი სითხა. ეჭვგარეშე იყო, ვიღაცის ბოროტმა ხელმა დამდგარი ავტომანქანის სამუხრუჭე რეზინები გადასჭრა, მაგრამ ვინ იყო ეს ვიღაც? ნუთუ შმაგი?“ ის რომ ბოშა ქალს გამოაჯავრებდა და კეკლუაცად ბანქოს გაშლას დაიწყებდა, ეს მართლაც ბოშა ქალის პიროვნება იყო და არა იმისი ორეულის განსახირება“... გაახსენდა შორენას სიტყვები. შუბლი მოისრისა, თითქოს ამით უნდოდა მოძალებული ფიქრები გაეფანტა და მაგლობლიშვილზედ ბოროტმოქმედული ვერსია მეხსიერებიდან ამოეგდო, მაგარმ ის ფუტკრის ნაყარივით არ შორდებოდა და ყვრიმალებში უზუზუნებდა.

ბოლოს როგორც იქნა თავს სძლია, ქალისაკენ შემობრუნდა, ბოდიში მოუხადა შეწუხებისათვის და დასძინა:

– მადლობელი ვარ ქალბატონო ყურადღებისათვის, მე თქვენგან ბევრი რამ გავიგე, ახლა კი კარგად ბრძანდებოდეთ.

გამომძიებელი ავტომანქანაში ჩაჯდა, ძრავი დაქოქა და ნელი სვლით დაძრა ადგილიდან. ქალს მხოლოდ ახლა გაახსენდა, რომ ახალგაზრდა კაცს გამომშვიდობებოდა და მიმავალ ავტომანქანას მიაძახა:

– მომავალ შეხვედრამდე!

უკვე გვიანი იყო, მაგრამ წყნეთიდან დაბრუნებული ზვიადაური, მაინც თავის კაბინეტში შევი-

და. ფურცლები გადმოალაგა და თითქმის ერთი საათის განმავლობაში რაღაცას წერდა, შემდეგ სუფთა საქაღალდე აიღო, ყდაზე რაღაც წააწერა, ნაწერი ფურცლები შიგ ჩააკრა და სეიფში ჩაკეტა.

– ესეც ასე! – თქვა რაღაცით კმაყოფილმა, – მე ამ საქმის მიმართ კერძო დეტექტივი ვარ და საიდუმლოდ უნდა ვაწარმოვო ძიება.

* * *

მეორე დღეს ზვიადაური რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრში მივიდა. სწორედ აქ მსახურობდა შმაგი მაგლობლიშვილი მსახიობად და გადაწყვიტა ცოტა რამ მონაცემები თეატრის დირექტორისაგან მოესმინა:

– პატივცემლუო ზურაბ! – თავაზიანად წარსდგა თეატრის დირექტორის წინაშე გამომძიებელი. – თქვენთან თუ მსახურობს შმაგი დიმიტრის–ძე მგალობლიშვილი?

– ვისთან მაქვს პატივი? კითხვითვე უპასუხა გამომძიებლის შეკითხვას დირექტორმა.

– მე პროკურატურის სამძებრო განყოფილებიდან ვიმყოფები, ზვიად ზაალის–ძე ზვიადაური, აი ჩემი პირადობის მოწმობაც, – თქვა გამომძიებელმა და თავისი პირადობის მოწმობა დირექტორს გადააწოდა.

დირექტორს პირადობის მოწმობა არ გამოურთმევია გამომძიებლისათვის, სავარძელში უხერხულად შეიშმუხნა, სახეზე სიყვითლემაც კი გა-

დაურბინა და თავის დაბნეულობა რომ გაექარწყლებინა, მაგიდის კალენდარს დაუწყო ფურცვლა. ბოლოს როგორც იქნა გონს მოეგო და შეშინებული კაცის ბარიტონით წარმოთქვა:

– ჩემი რა ბრალია ბატონო, მე მილიციის განყოფილებას შევატყობინე და მათ ნება დამრთეს სამუშაოზე მიმეღო. ვიცი ციხიდან განთავისუფლებული კაცი სამუშაოს არსად არ უნდა გააკარო, მაგრამ მილიციის უფროსმა მითხრა: „შემთხვევით მოხვდაო ციხეში და საშიში ბოროტმოქმედი არ არისო“. მეც დავუჯერე და პირველად ცეცხლფარეშად მივიღე. იქნებ ეს დანაშაული მაქვს მხოლოდ, რომ უმაღლესი განათლების მქონე ადამიანი ცეცხლფარეშად მივიღე, მაგრამ ის უმუშევრობით ისე იყო გამწარებული, რომ კანალიზატორადაც არ მეტყოდა უარს, თუ სამუშაოს მივცემდი. თუმცა დიდხანს არ მყოლია ცეცხლფარეშად. ერთ–ერთი მსახიობი ავად გამიხდა და იმის შეცვლა შევთავაზე. ბრწყინვალედ განასახიერა ჰამლეტის როლი შექსპირის ტრაგედიიდან. ის მსახიობი კი გარდაიცვალა, რომელიც შმაგიმ შეცვალა და ასე შემორჩა სცენას მგალობლიშვილი. ბატონო თუ დანაშაული მიმიძღვის, რომ სამუშაოზე მივიღე, როგორც მიბრძანებთ ისე მოვიქცევი. გინდ ისევ ცეცხლფარეშად გადავიყვან და თუგინდ სულ გავანთავისუფლებ სამსახურიდან.

– ნაციხარი ადამიანისათვის ცეცხლფარეშად

მუშაობა უფრო მეტად სახიფათოა, ვინემ მსახიობობა. იყოს და იხტუნოს სცენაზე, თუ არავის არაფერს უშავებს და თავის როლსაც კარგად ანსახიერებს. აბა მეტი რა გინდათ? მხოლოდ დღევანდელი ჩვენი საუბარი საიდუმლოდ უნდა შეინახო, არავითარ შემთხვევაში მგალობლიშვილმა ამის შესახებ არაფერი არ უნდა იცოდეს. რა თქმა უნდა, მას დაშავებით არაფერი არ დაუშავებია, მაგრამ ხო იცი ნაციხარი კაცია და აღრიცხვაზე გვყავს, რომ არაფერი დააშავოს.

– ოჰ! მე კი გამიკვირდა, ვიფიქრე რაღაც დააშავა და მეც იმის გვერდით დამაჯენენ–მეთქი. შენ აგაშენა ღმერთმა, რომ დროულად მითხარი, თორემ კანკალმა ამიტანა ამხელა კაცი.

– მაინც რომელ როლებს ათამაშებთ მგალობლიშვილს?

– მგალობლიშვილი ძალზედ ნიჭიერი მსხაიობია. მა სშეუძლია ნებისმიერი როლი ითამაშოს და მეც თითქმის ყველა საპასუხისმგებლო როლში მგალობლიშვილი გამომყავს.

– ბოშა ქალის როლი თუ უთამაშია ოდესმე?

– არა, ასეთი შემთხვევა არ გვქონია, მისთვის შეყვარებულს უღალატნია და ქალები ბოშა კი არა, ქართველებიც თვალის დასანახად ეჯავრება და ვინ გაუბედავს ქალის როლი განასახიეროს? მითუმეტეს მსახიობი ქალები თავზე საყრელად მყავს.

– კმაყოფილი ვარ თქვენთან საუბრით, მხოლოდ

საიდუმლოდ დარჩეს ჩვენის აუბარი, კარგად ბრძანდებოდეთ! – თქვა ზვიადაურმა და თეატრის დირექტორის უზარმაზარი კაბინეტის კარები გაიხურა.

თავის კაბინეტში მისულმა კიდევ რაღაც ჩაინიშნა საიდუმლო გამოძიების ჟურნალში და ისევ–ისე საიმედოდ ჩაიკეტა სეიფში.

„ჩემს სადგომთან ქუდი მოწიწებით მოიხადეთ“... ისევ გაახსენდა გამომძიებელს შორენა ძიძიგურის ნათქვამი, – ნეტავი რას გადამეკიდა ფიქრი ამ ვულგარული ქალის მიმართ? თქვა გამომძიებელმა და კაბინეტიდან გასვლა დააპირა, ტელეფონის ზარის ხმა გაისმა, კარებთან მისული უკანვე შემობრუნდა. სამორიგეოდან იუწყებოდნენ რუსთაველის სახელობის კინო–თეატრთან მომხდარი ავტო–კატასტროფის შემთხვევას.

გამომძიებელი საჩქაროდ გამოვიდა კაბინეტიდან და რამოდენიმე წუთში ავტო–კატასტროფის ადგილზე გაჩნდა. შემთხვევის ადგილზე ხალხი შეგროვილიყო და ძლივს გაიკვლია გზა გამომძიებელმა. მართლაც, საზარელი სურათი გადაიშალა მართლმსაჯულების მსახურის თვალწინ: სპილოსძვლისფერი „ვოლგა“ ჭადარს დაჯახებოდა და ზედ ორი ახალგაზრდა ქალ–ვაჟი მიესრისა, მძღოლი ავტომანქანიდან გადმოვარდნილიყო და თავგაპობილს ასფალტზე ტვინისა და სისხლის გუბე დაეყენებინა, ხეზე მისრესილი ორი ახალგაზრდა კი ავტომანქანის საბურავების ქვეშ ეგდო. სამე-

დიცინო სასწრაფო დახმარებაც მალე მოვიდა, პირველად თავგაპობილი მძღოლი მოათავსეს საკაცეზე და ავტომანქანის ძარაში შეაგორეს საკაცე. შემდეგ ხალხის დახმარებით დამსხვრეული „ვოლგა“ ასწიეს და ორი დალეწილი გვამი გაანთავისუფლეს. აქ უკვე სიფრთხილე საჭირო აღარ იყო. ცოცხლების სიაში ვერ ჩავწერდით ვერც ერთს და ექიმებმაც გვამები საკაცეზე მოათავსეს, მაგრამ ეს ვინ არის? ღმერთო ჩემო – შორენა – ამოიკვნესა ზვიადაურმა და ინსტიქტურად ქუდი მოიხადა. შებარბაცდა, ვერ წარმოიდგინა, თუ ყველაზე ახლობელი ადამიანის დაღუპვაც კი ასე მძაფრად იმოქმედებდა მასზედ. ახლად გაცნობილი ადამიანი ხომ ყოველთვის ისე გამოიყურება, როგორც სინამდვიელში არის, მაგრამ მისი სინამდვილე მასთან მოსაუბრემ უნდა ამოიცნოს, შორენაში ჩამკვდარი იყო თავისთავისადმი სიბრალულის გრძნობა და სხვებისადმი უფრო მეტი თანაგრძნობით იმსჭვალებოდა, ალბათ რაღაც ღვთაებრივი საწყისი იღვიძებდა მასში, რაკი დასასრულს უახლოვდებოდა.

„შმაგის აპტიე ბოროტმოქმედება, თუ გინდ ჩემს სისხლშიც გაისვაროს ხელი“... ისევ ყურში ჩაესმა ზვიადაურს შორენა სულგრძელობა. ნუთუ ქალი გრძნობდა ამ გარდაუვალ კატასტროფას? ნუთუ მართლაც შმაგია ყოველივე ამდენი ბოროტების ჩამდენი, რაზედაც მე ვეჭვიანობ და ბოშა ქალის სამოსელში მისი სისხლიანი ხელები მელანდება?

შურისძიებაც ამას მიქვია, თუ ერთადერთი ადამიანი სხვების დაუხმარებლად ანადგურებს ყველას, ვისაც მის წინააღმდეგ გაულაშქრია. კი ბოროტმოქმედის აღმოჩენა და სასჯელის მიგება გმირობაა, მაგრამ ნაკლები გმირობა როდია წინდახედული ბოროტმოქმედება, თუმცა არც ერთ ეპოქაში არ ყოფილა ბოროტმოქმედება კურთხეული, წყეულია ის ორგანიზმშივე ჩასახული მიზნებით... – მე აღმოვაჩენ შორენა შენს მკვლელს და მაპატიე თუ ისე არ მოვიქცე, როგორც მიანდერძე.

ზვიადაურმა ქუდი მხოლოდ მაშინ დაიხურა, როდესაც გვამებით დატვირთული სამედიცინო სასწრაფო დახმარების ავტომანქანა თვალს მიეფარა და კატასტროფის ადგილზე ხალხი შეცოტავდა. იმ ღამეს ზვიადაურს ტემპერატურამ აუწია, სულ შორენა ელანდებოდა და იმის შეგონებას ისმენდა. გამთენიისას მოვიდა გრძნობაზე, თავზე დედა დასტრიალებდა, ხან ძმრიან საფენებს ადებდა და ხან ტემპერატურის დასაწევ აბებს აყლაპებდა.

– შვილო, ვინ არის ეს შორენა, სულ იმის ხსნებაში რომ იყავი მთელი ღამე! – უთხრა დედა მზვიადს, – როცა დაინახა სააქაოს შემობრუნებული შვილი. პასუხის ნაცვლად შვილმა დედას თვალი მოარიდა და ღაწვებზე დაგრორებული ცრემლი ზეწარით შეიმშრალა!

– ტირიხარ შვილო? ქალისთვის ტირიხარ ვაჟ-

კაცი კაცი? ის არ ეღირსა ბედნიერებას, გიღალატა შვილო?

– ჰო, დედა, შორენამ ყველას უღალატა, მთელ კაცობრიობას, მეც მიღალატა!

– ხომ არ მომკვდარა შვილო, ამოიღე ბიჭო ხმა, რას დამუნჯებულხარ!

ზვიადი კედლისკენ გადაბრუნდა და თვალები ისევ ზეწრით ამოიწმინდა. დედა უთქმულად მიხვდა ყველაფერს, შვილს სასთუმალთან ჩამოუჯდა, თმაში თითები შეუცურა და არავისიც არ მორიდებია დაგუდული ხმით ასლუკუნდა:

– ვაი მის დედას, როგორღა ვანუგეშო შვილის დამკარგავი დედა, ვაი ჩემს მოსწრებას. მენახა მაინც ცოცხალი, ადექი ბიჭო ზეზე, სამძიმარი უნდა ვუთხრა მის გულდათუთქულ დედას, უნდა ვიტირო ხმამაღლა, უნდა ვიტირო ცოცხალიცა და მკვდარიც. შენ კი შვილო, დარდს თავს ნუ მისცემ, არა არის ვაჟკაცის წესი სასოწარკვეთილებაში გადავარდნა. მეტი უბედურება დასტეხია თავს ქართველ რაინდებს, მაგრამ ყოველთვის გამოუნახავთ შესაძლებლობა აღედგინათ ძალ–ღონე და გამოსულიყვნენ უკიდურესი გამოუვალი მდგომარეობიდანაც კი.

– მე დედა, თავი უნდა დავანებო პროკურატურაში მუშაობას, ძალიან დიდი ბოროტებით ყოფილა ეს ქვეყანა აღსავსე, მე ვერ შევძლებ ვებრძოლო ამდენ უსამართლობას.

– რატომ შვილო, ჯერ არ დაგიწყია ბრძოლა

და ახლავე შეგაშინა ცხოვრებამ? ვაჟკაცად გაგზარდე, ხომ იცი „ვისი გორისა ხარ“, არ შეგშვენის იმ ფესვზე ამონაყარ ყლორტს უკან დახევა, რომლებიც სიკვდილს არასოდეს არ შეშინებიან. ბედნიერების მოსაპოვებლად ბრძოლაა საჭირო, ზოგიერთ უნიათოს კი ბედნიერება უძვლო ქათამი ჰგონია და უფხო თევზი, რათა ადვილად ამოიყოროს ჩასასკდომი სტომაქი, სინამდვილეში კი თუ გინდა კბილები შეინარჩუნო და ყბები გაიმაგრო დროდადრო მაგარი სახრავიც უნდა მოსინჯო. შენ თვითონ უნდა დაინახო, როგორიც არის ცხოვრება სინამდვილეში, თორემ სხვისი მითითებული იოლი გზა ვერცერთი მდინარის ფონს ვერ მოგაძებნინებს.

– ბევრიც დაღუპულა დედა, ბედნიერების მაძიებელი ცხოვრებასთან ჭიდილში.

– მერე რა შვილო, სახლში რომ ყოფილიყო მხარ–თეძოზე წამოწოლილი აღარ დაიღუპებოდა? ანდა კიდევ, შენ ხომ საკუთარი ბედნიერების მაძიებელი არა ხარ. შენ ბედნიერება იმას უნდა მოუტანა, ვინც ბოროტი ადამიანის მიერ არის გაუბედურებული, მაგრამ მკვლელი რომ არის ყველაზე საშინელი მხეცი, მასშიდაც ჭეშმარიტება უნდა ეძებო. ჩვენ ადამიანს პასუხს ვერ ვაგებინებთ მოვლენების თავისებურად შეხედულების გამო, მაგრამ თუ მოვლენები არასწორია, ჩვენ იმისი წარმოშობის კერა უნდა ვეძებოთ, რომლებმაც ადამი-

ანებში არასწორი შეხედულებები წარმოშვა.

– თუ ადამიანმა სიკვდილის წინ გიანდერძა – „ჩემს მკვლელს აპატიეო ჩემი სისხლი“, – მაშინ როგორღა უნდა მოვიქცე?

– შენ უფალი ღმერთი არა ხარ, რომ ვინმეს შეცოდება აპატიო, შენი ვალია მართლმსაჯულებას გადასცე ბოროტმოქმედი და სხვა მათ იციან, აპატიებენ თუ არა.

– თუ ეგეც სთქვა: „აქაური დანაშაული შენ შეუნდე და იქაური ღმერთმა იცოდესო“.

– არ ვიცი შვილო, რა დონეზე მომზადებული იყო ის შენი მოანდერძე, რომ წინასწარ გაითვალისწინა ყოველივე, რაც უნდა მომხდარიყო. „ჭკვიანი კაცი ცოტას ლაპარაკობს და ბევრს ამბობს, უჭკუო კი პირიქით, ბევრს ყბედობს და არაფერს ამბობს“. თუ შენ იმ ნათელში მყოფმა გიანდერძა, რომ იმისი მკვლელისთვის მფარველობა გაგეწია,ს ადღაც თვითონ იქნებოდა იმ მკვლელის წინაშე დამნაშავე და შენც ვალდებული ხარ ანდერძი შეასრულო, თუ ეს მარტო შენზეა დამოკიდებული და არა მართლმსაჯულებაზე.

– თუ სხვა ბოროტებაც აქვს ჩადენილი?

– ის სხვასაც ექნება ბოროტება ჩადენილი იმ სხვასთან, თორემ ბოროტებას არ ჩაიდენდა, ბოროტმოქმედებად როდი იბადებიან შვილო, მათ თვითონ ბოროტები ხდიან ბოროტმომქმედებად, იმ ერთმა ნათელფენილმა კი მოასწრო შენთან ანდერძის დაბარება, მაგრამ სხვამ ან არ იკადრა, ან

უბრალოდ თავი არ გაიწბილა შენთან მოსულიყო, ან არ ჯერავდა ბოროტებაზე თუ საზღაურს მოთხოვდნენ და ან კიდევ, რაც ყველა სლენზე უარესია. თავის ძლიერებაში იყო დარწმუნებული და ეგონა ვერავინ ვერაფერს დააკლებდა.

ახლა ადექი და სამძიმარზე წავიდეთ.

– დღეს რომ ორშაბათია?

– შვილმკვდარმა დედამ არ იცის ორშაბათი. არც ის იცის დღეს რა დღეა.

– კარგი, მოვდივარ, – ზვიადმა საჩაქროდ ჩაიცვა სამოქალაქო ტანსაცემლეი, ქუდი დაიხურა და ბარნოვის ქუჩისაკენ მოატრიალა თავისი ავტომანქანის საჭე. ჯერ კიდევ არ იცოდა თუ რა მომხდარიყო, მას ამ ოჯახიდან მხოლოდ შორენა ეგონა კატასტროფაში მოყოლილი და ეგონა შორენას „გოშია“ ღრიალით შეეგებებოდა. მაგრამ განცვიფრებული დარჩა, როდესაც დაინახა ერთ ოთახში სამი დასვენებული მიცვალებული. ეზოში ხალხი რამოდენიმე ადგილას იყო ნაწილ–ნაწილ შექუჩებული. თითქმის ყველას ჩამოუარა ზვიადმა და მიაყურადა ვინ რას ლაპარაკობდა, ზოგი დაიმსახსოვრა, ზოგიც მოსმენის ღირსადაც არ გახადა და პირდაპირ თავის კაბენტში დაბრუნდა, რათა კიდევ ჩანაწერი გაეკეთებინა „საიდუმლო გამოძიებისათვის“.

შემდეგ პროკურორთან შევიდა კაბინეტში, საწერ მაგიდაზე განაცხადება დაუდო და ორკვირიანი უფასო შვებულება სთხოვა:

– რა საჭიროება გაქვს ასეთი? – გაკვირვებული მზერა მიაპყრო პროკურორმა.

– დედა მყავს ცუდად და უნდა ვუმკურნალო, – იცრუა ზვიადაურმა.

– თუ ასეა, ფასიან შვებულებას მოგცემთ მომავალი წლის ანგარიშზე.

– დიდად დამავლებთ ბატონო კაკო!

პროკურორმა განცხადებას ხელი მოაწერა და კადრების განყოფილებას გადაუგზავნა გასაფორმებლად.

გამომძიებელი ზვიადაური კი მეორე დღიდან თავის საიდუმლო „კერძო დეტექტივს“ შეუდგა. გამოძიების შეუმჩნეველ ყველა კვალს შმაგი მგალობლიშვილთან მიჰყავდა და თვითონაც არ დააყოვნა, ერთ საღამოს შმაგი მაგლობლიშვილის ორსართულიან სახლს მიადგა თბილისში, სადაც პირველი სართული ორი ოთახი ჰქონდა დაქირავებული. იმ წელიწადს დიდზე მოთოვა, ქუჩაში ერთი ან ორი ადამიანი თუ გამოჩნდებოდა, ყველა თავის ბუხარს მიჯდომოდა და თავისს ზარუნავს ფიქრობდა. გამონაკლისი არც შმაგი მგალობლიშვილი იყო. ბუხარი ღუღუნებდა, ხარობდა ჭერი, მხოლოდ ამ ოჯახის ერთადერთ წევრსაც, როგორც ყველას, თავისი საფიქრალი ჰქონდა.

კავკასიური ნაგაზის ყეფაზე სახლიდან შმაგიმ გამოიხედა, სტუმრისათვის ვინაობაც არ უკითხავს, „მობრძანდით“ დერეფნიდანვე გამოსძახა მომხდურს.

– დიდთოვლიანობაა, გაუჭირდა მგზავრს და მოგვაკითხა, – გაიფიქრა შმაგიმ.

– სტუმარი ღვთისაა, მობრძანდით ბატონო! გაიმეორა მასპინძელმა და სახლის კარები ფართოდ გააღო. სასტუმრო ოთახისაკენ გაუძღვა სტუმარს, მაგრამ იუარა – ბუხართან დავჯდებიო – განაცხადა.

სახელდახელოდ გაშალეს სუფრა ბუხართან, – ნამგზავრი იქნებაო სტუმარი – და მართლაც მადიანად შეექცა გლეხურ პურ–მარილს ზვიადაური.

– შენს ჭერს გაუმარჯოს, – ოცხანურით სავსე ჭიქა ხელში აიღო ზვიადაურმა, – კარგად მოწყობილხარ.

– უკეთესებიც არის, ბუხარი და საძინებელი ოთახი, ეს არის და ეს. ამასაც თუ მოწყობა ჰქვია, მაშინ მართლა მოწყობილს რაღა ერქმევა?

– არა, რაც არის გემოვნებით არის გაკეთებული.

– მეტი არც მინდა. მარტოხელა კაცს ჯერჯერობით მყოფნის, მერე კი მთავრობა მომცემს ბინას.

– რატომ „მარტოხელა“, ცოლს რად არ შეირთავ?

– იმიტომ, რომ ქალებს აღარ ვენდობი, შეყვარებულმა მიღალატა. იცი რა ბატონო ზვიად, მოდი კუკუდამალაობიანას ნუ ვითამაშებთ, პირდაპირ საქმეზე გადაივდეთ. ამ საღამოს ბატონი გამომძიებელი ჩემთან სავახშმოდ როდი მოვიდოდა, მას ალბათ მასალები აქვს შეგროვილი ჩემს დასაპატიმრებლად, მაგრამ არც დასაპატიმრებლად

არის მოსული, რადგან უიარაღოდ მოვიდა ყოველგვარი დახმარების გარეშე.

– მიცანით?

– თქვენ ჩემს კვალს დასდევდით და მე კი თქვენსას!

– სასწაული ადამიანი ბრძანდებით!

– თვითონ თქვენ გარდამქმენით ასეთად!

– მე თქვენ უნდა დაგაპატიმროთ!

– არა, ცრუობთ, ხომ გითხარით ჩემს დასაპატიმრებლად არა ხართ მეთქი მოსული და თან არც პროკურორის სანქცია გაგაჩნიათ ჩემს დასაპატიმრებლად. თქვენ უბრალოდ მობრძანდით, როგორც „კერძო დეტექტივი“, რომ ჩემ მიერ ჩადენილი სისხლის სამართლის დანაშაულებანი გამაცნოთ, თან საქაღალდეც წამოიღეთ, მთელი რიგი მტკიცებებით სავსე, მაგრამ თქვენი საქაღალდე ხომ სუფთა ფურცლებით არის გამოტენილი?

– რაო?! – შეჰყვირა ზვიადაურმა, – ნუთუ! ეს როგორ!? და საჩქაროდ შეხსნა თასმა საქაღალდეს, მაგრამ როცა საქაღალდე სუფთა ფურცლებით იყო სავსე, თვალები გაუფართოვდა და თავი დამარცხებულად კი არა განადგურებულად სცნო.

ნუ ღელავთ ბატონო ზვიად. მართლმსაჯულებას ჩადენილი დანაშაულისათვის არასოდეს არ დავემალები. ასე სჯობია თუ არ სჯობია, უბრალოდ მე ასე მირჩევნია. ყოველდღე დაპატიმრების მოლოდინს და კანკალს სასჯელის მოხდა ან მისი პატიება ჯობს, რათა სული იყოს თავისუფალი.

– შენ მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებას ვინ გაპატიებს, ისინი კანონით დახვრეტას ითვალისწინებს.

– არც არავის ვთხოვ პატიებას, როდესაც ადამიანი მიზანს აღწევს, თავისი განაღდებული აქვს. მე კი, თუ ღმერთი გწამს, ნუ შემაშინებ შენი დახვრეტით. მე დიდი ხანია შეშინებული ვარ და ახლა შეშინებაზედ მეტად გამოლოცვა მომიხდება, ნუთუ ვერ გაიგე რომ გეუბნები „ჩემი განაღდებული მაქვს და დასაკარგი არაფერი არ გამაჩნია–მეთქი!“

– თუ შენთვის სულ ერთია სიცოცხლე და სიკვდილი, ჩანაწერები რისთვის მოიპარე?

– უბრალოდ, სპორტული ინტერესისათვის. იცოდეთ არც მე მძინავს, რომ ეს ასე არ იყოს და გითხრათ არ მომიპარავს, თქვენი კაბინეტიც არ ვიცი სად არის–მეთქი! – არ დამიჯერებთ?

– მაინც როგორ მოახერხეთ?

– სულ უბრალოდ, ვიცოდი, რომ ჩემზედ თვალთვალი შეწყვიტეთ, ეს კი საქმის დამთავრებას ნიშნავდა. ე. ი. დღეს ან დამიჭერდით, ან პირადად ჩემთან მობრძანდებოდით. ამიტომ გუშინ დედათქვენს ვუმკითხავე, თქვენი საწერი მაგიდის უჯრიდან სეიფის სათადარიგო გასაღები ამოვიღე და... აი თქვენი გასაღები, რას ღელავთ, კი არ მიმითვისებია შე კაცო!... – უთხრა ღიმილით შმაგიმ და ზვიადის გასაღები გაუწოდა.

– პროკურატურაში როგორღა შეაღწიეთ? იქ

ხომ დაცვა დგას და სპეციალური საშვის გარეშე არავის უშვებენ.

– იქ შენი ორეული მომეხმარა და ჩემთვის არავის არ მოუკითხავს არც საშვი და არც შაშვი.

– ე. ი. დედაჩემთან ბოშა ქალის ორეული დაგეხმარათ, პროკურატურაში კი ჩემი, არა?

– დიახ ასეა, შემეძლო დედათქვენსაც თქვენი სახით გამოვცხადებოდი, მაგრამ არ ვიკადრე მთლად დამემცირებინა თქვენი პიროვნება. თქვენი საქაღალდე კი აქა დევს, – შმაგი მეორე ოთახში გავიდა და ქაღალდების შეკვრა გამოიტანა, – აი ინებეთ, უთხრა გამომძიებელს და საქაღალდე გაუწოდა.

– მაგარი ყოფილხართ, მაგრამ თქვენ რომ არ იფიქროთ მცდარად და ფუჭად დავდევდი შენს კვალს, მინდა თვითონ მოგასმენინოთ თქვენ მიერ ჩადენილი ბროტმოქმედებანი და თვითონ თქვენ გაუკეთეთ მას სასჯელის ანალიზი.

– ბრძანეთ, თქვენი ნაწერი იეროგლიფებით არის სავსე, მაინც ვერაფერი გავუგე მას, მაგრამ რაც სასჯელს შეეხება, ეს მე მანამდე ვიცოდი რაც მეკუთვნოდა, სანამ დანაშაულს ჩავიდენდი.

* * *

გამომძიებელმა საქაღალდე გადაშალა, ოდნავ ჩაფიქრდა, შემდეგ ღვინით სავსე ჭიქა აიღო – ყველა ბოროტების წინააღმდეგ მებრძოლს, შუ-

რისმაძიებელს გაუმარჯოსო, – თქვა და დაცალა. ყველის ნაჭერი მიატანა და დაიწყო:

– მაშ ასე, პირველი თქვენი მსხვერპლი რუსთავის კოლონიის უფროსი ჯემალი ცინაძე იყო. თქვენი შურისძიება მის მიმართ საფუძვლიანად არ მიმაჩნია, რამეთუ არასწორი დახასიათების გამო კაცს არ ჰკლავენ...

– ნება მიბოძეთ თითოეულ დანაშაულს დასკვნა გავუკეთო! – ლაპარაკი შეაწყვეტინა შმაგიმ გამომძიებელს.

– უფლებამოსილი ბრძანდებით, თქვენებური დაცვა მხოლოდ იმის შემდეგ შეგიძლიათ გაუკეთოთ დანაშაულს, როდესაც მე იმის მთლიან აღიარებას მოვრჩები, – თქვა გამომძიებელმა და განაგრძო: – თქვენ ერთი უბრალო შეცდომის გამო, ერთი ფარატინა ფურცლის გულისათვის კლავთ ადამიანს. ჯერ კიედვ კოლონიაში ყოფნის დროს გულში ჩაიდევით ბოღმა და სიძულვილი კოლონიის უფროსის მიართ, რომელიც განთავისუფლების შემდეგაც არ გაგინელდათ. განთავისუფლების შემდეგ კარგად შეისწავლეთ ჯემალის სახლის პროექტი, ეზოსა და ბაღის განლაგება, ოჯახის წევრთა რაოდენობა, მათი ხასიათი და ერთ მშვენიერ დღეს ბოშა ქალის ტანსაცმელში გამოწყობილი ჯემალის მეუღლეს ეწვიეთ, ჯერ წყალი მოსთხოვეთ, შემდეგ უმკითხავეთ და როდესაც ყველაფერი სიმართლე უთხარით, (რა თქმა უნდა, რაც წინასწარ ყველაფერი კარგად იცოდით) კინა-

ღამ ჭკუიდან შეშალეთ ქალი. მკითხაობის შემდეგ თქვენ შედიხართ ჯემალის კაბინეტში იმ განზრახვით, თითქოს ჯადო უნდა მოაშოროთ ოჯახს და საწერ მაგიდას უბრალო წყალს ასხურებთ, ხოლო არყის ჭიქაში,ს აიდანაც ჯემალი ყოველ დილით არაყს მიირთმევდა, სტრიქნინის ფხვნილს ჰყრით. თქვენ წინასწარ კარგად იცოდით, რომ სტრიქნინი კარგად იხსნება სპირტში, ძლიერი ტოქსიკური შხამია.

ასტიმულირებს ზურგის ტვინს, რეფლექსურ ფუნქციას, აძლიერებს მოგრძო ტვინისა და მის ზემოთ მდებარე თავის ტვინის ცენტრების აღგზნებადობას, იწვევს ტეტანურ კრუნჩხვებს. ისიც კარგად იცოდით, რომ დილით აწ განსვენებული ჯემალი, იმ ჭიქით არაყს მიირთმევდა, რომელიც თქვენ მოწამლეთ და ყველაფერი თქვენი გეგმის მიხედვით წარიმართებოდა. ასეც მოხდა, მეორე დილით ჯემალიმ არაყი მიირთვა და სამსახურში წავიდა, რამოდენიმე წუთის შემდეგ შხამმა მოქმედება დაიწყო, საავადმყოფოში გადაყვანზე კი უარი განაცხადა და სახლში წამოიყვანეს, სადაც სულ მალე სულიც განუტევა. ჩემს ძიებას, აგერ თან ახლავს საექიმო ექსპერტიზის მტკიცება თქვენ მიერ მოწამლული ჭიქის შესახებ. გენიშნათ რაიმე და ჩემ მიერ ჩატარებული ძიება საეჭვო ხომ არ არის თქვენთვის?

– სრული ჭეშმარიტებაა, ისე მოყევით თითქოს თქვენც ჩემთან ერთად ყოფილიყავით, მაგრამ მე

ხომ შემიძლია უარვყო ყოველგვარი თქვენ მიერ წამოყენებული ფაქტი?

– ვერ უარყოფთ, რადგან თქვენ თუ ჩემი სეიფი გააღეთ, მეც ფარულად გავაღე თქვენი ბინა და კარადაში ბოშა ქალის კაბა აღმოვაჩინე.

– ხახახახა, – გულიანად გაეცინა შმაგის, – ნუთუ არ შეიძლება ჩემს კარადაში ინახებოდეს ბოშა ქალის კაბა? იმ კაბის გვერდით კოსტუმი ეკიდა „პრეზიდენტს“ ეძახიან და კენედის მკვლელობას ხომ არ დამაბრალებთ? არა ზვიად, ეგ ფაქტი არ არის და მაგ ფაქტით თქვენ მე ვერაფერსაც ვერ დამიმტკიცებთ, თუ მე თვითონ არ ვიქნები თქვენთან გულახდილი და არ ვაღიარებ დანაშაულს. დიახ, ყველაფერი ისე მოხდა, როგორც თქვენ ბრძანეთ, მაგრამ რატომ მოხდა? რამ მაიძულა და რამ გამოიწვია მოწამლულობა და არა მკვლელობა? – ასეთ ქმედებაზე შეიძლება აზრის გამოთქმა, მაგრამ საბოლოოდ მისი ახსნა–განმარტება შეუძლებელია ისევე, როგორც შეუძლებელია თვით სიცოცხლის, სიკდვილის ან ცხოვრების ახსნა, იდუმალებით მოცული ბოროტმოქმედება ცხოვრებისათვის ამოუხსნელი და ამოუწურავია.

რატომ ვამბობ ამას? იმიტომ რომ თქვენ ვერ გამიგებთ იმ ჯოჯოხეთის მხარესთან მონობას, რომელსაც ათასობით უდანაშაულო თუ დამნაშავე ბოროტმოქმედი განიცდიდა. მე სანიმუშო მსჯავრდებული ვიყავი ჯემალის დაქვემდებარებულ კოლონიაში. თვით უფროსისაგან მადლობაც

კი მაქვს გამოცხადებული კარგი მუშაობისათვის, მაგრამ საქმე როდესაც ჩემს სიმართლეს შეეხო და ის ფარატინა ფურცელი, რომელიც თქვენ ახსენეთ, ჩემი გადამრჩენი უნდა აღმოჩენილიყო, უცებ გავხდი ცუდი, გამოუსწორებელი ბოროტმოქმედი. თქვენ ბრძანეთ: „არასწორი დახასიათები სგამო ჰკლავთო კაცს“ – ჯერ ერთი არასწორ დახასიათებას მაგიდის თამადას კი არ ვაძლევთ, რომ კარგი ან ცუდი სადღეგრძელო წარმოთქვას, ამ დახასიათებამ ადამიანის ბედი უნდა გადაწყვიტოს. რა თქმა უნდა თქვენ ადვილად გეჩვენებათ ყოველივე, რადგან საპყრობილეში ერთი ღამეც არ გაგითენებიათ, მაგრამ იმ ადამიანისათვის ვინც იწვნია საპყრობილე, ის დახასიათება ფარატინა ფურცელი კი არ იყო, არამედ მოგიზგიზე იმედი და რატომ წავართვით მას ეს მოგიზგიზე იმედი დაუმსახურებლად?

იმ პატიმრებზე რატომ დაწერა ბატონმა ჯემალიმ დადებითი დახასიათებები (შემიძლია ჩამოვთვალო ათასობით) და წარგზავნა გასანათავისუფლებლად ის პირები, რომელთაც ხანგრძლივი სასჯელის მოხდის პერიოდში, ბანქოსა და კამათლის თამაშის მეტი არაფერი გაუკეთებიათ და „ხვანჭკარასავით“ სვამდნენ თავიანთ მოძმეთა სისხლს. და ბოლოს ისმის შეკითხვა: საიდან ჰქონდა ეს უზარმაზარი სიმდიდრე აწ განსვენებულ ჯემალს? პასუხი მხოლოდ ერთადერთია – „ათასტანჯვა გამოვლილ პატიმართა ხარჯზე“. – ჩემი

სტრიქნინი აქ არაფერი შუაში არ არის, ადამიანს თავისივე სიბოროტე უთხრის სამარეს. ყველა ეპოქის კეთილი ადამიანები – ადამიანებში – სიკეთეს აფასებდნენ, კეთილი ადამიანი გონიერიც არის და წინდახედულიც, რომელი სიკეთეც ბატონ ჯემალს სრულებითაც არ გააჩნდა. როგორც ყველა კეთილი ადამიანი, მეც სიკეთეს ვაფასებ ადამიანში, რომელიც ცხოვრებაში თავისთავად არ მოდის, ათასი წინააღმდეგობა უნდა გქონდეს გამოვლილი და გადატანილი, ათას რაიმეზე უნდა გქონდეს გული გატეხილი, თვითონაც ათასი პატარ–პატარა უნებლიე ცოდვა გქონდეს ჩადენილი და ალმისათვის საკუთარ თავთან ანგარიშიც უნდა გქონდეს გასწორებული და ყოველივე ამის შემდეგ თუ სიკეთეს შეინარჩუნებ, მაშინ ხარ კეთილი ადამიანი. როგორც ავღნიშნე, სიკეთე შეინარჩუნებ, მაშინ ხარ კეთილი ადამიანი. როგორც აღვნიშნე, სიკეთე სრულებითაც არ გააჩნდა ბატონ ჯემალს და მხოლოდ ადამიანთა წამებაში ხედავდა ქველმოქმედებას, მაგრამ მე ეს იმდენად არ მეხება, რამდენადაც ჩემს პიროვნებაზე დაწერილი დახასიათება. ის ჩემ მიერ ცოტა თუ ბევრად უნდა გამწარებულიყო, როგორც მე სიგიჟემდე მიმიყვანა იმისმა ცრუ დახასიათებამ, ამიტომ მივეცი სტრიქნინი, რომ მას ისეთივე კრუნჩხვები განეცადა, როგორიც განვიცადე პირადად. მე იმისი სიკვდილი რომ მდომებოდა, არც კალიუმის ციანიდის შოვანა გამიჭირდებოდა, მაგრამ თუ

მან მკურნალობაზე უარი განაცხადა, ეს უფალი ღმერთის ნება ყოფილა და თავისივე თავს დააბრალოს.

– თქვენი პასუხი არ არის დამაკმაყოფილებელი მართლმსაჯულებისათვის, მაგრამ ამ საქმეს მოგაშორებ – თქვა ზვიადაურმა და რამოდენიმე ფურცელი, რომელიც ჯემალი ცინაძის ტრაგიკულ სიკვდილთან იყო დაკავშირებული აგიზგიზებულ ბუხარში შეაგდო. მაგრამ, – განაგრძო მან, – მომავალი თქვენს მიერ ჩადენილი დანაშაული ისევ ბოშა ქალის კაბაში გვევლინება. თქვენ, ყოველ თქვენს გამომძიებელს იროდი წიკლაურს წერეთლის გამზირზე ხვდებით თითქოს შემთხვევით და ქალური სიკეკლუცით უღიმით, ახალგაზრდა კაცმა თქვენთან დროსტარება მოისურვა და სხალში მიგიპატიჟათ, თქვენც ეს გინდოდათ, მაგრამ თავპატიჟი მაინც დაიწყეთ და ბოლო სროგორც იქნა დათანხმდით მორჩილებაზე და თან გააფრთხილეთ, „სქესობრივ კავშირზე არაფერი ეფიქრა“.

წიკლაური ხილითა და არყით გაგიმასპინძლდათ, თან იმ განზრახვით, რომ დაგათრობდათ და ადვილად დაგიმორჩილებდათ, მაგრამ იროდიმ მიზანს ვერ მიაღწია, რადგან ჭიქაში შეუმჩნევლად დასაძინებელი წამალი ჩაუყარეთ, მას მალე დაეძინა და გაუხდელი მიწვა ტახტზე, როდესაც მის ღრმა ძილში დარწმუნდით შპრიცი მოიმარჯვეთ და ბეჭის ძვლის დაბლა ორივე მხარეზე გაუკეთეთ შპრიცში ამოტუმბული – ჰერპესვირუსე-

ბის – ე. ი. კიბოს გამავრცელებელი ბაქტერიების სითხე. ეს სითხე, რა თქმა უნდა, ონკოლოგიურ ლაბორატორიაში მოიპარეთ. როდესაც დარწმუნდით, რომ წიკლაურს ფილტვის ორივე მხარეს დაუზიანეთ, კმაყოფილი ჩაჯექით სავარძელში და დაიძინეთ.

წიკლაური თავის ჩადენილ ბოროტმოქმედებაზე პასუხს მაინც აგებდა მართლმსაჯულების წინაშე, იმისი დაავადება რაღა საჭირო იყო?

– წიკლაური თავის ჩადენილ ბოროტებაზე პასუხს აგებდა კანონის წინაშე, – უპასუხა შმაგიმ, – მაგრამ ჩემს წინაშე ის სიკვდილის შემდეგაც რჩება ვალში, ვინაიდან იმის ნაცვლად, რომ მას ჩემს წინაშე ბოდიში მოეთხოვა ნებით თუ უნებლიეთ ჩემი განწირვისათვის, მან მომძებნა, წარსული არ მაკმარა, მცემა და სიკდვილით დამემუქრა, რადგან ფარდა ავხადეთ მის ავკაცობას. მე სრულებითაც არ მაინტერესებდა მას დაიჭერდნენ თუ არა, ჩემი ერთადერთი მიზანი იყო, ის ავადმყოფობით გამემწარებინა ისე, როგორც მე ვიყავი ჯანმრთელი გამწარებული. გადავწყვიტე მე თუ საწოლს მიმაჯაჭვეს ჯანმრთელი და ზეზე ადგომას მიშლიდნენ, ის ავადმყოფი მიმეჯაჭვა საწოლზე, რომ ნდომებოდა ადგომა და ვერ ამდგარიყო...

– იცი? ის ციხის საავადმყოფოში გარდაიცვალა, – საუბარი შეაწყვეტინა გამომძიებელმა შმაგის.

– „ვაჟკაცო ჩემგან მოკლულო, ღმერთმა გაცხონოს მკვდარია“. ნათელი იყოს მისი, – თქვა შმაგიმ,

ჭიქა ღვინით შეავსო და ცეცხლში შეასხა. – ის არ არის ღირსი ნათელი ვთქვა მასზედ, – განაგრძო მან, – მართალია ვიღაცას უთქვამს: „მიცვალებული მართლა გზაზეა და ყველა კეთილად უნდა მოიგონოვო“, მაგრამ არა მჯერა სამოთხი კარები გაუღონ მას.

– თქვენ იცით ბატონო ზვიად, რომ მე შორენას სიკვდილი დავიბრალე? აი ნახე ჩემი ხელები, დღესაც არ ამომსვლია ირეოდი წიკლაურის მიერ დამძვრალი ფრჩხილები. არა, არა, ვერ დავიჯერებ, რომ ფაშისტები იმდაგვარ ტანჯვაში ამყოფებდნენ საბჭოთა ტყვეებს, რა ტანჯვაც გამატარა მან ძიების დროს სატუსაღოში. სანთებელათი ახურებდა შანთებს და ფეხის გულებში მიყრიდა, ფეხისა და ხელის ფრჩხილებში ასანთის ღერები ჩამირჭო და ისე ახლოს გადატეხა, ამოღება შეუძლებელი ყოფილიყო, თავზე ჯაჭვს მახვევდა და ნელ–ნელა გრიხავდა თავის ქალის გასკდომამდე, მაშიშვლებდა და ბოთლზე მაჯენდა. ბევრჯერ გადავწყვიტე თავის მოკვლა, მაგრამ ვერ მოვახერხე, მის განსაკუთრებით ჰყავდა გაფრთხილებული ზედამხედველი, შემდეგ ვთქვი, რაც უნდა ის დამაბრალოს– მეთქი, რაც დაწერა, უყოყმანოდ მოვაწერე ხელი და სახალხო სასამართლოს წინაშე წარვსდექი. იქ ვთქვი ყველაფერი სიმართლე, მაგრამ არ მომისმინეს! – რატომ? – იმიტომ, რომ სასამართლოც შეცდომაში შეიყვანა,

ან კიდევ სასამართლო კოლეგია იმისი ბოროტი ზრახვების თანამონაწილე იყო.

ბოროტებს ხანდახან ჰგონიათ, სიმშვიდეს ჰპოვებენ ბოროტებაში და ძალაუნებლიედ ივიწყებენ საკუთარ თავს, როცა მოყვასის ტანჯვით ტკბებიან. სინამდვილეში კი ცხოვრებისაკენ მიმავალ უმოკლე სგზას კიდევ უფრო იმოკლებენ, ისე იქცევიან თითქოს მევახშენი იყონ და საჩუქრად იძლეოდნენ სესხს, რათა ამრიგად დახვეწილი თვალთმაქცობით მოიპოვონ გვერდით მდგომი და მფარველი მოყვასის ნდობა.

თქვენ მე მეკითხებით: „რად ჩავიდინე ასეთი სასტიკი დანაშაული“, – მაგრამ მეც მაინტერესებს თუ შეეკითხე მას, რამ განაპირობა ასეთი სისასტიკე იმ ადამიანის მიმართ, როდესაც თავის სიცოცხლეში ჭიანჭველაც არ გაუღვიძებია?

– მართლმსაჯულება ვერც მაგ შეგონებას მიიღებს შენს გასამართლებლად, მაგრამ მე მაგ დანაშაულსაც გიხსნი! – თქვა ზვიადაურმა და კიდევ რამოდენიმე ფურცელი შეუნთო ბუხარს. ცოტახანს ჩაფიქრდა.

– სასჯელის გარეშე მაინც ვერ გადამირჩებიო, – თქვა ბოლოს და საქაღალდედან ახალი ფურცელი ამოიღო.

– აი აქ კი ახალგაზრდა გოგონას როლი გაგითამაშებია, ჯინსის შარვალში გამოწყობილს, ფართო შავი სათვალე გიფარავდათ ბოროტებით მრისხანე თვალებს. სამსახურიდან მომავალი გიორგი

ჩიქოვანი გააჩერეთ, ღმერთმა ლუკმა არგუნა და განა უარს იტყოდა ახალგაზრდა კაცი ლამაზი ქალიშვილის ალერსზედ? თქვენ ზრდილობა მოიხმარეთ, უკანა სავარძელზე მოკალათდით.

– საით მიიჩქარით ლამაზო? – ქათინაურით მოგმართათ მან და თან სარკე გაასწორა, რომ შენი სილამაზით დამტკბარიყო.

შენ კი გოგონას ხავედრდოვანი ხმა არ დაზოგე და შესაბრალისი სიცრუით გული აუჩუყეთ ყოფილ შენს ვექილს:

– დედიკო მყავს უკანასკნელ დღეში და დუშეთში უნდა ავიდე აუცილებლად! – მიუგე შენ.

– ოო, დუშეთში? რა იქნება საზღაური?

– რამდენსაც მიბრძანეთბ, მხოლოდ პატივი დამდეთ და ვალში არ დაგრჩებით.

– ვინა ხარ მაინც მითხარი, რა რჯულისა ხარ და შეიძლება შენთან ერთად ქვეყნის დასასრულამდე ვიარო.

– ნათია ვარ ბახტუროული, სამედიცინოზე ვსწავლობ, მესამე კურსზე ვარ მხოლოდ.

– კარგი წაგიყვან, დაგთანხმდა ის...

თუმცა უმჯობესია თვით გიორგი ჩიქოვანს მოვუსმინოთ, – თქვა ზვიადმა და საქაღალდედან ახალი ფურცელი გამოიღო:

– უსაქმურობით გადაღლილები საღამოს გვიან დავიშალეთ, – დაიწყო ჩიქოვანის ჩვენების კითხვა ზვიადაურმა, – თხილნარის ქუჩით წამოვედი. არსენას ქუჩაზე, სანამ რუსთაველი-

საკენ ჩავუხვევდი ჯინსებში გამოწყობილი გოგონა გადამიდგა წინ, დიდრონი შავი სათვალე ყვრიმლებამდის უფარავდა სახეს, ჩალისფერი თმა უხვად ეყარა მხრებზე და ლერწამივით ტანად გოგონას გულგრილად ვერავინ ჩაუვლიდა გვერდს, რომ თვალი არ შეევლო და იმისი სილამაზით არ დამტკბარიყო. ეს მშვენება და მთელი ქალაქის სილამაზე ახლა მე მიქნევდა ხელს და ავტომანქანის გაჩერებას მთხოვდა. არც დავფიქრებულვარ, უყოყმანოდ დავამუხრუჭე. ის მოვიდა, კარები დაუკითხავად გააღო, სალამი მომცა ისეთი თბილი ხავერდოვანი ხმით, რომ დღესაც მენატრება მსგავსი ხმის გაგონება. უკან სავარძელზე დაჯდა, მე სარკე გავასწორე, რომ იმისი მშვენება არ დამეკარგა და სილამაზით დავმტკბარიყავი. მან ეს შენიშნა, როგორც ჩანს გამოცდილი იყო მსგავს შემთხვევას და ქალური სიკეკლუცით შეიშმუშნა.

– საით გაგიწევია, ლამაზო? – შევეკითხე მე ცოტა დუმილის შემდეგ, სანამ რუსთაველის პროსპექტზე ჩავიდოდი და ავტომანქანას მარჯვნივ შემოვაბრუნებდი: – დუშეთში მივდივარ, დედა ყოფილა უკანასკნელ დღეში და მინდა ავუსწრო ცოცხალს, – თქვა, სათვალე მოიხსნა და ცრემლიანი თვალები ნაქარგი ცხვირსახოცით ამოიწმინდა.

– ო, დუშეთში? – გავაზვიადე მე – ჩემი მანქანა ხომ ტაქსი არაა, რომ გადამეღობე წინ?

– მაპატიეთ, ძალიან ვჩქარობ, რადგან ასეა ტაქსის გაჩერებაზე მიმიყვანეთ.

– მეტი საქმე არა მაქვს მე ქუჩის გოგონები ვასიერნო დედაქალაქში, – მკვახედ, თან გამომწვევად ვუთხარი მე.

– რა უგულო ყოფილხარ ახალგაზრდა კაცი, მე ის არა ვარ, რომლებიც შენ ქუჩის გოგონებად მიგაჩნია, ბოდიში მოიხადე და გააჩერე ავტომანქანა, მე ჩავდივარ, – ცოტა კი არა და სერიოზული ნაწყენობა ვერ დაფარა ქალიშვილმა.

– ბოდიშს ვიხდი თქვენს სილამაზესთან, მაგრამ აბა ვინა ხართ? – ღიმილით შევეკითხე მე, რომ იმისი ნაწყენობა გამებითურებია.

– მე ნათია მქვია, ბახტუროული ვარ გვარად, ვსწავლობ სამედიცინო ინსტიტუტში. აი ჩემი სტუდბილეთიც, – მითხრა გოგონამ და ჩანთაში ქექვა დაიწყო.

– არ გინდა, მჯერა, ახლა კი ნამდვილად მოგიხდით ბოდიშს.

– გააჩერეთ, აქ ტაქსს დაველოდები!

– არა, მე წაგიყვან, მხოლოდ რა იქნება საზღაური?

– თან ფული არა მაქვს, სახლში კი მოგართმევთ რამდენსაც ინებებთ.

– უკვე ღამდება და არ გეშინიათ ერთ მამაკაცთან მგზავრობის?

– მე მგონია ადამიანთან მქავს საქმე და არავის ცოდვაში ჩაიდგამთ ფეხს?

– რომ გავმხეცდე და ჩავიდგა ცოდვაში ფეხი?

– გააჩერეთ, მე თქვენთან ვერ ვიმგზავრებ! – შემომიყვირა მან. მე კი სიჩქარეს მოვუმატე და ისევ ღიმილით ვუთხარი:

– გაგეხუმრე, ნუ მიწყენ, ამხელა გზაზე მომდურებულებივით ხომ არ ვიყოთ?

ქალიშვილს არაფერი უპასუხსია. სიწყნარე ჩამოვარდა. ჩამობინდდა კიდეც, რომ უხერხულობიდან გამოვსულიყავით მყუდროება ისევ მე დავარღვიე:

– რით არის თქვენი დედა ავად?

– გული აწუხებს. ნეტავი ცოცხალს მივუსწრებდე და მეტი არაფერი მინდა. თუ შეიძლება ვიჩქაროთ რა?

– მე სიჩქარეს მოვუკელი, იმის დედა სრულებითაც არ მენაღვლებოდა, კიდევ მეტად ველოდებოდი დაღამებას. იქ სადაც გზა იყოფა დუშეთისაკენ და ჟინვალისაკენ მიმავალი. დუშეთის გზას თვალი მოვარიდე და მთელი სიჩქარით ჟინვალისაკენ გავუტიე.

– სად მიდიხარ! – შემომკივლა ქალიშვილმა!

– კარგი ახლა, შენ არ დამიწყო, გადავიდეთ, გასამრჯელოს ავიღებ, – ვუთხარი ღიმილით და მანქანა ტყისაკენ შეუხვიე.

– არ დამღუპო მხეცო, ქალიშვილი ვარ!

– გითხარი არ დამიწყო–მეთქი, არც მე ვარ ძროხის შვილი. – ვუთხარი და ავტომანქანა გავაჩერე.

ის ელვის სისწრაფით გადმოხტა მანქანიდან და

გაქცევა დააპირა, მაგრამ დავეწიე და თმაში წავავლე ხელი.

ვაი? ეს რა უბედურება მოხდა. მე რომ მინდოდა გული ალესის გამეძღო სილამაზესთან, ის წამი ჯოჯოხეთად იქცა, თმა ხელში შემრჩა და ჩემ წინ თავტიტველი არსება იდგა, რომელსაც ურჩხულის თუ დევის კბილები საშინელებად სახავდა და ჯოჯოხეთური ხარხარა მიდამოს აყრუებდა.თ ვითონ თქვენ წარმოიდგინეთ, როდესაც ანგელოზთან ალერსი გწადია და ის წამში ქაჯად იქცევა, რა ჭკუაზე დადგები ამ შუაღამისას უღრან ტყეში?

ვერაფერიც ვერ გავიგე რა მოხდა, გაოგნებული შიშმა ამიტანა და კანკალი დამაწყებინა, ახლა თვითონ მე ვეხვეწებოდი „ქაჯს“ გავეუპატიურებინე, მხოლოდ არ მოვეკალი, მაგრამ ქაჯმა თავისი პატარა ჩანთიდან რევოლვერი ამოიღო და ხარხარით ჩემს შუბლს დაუმიზნა. მინდოდა რომ მეთქვა „ნუ მომკლავ–თქო“ და მუხლებზე დავცემულიყავი მის სათაყვანებლად, მაგრამ სიტყვა ვერ მოვახერხე, მუხლებზე დაცემულს ხორხიდან განწირული ადამიანის ხრიალი ამომდიოდა. დიდხანს მიმიზნა რევოლვერი და მეც მანამდე ველოდი სროლის ხმის გაგონებას, სანამ არ ჩავიშარდე და მოვისაქმე კიდეც. როდესაც „ქაჯი“ ჩემს უძლურებაში დარწმუნდა რევორველი ჩანთაში შეინახა და იქიდან ბორკილები ამოიღო, ხელები ზურგს უკან დამიბორკილა და ურჩხულის მგრგვინავი ხმით მიბრძანა: ავტომანქანის უკანა სალონში დავგდებულიყავი.

– გადავრჩი – გავიფიქრე და მყისვე შევასრულე იმისი ბრძანება. საჭეს თვითონ მიუჯდა და მართლაც ქაჯური სისწრაფით და ეშმაკური ცოდნა–გამოცდილებით ისე თავისუფლად მართავდა, შემეხარბა კიდეც.

რომელიღაც გზაჯვარედინზე გააჩერა, ჩანთიდან რაღაც ვარდისფერი აბი ამოიღო, პირში ჩამიდვა და მიბრძანა გადამეყლაპა, მონუსხულივით შევასრულე იმის ბრძანება,თ უმცა ვიცოდი, რომ ჩემდასასარგებლოდ და სამკურნალოდ არ იყო განკუთვნილი ეს წამალი. მალე მკვდარივით ჩამეძინა, როდესაც გამოვიღვიძე დილა იყო ბურუსიანი, ცოტას ჟინჟღლავდა კიდეც. ჩემი ავტომანქანა შუაგულ ტყეში იყო დაყენებული, რა გზით მოვხვდი აქ აზრზედაც არ ვიყავი, მაგრამ არაფერს დავეძებდი, მადლობა ღმერთს ცოცხალი ვიყავი. ჩემს წინ ავტომანქანის საჭესთან ქაჯს ეძინა და მე შიშით ვერ ვინძრეოდი, რომ არ გამოღვიძებოდა. ხელები დამბუჟებოდა და ბორკილები სულის შემხუთავად მიჭერდა. ჩემდა უნებლიედ ამოვიკვნესე, ქაჯს გამოეღვიძა და გადმომხედა. ახლა მეტად საშიში ჩანდა,ფართო თვალები ჩასისხლიანებოდა, ორი ცალი ღოჯი ცხვირის ნესტოებამდის სწვდებოდა, ნიკაპზე კი ათიოდე თმის ღერი უქანავებდა.

– გეშინია?! – ღრეჭვითა და მგრგვინავი ხმით შემეკითხა ქაჯი. მე პასუხი არ გამიცია. ალბათ ვერ შევძელი პასუხის გაცემა, ის კი განაგრძობდა: –

ასეა, ყველა ადამიანი კრთის სიკვდილის წინაშე. შენ ძლევამოსილ ქაჯად თვლიდა საკუთარ თავს და ვერც კი წარმოგედიგინა, რომ შეიძლებოდა სხვა შენზედ უარესი ყოფილიყო. ახლა გადმოდი ავტომანქანიდან, ფეხით გვაქვს სამგზავრო, მოწყენით კი არ მოიწყენ ზღაპრულ ბუნებაში გატარებ და საქაჯეთში მიგიყვან.

ავტომანქანიდან ანგარიშმიუცემლად გადმოვედი. ქაჯმა ავტომანქანის კარებები ჩაკეტა და მიბრძანა ბილიკს დავდგომოდი. მას ხელში რევოლველი ეჭირა და ლულით გზას მიჩვენებდა. ერთი თვალის შევლებით შევამჩნიე, რომ ეს სათამაშო რევოლვერი იყო და არა ნამდვილი, მაგრამ მაინც მეშინოდა, ეს ხომ ქაჯი იყო და მის ხელში შეიძლება ჩექმასაც გაესროლა ტყვია.

თითქმის სამი საათი ვიარეთ კლდე–ღრეში. ქაჯს კიდევ რომ გავეშვი, მაინც ვერსად წავიდოდი და მონუსხულივით მივყვებოდი მას, ბედდამორჩილებული. ბევრი ხეტიალის შემდეგ, პატარა მდინარის პირას, ერთ გამოქვაბულში შევედით. გამოქვაბული ხის მორებით იყო დატიხრული და ოთახებად დაყოფილი. ეტყობოდა აქ ადამიანის ხელს ეზრუნა მოხერხებული თავშესაფრის გასაკეთებლად. ქაჯმა ერთ–ერთ ოთახში შემიყვანა, ბორკილები შემხსნა და თვითონ მეზობელ ოთახში გავიდა. აქ მართლაც საქაჯეთი აღმოჩნდა. მეზობელი ოთახიდან ხან ხარხარი მოისმოდა, ხან ტირილი, ხან შეკივლება და ხანდისხან სიცილი.

გარკვევით ისმოდა ქალების წყნარი ხავერდოვანი ხმა და კაცების როხროხი.

დაახლოებით ერთი საათის შემდეგ ჩემს სადგომში მოხუცი ქალი ქაჯი შემოვიდა – გეშიება ნამგზავრი ხარო – მითხრა და ფიცარზე გაშხვარული ოთხად გაჭრილი გველი შემომიტანა, მე შიშით კედელს მივაწყდი, მან კი კარი გაიხურა და გავიდა.

ნახევარი საათის შემდეგ ისევ ის ქალი შემოვიდა და როდესაც ჩემი კერძი ხელუხლებელი დაინახა, ვიღაცას მიკნავლებული ხმით გასძახა:

– „მამაო ქაჯო და ჯადოქარო, ეს ჩვენებურ საჭმელს არ ჭამს“.

– თუ არა ჭამს ისე იყოს! თითქმის ჩემს ყურებთან დაიგრგვინა მთელმა გამოქვაბულმა.

– „ეს ალბათ უჩინარი ჯადოქარია“, – გავიფიქრე ჩემთვის და მთლად ავკანკალდი.

სწორედ აქედან დაიწყო ჩემი ტანჯვა, დედაბერი მომიახლოვდა, მხარზე ხელი დამადო და თითქოს მიწაში ჩამიტანა, ჯირკზე დამსვა, შემდეგ მეორე ჯირკი ძლივსძვლივობით მოაგორა და გვერდით მომიჯდა.

– ჩემმა შვილმა გამოგიტყუა? რა ჰნას ქალია, მაგრამ ნადირობს, – ჩიფჩიფით მითხრა დედაბერმა, რომელსაც მარტო ჩასისხლიანებულ–ჩანაოჭებული თვალები უჩანდა და სახე კი რაღაც არაამქვეყნიური ქსოვილით ჰქონდა შებურვილი. მე დედაბერისათვის პასუხი არ მიმიცია, სადღაც თავს დამნაშავედ ვგრძნობდი და თავის მართლებას გა-

ჩუმება ვარჩიე. ის კი ჩიფჩიფით განაგრძობდა: – ნუ გეშინია ეშმაკის მოდგმავ, ჩვენს მამა ჯადოქარს მოველაპარაკები და იქნებ გიშველო, სიცოცხლეს შეგინარჩუნებ, მეტი კი რა არის შენთვის საჭირო? ისე ჩვენში დარჩეს და ნამეტანი ცუდი ენა კი გაქვს, საქებარს ლანძღავ, სალანძღავს აქებ, ამას კი ჩვენში არავინ არ იკადრებს. შენ ვექილი ხარ, დამცველი პატიმართა და სიმართლეს უნდა ემსახურებოდე, სული ნაადრევად გაქვს ჩვენზედ მოყიდული და ხომ არ აჯობებდა ჩვენთან დარჩენილიყავი? ჯადოქრობის შესწავლა აღარ გჭირდება, შენ საკმარისად გაქვს შესწალვილი ხალხის მოტყუება და ცთუნება, სახის შეცვლა და ორპირობაც კარგად გეხერხება, რაც ჩვენც კი გვეხარბება შენში. ჩვენი გზები ურთიერთსაპირისპირო შედეგთა სათავეა, ხალხი თავის ავლადიდებას მსხვერპლად სწირავს უხილავ ძალას, შენ კი შემთხვევა მოგეცა ყოველგვარი მსხვერპლის შეწირვის გარეშე პირადად გეხილა ჩვენი შესაძლებლობები. როგორც ვხედავთ შენთვის საკმარისი არ არის ის ურიცხვი ნაკლი, რომელიც გაგაჩნია, დღეიდან კი ჩვენთან ყოფნით შენ შეგიძლია გაამდიდრო შენი ბოროტების საუნჯე ათასგვარი უცნაურობით, რომელსაც იმედი მაქვს შეისისხლხორცებ და თანდათან ბუნებრივ ნაკლად გექცევა, რომლისაგანც თავის დაღწევა თქვენს ნებაზე აღარ იქნება დამოკიდებული. თუ მიგვატოვებ და წახვალ მონუსხულს გაგიშვებთ, რათა შენ ვეღარ შესძლო ადვოკატობა

და დედაქალაქში მაიმუნობას დაიწყებ, რათა შენ წაგერთმევა ენა.

– რა გინდათ ჩემგან! – ძლივს ამოვილუღლუღე მე.

– შენი დათრგუნვა, რომ მეტი უბედურება აღარ მოუტანო ხალხს. ვცდილობდით შენს გაადამიანებას, მაგრამ არაფერი გამოგვივიდა, დღეს კი კანკალებ იმის შიშით, რომ ბოროტება არ წაგართვან, გგონია, რომ ქედუხრელად ეგებები განსაცდელს, სინამდვილეში კი თვალს ვერ უსწორებ სევდამოსილობას და ეს ქედუხრელობა კი არ გახლავთ, არამედ დათრგუნვილობა. ყველა მხდალი ასე ნებდება მტერს, რადგან არ შესწევთ უნარი ბრძოლისა და შიშით აკანკალებულნი თავდაცვას ვერ ბედავენ. წარსულში კი არა შენ გუშინაც თავი უძლეველი გეგონა. ფული გაქვს და მართლმასჯულებას ემსახურები, გეგონა ვის შეეძლო შენი დამარცხება და უმწიკვლო გოგონასაც კი წაეპოტინე დასაღუპავად, რადგან გწამდა, რომ ის შენთან ვერ გაიმარჯვებდა და კიდევ ერთი ხასა შეემატებოდა დედაქალაქს. იმის ადგილზე ქაჯი რომ არ აღმოჩენილიყო, შენ ხომ დაღუპავდი ნებისმიერ ადამის მოდგმას?

ახლა სასამართლო პროცესებსაც გადავავლოთ თვალი და თვითონ დაინახავ შენი კალმითა და ენით რამდენი დაღუპულა, სინამდვილეში კი მათ შენგან გადარჩენის იმედი ჰქონდათ.

ჩვენ, ქაჯები ვართ ეშმაკის მოდგმისანი, შენ კი

კეთილი ადამის მოდგმისა, მაგრამ განსხვავებას ჩვენს შორის კი ვერ ვხედავ, ერთი სულისკვეთებით ვემსახურებით და ერთი ბოროტებით ვებრძვით სიკეთეს. შენ ახლა მზად ხარ მოინანიო ცოდვები და ფიცს მომცემ დღეიდან კეთილსინდისიერად ემსახურო ხალს, მაგრამ უცოდველი რომ აქედან გაგიშვათ, მალე დაივიწყებ შენს ფიცს და მეტი მონდომებით მოუვლენ სატანჯველს ისედაც ტანჯულ შენს მოძმეთ, რადგან იფიქრებ უკიდურეს შემთხვევაში კვლავ შეგინდობენ შეცოდებას.

დედაბერი ჩაფიქრდა, თავი მოიქექა, თმიდან მკბენარი, ტკიპა თუ ტილი ჩამოიყვანა, ცოტა ხანს დააცქერდა და შემდეგ უბეში ჩაისვა. მე შემომხედა.

– შენ არაფერს იტყვი? – მითხრა ისევ ჩიფჩიფით, რადგან მე ხმას არ ვიღებდი, გალახულივით წელი ძლივს აითრია, გაჭირვებით წამოდგა ზეზე და თავისთვის თუ ჩემს გასაგონად თქვა: – რადგან საუზმეზე უარი განაცხადე გავიტან უკან ჩემს ლარნაკს! შენ კი აი ეს აბი გადაყლაპე და მშვიდად დაიძინე. სწორედ ისეთივე აბი მომაწოდა ბებერმა ქაჯმა, როგორიც ახალგაზრდამ, მეც უყოყმანოდ გავუღე პირი, რადგან უკვე ვიცოდი იმის ზემოქმედებას ჩემს ორგანიზმზე. როდესაც დედაბერი დარწმუნდა აბიგადაყლაპული მქონდა, ფიცრის ნაჭერს, რომელზედაც ოთხად გაჭრილი გველი იყო გაშხვართული ხელი წამოავლო და კარები წყნარად გაიხურა. არ ვიცი რამდენ ხანს მეძინა,

როდესაც გამომეღვიძა პირი რაღაც გაუგებარი ლორწოვანი სითხით მქონდა სავსე, ჩემს „ოთახს“ ჭრაქის მკრთალი შუქი ანათებდა. პირიდან სითხე გადმოვღვარე და ღმერთო ჩემო – სისხლი – სადაც სითხე გადმოვღვარე, ახლა შევნიშნე, იქვე ჩემი საკუთარი ენა ეგდო მიწის იატაკზე. საშინლად დავიღრიალე, რაც ჩემი ხორხიდან მხოლოდ ჰაერის ნაკადის ქშუტუნად ამოვიდა. ჩემს ხავილზედ ამჟამად ახალგაზრდა ქაჯი შემოვიდა, მასაც დედაბერივით სახე შებურვილი ჰონდა და მხოლოდ ჩასისხლიანებული თვალები უჩანად:

– რას ხრიალებ? – დაიგრგვინა ახალგაზრდა ქაჯმა და არაადამიანური ძალით პირი დამაღებინა, ხახაში ჩამხედა, შემდეგ შიგ ბამბაში დასველებული რაღაც მწველი ხსნარი ამომისვა და პირში ჩამაფურთხა:

– ესეც თუ პირია! – თქვა გრგვინვით და კარები გაიხურა. ასე გაგრძელდა რამოდენიმე დღე ჩემი მკურნალობა, დღეში რამოდენიმეჯერ ერთი და იგივე მეორდებოდა. ბოლოს, როდესაც სისხლის დენა შეწყდა და ჭრილობამ მოშუშება დაიწყო, ახალგაზრდა ქაჯმა მიბრძანა გავყოლოდი, მეც უსიტყვოდ დავემორჩილე იმისი ბრძანებას, რადგან უარესს აღარაფერს მოველოდი.

დუსუსტებული ვიყავი და ამჟამად ხუთ საათს მოვუნდით კლდე–ღრეში ხეტიალს, ბოლოს ჩემი ავტომანქანა დავინახე და გრძნობაც დავკარგე. ახალგაზრდა ქაჯმა მალე მომასულიერა და უკან

სალონში დამაწვინა სავარძელზე, სადაც დაწოლისთანავე ჩამეძინა.

როგორ გამოვიღვიძე, დავინახე ჩემი ავტომანქანა უმაღლესი სასამართლოს ეზოში იდგა ნაცნობებითა და უცნობებით გარშემორტყმული. ერთ–ერთ ჩემს კოლეგას პირი დავუღე და ვაგრძნობინე სასწრაფო სამედიცინო დახმარებისათვის დაერეკათ. თხოვნა მყისვე შემისრულეს და სასწრაფო დახმარების ავტომანქანაც მალე მოვიდა. როდესაც ასეთივე ჩვენება დავწერე სამედიცინო სამკურნალო ისტორიაში ჩასაკრავად, ფსიქიატრუილ საავადმყოფოში გამაგზავნეს სამკურნალოდ. ახლა ჯანმრთელად ვგრძნობ თავს, თუ ამას ჯანმრთელობა ჰქვია, ახალგაზრდა კაცა, რომელმაც კარიერასთან ერთად დავკარგე ყოველივე მამაკაცური რაც გამაჩნდა. ღირსიც ვარ და თუ გამოძიებამ ოდესმე მიაკვლიოს იმ საქაჯეთს, სადაც მე ესოდენ დიდი ტრავმა და ტანჯვა განვიცადე, გთხოვთ აპატიოთ ახალგაზრდა ქაჯს ჩემზედ მოყენებული ტრავმა, თუ ის ადამიანი აღმოჩნდება და არა მართლა ქაჯი.

– ჩენება ხელმოწერილია, – დაასრულა ზვიადაურმა კითხვა და ფურცლებში ხელში შეათამაშა.

– არც კომენტარს არ საჭიროებს, – სიტყვა ჩამოართვა გამომძიებელს შმაგიმ. – აქ ყველაფერი ზუსტად დაუწერია ადვოკატს, მხოლოდ ერთი კი გამორჩენია ან არ უსურვებია გამჟღავნება.

– სახელდობრ რა?

– მე ის დავასაჭურისე!

ზვიადაურს თვალები გაუფართოვდა და ოთხაში სიწყნარე ჩამოწვა, მხოლოდ ცეცხლის ტკაცუნი ისმოდა ბუხრიდან. ზვიადაური შესცქეროდა ბავშვური აღნაგობის მგალობლიშვილს და ვერ დაეჯერებინა, ნუთუ ამის ორგანიზმში იყო ამხელა ძალა, რაც მარტოდ მარტომ მოიმოქმედა?! ფიქრებს რომ არ გაეტაცან, უმჯობესად ჩათვალა საუბარს დაბრუნებოდა და შმაგის ჰკითხა:

– ყოველივე ეს მარტომ მოიმოქმედე?

– „გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო“, – არის ქართული ანდაზა, მეც გაჭირვებამ მარტოდმარტო შემაძლებინა ყოველივე და ალბათ უარესზედაც არ დავიხევდი უკან!

– არ შეგეცოდა როდესაც ამას სჩადიოდი?

– მას ვეცოდებოდი, როდესაც ციხისაკენ მგზავნიდა?

– არ დაგესაჭურისებინა მაინც, შეგებრალებინა!

– მან მე შემიბრალა, როდესაც დედა მომაკვდავი მყავდა და ჩემში ქალწულს ხედავდა? ასე რომ არ გამეკეთებინა, ის უკვე გორილადქცეული ბევრ ახალგაზრდა უმწიკვლო გოგონას გააბოროტებდა.

– იქნებ იმ ერთჯერ შეცდა, ადამიანს შეცდომა არ უნდა აპატიო?

– მე არავინ არ მაპატია, თუ ვნება ვერ დაიოკა

თავის თავს დააბრალოს, მითუმეტეს მართლმსაჯულების მსახურს უნდა სცოდნოდა, რომ ყველაზე ბრიყვული შეცდომების მიზეზი ვნებათა ღელვის აყოლა გახლავთ.

– ეს რომელ გამოქვაბულში გყავდა ჩიქოვანი, რომელიც „სიგიჟის“ დროს ააშენე ბედნიერებით მთვრალებისათვის გამოსაფხიზლებლად?

– დიახ, იქ მყავდა, თუმცა ხომ შემიძლია უარვყო ყოველივე, რადგან დაზარალებულსაც ჰგონია, რომ ავსულებთან ჰქონდა საქმე?

– რა თქმა უნდა, შეგიძლია, მაგრამ ეს ხომ ჩვენს საუბარს ეხება და არა მართლმსაჯულებას, მიუხედავად იმისა, რომ დაზარალებულმა „ახალგაზრდა ქაჯს“ აპატია დანაშაული.

– მე არაკაცისაგან არაფერი მაქვს საპატიებელი, მე იმისგან არც სასჯელს მივიღებ და არც მოწყალებას.

– მხოლოდ შენ ერთი ლაპარაკობდი სხვადასხვა ხმაზე?

– დიახ, ეს მე შემიძლია! – თქვა შმაგიმ და ერთი ისეთი დაიგრგვინა ოთახში ჭაღმა დაიწყო ძიგძიგი.

– ო, გაჩერდი თუ ღმერთი გწამს, მე ამ ბუხართან შემეშინდა უკვე და ის ტყეში გადაირეოდა. აბა რა დაემართბეოდა? ბოროტმოქმედება არცერთი არ არის სასაცილო, მაგრამ ეს ნამდვილად გაუგონარია და სასაცილოც, კაცი ნეტარების წამს ელოდა, რომელიც მთელ მარადისობაში უნდა გადაზრდი-

ლიყო და ამ დროს სანეტარო ასულის მაგივრად მის წინ ქაჯი აღიმართება, ეს დევის თუ ურჩხულის კბილები სად გქონდა მაინც?

– ყველაფრამდის მომზადებული წავედი, ვიცოდი ის არაკაცი მცდარ ნაბიჯს გადადგამდა და ჩასასმელი კბილებიც თან წავიღე.

– გულახდილად ნაღიარები ბოროტმოქმედება აბათილებს ან ამსუბუქებს სასჯელს ! – თქვა ზვიადაურმა, რამდენიმე ფურცელი ხელში შეათამაშა და აგიზგიზებულ ბუხარში შეუძახა.

* * *

ზვიადაურმა საქაღალიდან საკინძით შეკრული კიდევ რამდენიმე ფურცელი გამოიღო და ხმამაღლა წამოიძახა:

– ო, ეს არცთუ დიდი ხნის წინათ მომხდარი ბოროტმოქმედებაა. ამჟამად თქვენს ანკესზედ თქვენი ყოფილი მოსამართლე არჩილ არაბული იმყოფება, სრულებითაც არ გაგჭირვებიათ დაგედგინა იმისი სახლი და შეგესწავლათ ბიოგრაფია. ვერ იქნა და ვერ მოიხელთეთ თვითონ არჩილი, იმისი დროსტარებას გადაყოლილი ვაჟი კი სრულებითაც არ გაინტერესებდათ. და აი დადგა ხელსაყრელი დრო, არაბულების მთელი ოჯახი წყნეთში მიდიან დასასვენებლად და შენც მათ კვალს მიყვები. იქ ისევ ისე ბოშა ქალის ტანსაცმელში გვევლინები. ხან მარჩიელობ, ხან კიდევ საღეჭ რეზინასა

და შაქრის მამლებს ყიდი. გინდათ დაუახლოვდეთ არაბულების ოჯახს, რომ რაიმე მზაკვრობა ჩაიდინოთ, მაგრამ ვერ ახერხებთ, რადგან არჩილის ვაჟმა – გიორგიმ თვალი დაგადგათ და სასიყვარულო რომანი დაიწყო, რა თქმა უნდა თქვენ ამ წინადადებას გაექეცით, მაგრამ გიორგიმ იწყინა ვიღაც ბოშა გომბიოსაგან სქესობრივ კავშირზე უარის თქმა და ინტერესი გაუცხოველდა. დაიწყო მუქარა, შეშინებები და სხვა, მაგრამ შენ, როგორი შებერტყილი „ბოშა გოგონა“ იყავი, ვიღაც დროს ტარება გადაყოლილ, დღენიადაგ მთვრალ ახალგაზრდას შეშინებოდი? ერთ საღამოს, როდესაც გიორგი ახლად გაცნობილ ძმაბიჭებში ქეიფობდა, შენ ამჟამად უკვე ბიჭურად ჩაიცვი სპორტული „ადიდასები“ და სანადიმო სუფრიდან იმის გამოსვლას დაელოდე. მართალია ლოდინმა დიდხანს მოგიწიათ, მაგრამ ეს არად ჩათვალეთ და შუაღამე გადასული იყო, როდესაც საკმაოდ მთვრალ გიორგის უკან გამოყევით. ერთ–ერთ ბნელ ქუჩაზე შენი მქუხარე ბარიტონით შესძახე გაჩერებულიყო და თავი დაეცვა, მან გაქცევა დააპირა, მაგრამ შენ წამოეწიე და სასტიკად სცემე, რის შედეგადაც ჩაემტვრა ექვსი კბილი და გაუტყდა ყბის ორივე ძვალი. რამოდენიმე დღე გიორგი ქუჩაში აღარ გამოჩენილა და შენც თავისუფლად ჰყიდდი შაქრის მამლებს, რომელსაც თვითონ ამზადებდით.

ასე გავიდა დღეები და დადგა არაბულების გამ-

გზავრების დროც. არჩილ არაბულმა, თავისი საკუთარი ავტომანქანით ამოაკითხა ცოლ–შვილს სახლში წასაყვანად, შენც მყისვე გაჩნდი იქ, სადაც საჭირო იყავი და სანამ ქალები საკუთარ ნივთებს ალაგებდნენ, შენ დრო იხელთე და მუხრუჭის რეზინები გადაჭერი, მაგრამ სად იყო და სად არა, ავტომანქანასთან გიორგიმ დაგინახათ. ადრე შენზედ განაწყენებულმა ქურდობა დაგწამათ და კარგა გვარიანადაც გაგთელათ, თქვენ ხელის შებრუნება არ შეგეძლოთ, რადგან ნიღაბი ჩამოეხსნებოდა შენს ბოშურ ტანსაცმელს და ყველაფერი ვაჟკაცურად მოითმინეთ, შემდეგ კი, როდესაც თქვენი ცემით გული იჯერეს, შენ წელი ძლივს აითრიე და წყევლა–კრუვლით გაცილდი იქაურობას. მაგრამ შორს როდი წახვედით, გაინტერესებდათ საჭესთან თუ ვინ დაჯდებოდა, რადგან გიორგი გიჟურად ატარებდა ავტომანქანას და კატასტროფ აგარდაუვალი იყო. არცთუ მაინცდამაინც გინდოდათ იმისი საჭესთან დანახვა, მაგრამ ნერვებზე აშლილმა გიორგიმ მამას ავტომანქანის გასაღები არ დაანება და თვითონ მიუჯდა საჭეს. შენ კინაღამ იყვირე რომ გაჩერებულიყო, მაგრამ მან ელვის სისწრაფით გააქროლა ავტომანქანა და თვალსაც მიეფარა. ამის შემდეგ რაც მოხდა თვითონ იცით, ავტომანქანიდან ოთხი გვამი ამოჩეხეს...

– სრული ჭეშმარიტებაა – დაემოწმა ზვიადაურს შმაგი, მაგრამ ცოტაოდენი გამართლება ამ ბო-

როტმოქმედებასაც მოეძებნება. პირველი: მე არ ვიცოდი, რომ გიორგი საჭესთან დაჯდებოდა და არჩილი თუ მუხრუჭების რეზინებს გადაჭრილს ვერ აღმოაჩენდა, კატასტროფას კი ნაღდად აიცილებდა თავიდან და შიშს საგრძნობლად ჭამდა, რაც ჩემთვის უაღრესად საკმარისი იყო. მეორე: გიორგი უნდა მომკვდარიყო და არა არჩილი, რადგან ფულით განებივრებული და დროსტარებას გადაყოლილი ახალგაზრდა დღეს თუ არა, ხვალ მოკლავდა არჩილს, რადგან ამ უკანასკნელს აღარ ჰქონდა იმდენი სახსრები, ყოველდღე ბიჭისათვის ეძლია ფული საფლანგავად. ამასთან ერთად გიორგი ყოველგვარ უხამსობას გადაჭარბებული ახალგაზრდა იყო, რამოდენიმეჯერ არჩილმა იხსნა ციხისაგან. ჩხუბისა, გაუპატიურებისა და ავტოკატასტროფების შემთხვევაშიც კი, მაგრამ საგონებელში დღემდე არ იყო ჩავარდნილი და მამით გათამამებულს მადა უფრო და უფრო ეღვიძებოდა.

ყოველ შემთხვევაში, ამ ბოროტმოქმედებაზე შემიძლია მტკიცე უარი განვაცხადო, რადგან არაბულების კატასტროფა დღეს მე რუსთაველის სახელმწიფო თეატრში „ჰამლეტის“ როლი ვითამაშე და შემიძლია ვთქვა – წყნეთისაკენ საერთოდ არ გამიხედავს.

– თუკი თქვენ ბოშა ქალის ტანსაცმელს ჩაგაცმევთ და წყნეთში ადგილობრივი მაცხოვრებლები ამოგიცნობენ, მაშინ ფაქტს სად დაემალებით? –

ვერ ამომიცნობენ, რადგან ტანსაცმელი არ თამაშობს ამა თუ იმ როლს, ეს პიროვნებამ უნდა განასახიეროს და ძალდატანებით ამის განხორციელება შეუძლებელია.

– კარგი, ესეც ამოვაგდოთ ძიებიდან, მაგრამ იცოდე სასჯელის გარეშე მაინც ვერ გადამირჩები. – თქვა ზვიადაურმა და ერთჯერ კიდევ ააბრიალა ბუხარში ცეცხლი.

* * *

– მორიგი თქვენი მსხვერპლი, თქვენივე ყოფილი პროკურორი, დავით მინდელი აღმოჩნდა, რომელიც ანკესზედ ორკვირიანი მცდელობის შემდეგ წამოაგეთ. ჯერ კიდევ თქვენი პატიმრობის დროს რუსთავის კოლონიაში გაიცანით ანზორი მაღლაკელიძე, როდესაც ერთი–მეორეს დაუახლოვდით, თქვენ მან გიამბოთ, რომ შენი ყოფილი პროკურორის, დავით მინდელის ცოლი, ქეთევან ტალახაძე მისი საყვარელი იყო. სიტყვა მოგცა, რომ შენს მაგიერ ბოღმას ის ამოიღებდა პროკურორის ოჯახიდან. ათწლიანი პატიმრობის შემდეგ, შენზედ ერთი თვით ადრე განთავისუფლდა ანზორი მაღლაკელიძე, რომელსაც სინამდვილეში სასიყვარულო რომანი ჰქონდა ქეთევან ტალახაძესთან ახალგაზრდობაში და რომელი სიყვარულიც უიღბლო გამოდგა ორივესათვის. ახალგაზრდობის აყვავების პერიოდში დაუოკებელი ვნებათა ღელვის შედეგად

ქეთევანმა იგრძნო, რომ მალე დედა გახდებოდა. ეს ამბავი შეიტყო თუ არა ანზორ მაღლაკელიძემ, სამხედრო სავალდებულო სამსახურში წავიდა. ქეთევანი, მართალია შეძლებული ოჯახის შვილი იყო, მაგრამ მაინც ვერ გაამხელდა თავის თავზე დატრიალებულ ტრაგედიას, ამიტომ თავისი თავისთვის თვითონ უნდა მოევლო და ეპატრონებია. ვინაიდან მფარველი ქვეყნად ვერავინ ვერ აღმოაჩინა, ისევ ანზორს მისწერა წერილი და მფარველობას სთხოვდა:

– „მე მალე შენი შვილის დედა გავხდები. დაგელოდო და მქონდეს შენი იმედი? იცოდე, მე უშენოდ არსებობა არ შემიძლია, მომწერე თავი მოვიკლა თუ შვილი აღვზარდოთ ორივემ ერთად?! მქონდეს შენი იმედი?“ – უმეორებდა სასოწარკვეთილი ქალი ერთსა და იგივეს თავხედსა და თავგასულ ვაჟს.

ორი კვირის შემდეგ ქეთევანმა ანზორის წერილი მიიღო, იწერებოდა:

– „ქეთევან, რომელ იმედზეა საუბარი და რა იმედს ითხოვ ჩემს მიერ? მე ამჟამად სხვისი საპატრონო ვარ. ვიმყოფები სამხედრო რეჟიმში და შენ როგორ გიპატრონებ? – „ქალი თურმე მდინარეში სარეცხს რეცხავდა, წახრილი რომ იყო, გადმოუვარდა თავიდან ჭკუა და მდინარეში ჩავარდა, დასველდა ჭკუა და დაღონდა ქალი, მაგრამ მზიანი ამინდი იყო და გამოსავალი მალე გამონახა, – იქვე, მახლობელ ბუჩქზე დადო ჭკუა გასაშრობად. ახლოში თხები ნეკერს ჭამდნენ, ქალი კი რეცხვით

იყო გართული და არც კი დაუნახავს თუ როგორ ჩააყოლა თხამ ნეკერს იმისი ჭკუა“... ამ ამბის შემდეგ შემორჩა თქმულება „ქალის ჭკუა თხამ შეჭამაო“. – მაგრამ მე ძალზედ მაინტერესებს, ის ქალი შენ ხომ არ ყოფილხარ? ქეთი, ჩემი იმედი ნუ გექნება გენაცვალე. იმიტომ კი არა მე შენ არ მიყვარხარ, მიყვარხარ როგორ არა, მაგრამ არ ვიცი ხვალ როგორ იქნება ჩემი საქმე, საერთოდ აქედან დავბრუნდები კი!...“

აქ მთავრდებოდა ანზორის წერილი, რომელმაც ქეთევანში ორკვირიანი ცრემლი და წოლა გამოიწვია. თავს ევლებოდნენ მშობლები, რომ ამოეცნოთ რა სჭირდა მათ საყვარელ შვილს, მაგრამ ვერ მიხვედრილიყვნენ, რადგან ქეთევანი ექიმის დანახვასაც კი ალერგიულად განიცდიდა და გასინჯვაზე ხომ ზედმეტი იყო ლაპარაკი. ქალს მეორე აზრი არ დარჩენოდა, ან შვილი უნდა მოეკლა და ან შვილთან ერთად თვითონაც მომკვდარიყო. თვალით უნახავს ადამიანი ადვილად იმეტებს ყველაფერს,ა მიტომ ქეთევანმა შვილის მოცილება გადაწყვიტა და სულ სხვა ქალაქში, უცხო და უცნობი ექიმების დახმარებით ადვილად შესძლო არცთუ სათაყვანებელი მიზნის განხორციელება.

სანამ ანზორი სამხედროდან დაბრუნდებოდა ქეთევანმა თავისივე ღარიბსა და ღატაკ მეზობელზე შეაჩერა ყურადღება. მაშინ დავით მინდელი მეტრომშენში მუშაობდა და მშობლებისაგან დატოვებულ ერთოთახიან ბინაში ცხოვრობდა. ქეთევანმა

გადაწყვიტა ცხოვრების ასპარეზზე გამოუსვლელ, ობოლსა და ღარიბთან დაეჭირა სამუდამო ცხოვრების საქმე, რადგან ის უფრო აპატიებდა წარსულს და შეცდომას შეუნდობდა. მართლაც, ასე მოიქცა და ჯერ ანზორის ორი წელიწადიც არ ჰქონდა გამხდარი სამხედრო სავალდებულო სამსახურში, რომ ქეთევანს დავითისაგან ქალიშვილი შეეძინა, რომელსაც დალი დაარქვეს და ოჯახსაც ეს ერთადერთი შვილი შემორჩა ბოლომდის.

ქეთევანის მამამ სერგომ, რომ გაიგო შვილის თვითნებურად გათხოვება ძალზედ გაბრაზდა, მაგრამ შვილიშვილია და გულიც მალე მოუბრუნდა შვილისაკენ, მოკიდეს ხელი შენს დავითს და უნივერსიტეტში იურიდიულ ფაკულტეტზედ ჩააბარებინეს გამოცდები. ასე გამოვიდა ცხოვრების ასპარეზზე დავითი და ნელ–ნელა დაიქოქა კიდეც.

დადგა დრო, როდესაც დემობილიზებული დაბრუნდა ანზორი საბჭოთა არმიიდან, გახარებული მოიჩქაროდა, რომ ენახა სამი წლით დაშორებული მშობლები, ამხანაგები და კეთილნათესაობა. ავტობუსი სკოლასთან გაჩერდა, სწორედ იმ სკოლასთან, სადაც თავისი ახალგაზრდობის რამოდენიმე წელიწადი გაეტარებინა და ძლიერ მოუნდა ყოფილი აღმზრდელ–მასწავლებლების მონახულება. არ დაუყოვნებია, ტალახიანი ჩექმები ბალახზე გაიწმინდა და სკოლის ეზოში შეაბიჯა.

– სად მიდიხართ! – წინ გადაუდგა ანზორს ახალბედა მასწავლებელი თეიმურაზ არველაძე, რომე-

ლიც ანზორის საბჭოთა არმიაში ყოფნის დროს დაენიშნათ მასწავლებლად და ანზორის არ იცნობდა.

– ჩემი ყოფილი აღმზრდელ–მასწავლებლები მინდა მოვინახულო – თავაზიანად მიუგო ანზორმა მასწავლებელს.

– ახლა არ არის მასწავლებლების მოკითხვა–მონახულების დრო, ახლავე აქედან მიბრძანდით! – უთხრა მკაცრად თეიმურაზმა.

– რატომ?

– ასეა საჭირო და იმიტომ! – თქვა თეიმურაზმა, მაგრამ თავის სიმართლეში დარწმუნებული ანზორი მაინც სკოლის შენობისაკენ მიიწევდა. კამათზე ხალხი შეგროვდა და სიტუაცია, რომ უფრო არ გამწვავებულიყო, ანზორმა თავი მიანება აღმზრდელ–მასწავლებლების ნახვას და სახლისაკენ წავიდა. მაგრამ თეიმურაზი რაღა თეიმურაზი იქნებოდა, ეს კამათი ქარისთვის გაეტანებინა და მილიციის ორგანოს შეატყობინა მომხდარი კამათის შესახებ. მართალია, ცოტა ზედმეტიც კი იკადრა და განცხადებაში უჩვენა: – „თითქოს ანზორის ჯიბიდან შავტარიანი პისტოლეტი ამოეღოს, მაგრამ ვერ ისროლა, რადგან კამათის დროს ხალხმა მოიყარაო თავი“.

როდესაც ოჯახში დაბრუნებული ანზორი საზეიმო სუფრას უჯდა და ხარობდა ოჯახის საბჭოთა არმიიდან შვილის უვნებლად დაბრუნებას, თავს სამი მილიციელი წამოადგათ და ანზორი დააპატიმრეს, რომელიც მალე გაასამართლეს კიდეც

და – „სასწავლო დაწესებულების ეზოში დებოშის ატეხვისათვის“ – ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

– ჰო, ასე ადვილია აქ მოხვედრა, გამოსვლა კი გაცილებით ძნელი! – სიტყვა შეაწყვეტინა ზვიადაურს შმაგიმ.

– დიახ, უვნებლად სასჯელის მოხდა მართლაც ძნელია დამნაშავეთა სამყაროში! – დაეთანხმა ზვიადაური და განაგრძო:

– არც ანზორისათვის გამოდგა ადვილი სასჯელის მოხდა, პატიმრობიდან მესამე წელიწადს ანზორის ზონაში მომხდარი ჩხუბისა და დებოშისათვის ოთხნახევარი წელიწადი დაუმატეს და სწორედ ეს ანზორი იყო, რომელიც შენ გაიცანი მსჯავრდებულთა კოლონიაში.

ასე თუ ისე, ანზორმა სასჯელი მოიხადა, მშობლიურ ქალაქს დაბურუნდა და ძველი სიყვარული მოიკითხა. ამ დროს ქეთევანი ტკბილ ოჯახში იჯდა, ერთადერთ შვილს ზრდიდა, რომელიც უკვე გასათხოვრად იყო მომწიფებული და უზრუნველად ატარებდა დროს, რადგან მის მეუღლეს უნივერსიტეტი დაემთავრებინა, ჯერ გამომძიებლად ემუშავა თავისივე ქალაქში, შემდეგ პროკურორის თანაშემწედ და ახლა პროკურორის მაღალ თანამდებობაზე ფოფინობდა. თუ ახალგაზრდობაში მეტრომშენში მუშაობდა გვირაბის გამყვანად და ერთოთახიან ბინაში ცხოვრობდა, ახლა პროკურორი იყო, ორსართულიანი აგურის სახლი წამოეჭიმა და „ცხვა-

რიჭამიაზე“ კეთილად და მაგრად მოწყობილი დაჩაც აიშენა.

პატიმრობიდან დაბრუნებულ ანზორს, მთავრობის სასახლესთან შემთხვევით შეხედა ქეთევანი და ორთავეს გული ისე აუჩქროლდა, ლამის ბუდიდან ამოუვარდათ. ქალი მაინც ქალია და ქეთევანმა თავის წარსულ და დაკარგულ პირველ სიყვარულს ცრემლიც კი დაარფრქვია. ამ დღიდან განახლდა მათი ძველი სიყვარული. ისინი თითქმის ყოველ საღამოს ერთმანეთს დაჩაზე ხვდებოდნენ, მესაიდუმლედ კი ათქვითრებული დალი ჰყავდათ.

ერთ საღამოს, როდესაც ანზორი კატის სიფრთხილით დაჩას მიუახლოვდა და კარები გააღო, იქ ქეთევანის მაგივრად დალი დაუხვდა.

– შენ აქ რა გინდა? – ჰკითხა ქალიშვილს ანზორიმ.

– დღეს მე შევცვალე ქეთევანი! – ღიმილით უთხრა დალიმ და კაცს კისერზე ჩამოეკიდა.

– აქედან გამეცალე, დაფიქრდი რას სჩადიხარ! – უყვირა ანზორმა და ხელი უბიძგა ქალიშვილს.

– მე შენი ვარ? – ცეცხლი დააკვესა ქალიშვილის თვალებმა.

– არა, მაგრამ შენ ჯერ არა ხარ მომწიფებული მაგ საქმისათვის, რაც შენ გიფიქრია, მტკიცედ განუცხადა ანზორიმ.

– იცოდე დაგღუპავ! – ისევ ცეცხლი დააკვესა ქალიშვილმა თვალებიდან და კვლავ კისერზე ჩამოეკიდა კაცს. დოპინგით გაბრუებულ ანზორის

მეტის ატანაც აღარ შეეძლო და ჯერ უხმარ საძინებელ ლოგინში ქალიშვილის შეკივლება გაისმა.

საქმეც ისე წარიმართა, რომ ქეთევანმა ყველაფერი გაიგო, თუ ეშმაკმა უწყის წინასწარ იყო ეს საქმე გააზრებული, რომ ქეთევანის ერთადერთ მესაიდმულეს ხმა არ ამოეღო და ბოლოს და ბოლოს დედა–შვილი რიგრიგობით, ხანდახან ორივე ერთად ხვდებოდნენ ანზორის. ქალიშვილს მუცელზე ჩანასახი დაეტყო, მაგრამ დიდად არ განიცდიდა ქეთევანი და შვილსაც ანუგეშებდა: – „არც მე მყავსო პირველი შვილი“.

ამ საქმის გამოძიება შენ არ გაგჭირვებია, რადგან თითქმის ყოველ დღე ხვდებოდა შენს ძველ მეგობარს, ანზორის და ყოველივე საიდუმლოს იმისაგან გებულობდი. მაგრამ დავით მინდელის მიმართ ეს თავსლაფის დასხმა შენ არ გაკმაყოფილებდა და დროს ეძებდით შური გეძია და უფრო მეტი მკაცრი განაჩენი გამოგეტანა პროკურორისათვის, ამიტომ ერთ საღამოს ამოწმებ დავითის დაჩას და როდესაც რწმუნდები იქ ქეთევანი და ანზორი ნებივრობს, ღალატობ მეგობარს და ქალის სანდომიანი ხმით დავით მინდელს ურეკავთ:

– „ბატონო დავით, განა თქვენ ცოტა შემოსავალი გაქვთ, რომ მეუღლეც არ გააქირავოთ?“

– ვინ ხარ შენ! – მკაცრად გპასუხობს ის!

– შენი კეთილისმსურველი და გთხოვთ ჩემში ეჭვს ნუ შეიტანთ, მე თქვენ სრულ სიმართლეს მოგახსენებთ!

– რა არის შენი სიმართლე!? – ლამის ყვიროდა ტელეფონის ყურმილში დავითი. შენ კი მშვიდად უპასუხე.

– ჩემი სიმართლე ის არის, რომ ამ წუთში შენი მეუღლე დაჩაზე იმყოფება და ნაპატიმრალთან ნებივრობს.

– სიცრუეა! – ახლა კი იკადრა მთელი ხმით აღრიალებულიყო დავითი.

– შეგიძლიათ შეამოწმოთ! – წყნარად, აუღელვებლად, ქალის ლამაზი ხმით უპასუხეთ თქვენ და ყურმილი დაუკიდეთ.

გაბოროტებული დავითი იმწამსვე ზეზე წამოიჭრა, ქამარში გარჭობილი „მაკაროვი“ მოსინჯა, ჯიბეში კიდევ ორი ტყვიებით სავსე მჭიდე ჩაიდო და „ვოლგა“ დაქოქა.

თავისი დაჩიდან ავტომანქან შორს დააყენა და თვითონ ფეხით წავიდა, წყნარი ნაბიჯით მიუხალოვდა დაჩას, რომელთანაც თვითონაც მრავალი ტკბილი სქესობრივი მოგონებები აკავშირებდა. კარები შიგნიდან აღმოჩნდა ჩაკეტილი, სათადარიგო კარებთან მივიდა და სათადარიგო გასაღებით ადვილად გააღო. შიგნით შევიდა საძინებელ ოთახს მიაშურა და თვალთ დაუბნელდა, მისი სათაყვანებელი მეუღლე დედიშობილა, ვიღაც შიშველ მამაკაცს ზევიდან მოქცეოდა და გამალებით მუშაობდა.

დავითმა არაადამიანურად დაიღრიალა და მაკაროვი დააძრო, გაისმა გასროლის ხმა რვაჯერ, როდესაც ტყვიები დამთავრდა, პისტოლეტში ახალი

მჭიდე ჩადგა და კიდევ რვაჯერ გაისმა ტყვიების წივილი და „მაკაროვის“ დაყეფება.

როდესაც დავითმა დაფლეთილი გვამები დაინახა და სისხლმა მთელი იატაკი შეღება, გულში სიბრალული იგრძნო იმ მამაკაცის მიმართ, რომელსაც ჯერ კიდევ თბილი ჰქონდა ტყვიებით დაცხრილი მკერდი.

– „ასე რომ ვინმეს მოვეკალი, ახლა ჩემი ძვალიც აღარსად იქნებოდა, განა მე ცოტა მყოლია ამ ოთახში? ავღელდი, ნაღდად ნერვები ვერ დავიოკე, მაგრამ ახლა გვიანია“, – თქვა და ტელეფონის ყურმილს დასწვდა.

–ალო! მილიციის განყოფილებაა? – აუღელვებლად ჩასძახა ყურმილში, – საჩქაროდ ამა და ამ მისამართზე გამოცხადით, მე კაცი მოვკალი.

სადენის მეორე მხრიდან რა უპასუხეს დავითს აღარ გაუგონია, ის უაზროდ ატრიალებდა ტელეფონის ყურმილს ხელში და მხოლოდ ერთადერთს ჭიქრობდა: ჩქარა მოსულიყვნენ, დაეპატიმრებინათ და ყველაფერი დამთავრებულიყო. მართლაც დიდხანს ლოდინი არ დასჭირვებია დავითს. მილიციის ავტომანქანა კივილით მოადგა დაჩას. ექვსიოდე შეიარაღებული მილიციელი ყოველგვარი ნებართვის გარეშე შეიჭრნენ სახლში, დავითს წინააღმდეგობა არ გაუწევია, იცვნეს და არც შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ მისთვის. ის გაუნძრევლად იჯდა ტელეფონთან, სანამ გამომძიებელი მკვლელობის აღწერას მორჩებოდა და აი მორჩა კიდეც, დავითი

ბოდიშის მოხდით თავისივე „ვოლგას“ უკანა სალონში ჩასვეს, საჭეს კი ერთ–ერთი მილიციელი მიუჯდა და მილიციის საკანში კი არა, სამორიგეოში მიიყვანეს. ვინ იცის რომელმა ფიქრმა მეტად შეაწუხა დავითი. თვალები ჩაუწითლდა და მკვლელობიდან მესამე დღეს ჭკუაზე შეიშალა. პირველად ფსიქიატრიულ საავადმყოფოში გადაგზავნეს, ამჟამად კი ქუთაისში იმყოფება საგიჟეთში.

„უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაესიაო“ – არის ნათქვამი და დავითის ქარაფშუტა ერთადერთ ქალიშვილსა „დაესია ეშმაკები“. საყვარლებმა ჯერ ავტომანქანა გააყიდვინეს, შემდეგ დაჩა, ახლა სახლიც გაყიდა, დედაქალაქში ერთი ოთახი იქირავა, უფულოს საყვარლები შემოეცალა და ახლა დადის ახალ–ახალი საყვარლების საძებნად, რათა ლუკმა პური გამოიმუშაოს.

– ბრავო, ბატონო ზვიად, თქვენ მართლაც ბევრი გიმუშავიათ და ამ ნაშრომის ცეცხლში ჩაყრა მართლაც საცოდაობა არის! – წამოიძახა გამომძიებლის მჭერმეტყველებით გაოცებულმა შმაგიმ.

– მართლაც სწორია, – თქვა წყნარად ზვიადაურმა, – ამ ნაშრომის ცეცხლში ჩაყრა მართლაც საცოდაობაა, მაგრამ საუბედუროდ თქვენს მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედება ამ საქმის მიმართ სისხლის სამართლის კოდექსით სასჯელს არ ითვლაისწინებს, მორალზე კი დღეს თქვენთან ლაპარაკი ზედმეტია, შენ გადაგვარებული ადამიანი ხარ და თავისუფლად მოაზროვნე ინტელიგენციის

გვერდით შენი ყოფნა სახიფათოც არის და საჩოთიროც. შენ არ გეგონოს ვინმეს მოეწონოს შენ მიერ ჩადენილი ბოროტმოქმედებანი და მე მას ვიზიარებდე, რადგან კარგი მოსასმენი იყო, ან კიდევ ჩრდილი მივაყენო იმ დაზარალებულებს, რომელნიც სასტიკად დაისაჯნენ შენ მიერ. ეს ადამიანთა ბუნებაა, როდესაც ერთს ვადიდებთ, მეორე თავისთავად მცირდება, ისე როგორც ჩვენ ვადიდებთ კუტუზოვს და თავისთავად მცირდება ნაპოლეონი, მაგრამ ამ შედარებებმა შენ არ აღგაფრთოვანოს, რადგან ჭეშმრაიტად კეთილშობილ კაცს არასოდეს არ უფიქრია შურისძიება. მე ამ საქმესაც ვსპობ, მაგრამ ვნახოთ რას გვეტყვის ბოლო და უკანასკნელი.

ზვიადაურმა ლამაზად აკინძული დასტა ბუხარში მოისროლა და საქაღალდე გადაშალა.

* * *

– ამ ბოროტმოქმედებას ნამდვილად ვერ გაპატიებ, – დაიწყო ზვიადაურმა, – რადგან შენ სამშობლოს მოუკალი ღირსეული დედა და ჩაასვენე კიდევ ერთი სილამაზის ვარსკვლავი. ეს „ტკბილი ლუკმა“ ბოლოსათვის შემოინახე და ქალს აგრძნობინე მოახლოვებული სიკვდილის საშიშროება.

– მე სამშობლოსათვის არ მომიკლავს ღირსეული დედა.

– სიტყვაში შეეცილა ზვიადაურს შმაგი, – „ღირსეული“ შორენა არასოდეს არ იქნებოდა, რადგან

„ღირსება“ სილამაზეში როდი იმალება, ვერავითარი წარმოსახვა და ურთიერთსაპირისპირო გრძნობა ვერ აღიქვამს ღირსების უდიდეს გრძნობას, რომელიც სილამაზეს უნდა აშუქებდეს და არა სილამაზით ვეძებოთ ადამიანებში ღირსება. ის სიყვარულის მიმართ იყო უღირსი და მის შემდეგ ღირსეული ნაბიჯის გადადგმა შეუძლებელია, რადგან ამ შემთხვევაში ჩრდილს მივაყენებთ სიყვარულს და ავამაღლებთ, სიყვარულთან შედარებით რომელიღაც გრძნობის მცირედ ნაწილაკს, მაგრამ დაუშვათ ღირსეულიც ყოფილიყო, „დედა“ მაინც არ იქნებოდა, რადგან სიყვარულთან ერთად მან სამშობლოც მოიძულა.

– კარგი, ნუღარ მეკამათები, ადვოკატები ბოლოს ლაპარაკობენ, – თქვა ზვიადაურმა, საქაღალდეს ჩახედა და განაგრძო, – შორენა ცდებოდა, როდესაც მე მიმტკიცებდა სიყვარულის არ არსებობას, თქვენმა შეხვედრამ მასში ის მინავლებული ცეცხლი ააგიზგიზა, რომელიც ახალაგზრდობაში გააჩნდა. თქვენ დიდფარდოვნად დაუწყეთ მას ძველ სიყვარულზე ლაპარაკი და აღუთქვით შეცოდების პატიება თუკი ის შენი მეუღლე გახდებოდა. ქალი „ჭკუა ხომ თხამ შეჭამა“ და მომავლის იმედები კვლავ ჩაესახა შორენას გულში, შენი მზაკვრობა რა თქმა უნდა იმისათვის ამოუცნობი იყო. ერთ დღეს შორენასთან მოსეირნე სარქისის ძმა აშოთი შენიშნე. შეისწავლე იმისი ჩაცმულობა და ყოველგვარი მიმოხვრა. მეორე დღეს სწორედ აშოთის

ორეული შორენას ხვდებით და ისევ სიყვარულზე უწყებთ ლაპარაკს, ქალიც გისმენთ და თანდათან ლღვება მის გულში ყინული, შემდეგ შენ რაღაც მოიმიზეზე, განმარტოვდით და სარქისს ქალის ხმით ურეკავთ: – რომ მისი ცოლი ძველ სიყვარულთან სეირნობს რუსთაველზე, – აღშფოთებული სარქისი მყისვე ჯდება თავის „ვოლაგში“ და თქვენ დაგეძებთ. შენ ფარულად სეირნობა არც გქონდა გადაწყვეტილი, რადგან სარქისს იმიტომ დაურეკეთ, რომ მას ენახეთ ერთად და მართლაც კინოთეატრ „რუსთაველთან“ მიწისქვეშა გადასასვლელთან სარქისმა დაგინახათ, ის ძალზედ აღელვებული მოვარდა თქვენთან და გითხრათ:

– „თუ კიდევ ოდესმე ერთად დაგინახავდათ ორივეს მოგკლავდათ“ – ამის შემდეგ უდიერად წამოავლო ხელი მკლავში შორენას, თავის „ვოლგაში“ ჩააგდო და გუჩინარდა. სარქისამ სახლში მიყვანილი მეუღლე სცემა და სიკვდილით დაემუქრა, თუ როდისმე შენთან გავლილს დაინახავდა.

ერთი კვირის შემდეგ შენ ნათხოვრობ მეგობრის „ჟიგულს“, შიგ დებთ ათლიტრიან დოპინგით შეზავებულ ღვინოს და მოხუცი კაცის ნიღაბით მიდიხართ სარქისასთან „ჟიგულის შესაკეთებლად“, როდესაც სარქისამ ავტომანქანა შეაკეთა, თქვენ ეკითხებით თუ რა თანხა გადაიხადოთ, ის გპასუხობს, – „ფული არ მინდა და თუ ამ ათლიტრიან ღვინოს დამიტოვებთ სხვა დროსაც უფასოდ შეგიკეთებთ ავტომანქანასო“. – ეს ხომ შენ წინასწარ

გქონდა გაანგარიშებული და უარი არ გითქვამთ ღვინის დატოვებაზე, რომელსაც მაშინვე მოხსნეს საცობი და ჭაშნიკი გაუსინჯეს. შემდეგ ერთ–ერთი ახალგაზრდა ძეხვისა და პურის მოსატანად გაგზავნეს და დაიწყო ქეიფი.

შენ მოდიხარ და შორენას ურეკავ: – „ერთი კვირაა რაც არ მინახავხარ, იყავი მოწყალე და მარტოს თუ არ გიშვებენ გარეთ შენს მაზლთან ერთად წამოდი, ვკვდები და შორიდან მაინც გადაგავლებო თვალს“ – ქალი დაგთანხმდა და მართლაც თავის მაზლთან ერთად რუსთაველის პროსპექტზე დაიწყო თვალსაჩინოდ სეირნობა, რომ კარგად დაგენახა და სიყვარულით დამტკბარიყავი. შენც ეს გინდოდა, რადგან უკვე იცოდი სარქისი „გრადუსში“ იქნებოდა და ქალის ხმით ურეკავ მას: – „სარქის არ გასჭრა შენმა შეგონებამ შენი მეუღლის მიმართ, ის ისევ–ისე ძველ სიყვარულთან სეირნობს რუსთაველზე“ – სარქისი, დოპინგით ნახევრად გიჟი, საჭეს მიუჯდა და რუსთაველის პროსპექტზე დაიწყო ავტოჯირითი და მეუღლის ძებნა. აი დალანდა „ისინიც“, სიჩქარეს მოუმატა და ხეზე მიასრისა ძმა და ცოლი, მაგრამ ვერც თვითონ გადარჩა, თავგაპობილი დავარდა მათთან ერთად..

– სრული სიმართლეა, – თქვა ჩაფიქრებულმა შმაგიმ – ისე ზუსტია თქვენი ნაშრომი, თითქოს ჩემი თანამონაწილე იყოთ. არ არის კეთილად დასრულებული ეს საქმე, მაგრამ სავალალოდ სხვაგვარად არ შემეძლო.

– მან კი შენზედ ყოველგვარი ბოროტმოქმედების პატიება მთხოვა.

– ვიცი, სულგრძელი იყო, მაგრამ მე სხვაგვარად მაინც არ შემეძლო.

– შენ საიდან იცი?

– დედაშენმა მითხრა, როდესაც ვუმკითხავე – „ვილაცას უანდერძებია ჩემი შვილისთვის, ვინც ჩემს სისხლში ხელი გაისვაროს, აპატიეო!“

– შენ რა იცი, რომ ეს შორენა იქნებოდა?

– მასეთები ცოტანი არიან, ვინც სიკვდილს ელოდება საყვარელი ადამიანის ხელით და მე იმ წამსვე მივხვდი, რომ ეს შორენა იქნებოდა.

– არ გებრალებოდა, როდესაც ეს ნაბიჯი გადადგი?

– ის ცხოვრებაში მეტი შესაბრალისი იქნებოდა, როდესაც წარმოვიდგინე, მას „გოშიები“, „გორილები“ და „მურთხები“ უნდა მოეშენებინა ჩვენს დედაქალაქში. რა იქნებოდა ამ შემთხვევაში მისი სიცოცხლე? ჩემი საყვარლობა? არა, მე ჩემს პირველ სიყვარულს ვერ წავბილწავდი და ვერ გავთელავდი ფეხქვეშ. ვერც სიყვარულის ზიარ სარეცელს წარმოვიდგენდი, ამიტომ ჩავიდინე ეს სასჯელი კი თქვენზე დამოკიდებული, ეს მარტო შანტაჟი არ არის, აქ დოპინგიც არის საქმეში.

– შორენას ანდერძი?!

– ეს კი თქვენზედ არის დამოკიდებული. ზოგი ადამიანი უცნობი ქალის ანდერძს კი არა საკუთარი მამის ანდერძს არაფრად მიიჩნევს. ამ შემთხ-

ვევაში თქვენი საქციელი კეთილშობილება იქნება, არმეთუ იშვიათად შეხვდებით ამ თვისებით შემკულ ადამიანს, რომელიც ღირსეულად ატარებს ცხოვრებაში არა მარტო ანდერძს, არამედ სხვის რჩევასაც და საკუთარ შეხედულებასაც ისე როგორც აღიქვამს და არა ისე, როგორც კანონს მიაჩნია. კანონის მორჩილი კაცი უნდა იყოს მოჩვენებითი გულწრფელი, სინამდვილეში კი თვალთმაქცი, ე. ი. მას ორპირობა ისე უნდა ეხერხებოდეს, როგორც ქამელეონს ფერისცვალება.

– მე ეს არ შემიძლია, მგონი თქვენთან ცეცხლფარეშის ადგილი არის თავისუფალი, ხომ ვერ მიშუამდგომლებდით თეატრის დირექტორთან?

– ნუ ხუმრობთ, სიმართლის მოყვარული და კეთილი ადამიანი ყველგან საჭიროა და მითუმეტეს მართლმსაჯულებაში, სადაც ჯერ კიდევ თემიდას სასწორი მოქმედებს.

– კარგი, ჯერჯერობით ასეც იყოს, ეს საქმეც შორენას ხსოვნამ შეიწიროს! – თქვა გამომძიებელმა და შორენას ტრაგიკულად დაღუპვის საქმეც საქაღალდესთან ერთად ბუხარს შეუნთო. – განთავისუფლებ ამ საქმისაგანაც, – განაგრძო მან, – მხოლოდ ქრისტე ღმერთის სიტყვის გიმეორებ: – „ყურნი მომაპყარით! მე გიშვებთ ვითარცა ცხოვართ მგელთა ხროვაში: ამიტომ უნდა იყვნეთ ბრძენნი, ვითარცა გველი და უმანკო, ვითარცა მტრედი“.

GARI CHAPIDZE

LOVE LABYRINTH

რედაქტორი: მაკა ხატიაშვილი

მხატვრული რედაქტორი: მაკა სამხარაძე

ტექნიკური რედაქტორი: ნაზიბროლა კაპანაძე

კომპიუტერული უზრუნველყოფა: ირმა ჯიშკარიანი

გამომცემლობა „კოლორი“

376

წიგნი - სიყვარულის მარადიული ფენომენია, მხოლოდ მისი დახმარებით შეიძლება ეზიაროთ ჭეშმარიტ სრულფასოვნებას. ამიტომაც გვთავაზობს მწერალი და მეცნიერი, პროფესორი გარი ჩაფიძე თავისი შემოქმედების ტომეულებში წიგნიერების უსაზღვროებას!

ISBN 978-9941-0-6080-9